ჯიბეული დანართი

ლექსები

გამომცემლობა
„ხსბჭოთა საქართველო“
თბილისი . 1968

И (ЛАТИН)
86—31
Д 383

ახალგაზრდა კუბელი მწერალი თავის რომანში დიდი მგზნებარებით მოგვითხრობს მისივე თანატოლი კუბელი ინ-ტელიგენტის ფიქრებსა და ძიებაზე, ინტელიგენტისა, რომე-ლიც, ეჭვებით მოცული, ბატისტას დიქტატურის ბოლო წლებში ამერიკის შეერთებული შტატებიდან კუბაში ბრუნ-დება ბუნდოვანი, ჯერაც ჩამოუყალიბებელი მისწრაფებით— მონაწილეობა მიიღოს მშობლიური კუნძულის განთავისუფ-ლებისათვის ბრძოლაში.

თარგმანი ლარისა ტიტვინიძისა

7—3—4

—68 ადგ.

პროლოგი

სებასტიან სოლერ-ე-პაუერსმა სარკეში ჩაიხედა და თავის სახეს დააკვირდა. თვალები... ბუნდოვნად მოხაზული ბაგეები... მერე გაპარსულ ლოყებზე ხელი ჩამოისვა და გაიფიქრა: „ერთი დღე მაინც გამორეოდა ისეთი, რომ ეს წვერი აღარ ამომსვლოდა. ყოველ დილას ახალ-ახალი იზრდება". შემდეგ ფუნჯი წყალში დაასველა, ზედ კრემი წასცხო და ნიკაპის გასაპვნას შეუდგა, თან თვალს ადევნებდა, როგორ მატულობდა ქაფი...

გუშინ, რვა თებერვალს, სებასტიანს ოცდაექვსი წელი შეუსრულდა. იგი სწორედ იმ წელს დაიბადა, როცა საყოველთაოდ ცნობილმა ციკლონმა უბედურება დაატრიალა ჰავანაში. მას არ ახსოვდა არც ქარიშხალი, არც წყალდიდობა, რომლის შესახებაც ამდენს ლაპარაკობდნენ. ზევით ოთახში ქარი მძვინვარებდა, წვიმა ასხამდა ფანჯრის ჟალუზებს, პატარას კი მშვიდად ეძინა ან წოვდა... სებასტიანმა ის დღე გაიხსენა, როცა პირველად ჩააცვეს შარვალი. კიბეზე ჩარბოდა და გრძნობდა, როგორ ეტმასნებოდა შარვალი მუხლებს. სანამ ათი წლის არ გახდა, დედა უარით პასუხობდა მის ყოველ თხოვნას:

— You have such beautiful legs[1], ტიანი, — ეუბნებოდა

[1] შენ ისეთი ლამაზი ფეხები გაქვს (ინგლ.).

დედა. — მოესწრები შარვლის ჩაცმას, როცა დიდი გაიზრ-დები.

— სკოლაში რომ ბიჭებს ყველას შარვალი აცვია, დედა...

წითელი ველოსიპედიც სწორედ მაშინ აჩუქეს. ორესტესი, ფეხსაცმელების მწმენდავი, ხუთშაბათობით რომ დადიოდა ხოლმე მათთან სახლში, შეეხვეწა, ერთხელ მაინც დამსვი ველოსიპედზეო. სიბრალულისა თუ შიშის გამო სებასტიანმა ათხოვა ველოსიპედი. მერე დიდხანს იჯდა ტროტუარზე და ელოდა; შემდეგ წამოდგა და ფილთა თოფის მოსატანად წა-ვიდა. მთელი ორი საათი ეძებდა, ახლომახლო ქუჩები სულ მოიარა, მაგრამ ვერსად იპოვა ორესტესი. მზე უკვე ჩადიოდა; სებასტიანმა სიბრაზისაგან ტირილი დაიწყო და სწორედ ამ დროს წითელი ველოსიპედიც გამოჩნდა. სებასტიანმა თოფი მოიმარჯვა და შუა ქუჩაში გაჩერდა, რათა შეეჩერებინა ფეხ-საცმელების მწმენდავი. ორესტესმა დაამუხრუჭა ველოსიპე-დი, მაგრამ სებასტიანმა მაინც გაისროლა და ფეხსაცმელების მწმენდავის შავ ფეხებს ოთხი ცალი საფანტი ჩაესო. ორესტეს-მა დაიღრიალა, ველოსიპედიდან გადმოხტა და მთელი ქუჩის გასაგონად აყვირდა:

— კაცის მკვლელო! ბანდიტო!

იმ დღიდან ტიანის ერთხელაც აღარ გამოუყვანია თავისი ველოსიპედი ჩაბნელებული გარაჟიდან.

ტიანის ეგონა, ყოველთვის ბიჭად დარჩებოდა, მხოლოდ სხეული გაეზრდებოდა, მაგრამ თოთხმეტი წლისას რაღაც საოცრება დაემართა, ძლივსღა სცნობდა თავის თავს ბანა-ობის დროს. ხმაც გამოეცვალა; მოუქნელი, ფიცხი და თავ-ნება გახდა...

მოგონებებში ჩაფლულმა სებასტიანმა ცხვირის წვერზე

მოიხვედრა ფუნჯი. თითით მოიცილა ქაფი. მენთოლის კრემი კანს უგრილებდა...

არტუროს შიშველი ფეხები დივნის ბალიშზე დაეწყო, რომლის ბაღში გატანა ნებადართული იყო ქრისტინას მიერ, ეზოში იჯდა და ელადიო სეკადესის „ეპოქის სურათებს" კითხულობდა...

თითქოს რაღაც ძალამ უბიძგა ტიანის — მამასთან მივიდა. სული ყელში ებჯინებოდა, თან სირცხვილი სწვავდა თავისი გაუბედაობისა და იმის გამო, რომ სხვაზე იყო დამოკიდებული.

— მამა, მე აღარ მინდა ეკლესიაში სიარული... აღარ მწამს ღმერთი, — უთხრა ტიანიმ.

მამა ის იყო დაბრუნდა სამუშაოდან და ლირიულად განწყობილს, სევდიანი და ამავე დროს სასიამოვნო ფიქრები უტრიალებდა თავში. სებასტიანის ნათქვამმა ისე გააოცა, თითქოს ცივი წყალი გადაასხესო. არტურო უცებ გასწორდა წელში.

— რა სისულელეს ამბობ, ბიჭო. როგორ თუ აღარ ივლი ეკლესიაში?

— მე არ მწამს ადამი და ევა. ისინი არ არსებობდნენ. სამყარო ასე არ წარმოშობილა. სულაც არ ყოფილა ასე. წიგნში წავიკითხე. სიცოცხლე რაღაც თევზებისაგან წარმოიშვა, გუბეში. ეს არის ევოლუცია. შემდეგ გაჩნდნენ მაიმუნები და მერე ადამიანი. არა მჯერა, რომ ადამი და ევა არსებობდნენ.

— არც უნდა დაიჯერო ყველაფერი, რასაც ეკლესიაში ამბობენ. ადამისა და ევას ამბავი მხოლოდ მცირედი ეპიზოდია ბიბლიისა.

— ჰო, რა თქმა უნდა, მაგრამ, თუ ეს სიცრუეა, მაშინ დანარჩენიც სიცრუე იქნება. კათოლიკური ეკლესია ამტკიცებს, რომ მან ყველაფერი შეიცნო. იმასაც ამბობენ, იგი უცოდველიაო.

— არ ვიცი... მერე დედა რას იტყვის?

— სწორედ ეს მაფიქრებს მეც. რა უნდა ვქნა, მამა, განა შენ გინდა, რომ ვიცრუო?

— დედაშენმა რომ გაიგოს, თავზარი დაეცემა... ეგეც არ იყოს, ხომ უნდა გწამდეს რაღაც...

— მე არასოდეს არ მინახავს ღმერთი. ყველაფერი მწამს, რაც გინდა... მაიმუნიც და ბევრი სხვა რამეც... მაგრამ ღმერთი კი არა.

არტურო აღარ ჩასციებია. ერთხანს ასე იჯდა, დაბნეული იხედებოდა აქეთ-იქით, მერე ისევ წიგნი გადაშალა, ფეხები გაჭიმა და სიამოვნებისაგან აკრუსუნდა...

სებასტიანმა ოდნავ მოუშვა სამართებლის ხრახნი. ნიკაპს მორჩა და ახლა კისრის გაპარსვას შეუდგა...

მამის გულგრილობამ გააოცა ტიანი. ის ტრაგიკულ შედეგს ელოდა, რასაც ერთიანად უნდა შეეცვალა მისი ცხოვრება. მაგრამ აღმოჩნდა, რომ მამას სულაც არ ენაღვლება, სწამს თუ არა მის ვაჟიშვილს ღმერთი. დედამ ტირილი დაიწყო, როცა ტიანი თავის ოთახში ჩაიკეტა. საღამოს ცხრა საათზე კი მაინც დაუძახა, ჩქარა გამოდი, ივახშმე, თორემ ყველაფერი გაცივდაო...

„არ უნდა მეცადა ამდენი“, ფიქრობდა სებასტიანი და ზემოთა ტუჩს იპარსავდა. კვირაობით მშობლები წირვაზე დადიოდნენ, დედას საწოლთან ეკიდა იესოს წმინდა გული, თუმცა პარასკეობით ხორცს მაინც სჭამდნენ.

დედა მხოლოდ ერთხელ გაუწყრა, როცა სახლი მიატოვა და გლორიასთან წავიდა. მაშინ ტიანი თვრამეტი წლისა იყო, ის ქალი კი ოცდაცხრამეტისა. ხუთი წლის წინათ გაჰყროდა თავის ქმარს, ადვოკატს, და მას შემდეგ გამყიდველად მუშაობდა უნივერსალურ მაღაზია „ელ ენკანტოში“.

— It's like robbing the cradle, — ყვიროდა დედა. — ეს იგივეა, აკვნიდან მოიტაცო ბავშვი.

— რა ვქნა, დედა, მე მიყვარს იგი.

— ნუ ამბობ მიყვარსო. დედად შეგფერის. ვერასოდეს ვერ ვიფიქრებდი, რომ ჩემი შვილი...

— ჩემთვის საჭიროა ქალი... მე ხომ ცოლიანი არა ვარ და საერთოდ... მინდა, რომ გამიგო, თორემ სულაც არ დაგიწყებდი ახსნა-განმარტებას. არ მინდა, ამის გულისათვის შემიძულო. მე ხომ ისევ ძველებურად მიყვარხარ.

— რას იფიქრებს ხალხი? იტყვიან, რომ მე ვარ დედა ახალგაზრდა კაცისა, რომელსაც თავში ჭკუა არა აქვს... აი, რას იტყვიან... ჩემი შვილი ცხოვრობს ქალთან, რომელიც ორჯერ უფროსია მასზე. არა, სულ არ მგევხარ მე.

— ბედი არა გქონია, ჩემო ბებერო, გინდა თუ არ გინდა, მე მაინც შენი შვილი ვარ.

— მამაზე მაინც გეფიქრა. შენი გულისთვის შეიძლება ადგილიც დაკარგოს ბანკში. შენ მხოლოდ შენს თავზე ფიქრობ...

— რა სისულელეა. ჩემი გულისთვის არავინ არაფერს არ დაკარგავს. მე ხომ არ გასწავლი, როგორ უნდა მოიქცე. ჩემთვის სულ ერთია, რას მოისურვებ... შეგიძლია გახდე თუნდაც... არ ვიცი, ვინ ვთქვა...

— რას იტყოდი, დედაშენი რომ ასე გამოსულიყო ქუჩა-

ში? — და თითქმის წყლამდე წამოიხადა კაბა, თან იცინოდა და ცეკვავდა. — რას იტყოდი, ასეთ ყოფაში რომ გენახა დედა-შენი ქუჩაში? აი ასე! ტრა-ლა-ლა! ტრა-ლა-ლა!..

ნახევარი წლის შემდეგ სებასტიანმა მიატოვა გლორია. პრეზიდენტად იმ წელს რამონ გრაუ სან მარტინი აირჩიეს. იმ დღეს, როცა სებასტიანმა გლორიას სახლი მიატოვა ძველ ჰავანაში, გრაუს გამარჯვებას დღესასწაულობდნენ. ხალხი მტევნებივით ეკიდა ტროლეიბუსებსა და ავტობუსებს. სებასტიანს უნდოდა ხმა მიეცა გრაუსთვის, მაგრამ აღმოჩნდა, რომ არასრულწლოვანებს არა აქვთ ხმის უფლება. ამან ძალზე დააღონა. მხიარულობდნენ გამარჯვებისაგან თავბრუდახვეული აუტენტიკები[1]... მაგრამ გრაუს ბედი არ სწყალობდა. იმათგან, ვინც მიტინგების დამთავრების შემდეგ ხელებს უკოცნიდნენ, ერთნი, რომელთაც თბილ ადგილებს მიაღწიეს სამინისტროში, ახლა დუმილს ირჩევდნენ, მეორენი კი, რომელთაც ვერაფერს მიაღწიეს, ზიზღით აფურთხებდნენ მის პორტრეტს, გრაუს სწორედ იმ პორტრეტს, მდიდართა სასახლეებშიც რომ ეკიდა და პალმის ფოთლებით გადახურულ ქოხებშიც.

ამის შემდეგ სებასტიანმა სამუდამოდ დაკარგა ხალისი ხმის მიცემისა.

სებასტიანმა სამართებელი დაშალა. წყლით ჩამორეცხა ზედ შერჩენილი ბეწვები.

მშფოთვარე სული, ფრთებს რომ ასხამდა მის სიჭაბუკეს, მალე გაქრა, ირგვლივ გულგრილობა და კორუპცია მეფობდა. სულ ერთია, სებასტიანს მაინც ძალა არ შესწევდა, შეეცვალა

---

[1] წევრები ბურჟუაზიული, „რევოლუციური“ პარტიისა, რომელიც არსებობდა 1959 წლამდე.

რამე. ერთიღა რჩებოდა: გაეგრძელებინა სიცოცხლე. შემოსავალი, რომელიც მას ჰქონდა, საკმარისი იყო იმისათვის, რომ ჰქონოდა კარგი ბინა, ავტომობილი და დროდადრო შტატებშიც წასულიყო გულის გადასაყოლებლად, როცა მოსწყინდებოდა მუშაობა. კვირაში სამჯერ მოდიოდა მასთან ნორმა და მის სარეცელს იყოფდა. ჰყავდა კარგი მეგობარი — ლუისი. საკითხავადაც დრო იმდენი რჩებოდა, რამდენიც უნდოდა. მაგრამ ყოველივე ეს საკმარისი არ იყო. სებასტიანი გრძნობდა, რომ რაღაც აკლდა.

სებასტიანი ჟურნალისტიკით ცხოვრობდა, თუმცა ლიტერატურა უფრო აინტერესებდა. მაგრამ, როცა რომანის დასაწერად დაჯდებოდა, მისწრაფება იმისა, რომ შეენელებინა წინააღმდეგობანი, აიძულებდა, დაუსრულებლივ შეემოკლებინა დაწერილი. ამიტომაც მისი ბლოკნოტის ფართო ფურცელზე ზოგჯერ რამდენიმე სტრიქონიღა რჩებოდა.

სებასტიანმა ფრჩხილების საწმენდი ჯაგრისით გაწმინდა სამართებელი — აგერ უკვე ორი კვირაა ფიქრობდა ამის გაკეთებას. სამართებელს პირი გაუწმინდა, თავის ადგილზე შეინახა: კიდევ ერთხელ შეიძლება გაიპარსოს ამ სამართებლით.

სებასტიანს შეუძლია წავიდეს აქედან, ცოლი შეირთოს და გონივრულ ცხოვრებას მოჰკიდოს ხელი, შეუძლია საწოლზე დაწვეს და იწვეს, სანამ შიმშილით სული ამოხდება... ყველაფერი მის ხელთ არის. ოღონდ უნდა იცოდეს, რას მოჰკიდოს ხელი. სებასტიანმა თავის ორეულს გაუღიმა სარკეში, მერე შემოტრიალდა და სააბაზანოდან გავიდა.



ნაწილი პირველი

გზა ვერ მივეცი
ჩემს ღირსებას და ჩემსა ძალას,
დამშეულ მხეცთა ხროვასავით რომ ბორგავს ჩემში.
ათრთოლებული კვლავ ვეყრდნობი შიშველსა კედელს
და სულს ძლივს ვითქვამ...
აღგზნებულ ტვინში ირევიან ისევ აზრები,
აენთებიან და კვლავ ჰქრებიან...

ხოსე მარტი

გადატრიალება განთიადისას

ქუჩის მოპირდაპირე მხარეს მიიკლაკნებოდა ეკლიანი მავთული სამხედრო ქალაქ კოლუმბიისა. ყველაფერი ყვითელი და მწვანე იყო. ბალახი იზრდებოდა და იზრდებოდა, ახალწვეულები კი იმით ირთობდნენ თავს, რომ ორი დუიმის სიმაღლეზე

თიბავდნენ ბალახს. მზის სხივებით განათებული შენობა მუ-
ყაოს ციხე-სიმაგრესა ჰგავდა, ბავშვობაში რომ თამაშობდა
ხოლმე სებასტიან სოლერი. ქონგურებიანი კოშკები და კალის
ჯარისკაცები ატომური შეიარაღების ეპოქაში...

სებასტიანს ეძინა.

სადარბაზო შესასვლელში, ეზოში და აგურის გალავანსა
და სახლს შუა ვიწრო გასასვლელში ძაღლები დარბოდ-
ნენ. ღამის თბილი ჰაერი თითქმის არ იძროდა. სებას-
ტიანი გვერდზე გადაბრუნდა. ძაღლის ყეფა არ აძინებდა.
ერთხელ კიდევ იცვალა გვერდი, ახლად გარეცხილი ზეწრის
სუნი იგრძნო და რაღაც წაიბურტყუნა, თვალები გაახილა.
მარჯვენა ხელი ბალიშზე ედო. სებასტიანი გაოცდა, როცა და-
ინახა, რომ მიუხედავად მოუსვენარი ძილისა, იმგვარადვე იწვა,
როგორც საღამოს დაწვა. ისევ აყეფდნენ ძაღლები. სებასტი-
ანმა გადაწყვიტა ამდგარიყო და გაეგო, რა მოხდა.

ჩვეულებრივ ძაღლები მაშინ ყეფდნენ, როცა ღობის იქით
ვინმე ჩაივლიდა. ზოგჯერ შეშინებული მგზავრები ქვებსაც
ესროდნენ ძაღლებს. დილით, როცა სებასტიანი ეზოში გამო-
დიოდა და მზე პირდაპირ თვალებში უნათებდა, ფეხს წამოჰ-
კრავდა ხოლმე ამ ქვებს.

მაგრამ ახლა გამვლელი ბევრი არავინ იქნება. ეს-ეს არის
თენდება. სებასტიანი წამოჯდა. ფეხები ცივ კაფელის იატაკზე
ჩამოუშვა, საშინაო ჩუსტები ჩაიცვა და ჩაბნელებულ დერე-
ფანში გავიდა... წაიბორძიკა, კედელს მიეხალა. ყეფა არ წყდე-
ბოდა. უეცარმა შიშმა შეიპყრო სებასტიანი. სასტუმრო ოთახ-
ში შეჩერდა და ნელა გამოაღო ფანჯარა.

ღამის თბილი, სუფთა ჰაერი შემოიჭრა ოთახში. ქუჩის
ბოლოს, სამხედრო ქალაქის პირდაპირ, საგუშაგო № 4-თან

ორი ტანკი იდგა. შენობის ფანჯრებში სინათლე ენთო. სებასტიანმა ვერაფრით ვერ გაიხსენა, იყო თუ არა მარტის პირველ რიცხვებში რაიმე ნაციონალური დღესასწაული.

სებასტიანმა კარი გამოაღო და ძაღლებს დაუძახა. ძაღლები წკმუტუნით შემოერტყნენ გარს, ხტოდნენ და ხელებს ულოკავდნენ. ფოლადივით მაგარი ბრჭყალები ებღაუჭებოდნენ თბილ პიჟამას. სებასტიანი გამოფხიზლდა. ძაღლების მომჟავო სუნმა საბოლოოდ გაუფრთხო ძილი. ბოლოს ძაღლები სააბაზანოში ჩაკეტა, დერეფნის ბოლოს, და ისევ დაწვა. ზოგჯერ მაინც თავს აბეზრებენ ეს ძაღლები. ნორმამ სადღაც ქუჩაში იპოვა ისინი და ერთ საღამოს სებასტიანს მოჰგვარა.

ქუჩიდან ხმაური მოისმა. სებასტიანი საწოლიდან წამოხტა. რა დაემართა? რამ შეაშინა? ჩვეულებრივი ხმაურია, მაგრამ რატომღაც ახლა ისე აღიზიანებს ეს, როგორც რაღაც მოსაბეზრებელი მოტივი, რომელსაც ვერაფრით ვერ მოიცილებ თავიდან. სებასტიანმა იქვე, საწოლთან მიგდებული წიგნი აიღო, პიო ბაროხის „ხე ცნობადისა“ და კითხვას შეუდგა; მერე შუქი ჩააქრო, უფრო მოხერხებულად დაწვა... ათი წუთის შემდეგ სებასტიანს უკვე ეძინა...

* * *

— გისმენთ... ჰო, მე ვარ.

— Are you all right Tiani?[1] — შენ არ იცი, რა მოხდა?

— არა, ჩემო ბებერო, შენ წამომახტუნე ლოგინიდან.

— სახელმწიფო გადატრიალება მოხდა. არავის არაფერი არ ესმის. The army has taken over[2]. ნამდვილად კარგად

[1] შენ კარგად ხარ, ტიანი? (ი ნ გ ლ.).

[2] ძალაუფლება არმიამ ჩაიგდო ხელში (ი ნ გ ლ.).

ხარ? ძალიან ვღელავ. შენ ხომ სწორედ კოლუმბიის გვერდითა ხარ. სიწყნარეა კოლუმბიაში?

— ღამით ძაღლებმა გამომაღვიძეს. მეგონა, რაიმე წლისთავს ან რაღაც ამგვარს დღესასწაულობენ-მეთქი. ორი ტანკი გამოუთრევიათ ქუჩაში. ჩემამდე ჯერ არავინ მოსულა, ყოველ შემთხვევაში, მე ვერავის ვხედავ.

— ღმერთს ვევედრები, შენთან არავინ მოვიდეს. შენ იმდენი უცნაური სურათი და ათასნაირი წიგნი გაქვს, შეიძლება იფიქრონ კიდეც, რომ ჯაშუში ხარ...

— კარგი ხუმრობაა...

— რაღა თქმა უნდა, კარგია. შენ არასოდეს ღირსეულად არ აფასებდი დედაშენს. არა, მართლა გეუბნები. მამაშენიც ღელავს... ამ რამდენიმე წუთის წინ ჯარისკაცებმა გაჩხრიკეს სახლი ჩვენს პირდაპირ, ხომ იცი, გადამდგარი პოლკოვნიკი რომ ცხოვრობს. ავტომატებით იყვნენ. შემეშინდა კიდეც ისეთი საზარელი შესახედაობა ჰქონდათ.

— პრიო სადღა წავიდა?

— არ ვიცი. რადიო არ მუშაობს. მეზობლები ამბობენ, მექსიკაში თუ მაიამში გაიქცაო. როგორც ჩანს, ძალაუფლება ბატისტას ხელშია. ყოველ შემთხვევაში, ეს ერთადერთი სახელია, რომელიც დამამახსოვრდა... რატომ არ შეიძლება მოხვიდე და ჩვენთან ერთად იყო, სანამ ყველაფერი მიწყნარდებოდეს?

— მადლობელი ვარ, ჩემო ბებერო, არ ღირს... მე თავს კარგად ვგრძნობ. არაფერი არ დამემართება.

— შენ ხომ იცი, როგორი ნერვიული ვარ. ძალიან მაგარი შემოტევაც მქონდა ასთმისა.

— გინდა, მოვალ და ნემსს გაგიკეთებ?

— არა, საჭირო არ არის. მეზობლის ქალიშვილმა უკვე შემიშხაპუნა ეფედრინი. ერთი-ორი საათით ეს დამამშვიდებს.

— პრიოს წინააღმდეგობა არ გაუწევია?

— არა, არა მგონია. განა რა ძალა შესწევდა?

— შენ როგორ გგონია, გაქცევას არ სჯობდა, თავი შეეკლა?

— მე არაფერი არ მესმის. არ მომწონს ეს სახელმწიფო გადატრიალება.

— ბატისტა კმაყოფილი უნდა იყოს — ხელმეორედ ჩაიგდო ძალაუფლება. ადრე ხომ ბატონობდა მთელი ათი თუ თხუთმეტი წლის განმავლობაში?

— ცოტა ფრთხილად იყავი...

— ხელთ იგდო მილიონები, გენერალიც იყო, პრეზიდენტიც, დიქტატორიც... რაღა აკლდა. დღეს სადილის შემდეგ ან, უკიდურეს შემთხვევაში, ხვალ დილით დეპეშა უნდა გავუგზავნო ჟურნალს.

— სიფრთხილე გმართებს სტატიებშიც და ტელეფონშიც, შეიძლება მოისმინონ ლაპარაკი. ამბობენ, როცა ასეთი რამ ხდება, ტელეფონით ყოველგვარ ლაპარაკს იჭერენო.

— ეს მხოლოდ ფარსია. რა ბატისტა, რა პრიო — რაც ერთია, ის მეორეა. მხოლოდ ის აინტერესებთ, უფრო მსუქანი ნაჭერი იგდონ ხელში.

— მე არაფერი მესმის პოლიტიკისა. შენ ხომ იცი, კუბელებისა არასოდეს არაფერი გამეგებოდა. მამას ჰკითხე, ის ყოველთვის კითხულობს გაზეთებს...

— ჰო. შენ ხომ მხოლოდ „ლედიზ ჰოუმ ჯორნელს“ კითხულობ. ნეტა როდის გაიგებ, ბოლოს და ბოლოს, რომ კუ-

ბაში ცხოვრობ და შენი ქმარიც და შვილიც კუბელები არიან? ჰა, დედი?

— რა გიშლის ხელს, რომ ჩვენთან მოხვიდე ვახშმად?

— დღეს არ შემიძლია. კარგად უნდა გავერკვე, რა მოხდა. ხვალ მოვალ.

— მე ვერ დავმშვიდდები, სანამ არ გათავდება ყოველივე ეს.

— ხვალ მოვალ, ნუ ღელავ. ნახვამდის, დედა.

— გახსოვდეს, რაც გითხარი. არაფერში არ გაება... გუდ ბაი, ტიანი.

ცივად გაიწკრიალა ტელეფონის მილმა. სებასტიანი უძრავად იჯდა. ასთმა დედის პროტესტი იყო კუბის წინააღმდეგ: როგორც კი გოლფსტრიმს გადალახავდა და შტატებში აღმოჩნდებოდა, მაშინვე მოეშვებოდა გულზე...

ბავშვობაში მას ამერიკელის შვილს ეძახდნენ. ერცხვინებოდა, როცა დედა უცხოთა თანდასწრებით ინგლისურად დაუწკეებდა ლაპარაკს.

* * *

მოულოდნელად შეიცვალა ყველაფერი. მოვლენათა პირისპირ სებასტიანის ცხოვრება უსარგებლო და უმნიშვნელო ჩანდა. სინამდვილე ყოველთვის შეიჭრებოდა ხოლმე მის ინტიმურ სამყაროში და ანგრევდა მას. არ უნდოდა, გამოსტეხოდა თავის თავს, რა ძლიერ აბრაზებდა ეს სახელმწიფო გადატრიალება.

სებასტიანმა მიმღები ჩართო. ისარი ირხეოდა, მაგრამ ხმა

არ ისმოდა. ბოლოს გაისმა: ტიკ-ტაკ, ტიკ-ტაკ... — ეს რადიო-საათი იყო. ამ ხმამ კიდევ უფრო შესამჩნევი გახადა სიჩუმე. შემდეგ ტელეფონმა დარეკა...

ნაცნობთა ხმაში კმაყოფილება ისმოდა — დაირღვა ერთ-ფეროვნება მარტის ცხელი დილისა. სახელმწიფო გადატრია-ლება ახლახან დამთავრებულ კარნავალზე მეტადაც კი აღელ-ვებდა მათ. სულის სიღრმემდე აღელვებულნი იყვნენ ამ ამ-ბით. ვაშინგტონი, რა თქმა უნდა, მაშინვე მხარს დაუჭერს გენერალს...

ტელეფონით საუბრებმა და ნაცნობებთან შეხვედრებმა სებასტიანს ხელი შეუწყო დაეზუსტებინა დეტალები. განთია-დისას, ორ საათსა და ორმოც წუთზე, როცა სებასტიანის ძაღლებმა ყეფა ატეხეს, კოლუმბიაში № 4 საგუშაგოდან შე-ვიდა ბატისტა. მას თეთრი სპორტული ხალათი ეცვა და ქა-მარზე ოცდათვრამეტკალიბრიანი დამბაჩა ეკიდა. იგი მანქა-ნაში იდგა და იქიდან გადმოსძახა:

— ჯარისკაცებო! თქვენ ჩემი შვილები ხართ!

ყველაფერი მის ხელში აღმოჩნდა. პოლიტიკური მოღვაწე-ნი კოლუმბიისაკენ მიისწრაფოდნენ, რათა წარსდგომოდნენ ახალ ბელადს. მუხალმა ფეხქვეშ გაუგო პროფკავშირები. შემ-დეგში ბატისტა ამბობდა: მხოლოდ ერთადერთი ტყვია მქონ-და, რათა დამარცხების შემთხვევაში თავი მომეკლაო. მატან-სასისა და ორიენტის გარნიზონები ერთი საათის განმავლობაში პრეზიდენტ პრიოს ერთგულნი დარჩნენ. სასახლეში სტუდენ-ტები მოვიდნენ: ისინი არავითარ შემთხვევაში არ დაემორ-ჩილებიან ბატისტას, დეე. მისცენ იარაღი. მაგრამ პრეზიდენ-ტის ძმამ განაცხადა:

— წავიდეთ აქედან.

და კარლოს პრიომ, რომელსაც ნაცრისფერი, უსახელო, ნაქსოვი ხალათი ეცვა, სასახლე დატოვა.

სებასტიანი შინ დაბრუნდა. გადაწყვიტა დეპეშა გაეგზავნა ჟურნალისათვის, რომ ბატისტას გადატრიალება ოცი წლით შეაფერხებს ქვეყნის განვითარებას.

მეზობელი სახლის ფანჯრიდან ქალი ყვიროდა:

— მოდი შინ, საძაგელო ბიჭო, ვახშამი მაგიდაზეა. ახლავე მოდი, თორემ კარგად მიგბერტყავ!

* * *

სებასტიანმა მოხარშული ფილტვი აჭამა ძაღლებს, მერე მანქანაში ჩაჯდა და, სანამ მშობლებთან წავიდოდა, გადაწყვიტა, ჯერ ტელეგრაფში შეევლო. ექვსასსიტყვიანი დეპეშა გამზადებული ჰქონდა და უნდოდა თავიდან მოეცილებინა. ქუჩაში ისევ ტანკები იდგნენ.

უცნაურად ეჩვენა ტელეტაიპების განყოფილება: შიშისმომგვრელი სიჩუმე იდგა და ვიღაც უცნობი, გამხდარი კაცი იჯდა, ჩამოკონწიალებული ჰალსტუხით.

„ცენზურა. სხვა გზა უნდა ვეძიო მასალის გასაგზავნად". ეჭვი რომ არ გამოეწვია, სებასტიანმა რაღაც უწყინარი ცნობები შეადგინა და მის რედაქტირებას შეუდგა.

ცენზორმა ტელეგრაფისტ ქალს გაუღიმა და თეატრალური ჟესტით დააწერა თავისი ინიციალი წაკითხულ ტელეგრამას.

— როგორაა საქმე, სოლერ? — შეეკითხა ერთ-ერთი თანამშრომელი და თავით ცენზორზე ანიშნა.

— ყველაფერი რიგზეა, — თავისი საყვარელი სიტყვებით გამოეპასუხა სებასტიანი.

— როგორ მოგწონს ყოველივე ის, რაც „ამ კაცმა“ გააკეთა? — თანამშრომელს დიდი სურვილი ჰქონდა, გამოერკვია სებასტიანის პოზიცია. — თქვენ, ჟურნალისტებიც კი, სახტად დაგტოვათ.

— ჰო, ბატისტამ მაგრად გაიწია. — სებასტიანმა გადაწყვიტა საფრთხეში არ ჩაეგდო თავი: ეშმაკსაც წაუღია ბატისტა!

სებასტიანი ვერსად ვერ გრძნობდა მშვიდად თავს. იგი კუბელი იყო, მაგრამ ხშირად იანკი ეგონათ. შავთვალა და შავთმიანი რომ დაბადებულიყო, აღარ იგრძნობდა თავს ასე ყალბად და ზედმეტად. კუბაში ყველაზე მთავარია — ჰგავდე კუბელს.

სებასტიანმა ხელი მოაწერა თავის ინფორმაციას.

ნაცრისფერი „შევროლეს“ კარი მიიჯახუნა, რამდენიმე კვარტალი გაიარა და ორსართულიან სახლთან გაჩერდა, რომელსაც ვიწრო აივანი და რკინისბადიანი ფანჯრები ჰქონდა. ყველაფერი ისევ ძველებურად იყო, სებასტიანი კი რაღაც ახალს ელოდა. მზის ალმაცერ სხივებს ჩრდილები დაეგრძელებინა.

ქარს ნაგვის მძაფრი სუნი მოჰქონდა.

კარი შავსათვალიანმა კაცმა გაუღო, რომელსაც მაისური ეცვა. სებასტიანი ცდილობდა სახეში არ შეეხედა მისთვის. სახლიდან ქალის სიმღერის ხმა ისმოდა. ამჯერად მფრინავი იმიტომ კი არ სჭირდებოდა, რომ მალე გაეგზავნა სტატია, არამედ იმიტომ, რომ თავი აერიდებინა ცენზურისათვის. მფრინავმა ყავა შესთავაზა.

ვაითუ ჯაშუში აღმოჩნდეს? სებასტიანმა გონებაში თვალი გადაავლო სტატიას. მეტისმეტად გამომწვევად ჟღერდა ციტატები გადამდგარი მთავრობის წევრების გამოსვლებიდან. ისევ

ქალის სიმღერას მიუგდო ყური. ახლა რომ წავიდეს, დააეჭ-ვებს. გადაწყვიტა, არ მორიდებოდა საფრთხეს. ყველას მოს-ყიდვა შეიძლება, ოღონდ ქრთამის ოდენობა უნდა განსაზღვ-რო. სტატიის ფურცლებს შუა მწვანე ქაღალდის ფული ჩადო და გამოემშვიდობა.

„ქრთამი ჟურნალმა აანაზღაუროს“, გაიფიქრა სებასტიანმა და სირბილით დაეშვა კიბეზე.

ვიწრო ქუჩები საღამო ხანს თითქმის უკაცრიელი იყო. სებასტიანი ხშირად დასეირნობდა ძველ ჰავანაში. აქ მრავლად იყო წიგნის მაღაზიები და პატარა ყავახანები მარმარილოს მაგიდებით, სადაც შეიძლებოდა რძიანი ყავის დალევა ერთი ნაჭერი კარაქიანი პურით. სებასტიანს უყვარდა რძიან ყავაში პურის ჩასველება. დღეს კი არაფერი არ უნდოდა. მკლავზე ხელსახოცვადაგდებული ოფიციანტი, რომელსაც მუხლებთან გამობერილი შავი შარვალი ეცვა, უხალისოდ ადევნებდა თვალს ბუზებს. სებასტიანმა გვერდით ჩაუარა დროთა ვითა-რებისაგან გამოფიტულ კედელს, რომელიც ოდესღაც იფარავ-და ქალაქს მეკობრეებისა და ყაჩაღების თავდასხმისაგან, და ქალაქის ცენტრში გავიდა. გალიანო მაღაზიის ვიტრინებში მდგარი მანეკენების საუფლოდ ქცეულიყო. სებასტიანი ში-შობდა, ვაითუ დამაკავოს ვინმემო, და მხოლოდ მაშინ დამშ-ვიდდა, როცა გაიარა მიხვეულ-მოხვეული სანაპირო, რომელიც ირგვლივ ერტყმოდა ქალაქს, გადაიარა პატარა რკინის ხიდი მდინარე ალმანდარისზე და გარეუბნისაკენ გასწია.

საშინელებაა — საშუალება არ მისცე კაცს გააგზავნოს სტატია ჟურნალში. განა ღირს სიცოცხლე, როცა ასე აირ-დაირია ყველაფერი! წამება რომ დაუწყონ, ვერ აიტანს, ნამდ-ვილად ვერ აიტანს.

სებასტიანს მშობლები ბაღში დაუხვდნენ. მამა ფეხშიშველი დადიოდა ბაღის გაზონებში, დედა კი ყვავილებს რწყავდა. სებასტიანმა აკოცა დედას.

— სრული კონტაქტი ბუნებასთან! — წამოიძახა მამამ და ფეხები ბალახზე გაიწმინდა.

არტურო მომხრე იყო მკურნალობის ფიზიკური მეთოდებისა; შეიძლება იმიტომ, რომ დღის უმეტეს ნაწილს ბანკის კანტორის პატარა, უჰაერო ოთახში ატარებდა.

— დღეს შენზე ვფიქრობდი. მოახერხე დეპეშის გაგზავნა?

— ვერ მოვახერხე. ერთ მფრინავს გავატანე ინფორმაცია; დღეგამოშვებით დაფრინავს მაიამში.

ქრისტინა ეზოში გავიდა სარწყავის დასადგმელად.

არტურომ თვალი გააყოლა: „ბებერი დედალივით დაბაჯბაჯებს“. მერე სებასტიანს მოჰკიდა ხელი:

— ფრთხილად იყავი, ჩემო ბიჭო, ამ რამდენიმე დღეს მაინც. ხომ იცი დედაშენის ამბავი. ნუ მეტყვი, რომ ამგვარია შენი სამუშაო. ეს მე ვიცი. მაგრამ დედაშენი რომ შფოთვას დაიწყებს, აღარ ვიცი, რა ვქნა. ჩამაცივდება, დაურეკე და გაიგე, რას აკეთებსო. ისედაც აუარებელი საქმე მაქვს ხემი სამსახურის გადამკიდეს და დედაშენის იერიშების ატანა აღარ შემიძლია. სახლში რომ ვბრუნდები, დასვენება მინდა. ფრთხილად, მოდის... საშიში არაფერია. მალე მიწყნარდება ყველაფერი. ეს უსისხლო რევოლუციაა. ზოგჯერ არჩევნების დროს უფრო მეტი ხალხი იღუპება... ამაში ვერ დავემდურებით ბატისტას. ეკონომიკა არ დაზარალებულა და, მგონი, უფრო ამაღლდეს კიდეც... დედაშენს შაბათს ქალაქში წასვლა შევთავაზე, ვივახშმოთ და შემდეგ კინოში შევიდეთ-მეთქი. ჩვენთვის ახლა გართობაა საჭირო. გინდა, წამოდი ჩვენთან ერთად?

კარგი სურათი უნდა იყოს; მუსიკალური კომედიაა ბობ ჰოუპის მონაწილეობით.

— კეთილი, მაგრამ ერთ მეგობარს უნდა შევხვდე... იქნებ მომავალ კვირას წავსულიყავით?

— შენ არასოდეს აღარ გაქვს ჩვენთან ყოფნის დრო, — უკმაყოფილოდ შენიშნა ქრისტინამ.

ვახშმის შემდეგ ყველანი ვერანდაზე დასხდნენ და საუბარიც შეწყდა. სებასტიანი თითქმის სულ ქუჩაში იყურებოდა.

მეზობლები, გვერდით რომ ჩაივლიდნენ, ესალმებოდნენ ვერანდაზე მყოფ სამ მდუმარე ადამიანს. თითქოს რაღაცას შეერყია სიმშვიდე მისი მშობლებისა.

— სახლი უნდა შევღებოთ. დღეს დილით, მაღაზიიდან რომ ვბრუნდებოდი, შევამჩნიე, უკვე დროა ამისა. გეყურება ჩემი ლაპარაკი, არტურო?

— ჰო, მეყურება. სახლი უნდა შევღებოთო, თქვი. ვფიქრობ ამაზე. — არტურომ „დიარიო-დე-ლა მარინა“ გადაფურცლა.

სებასტიანს მოთმინება ელეოდა. რატომ არის, რომ როგორც კი მშობლებთან მოვა, მაშინვე მოწყენილობა ეუფლება? ბავშვობაში მეგობრებთან გარბოდა და სულ იმედი ჰქონდა, რაღაც დიდსა და მნიშვნელოვანს იპოვიდა ცხოვრებაში. მშობლების სახლი თითქოს უდაბნო იყო მისთვის. ქუჩა თავისი ცხოვრებით ცხოვრობდა, სადღაც შორს, შორს, ხუთი ათასი კილომეტრით დაცილებული სახლიდან...

ქრისტინამ ჰკითხა, ხომ არ გინდა, კარტი ვითამაშოთო. სებასტიანი დათანხმდა, რათა ესიამოვნებინა დედისთვის, და მათ ჰოლში გადაინაცვლეს.

— მამაშენს არ უყვარს საღამოობით კარტის თამაში. გა-

ზეთის კითხვა ურჩევნია. მაგრამ ხუთი წუთიც არ გაივლის, რომ უკვე უსირცხვილოდ ხვრინავს. კინოშიაც ასე ემართება. დაიცადე, კარტს მოვიტან.

სებასტიანმა კარტის სათამაშო მაგიდა გაშალა — ყველაფერი ისევ ისეა, როგორც მისი ბავშვობის დროს იყო. მხოლოდ ახლა მაგიდას მწვანე მაუდი აქვს გადაკრული. სებასტიანმა ნელა გადაუსვა ხელი ხაოიან ზედაპირს.

— ტიანი, ვერ წარმოიდგენ, როგორ ვდარდობ შენზე. ბოლოს და ბოლოს, როდის გინდა ისწავლო ჭკუა, — ეუბნებოდა დედა და თან კარტს ურევდა.

— იარაღის კონტრაბანდას მე არ ვეწევი და არც სხვა რამ ამისთანას. ვერ გამიგია, რატომ მეუბნები ამას, დედა?

— შენ არ გევხარ შენს ბიძაშვილებს. არსად არ მსახურობ, ისე როგორც მსახურობს ყველა. სულ მეკითხებიან, სად მსახურობსო, და როცა ვეუბნები, ნიუ-იორკის ერთ ჟურნალში-მეთქი, ისე შემომხედავენ ხოლმე, როგორც მატყუარას.

— შენც აჩვენე ჟურნალი, სადაც დაბეჭდილია ჩემი გვარი. გარდა ამისა, მე ნამდვილად მეტს ვღებულობ, ვიდრე რომელიმე ჩემი ბიძაშვილი.

— ამაში არ არის საქმე. მე მინდა, რომ ერთხელ და სამუდამოდ შენც იმათსავით ჩავარდე ჭკუაში, გქონდეს ნამდვილი სახლი, ოჯახი.

— ადვილი შესაძლებელია სულ მალე ესეც მოხდეს.

რამდენსამე ხანს ისინი უსიტყვოდ თამაშობდნენ. სებასტიანმა გაიფიქრა, რომ შეიძლება ცოლად შეირთოს ნორმა. ოჯახს მოეკიდება, რაკი ასე სურს დედას. ოღონდ მისი ცოლი ერთ-ერთი „განკიცხულთაგანი“ იქნება და ეს გამოიწვევს შფოთს...

ქრისტინა სამ პაპასა და ოთხ რვიანს ჩამოვიდა. სებასტიანი ითვლიდა. კარტის თამაში არ უხდებოდა ამ მყუდრო, მოწყენილ ატმოსფეროს. თითქოს აქ არ იყო მისი ადგილი. აქ ყველაფერი სუფთა იყო, მოწყენილი და ამავე დროს უსიცოცხლო. სებასტიანმა თავი მოუყარა კარტს.

— რატომ არ გინდა, მასწავლებლობას მოჰკიდო ხელი? შენ ყველა მასწავლებელზე უკეთ შეგიძლია ასწავლო ინგლისური.

— რატომ უნდა ვასწავლო? არავის არ სჭირდება შენი ინგლისური. ორი ენა მხოლოდ გონებას უბნევს ადამიანს, როგორც მე, მაგალითად... ისედაც ასე მირჩევნია. დილაობითაც როცა მომესურვება მაშინ ვდგები.

— ხომ არ შეიძლება ჟურნალისტად დარჩე მთელი სიცოცხლის მანძილზე. სახიფათოა. გარდა ამისა, არასაიმედოცაა. შენ შეგეძლო გაგეხსნა ინგლისური ენის კერძო სკოლა. ჟურნალში მუშაობა მაინც სახიფათოა! — ეუბნებოდა დედა და თან მარჯვედ ურევდა კარტს.

— ერთი რამ მითხარი, დედა. შენ კმაყოფილი ხარ ყოველივე ამით? — მან თვალი მოავლო ოთახს. — შენ გინდა, რომ ყველას ასთმა ჰქონდეს? გარდა ამისა, ყველას უფლება აქვს შეცდეს თავისებურად.

— შენ გგონია, მე არ ვიცი, რომ ფერადკანიანთან ცხოვრობ?

— ფერადკანიანი კი არა, დედა, მულატია. მეტისმეტად მომხიბვლელი გოგონაა. გინდა, მოვიყვან თქვენთან?..

ორი წლის წინათ ნორმა მოსამსახურედ იყო მათთან. როცა სებასტიანი მშობლებთან მოდიოდა სადილზე, თვალს ვეღარ აცილებდა ნორმას, როგორც კი ოთახში გამოჩნდებოდა.

ნორმა ერთადერთი ცოცხალი არსება იყო მისი მშობლების გამოყრუებულ სახლში.

— არც იფიქრო იმასთან ერთად აქ გამოჩენა! შენ არ უნდა გქონდეს ურთიერთობა იმ ადამიანებთან, რომლებიც შენს წრეს არ ეკუთვნიან. ადრე თუ გვიან მაინც შეიგნებ ამას. იმედი მაქვს, ეს უფრო ადრე მოხდება, ვიდრე მე მოვკვდებოდე. ჩემ სიცოცხლეში მინდა გიხილო დაოჯახებული.

ალბათ დაინახეს ვიღაც მულატთან, მაგრამ დედამ არ იცოდა, რომ ეს მულატი ნორმა იყო.

— ჰო, დედა, შენ მართალი ხარ, მაგრამ საქმე ის არის, რომ ახლა ძნელია ჩემი ცხოვრების შეცვლა. აზრიც არ აქვს.

— მე მხოლოდ ერთს ვეხვეწები ღმერთს: მანამდე ისწავლო ჭკუა, სანამ მე მოვკვდებოდე.

— რა სისულელეა. რა ისეთი ბებერი შენა ხარ.

თერთმეტის ნახევრისათვის სებასტიანი გამოემშვიდობა შშობლებს. დილით ნორმამ დაურეკა და გააფრთხილა, მოვალო. მოულოდნელად შემოენთო სურვილი მისი ნახვისა, მასთან საუბრისა, მოუნდა ალერსი მისი სხეულისა, იაფფასიანი სუნამოს სუნი რომ ასდიოდა.

სებასტიანმა მესამე სიჩქარე ჩართო. მიმღებიდან მამბოს მელოდია იღვრებოდა. მუსიკა ავსებდა მთელ სივრცეს. თითქოს მისი მკერდიდან მოდიოდა ეს ყრუ, განუწყვეტელი ბრახა-ბრუხი. ვიღაც ბოხი ხმით მღეროდა შავ ცხენზე, რომელსაც თეთრი, ქათქათა კუდი ჰქონდა.

კუთხეში შეუხვია და ჯარისკაცს წაადგა თავზე. სებასტიანმა რადიო გამორთო და მანქანა შეაჩერა. ჯარისკაცები მანქანასთან მივიდნენ.

— საით აპირებთ წასვლას, ქუჩა გადაკეტილია, აქეთ არ შეიძლება.

— სახლში მივდივარ. აგერ იქ ვცხოვრობ. — მან ჯიბეებში დაუწყო ძებნა რაიმე საბუთს.

ჯარისკაცმა ერთი ნაბიჯით უკან დაიხია და ავტომატი მოიმარჯვა. სებასტიანს ორივე ხელი საჭეზე ედო და ელოდა.

ჯარისკაცებმა რამდენიმე შეკითხვა მისცეს და გაატარეს, ოღონდ სახლის წინ მანქანის დაყენების უფლება არ მისცეს.

მე გამჭვირვალე არა ვარ

— იოლად მოაღწიე? — ჰკითხა სებასტიანმა და კარები მიიჯახუნა.

— ჯარისკაცებზე მეკითხები? — ჰო, იოლად მოვაღწიე.

— რა გითხრეს?

— რა უნდა ეთქვათ? მოვატყუე, აქა ვცხოვრობ-მეთქი. თავი ისე მომაჩვენეს, თითქოს ერთი სიტყვაც არა სჯეროდათ ჩემი ნათქვამიდან, მაგრამ მაინც გამომიშვეს. მე რა. მესაქმება ყოველივე ამასთან. ჩემი ცხოვრება — ჩემი ნებაა.

— არ გეგონოს, რომ ადამიანები ყოველთვის ხვდებიან, როცა სტყუი. შენ ახალგაზრდა ხარ და ლამაზი. მამაკაცები ყველა ქალს მატყუარად თვლიან. მაგრამ მე კი მჯერა შენი.

— ეშმაკი ხარ! მე მომწონს ჯარისკაცები, მაგრამ ყველა არა. როცა პირველად ვნახე ბატისტა, მივხვდი, რომ შორს წავიდოდა. შესახედაობა ძალიან მკაცრი აქვს. შენ იცი, მისი მშობლები ჩემ მშობლებზე უფრო ღარიბები იყვნენ, სულ ღატაკები.

— ტყუილად რად ისულელებ თავს. მულატი ყოველთვის გადაუდგება თავისიანებს, თუკი პოლიტიკურ კარიერას მიაღწია. ბატისტა იმიტომ გაძვრა ზევით, რომ მდიდრები უჭერდნენ მხარს. იგი ყველაფერს იკისრებს, ოღონდ ხელისუფლება იგდოს ხელში. ამის გულისთვის ნებას მომცემს შენც კი ჩაგახრამუნო ბრინჯსა და მუხუდოსთან ერთად.

— ნუ ლაპარაკობ ასე. შენ რა, ხომ არ შეიშალე? მამაჩემი ფოსტალიონი იყო, ბატისტა რომ უკვე პრეზიდენტი გახდა. აი ასე იყო ეს ამბავი.

— ჩემო კარგო, ბატისტამ ერთხელ აბან იახტ-კლაბის წევრობაც კი მოინდომა, მაგრამ ვერ მიართვეს, ცხვირწინ მოუკეტეს კარი. ასეთი რამ არასოდეს ავიწყდება კაცს. არისტოკრატები არაფრით არ მიიღებენ თავის წრეში რკინიგზის ვაგონების ყოფილ გადამბმელს. ახლა ის არც მუშაა, არც ბურჟუა. პარაზიტია და მეტი არაფერი.

— შენ გვონია დაიჯერეს, რომ აქ ვცხოვრობ?

— რა თქმა უნდა... სჯობდა გეთქვა, ბაბილონელი როსკიპი ვარ და ტუტანჰამონის აკლდამა უნდა მოვინახულო-თქო.

ნორმამ გაიღიმა, რათა დაბნეულობა დაეფარა. მან იცოდა, რომ ტუტანჰამონი რომის მარკა იყო, მაგრამ...

— შენ არა გჯერა, რომ მე მუმია ვარ? უნდა გეთქვა, მუმიის გასახსნელად მივდივარ-თქო. ეს სიცრუე არ იქნებოდა. მე ზოგჯერ მართლა მიცვალებულს. ვემსგავსები და ადამიანებთან ურთიერთობა მიმძიმს.

— ცრუპენტელა, ნუ ლაპარაკობ სისულელეებს!

სებასტიანმა წამოარტყა. ნორმა აბუზღუნდა. ნორმასთან შეეძლო ბავშვურად ეთამაშა, მოეთხრო ყოველგვარი სისულელე, არნახული ამბავი, რის უფლებასაც სხვასთან ვერ მის-

ცემდა თავის თავს. ნორმას არასოდეს არაფერი არ სწყინდა. ზოგჯერ სებასტიანი მისი თანდასწრებით მთელი ხმით მღეროდა.

— იცი რა, დავიღალე, ძალიან არა, მაგრამ დავიღალე. არაფრის გაკეთება არ მინდა. დილიდანვე ასე ვარ.

— მაშასადამე, არ დარჩები ჩემთან?

— ოჰ, ეს სულ სხვა რამეა... იცი რა, ერთი ამხანაგი მყავს. იმას მოსწონს ასეთი ქერები, როგორიც შენა ხარ, ცისფერთვალება და სხვა ამგვარი...მე კი არ მომწონს. მე ფერადკანიანები მომწონს, ისეთი, როგორიც მე ვარ. შენ მომწონხარ, მაგრამ არ იფიქრო, რომ ყველა ფერადკანიან გოგოს თეთრები უყვარს.

— რატომ ამბობ ყოველთვის ასე, „ფერადკანიანებიო?“ განა მე გამჭვირვალე ვარ? მეც ხომ მაქვს ფერი. ვარდისფერი, მოცისფრო თუ რაღაც ამგვარი. თეთრიც ხომ ფერია. მე სულაც არ ვარ გამჭვირვალე...

— ერთი შენც! ხომ იცი, რომ ყველა ასე ამბობს, „ფერადკანიანიო“. მორჩი! განათლებულებიც ასე ამბობენ.

— მაგრამ შენ ხომ მულატი ხარ, არც თეთრი ხარ და არც შავი. კანიც ისეთი ქორფა გაქვს. მე ზიზღსა მგვრის რძესავით თეთრი კანი ზოგიერთი ქალისა. გარდა ამისა, როგორც არ უნდა თქვა, კუბელების უმეტესი ნაწილი მულატები არიან.

— მაგრამ შენ არა ხარ მულატი.

* * *

ყავის წვეთი ჩამოუცურდა ნიკაპზე ნორმას. სებასტიანმა ხელსაწმენდით მოაცილა. სანამ ნორმა იცვამდა, სებასტიანმა

საუზმე გაამზადა. ნორმას ოდნავ შესიებოდა თვალები ძილისაგან.

— რატომ არ გინდა, ჩემი ცოლი გახდე?

— შენ არავინ გაძალებს ჩემს ცოლად შერთვას. რაში გჭირდება ეს?

— იმაში რომ ოჯახს მოვეკიდო და დავჭკვიანდე.

რძიანი ყავა მწარე ეჩვენა სებასტიანს და ერთი კოვზი შაქარი დაუმატა.

— გეყოფა, თავგზას ნუ მიბნევ, პატარა ხომ აღარა ვარ.

— სერიოზულად გეუბნები. გუშინ საღამოს წავეჩხუბე დედას. ძალიან უნდა, რომ ცოლი შევირთო და ბევრი ბავშვები მყავდეს. მე შენზე ველაპარაკე, მაგრამ სახელი არ მითქვამს. დავითანხმე შენს გაცნობაზე. რა სეირი იქნება, როცა გნახავს! კარგი წყვილი ვიქნებოდით, რას იტყვი?

ნორმამ გამომწვევად გამოუყო ენა. იგი ვერ ხვდებოდა, როდის ხუმრობდა სებასტიანი და როდის ლაპარაკობდა მართალს.

— ნუ იქნები ასეთი შეუბრალებელი, ნუ დამცინი. მე არ მინდა შენი ცოლობა. არც არავის ცოლობა მინდა. მე ხომ კახპა ვარ.

— მე მინდა, კახპა შევირთო ცოლად. ჩემთვის სულ ერთია, როგორი ხარ. მე შენ მიყვარხარ.

სებასტიანს იმედი ჰქონდა, რომ ნორმას დაარწმუნებდა იმაში, რაც ჯერ თვითონაც არ სჯეროდა.

— კარგი, ახლა ჩემი წასვლის დროა. სანამ ჯერ კიდევ თავისუფალი ვარ.

— მე თუ გამომყვები ცოლად, გალიაში არ ჩაგკეტავ. შემპირდი, რომ იფიქრებ ამაზე.

— ვიფიქრებ, — უთხრა ნორმამ და ლოყაზე აკოცა.

ნორმა ავტობუსის გაჩერებისაკენ მიდიოდა და სებასტიანის სიტყვებზე ფიქრობდა. არა. იგი არასოდეს არ შეირთავს ცოლად იმ ქალს, რომელიც სადილს უკეთებდა და ემსახურებოდა მის ოჯახს. და ნორმამ გადაივიწყა სებასტიანის წინადადება, რადგან მნიშვნელობა არ მიუცია მისთვის.

ნორმა პოგოლოტში ჩამოვიდა და ფეხით განაგრძო გზა. სახლები სულ უფრო და უფრო იშვიათად ხვდებოდა. სახლებს იქით მოჩანდა პალმები და შაქრის ლერწმის პლანტაციები.

ნორმამ ქუჩა გადაჭრა და შორს შაქრის ქარხანა „ტოლედოს“ ცადაწვდილი მილი დაინახა. მზით გავარვარებული ჰაერი თითქოს დუღდა. პატარა ეზოში სარეცხის ვარცლზე დახრილიყო დედა. ბეჭები თანაბრად ერხეოდა, ხელები კი სარეცხ ფიცარზე დასცურავდნენ: ზევით — ქვევით, ზევით —ქვევით. მზის სინათლე თვალსა სჭრიდა. ნორმამ თვალები დახუჭა და ოთახში შევიდა. ამ ოთახში ცხოვრობდა მთელი ოჯახი. მხოლოდ ნორმას საწოლი იყო მილაგებული — ეს ორი ღამეა შინ არ გაუთევია. სამნი ერთ ოთახში — ეს მეტისმეტია. რამდენიმე წუთის შემდეგ ოთახში დედა შემოვიდა და საჭმლის მზადებას შეუდგა...

— რატომ გაჰყევი მამაჩემს ცოლად? იმიტომ რომ არჩინო? მე არასოდეს არ გავყევები ცოლად თეთრკანიანს.

— ჩემო გოგო, მარტოხელობას ისა სჯობია, ქმარი არჩინო. შენ ხომ იცი, როგორ მძულს ის ლოთი.

— თეთრია და იმიტომ გაწევს კისერზე. ზანგი რომ ყოფილიყო, ორივენი იმუშავებდით.

— ყველანი ერთნაირები არიან. აგერ ხოსეფინას ხომ ხე-

დავ... სამაგიეროდ როგორი ნაშიერი გვყავს. შენ ხომ ისეთი გამოხვედი, როგორსაც კაცის გული ინატრებს. აბა, შეხედე შენს თმებს, რა გაკლია?

— ჰოდა, მარჩენენ კიდეც მამაკაცები. შენი შვილი ლამაზია და არც დასჭირდება სხვისი თეთრეულის რეცხვა თავის სარჩენად.

— ნორმა, ორ პესოს ვერ მომცემ? საღამოს რეგლუში წავალთ ცეკვებზე.

ნორმამ ჩანთიდან ორი პესო ამოიღო და სამჯერ გადათვალა.

— შენ ხომ იცი, როგორი შრომა მჭირდება ამისათვის?

— ვიცი. აი ასეთი, — დედამ რიტმულად შეარხია თეძოები. — მთავარია, სული არ ამოგხდეს.

ორივემ გადიხარხარა.

შაქრის ქარხანა „ტოლედოდან" შუადღის საყვირის ხმა მოისმა. მამა მოვიდა.

სადილის დროს კარიდადზე ლაპარაკობდნენ. ეს ქალი ტიხარს იქით ცხოვრობდა. კარიდადმა თავი დაიწვა, რადგან საყვარელმა მიატოვა. სიკვდილს გადაარჩინეს, მაგრამ ნორმა ამბობდა, ასეთი დამახინჯებული სახით სიცოცხლეს სიკვდილი ერჩივნაო...

— ახლა, მგონი, იშოვი სამუშაოს. — ნორმამ ქონიანი ხელები შეიწმინდა — ის იყო გაათავა თეფშების რეცხვა.

— ბატისტა... მხოლოდ ჯარისკაცებს თუ დაეხმარება, — უპასუხა მამამ.

— ყოველ შემთხვევაში, ბატისტა ნამდვილი მამაკაცია, ვერავინ გაუბედავს მბრძანებლობას, — წამოიყვირა დედამ.

— ნუ გეშინია, ამერიკელები გაუბედავენ. ერთადერთი, რაც ჩვენ გვიშველის, ის არის, რომ აღსდგეს ჩიბასი[1].

— გირჩევნია ხმა ჩაიკმინდო. მხოლოდ დიდი მოგება თუ გიშველის. ჩახვედი პესეტს, მე რომ მოგეცი?

— ჩავედი, დედაკაცო, ჩავედი... ყური დამიგდე, აგიხსნი ცოტა რამეს, ადრე იქნება თუ გვიან, ყველაფერი უნდა შეიცვალოს კუბაში.

— იმ ოხერ პროფკავშირში რომ არ შემძვრალიყავი, აქამდე იქნებოდი და იმუშავებდი აგურის ქარხანაში.

— იცი კი რისთვის გამომაგდეს? იმიტომ რომ მართალი ვიყავი და ამხანაგებმა მხარი დამიჭირეს. ისინი ჩემს მხარეზე იყვნენ და მე არ შემეძლო მათი ღალატი.

— ახლა ისინი გაჭმევენ პურს თუ? პროფკავშირების უფროსებს ბევრს საკუთარი სახლი და ავტომობილი აქვს. ყველაფერი იმის ბრალია, რომ დოყლაპია ხარ და მეტი არაფერი. ყოველგვარი სისულელე გჯერა, რასაც კრებაზე ჩაგძახებენ. გზა-კვალს გიბნევენ და მეტი არაფერი. ხელი რომ მოგეკიდა იმისათვის, რასაც გაძლევდნენ, ახლა ამ სოროში აღარ ვიქნებოდით. აბა, შეხედე, როგორ ოთახში ვართ. ალბათ, ძალიან მოგწონს. შენ, ალბათ, ისიც მოგწონს, რომ გყავს ისეთი ცოლი, რომელიც გარჩენს.

— გეყოფათ, — წამოიყვირა ნორმამ. — სულ ასე უსარგებლოდ ნუ ყბედობთ.

---

[1] ჩიბასი ედუარდო (გარდაიცვალა 1951 წ.) დამაარსებელი „კუბელი ხალხის პარტიისა". (ამ პარტიის წევრები „ორთოდოქსებს" უწოდებდნენ თავის თავს). მან გააერთიანა კუბის დემოკრატიული ძალები. იგი დიდი პოპულარობით სარგებლობდა ხალხში.

— შენ არ გინდა გაიგო სიმართლე, — შეეპასუხა ანდრეესი. — მონობას დიდი ხანია მოელო ბოლო.

— ჩვენ მაინც ვშოვობთ და ჩვენს სარჩოს ვშოულობთ,— წაიბუზღუნა ნორმამ.

— თავხედო! ვიცი, როგორც შოულობ. ჩემთან მაინც ნურაფერს იტყვი... ყური დამიგდე, შვილო, მე ბევრი ვიმუშავე და ვიმუშავე პატიოსნად. ოსტატად ვიყავი აგურის ქარხანაში, მანამდე კი ფოსტალიონად ვმუშაობდი. შენ მაშინ პატარა იყავი და სულ იმას ლამობდი, ქუდი მოგეხადა ჩემთვის. მთელი დღე დავალაჯებდი ამ დაწყევლილი მზის ქვეშ. მაგრამ სამუშაო არ მიმიტოვებია, სანამ სხვა სამუშაო არ ვიშოვე აგურის ქარხანაში. ახლა თუ უმუშევარი ვარ, მხოლოდ იმიტომ, რომ გავიგე, სად არის სიმართლე და არ შემიძლია უსამართლობის ატანა.

— ჯანდაბას შენი თავი. გარჩენ, მხოლოდ ხელს ნუ მიშლი. ისე უნდა ვიცხოვრო, როგორც მე მინდა, — წარმოთქვა დედამ და ახლოს მივიდა ანდრესთან. — სტუდენიორი ხარ, მეტი არაფერი. მაგრამ რას იზამ, მამაკაცი ხომ უნდა მყავდეს სახლში. მე რომ არა, შენ მაინც მოგიწევდა მუშაობა. სამართლიანობა! ეს რაღა სისულელეა! მე მხოლოდ ერთი რამ ვიცი: მე საწყალი ზანგი ვარ და არაფერი მესაქმება სამართლიანობასთან. შენ კი... მგონი, ჭკუა გაქვს ნაღრძობი.

— გეყოფათ, ჩაერია ნორმა.

— ეშმაკსაც წაუღიხართ ორივე. წავალ, შხაპს მივიღებ, სიცხემ შემაწუხა.

— წადი, წადი, იქნებ დამბლაც დაგეცეს. ორი საათიც არ გასულა, რაც ვისადილეთ. მხოლოდ ნუ დაიკარგები. შენ თვითონ არა თქვი რეგლუში წავიდეთ ცეკვებზეო.

ანდრესი ოთახიდან გავიდა. მისი ხის ქოშები ეზოს ცემენტზე აბაკუნდა.

* * *

სარკმელში ცა არ მოჩანდა, მხოლოდ გორაკის თხემი იხედებოდა და რუხი კედლები კასტილიო-დელ-პრინსიპისა. ნორმა ბარში მაგიდასთან იჯდა და უყურებდა ჯარისკაცებს, რომლებიც გორაკიდან ჩამოდიოდნენ. მანუელი არ იყო მათ შორის. ექვსზე მოვალო, თქვა. ნორმას ფეხი ფეხზე გადაედო და ფეხსაცმლის წვერს ათამაშებდა.

შვიდის ათ წუთზე მანუელიც გამოცხადდა. მანუელი იკრიჭებოდა, ცდილობდა, როგორმე შეეკავებინა სიხარული, რომლითაც აღსავსე იყო მისი გული.

— მოითხოვე, რაც გინდა. კონიაკი... ერთი გირვანქა შაშხი... ყველაფერი, რაც შენს გულს უნდოდეს. — მანუელმა წელზე მოხვია ხელი.

— რა ბუზმა გიკბინა დღეს? ალბათ, ფული არა გაქვს. მაშ, იცოდე, არაფრის გადამხდელი არა ვარ. არაფერი გამოგივა.

— ნუ გეშინია, ჩემო გოგონი, მე ისეთი სასიხარულო ამბავი უნდა გითხრა. ვერაფერს მამჩნევ? აბა, კარგად შემომხედე.

— რა მოხდა?

— ეს-ეს არის დამაკერეს, — მან სახელოზე დაკერებული სერჟანტის ნიშნები უჩვენა. — მომანიჭეს. ახლა ჩემი საქმე კარგად წავა. დღეისათვის მანქანაც კი მომცეს. ახლავე გაჩვენებ. ოღონდ ჯერ კონიაკი დალიე და ერთი კარგად დამენახვე.

ოჰ, რა მადიანი გოგო ხარ! — და ლოყაზე უჩქმიტა. — აი, ნახავ, როგორ ვიცხოვრებთ მე და შენ. ნომერში გავიდეთ, კონდიცირებულ ჰაერზე. გახსოვს, როგორ გადაგასხი ერთი ბოთლი ცივი ლუდი? ოჰ, რამდენი იცინე მაშინ!

— იცი, რა გითხრა, მანუელ, ბევრს ნუ ლაპარაკობ. მეორედ ვეღარ მომატყუებ. ტყუილად ნუ ეცდები.

— დედას გეფიცები, — მანუელმა გადაჯვარედინებულ თითებზე იკოცნა. — შენ ყველაფერი ხარ ჩემთვის. შენი გულისთვის ყველაფერს გავაკეთებ: მოვიპარავ, მოვკლავ კიდეც.

— შენ ცოლს მოკლავდი?

— შენ თუ მოინდომებდი, მოვკლავდი.

ნორმა გამხიარულდა, კონიაკი გადაჰკრა და იგრძნო, რომ უკვე სჯეროდა მისი სიტყვები. სიყვარული და ნგრევის სურვილი ერთად აბობოქრდა მის სულში. მანუელი უცებ წამოხტა და მხედრული სალმით გამოეჭიმა ვიღაცას.

— გთხოვთ, კაპიტანო, მობრძანდეთ ჩვენთან. რას დალევთ?

— ერთ ბოთლ ლუდს. ვინ არის ეს სიმპატიური სენიორიტა?

— ნორმა ესკობარი. — მანუელმა ლუდი შეუკვეთა. — ეს არის ვეუბნებოდი, ახლა სასახლეში ნამდვილი მამაკაცი ზის და ყველაფერი სხვაგვარად წარიმართება-მეთქი.

— ის რომ არა, ისევ ჯარისკაცი იქნებოდი, — დამცინავად უთხრა კაპიტანმა და ნორმას გადახედა.

— აბა, წამოდექი, ნორმა. დეე, შეგხედოს კაპიტანმა, როგორც წესი და რიგია, — თქვა მანუელმა და ყური არ აბოხოვა კაპიტნის სიტყვებს. — რას იტყვი, კაპიტანო, ხომ მართლაც ლამაზია?

წუთით შეყოყმანდა ნორმა, მერე მაინც წამოდგა ფეხზე.

— წავიდეთ, უკვე გვიან არის.

მანუელი ძლივს შეეტია კაბინაში. დაჩვეული არ იყო ჯდომას — ან იდგა, ან იწვა. მსუქანი სხეული და განიერი ცხვირის ნესტოები მის ძალასა და სიფიცხეს ამჟღავნებდნენ. ნორმამ შეხედა მის ხორციან, მაგრამ ლამაზად მოხაზულ ტუჩებსა და განიერ, ბოროტ სახეს. მანუელს თავი მოჰქონდა თავისი სიმსუქნით. როცა საგუაში ცხოვრობდა, შაქრის ლერწამზე უფრო წვრილი იყო.

სანამ მოტორს აამუშავებდნენ, პაპიროსს მოუკიდა და პირდაპირ სახეში შეაბოლა ნორმას. ნორმამ უჩქმიტა.

— აბა, ერთი კარგად მოვილხინოთ, — მანუელმა გადაიხარხარა. — ნურაფრის ფიქრი ნუ გაქვს. დედოფალივით იცხოვრებ, ბინაც გექნება, მოსამსახურეც გეყოლება და ყველაფერიც გექნება, რასაც მოინდომებ. აბა, შეხედე, რა მოგიტანე? — და მწვანე ქვებით მორთული პატარა საათი დაუგდო მუხლებზე.

მანუელმა ხუთი პესო გადაუხადა მესაათეს, დანარჩენს კი თვის ბოლოს დაპირდა. ნორმასთვის ახლა სულ ერთი იყო, ატყუებდა თუ არა მანუელი. მის გვერდით ყველაფერი ავიწყდებოდა.

დუქანი ნავსადგურში. ღამის თერთმეტი საათია. მოპირდაპირე მხარეს რეგლასი და კასაბლანკას ლამპიონები ციმციმებენ. მანუელი და ნორმა მამბოს გამაყრუებელ ხმაზე ცეკვავენ. მაძღრისად ივახშმეს, ბლომად გადაჰკრეს, კარგად მოილხინეს და ახლა მხოლოდ საკუთარ სიმძიმეს გრძნობენ. მათ ირგვლივ მხოლოდ რამდენიმე დუიმი ადგილია თავისუფალი.

ნორმას ეჩვენება, რომ მუსიკა მის სხეულში ჟღერს, ხელები და ფეხები თავისით ცეკვავენ. დროდადრო ენით ისველებს გამშრალ ტუჩებს, ხან გაბედულად შეარხევს თეძოებს, ხან ოდნავ იხრება. მანუელი მუხლებზე ეცემა, კბილებით ნორმას ცხვირსახოცის აღება სწადია. გარინდებული უცქერის ნორმას ფეხებს: წვივები წვრილი აქვს, თეძოები კი დამძიმებული. ნორმა თითქოს მილურსმულია იატაკზე, მხოლოდ ოდნავ ტოკავს ადგილზე. მხრები უთრთის. ბაგე ოდნავ აქვს გახსნილი.

მამაკაცები, კურდღლები, დედაკაცები

— რაღაც უნდა ვიღონოთ, — წარმოსთქვა ფრანსისკო რუედამ... — ასე არ შეიძლება გაგრძელდეს.

— ყველასთვის სულ ერთია, ვინ წავა ბატისტას წინააღმდეგ? — შეეპასუხა სებასტიანი, რომელიც მის პირდაპირ უჯდა მარმარილოს მაგიდას.

— არ ვიცი. „ბატისტა, აი, ნამდვილი ადამიანი! ბატისტა— აი, მესმის მამაკაცი!“ მხოლოდ ესღა ისმის ქუჩებში. ჩვენ რაღა ვართ, დედაკაცები თუ კურდღლები? — ფრანსისკოს წინ წამოწეული შუბლი უბრწყინავდა.

— ჩვენი ქვეყანა დალპა, ისე რომ ვერ მოასწრო დამწიფება.

— როგორ შეგიძლია ამის თქმა!

სებასტიანმა ძლივს გაუძლო ფრანსისკოს თვალებს.

— უკვე აღარავის სჯერა, რომ შესაძლებელია რაიმე შეიცვალოს კუბაში. წინანდელი პრეზიდენტი პრიო სოკარასი ცუდი იყო, ბატისტა კიდევ უარესი. — ეს მართალია, მაგრამ რად-

განმდგომარეობა ჯერ არ გაუარესებულა, ყველაფერი ძველებურად დარჩება. ხალხი ყოველთვის ასეა — თითს არავინ გაანძრევს, სანამ თვითონ არ გაუჭირდებათ.

— ხალხიც შეიცვლება... მე რა ვიცი, როგორ იქნება, მაგრამ საქმე კი ძალზე ცუდად მიდის. როგორც გინდა თქვი და რამე უნდა ვიღონოთ, — ფრანსისკომ ქვედა ტუჩი მოიკვნიტა.

— გეთანხმები, მაგრამ არ მინდა, თავი მოვიტყუო. ყველას მოგვიწევს ჩვენი წილი სიბინძურის ალოკვა. ბატისტა ტირანია, მაგრამ მე მაინც არ ვფიქრობ, თავს დავესხა მას და სიცოცხლე გავწირო. ფანატიკოსებს არასოდეს არ სწყალობთ ბედი.

— შენ არაფრის გაკეთება არ გინდა, განძრევა გეზარება.

— მე მინდა, რომ კუბაში ყველაფერი შეიცვალოს. კუბა ახლა ღია ჭრილობასა ჰგავს. მე მრცხვენია ჩემი ქვეყნისა, იმიტომ კი არა, რომ უკეთესის იმედი მქონდა, იმიტომ რომ ყელამდე ჩავეფალით ჭაობში.

სებასტიანმა უცებ წარმოიდგინა: ფრანსისკო იბრძვის ბატისტას წინააღმდეგ — ბუზი აწყდება კედელს.

— შენ ბევრ დროს ჰკარგავ მსჯელობაზე, მალე კი ფიქრსაც აგიკრძალავენ. ბატისტას დემოკრატად მოაქვს თავი, მაგრამ თუ დასჭირდა, მიაფურთხებს კონსტიტუციას და წინანდელივით დაუწყებს ხალხს ხვრეტას.

— შეიძლება იმიტომ მომდის ასე, რომ ნახევრად ბურჟუა ვარ, მაგრამ მე ბევრად უფრო რთულად წარმომიდგენია ყველაფერი. საქმე მარტო ბატისტას არ ეხება. ასე თუ ისე, ჩვენ ყველანი პასუხისმგებელნი ვართ იმაზე, რომ ის ზევით არის.

— მე ბატისტაზე არ ვაგებ პასუხს, — გულმოსულად უპა-

სუხა ფრანსისკომ. — შენ ისე შეეჩვიე ამ სისტემას, რომ ყოველგვარი დამცირება ბუნებრივად გეჩვენება, სიამოვნებასაც კი გგვრის. დაშინებული ძაღლივითა ხარ, ამოიძუებ კუდს და გარბიხარ.

— შენ მართალი ხარ. მაშ, შენის აზრით, როგორ უნდა მოვიქცე? ხალხისა მე არა მწამს. არავინ არ გამოგყვება, როცა ბატისტას წინააღმდეგ აღსდგები. უმეტესობას მხოლოდ ერთი ფიქრი აქვს; რაც შეიძლება ბევრი ჭამოს და ქალებთან იძინოს. დეე, ჯერ სხვამ ესროლოს ქვა, მე დავიცდი.

— სწორედ მაგაშია საქმე: ყველა იმას უცდის, რომ მის მაგივრად სხვა გაისარჯოს.

— საზოგადოებრივი მოძრაობისათვის ისეთი ადამიანებია საჭირო, რომელთაც სწამთ მომავალი. მე უკვე რწმენა მაქვს დაკარგული. მთელი ეს ცხოვრება ისე წარმომიდგენია, როგორც საძაგელი, მახინჯი რაღაც.

— ჩიბასი რომ ცოცხალი ყოფილიყო, ბატისტა ვერ მოახდენდა გადატრიალებას. კუბაში შეიძლება ისევ კარგად წარიმართოს საქმე. ამჯერად არ გაგვიღიმა ბედმა.

— ჰო, შეიძლება კარგად წავიდეს საქმე, მაგრამ მე არ ვეკუთვნი მათ რიცხვს, ვისაც რაიმეს შეცვლა შეუძლია. მხოლოდ ერთ რამეში გამოვდგებოდი — ვწერდი მთავრობის წინააღმდეგ. მაგრამ ქაღალდები, როგორც მაჩადომ სთქვა, ვერავის ვერ მოჰკლავს.

— კი მაგრამ, ისინი ეხმარებიან. აი, როცა დასწერ სტატიას თამბაქოს შესახებ, არ დაგავიწყდეს იმის თქმა, როგორ ჩაახრჩო სისხლში მაჩადომ სან-ანტონიო-დე-ლოს-ბანოსი. კითხვა მეც მიყვარს, მაგრამ მოქმედებას ვამჯობინებ. ამით განვსხვავდებით ჩვენ ერთმანეთისაგან.

— წერა კიდევ არ ნიშნავს მომავლისათვის მუშაობას. მწერლები და მხატვრები მხოლოდ სატკივარზე ლაპარაკობენ, მაგრამ ის არ იციან, როგორ უმკურნალონ. ფრანკო დღესაც ესპანეთშია, მიუხედავად პიკასოს „ჰერნიკასი“.

ფრანსისკოს პასუხი არ გაუცია, დახლთან მივიდა, სადაც თუთუნი იყიდებოდა. როცა სებასტიანს უყვებოდა, როგორ გადაიქცევა ფართო, მწვანე ფოთოლი სიგარად, მოწევა მოუნდა. მისი სიგარეტები სუსტი იყო, ერთი სიგარა ამოიღო, თითებშუა მოფშვნიტა და ხმაზე შეატყო, რომ თუთუნი გამომშრალი იყო. ფრანსისკომ უფრო ძვირფასიან კოლოფზე მიუთითა შუშის ქვემოთ. სულ ერთი პესო ჰქონდა, მაგრამ მაინც გადაწყვიტა სიგარა ეყიდა, რადგან თამბაქოს სურნელებამ მშობლიური ადგილები გაახსენა. თორმეტ წლამდე სან-ანტონიო-დე-ლოს-ბანოსში ცხოვრობდა, შემდეგ მათი ოჯახი ჰავანაში გადასახლდა, სადაც მამამ მუშაობა დაიწყო თამბაქოს დუქანში, ბელასკოინის ქუჩაზე. მაჩადომ სისხლით მორწყო მისი მშობლიური ქალაქი, იმისათვის რომ ქარხნის მუშებმა უარი თქვეს, თამბაქოს საჭრელი დანების ტრადიციული კაკუნით მისალმებოდნენ მას. მაჩადო ამ ოცი წლის წინათ მართავდა ქვეყანას, მერე ისიც ჩამოაგდეს ისე, როგორც ახლა ცდილობენ ბატისტას ჩამოგდებას.

— მაჩადო გაიქცა, ბატისტაც უკანმოუხედავად მოჰკურცხლავს, — თქვა ფრანსისკომ, როცა მაგიდასთან მიბრუნდა.

— მერე რა მოხდა მაჩადოს შემდეგ?

— ეგ იმას არ ნიშნავს, რომ ახლაც იგივე განმეორდება. არ უნდა დაყარო ფარ-ხმალი, სიკვდილის პირამდე რომ მიგიყვანონ ცემით, მაინც არ უნდა იწუწუნო.

— მე სულაც არ დამიყრია ფარ-ხმალი. უბრალოდ, ისე ვხედავ საგნებს, როგორც სინამდვილეშია.

— როცა საქმე ვერ მიდის კარგად, რაღაც უნდა იღონო.

— მაგრამ ადამიანები ბუნებით არიან ცუდები...

— ეშმაკსაც წაუღია ყველაფერი! შეხედე იმ შავგვრემანს, ისა ჯობია ყველაფერს.

— კარგია! — სებასტიანმა თავიდან ფეხებამდე შეათვალიერა ქალი.

— კარგია? კარგი და მეტი არა? მგონი, არ იტყოდი უარს, ერთი ღამე გაგეტარებინა მასთან.

— მე არასოდეს არ წარმოვიდგენ ხოლმე ამგვარ სურათებს. მე ქალთან განმარტოებით ყოფნა მიყვარს და ეს არავის საქმე არ არის. ჩემის აზრით, სისულელეა ამაზე ლაყბობა.

— ყველას თავისი გემოვნება აქვს! — ფრანსისკომ ჩაიცინა და ყავა მოსვა. — ერთ სამსახურს ვერ გამიწევ?

— გააჩნია, რა იქნება.

ფრანსისკომ სიგარა ბოლომდე მოსწია.

— ვერ დამალავ შენთან იარაღს სულ რამდენიმე დღით?... ფრანსისკო სიგარას დასჩერებოდა, ხელში რომ ეჭირა. — ხომ ხედავ, გენდობი. შენ შეგიძლია ჩემი დაბეზღება, მაგრამ მე რისკზე მივდივარ, შენ კი ვერ ბედავ ამას.

— კარგი, შეგინახავ. — სებასტიანს უნდოდა ეჩვენებინა, რომ მისი სკეპტიციზმი სულაც არ იყო გამოწვეული სიმხდალით.

ფრანსისკოს სჯეროდა სებასტიანის, მაგრამ ახლა გული მოუვიდა მასზე, შავგვრემანზე საუბარში რომ არ აჰყვა და ისეთი სახე მიიღო, თითქოს ზიზღსა ჰგვრიდა ამგვარი საუბარი. რა ჰგონია თავისი თავი? ფრანსისკო უყურებდა, როგორ იზრ-

დებოდა ფერფლი სიგარის წვერზე. იგი არ უჩვენებს სებასტიანს ლექსებს, ახლახან რომ დაწერა. ბავშვობაში ფრანსისკო საპირფარეშოში ჩაკეტილი კითხულობდა ხოლმე, რათა დედას სადმე არ გაეგზავნა ან რაიმე არ დაევალებინა. მაგრამ ყველა ეს „აუსტრალის“ სერიის წიგნები, რომელთა ყდაზე თხის ტყავი იყო გამოხატული, მხოლოდ იმაში დაეხმარა, რომ გამხდარიყო ბუხჰალტერი იმ ბანკისა, რომლის ერთ-ერთი ადმინისტრატორთაგანი სებასტიანის მამა იყო.

— აბა, ვის მოუვა აზრად, რომ ერთი საწყალი თანამშრომელი მამაშენის ბანკისა შეიძლება მონაწილეობდეს შეთქმულებაში ბატისტას წინააღმდეგ. ასეა თუ არა ?— ჰკითხა ფრანსისკომ.

— ბანკი მამაჩემის არ არის. კარგი კი იქნებოდა, ასე რომ ყოფილიყო!

— დიდი განსხვავება მაინც არ არის. ბანკის მფლობელების წარმომადგენელი ხომაა. ერთხელ ვუთხარი, ბანკირები პარაზიტები არიან, რომლებიც სხვის ხარჯზე ცხოვრობენ-მეთქი, ბანკები არაფერს აწარმოებენ-მეთქი. ეწყინა. ახლა ვნანობ ამას.

— მერე, რა გიპასუხა?

— ერთხანს გაჩუმდა, მერე მითხრა: ბანკში ოცდაჩვიდმეტი კაცი მუშაობს, რომლებიც, ბანკი რომ არა, შიმშილით დაიხოცებოდნენო. ვერ მიმიხვდა ნათქვამს. მეც აღარ შევეკამათე. შენი მამა, სებასტიან, კარგი ადამიანია. იქ არ არის მისი ადგილი.

— ჩემი სახლი კოლუმბიის პირდაპირაა, საშიშია... თუმცა, შესაძლოა, სწორედ ამიტომ უკეთესი ადგილი ვერც ვოძებნო. ისინი ვერასოდეს ეჭვს ვერ აიღებენ, რომ სწორედ მათ ცხვირწინ...

— შენ მართალი ხარ... ამ საღამოს მოვიტან. სახლის ახლო-მახლო დგანან ჯარისკაცები?

— არა, მხოლოდ ერთი ჯარისკაცი დგას საგუშაგოზე. — სებასტიანს მოეჩვენა, რომ ფრანსისკო ბოროტად იყენებს მის მეგობრობას. — მხოლოდ რამდენიმე დღით, გახსოვდეს.

— ერთი კვირის განმავლობაში ყველაფერს წავიღებ. დედაჩემს გულის შეტევები რომ არ ჰქონდეს, ჩემთან წავიღებდი. ეგეც არ იყოს, ჩვენთან ძალიან ბევრი ხალხი დიდის. ჩემი ძმაც კაი ღორია. შენთვის მოსახერხებელი იქნება, ცხრაზე რომ მოვიდე?

— მოდი. — სებასტიანს უარი რომ ეთქვა, მთელი მისი მოსაზრებები გაცამტვერდებოდა. რამდენიმე დღეც და ყველაფერი უკან დარჩება. — რა უნდა უყო ამ იარაღს?

— ჯერ არ ვიცი, მაგრამ მთავრობის წინააღმდეგ უნდა გამოვიყენოთ. ერთ პატარა ქალაქში უნდა გადავიტანოთ მატანსასის მახლობლად.

— შენ ლექსებს აღარ სწერ?

— არა. ლექსების წერა კრეტინების საქმეა.

* * *

სებასტიანმა ფანჯარა გამოაღო თავისი სამუშაო მაგიდის უკან. გალავანზე ხვლიკმა წამოჰყო თავი და ისე წაიგრძელა კისერი, რომ ნარინჯისფერი ლაქა გამოუჩნდა. სებასტიანი დაჯდა, მოხრილი საჩვენებელი თითი საბეჭდად მოამზადა და სტატიის ბეჭდვას შეუდგა თამბაქოს შესახებ, ჟურნალმა რომ დაუკვეთა.

რამდენ გულისხეთქვად უღირდა სახლში იარაღის გადამალვა!

ფრანსისკოს წინაპრები თამბაქოს თესავდნენ, უვლიდნენ, ახარისხებდნენ. მთელი ეს რთული პროცესი სიგარით მოავრდებოდა. სებასტიანი წერდა რაღაცის შესახებ, რასაც არავითარი კავშირი არ ჰქონდა პირადად მასთან, ავსებდა ტექსტს არაფრისმთქმელი ციფრებითა და სულელური ანეგდოტებით: სწორედ ეს უნდოდათ მისგან — ჩვეულებრივი საჟურნალო ხალტურა.

ორ გრძელ ყუთში ჩალაგებული შაშხანები საწოლის ქვეშ ეწყო. სისულელე იყო მათი აქ შენახვა, მაგრამ სხვა ვეღარაფერი მოიფიქრა, როცა ფრანსისკომ კარებზე დაუკაკუნა. მხოლოდ ხუთი-ექვსი დღითო, სთხოვა. სებასტიანი უჩვეულო მდგომარეობაში იყო. რა არის ეს — თამაში თუ რეალური საშიშროება? შეიძლებოდა ამ ყუთების ჩაფვლა ეზოში.

საფრთხე, რომელიც მას ელოდა, ესალბუნებოდა მის პატივნოყვარეობას. ბატისტა თუ გადმოაგდეს, მისი საქციელი დაფასებული იქნება. სებასტიანს სახე შეეჭმუხნა, თვალები დახუჭა. რა სისულელეა, იგი აიძულეს უფრო მეტ საფრთხეში ჩაეგდო თავი, ვიდრე თვითონ ეწადა.

ნეტა გამოადგებათ თუ არა ოდესმე ეს შაშხანები? აი ასეთ პატარა ტყვიის ნაჭერს შეუძლია მოგკლას. სჯობს, ერთბაშად მოეღოს ყველაფერს ბოლო. იარაღი რომ უპოვნონ სახლში, ციხეში ჩასვამენ. იარაღი ბევრად უფრო ეფექტურია, ვიდრე სიტყვა, — გაიფიქრა სებასტიანმა. ძველისძველი უსარგებლო ჭეშმარიტებაა. არა, სიტყვა სულ სხვა რამ არის. სიტყვაც მოქმედებს, ოღონდ სხვაგვარად. სებასტიანმა ბავშვურად დახუჭა თვალები და გონებაში ინატრა: რა იქნება, გაჰქ-

რეს იარაღი! აი, ახლა გაახელს თვალებს და იარაღი აღარ იქნება. სტატიის წერის ხასიათზე არ იყო. წყლის დასალევად წამოდგა და, საწოლ ოთახს რომ ჩაუარა, დაიხარა: ჰო, ყუთები ჩანან დერეფნიდან. რატომ არ დამალა ფრანსისკომ იარაღი დივანში ან მუსიკალური ინსტრუმენტების ყუთებში?

სინამდვილე მეტისმეტად დაუნდობელი იყო.

ნახევარ ჭიქამდე წყალი დალია პირდაპირ ონკანიდან.

საცაა ნორმაც დარეკავს. სებასტიანს არ უნდოდა, ნორმა სახლში მოსულიყო მასთან. მაშინვე შეამჩნევს ყუთებს საწოლის ქვეშ. მისი ნახვა კი უნდოდა. როცა ნორმა მის გვერდით იყო, ყოველგვარი საზრუნავი ავიწყდებოდა...

— შეგვიძლია სასტუმროში გავატაროთ ღამე, — ხმამაღლა გაიფიქრა მან და მუშტი დაირტყა ხელისგულზე.

იგი არასოდეს არ ყოფილა ნორმასთან ერთად სასტუმროში. უცნობ ოთახში, ალბათ, ყველაფერი სხვანაირად იქნება.

— ადრე ვერ შევძელი დარეკვა, ერთ ამხანაგთან ვიყავი, რომელმაც ეს-ეს არის მოიმშობიარა.

— არა უშავს რა, — უპასუხა სებასტიანმა, დამშვიდებულმა იმით, რომ ნორმამ მაინც დარეკა. — რაღაც მინდა გითხრა. დარწმუნებული ვარ, მოგეწონება.

— რა უნდა მითხრა?

— გეტყვი, როცა შევხვდებით. ჩვენთან ნუ მოხვალ. ძველ ჰავანაში შევხვდეთ. ხომ გახსოვს რესტორანი ნეპტუნოზე, პრადოს გვერდით?.. ჰო. სწორედ ის... ერთი საათის შემდეგ იქ ვიქნები.

* * *

სებასტიანი პრადოზე ჩამოვიდა, ერთ-ერთი ბრინჯაოს ლომის წინ და ცენტრალურ ბულვარს გაჰყვა, რომელსაც მწკრივად მიჰყვებოდა ხეები. ოდესღაც, დიდი ხნის წინათ, აქ ბურჟუები დასეირნობდნენ. სებასტიანმა ძველი გრავიურები გაიხსენა. ნუევა ალამედაზე მტვრის კორიანტელს აყენებდნენ ეტლები, უფრო მოგვიანებით ქვაფენილზე მორახრახე ეტლების კოფოებზე წამოსკუპებული იყვნენ შლიაპებსა და სერთუკებში გამოწყობილი ზანგები. შემდეგ ფოტოები გაიხსენა: შავოსანი მამაკაცები და გრძელკაბიანი ქალები, კაბის ბოლოს მიწაზე რომ მიითრევდნენ. „ლა-ინდიას“ ძეგლთან კი ხელგამოწვდილი მათხოვრები ჩამწკრივებულიყვნენ.

ახლა ამ ქუჩას პასეო დე მარტი ერქვა. ხშირი ფოთლები თაღივით გადმოფარებოდა ქუჩას. ჯერ ისევ სინათლე იყო, მარმარილოს ერთ-ერთ სკამზე კი უკვე გაწოლილიყო მათხოვარი. ქუჩის სახელი შეიცვალა, მაგრამ ყველაფერი ძველებურად დარჩა. ბურჟუები ახლა „ბიუიკებითა“ და „კადილაკებით“ დაბრძანდებოდნენ. პრადო აღარ აინტერესებდათ: საკუთარი სახლები ჰქონდათ აუზებით და კლუბები მირამარში. სებასტიანს ფეხსაცმელის მწმენდავი შეეხმიანა. მერე ვიღაცამ სატკაცუნოს ყიდვა შესთავაზა, ტურისტი ეგონა. სებასტიანი ესპანურად გამოეპასუხა; გამყიდველი გაოცდა:

— დალახვროს ეშმაკმა, როგორ ჰგავს ამერიკელს.

უცებ მოჟრიამულე შავი წერტილების ღრუბელმა დაჰფარა ცა და მერე ალვის ხეების კენწეროებზე დაეშვა. ბეღურების გუნდი იყო. სებასტიანი შეჩერდა და ცქერა დაუწყო, როგორ შემოეხვივნენ ჩიტები ხეებს. მარმარილოს სკამებს და ბრინჯაოს ლომებს ლაქებად დაჩნეოდა ფრინველთა სკორე.

შემდეგ სასტუმრო „სიბონეის“ ჩაუარა. კარგი იქნება, აქ აიღოს ნომერი, ოღონდ ფანჯარა ქუჩის მხარეს უნდა გადიოდეს. რა სასიამოვნო იქნება დილით გაღვიძება და ნორმასთან ერთად საუზმეზე ჩამოსვლა... მაგრამ... ყოველივე ეს, რა თქმა უნდა, სისუსტეა.

ნორმა უკვე ელოდა მას. რესტორნის წინ დადიოდა. სებასტიანმა ხელი მოჰკიდა ხელზე. სუნამოს მძაფრმა, მოტკბო სურნელმა გააბრუა. ნორმას თეთრი კანტით გაწყობილი ლურჯი კაბა ეცვა.

— ლამაზი კაბაა, — უთხრა სებასტიანმა და გაახსენდა, ჩვეულებრივ როგორ გამომწვევად იცვამდა ნორმა.

ახლა შეუძლია თავის მეუღლედ გამოაცხადოს იგი. სასტუმროში ეტყვის რომ პროვინციიდან არიან ჩამოსული. თუ არ დაუჯერეს, ორი პესოთი ზედმეტს გადაიხდის.

— ეს ჩემმა მკერავმა შემიკერა, — ნორმას მოეჩვენა, რომ ვიღაც სხვა ამბობდა ამას. თავის სიცოცხლეში პირველად ეცვა მკერავის შეკერილი კაბა. ეს მანუელის საჩუქარი იყო.

— გინდა ვივახშმოთ?

— კარგი, წავიდეთ... რა უნდა გეთქვა ჩემთვის?

— მოდი, ჯერ შევუკეთოთ... — სებასტიანს არ უნდოდა ვინმეს შეეწყვიტა მათი საუბარი. — გინდა, ღამე სასტუმრო „სიბონეიში“ გავატაროთ? აქვე გვერდით არის, კუთხეში. საუკეთესო ოთახი დავიქირავოთ.

— სიამოვნებით, ჩემო კარგო, მაგრამ დღეს არ შემიძლია, ნამდვილად არ შემიძლია. ამხანაგი მარტო დავტოვე და მელოდება. სხვა დროს იყოს, კარგი?

— არ შეგიძლია უთხრა, რომ სხვა ვინმე მონახოს?

— არა, არ შემიძლია, გეფიცები. მისთვის ძალიან საჭირო

ვარ, მარტოდმარტოა პატარა ბავშვით. მხოლოდ გუშინ გამოვიდა სამშობიარო სახლიდან.

— რატომ ტელეფონით არ მითხარი?

— ხომ გითხარი... გითხარი, რომ ვერ შევძელი დარეკვა, ამხანაგთან ვიყავი-მეთქი. მერე შენ შემაწყვეტინე...

— ნუთუ შენს მეტი ვერავინ დარჩება მასთან? — სებასტიანი უკვე დარწმუნებული იყო, რომ საქმე სხვა მამაკაცს შეეხებოდა.

— მართალს გეუბნები. ჩვენ გულითადი მეგობრები ვართ. ქმარმა მიატოვა, ჰავანაში არავინა ჰყავს. თვითონ საგუა-ლა-გრანდედან არის.

— მაშ კარგი, — სებასტიანი შეეცადა, დაემალა წყენა. — ერთად მაინც ვივახშმოთ.

— ღმერთმანი, ძალიან მინდა შენთან დარჩენა. ეს მართლაც კარგი იქნებოდა. შენი ნახვა რომ არ მდომოდა, არც დაგირეკავდი... ადრე განვთავისუფლდები და მოვალ...

— ნუ სწუხარ, უმჯობესია ამხანაგთან დარჩე. — იმ რაოდენიმე წუთს, განშორებამდე რომ დარჩენილიყო, მოულოდნელად უზარმაზარი მნიშვნელობა მიეცა. — იქნებ ხვალ შევხვდეთ.

— რომელ საათზე უნდა იყო ამხანაგთან?

— ათისათვის. ჩვენ კიდევ ბევრი დრო გვაქვს.

მანუელი თერთმეტამდე მორიგეობდა ციხეში.

ისინი ყოველთვის გლეხებად დარჩებიან

ლუის რეიესი ტრუსების ამარა იწვა და გაზეთს კითხულობდა. მოსამსახურე გოგომ სებასტიანის მოსვლა მოახსენა და ოთახში შეუძღვა სტუმარს.

— ახლავე ჩავიცვამ და წავიდეთ, — საწოლი აჭრაჭუნდა, ლუისი ძლივს წამოდგა საწოლიდან. — სადმე გზაში ვისაუზმოთ.

როცა დაინახა, რომ ლუისი მაისურს იცვამდა, სებასტიანს ჯაახსენდა, ბავშვობაში როგორ დადიოდნენ პლაჟზე.

— როგორ, შენ ეს გახსოვს? არ მეგონა, რომ ვინმე შემამჩნევდა. მრცხვენია ჩემი მკერდისა... დედაკაცივითა მაქვს... ამიტომ ყოველთვის მაისურს ვიცვამ, როცა პლაჟზე მივდივარ. შენ დღემდე გახსოვს ეს? მე არასოდეს არაფერი არ მახსოვს... ახლა წავიკითხე გაზეთში, როგორ უკოცნიან ბატისტას უკანალს. იცი, მამაჩემი ბატისტას მომხრეა. კუბას მაგარი ხელი უნდაო, იმეორებს, რომ სატანტო ქალაქი დაიცვას და მუშებს ლაგამი ამოსდოსო. საიდან მოიგონა ეს?

— ყველაზე მეტად ის მაბრაზებს — რა გზით ცდილობს ბატისტა, შეინარჩუნოს ხელისუფლება — იარაღით მოპოვებული ხელისუფლება. — სებასტიანს გაახსენდა შაშხანები, რომლებიც აგერ ორი კვირაა მის საწოლს ქვეშ აწყვია. — სრულ არარაობად მიგაჩნია საკუთარი თავი.

სანამ ლუისი იცვამდა, სებასტიანი ოთახს ათვალიერებდა. ოთახი დიდი იყო, ჩამობნელებული, შავი ხის ავეჯით გაწყობილი და არასასიამოვნო შთაბეჭდილებას ტოვებდა. უკანასკნელად ამ ერთი წლის წინათ იყო ლუისთან. აღარ ახსოვდა, რატომ შეწყვიტეს ერთმანეთთან სიარული. ამას წინათ, როგორღაც მანქანიდან დაუძახა ლუისმა. ახლა კი უნდოდათ კვირის ბოლო ერთად გაეტარებინათ შაქრის ქარხანაში.

ლუისმა კარადა გააღო, შარვალი გამოიღო. გრძელი, გადმოშვებული პერანგი — გუაიაბერი — უკვე ჩაეცვა. კარადის

სარკიანი კარი რომ მიხურა, მომწვანო კედელზე მზის სხივმა გადაირბინა ერთი კუთხიდან მეორეში.

უკვე სახლიდან გამოდიოდნენ, როცა ლუისის დედამ დაუძახა:

— სებასტიან, სად დაიკარგე? ხშირად მოდი ხოლმე ჩვენთან. ცოლი შეირთე? ჯერ არა? მერე რა, არაფერი უშავს. შენისთანა ახალგაზრდას უარს ვინ ეტყვის. რამდენი კანდიდატი ელოდება შენს გადაწყვეტილებას? ფრთხილად იყავით დიდ გზაზე. ხომ იცი, რა საშინელი გზებია. კიდევ კარგი, თუ ვიდალმა სახლის მომზადება მოასწრო და თეთრეული გაძოაცვლევინა.

მათ გამოკეტეს ჭიშკარი შავი მაღალი გალავნისა, რომელიც ირგვლივ ერტყა ბაღს, და ქუჩა გადაჭრეს.

— ვერაფერი გამიგია დედაჩემისა. სულ სხვა სამყაროში ცხოვრობს. სულ იმას მეუბნება, ალერსიანი იყავი ადამიანების მიმართო... მე კი მომწყინდა ეს ალერსიანობა... სწორედ შენი მოსვლის წინ გამოცხადდა ჩემთან და შემატყობინა, ერთი შენი ბიძაშვილთაგანი ცოლს ირთავსო. კინაღამ ჭკუიდან შეიშალა ბებერი სიხარულისაგან. ისე ეგონა, არაჩვეულებრივი რამ მოხდაო, და უკვირდა, რატომ შენ არ გიხარიანო. მე კი ეს ბიძაშვილები ჩემ სიცოცხლეში თვალითაც არ მინახავს. სადღაც ბუენოს-აირესში ცხოვრობენ... ახლა კი, რაღა თქმა უნდა, წერილი უნდა მივწერო... ვერ გამიგია, რატომ ატეხა ასეთი ალიაქოთი, შენ რომ დაგინახა. მისთვის ხომ სულ ერთია, ივლი თუ არ ივლი ჩვენთან.

— რასაც ჩვენ ერთმანეთს არ ვაპატიებთ, მოხუცებს უნდა ვაპატიოთ. — სებასტიანს გაახსენდა, თვითონაც რომ ძლივს იტანდა მშობლებთან ყოფნას.

გაჩერებასთან ხალხი იდგა და მოუთმენლად ელოდნენ ავტობუსს. სებასტიანს ვერავითარი დამაჯერებელი გამართლება ვერ მოენახა იმ ფაქტისათვის, რომ ისინი აგერ დახურული მანქანით მისეირნობენ, სხვები კი მცხუნვარე მზის ქვეშ დგანან. რომელიღაც ყავახანას ჩაუარეს.

— მოდი, ცენტრალურ პარკთან ვისაუზმოთ, მაგრად მომშივდა.

— არც მე ვარ წინააღმდეგი... რაზე წერ შენს ჟურნალში?

— ყველაფერზე ცოტ-ცოტას. ამ დღეებში, მაგალითად, თამბაქოს შესახებ შემიკვეთეს სტატია; მე არაფერი გამეგება ამისა. ძირითადში კი პოლიტიკაზე ვწერ. ყველაზე არასასიამოვნო ის არის, რომ ყოველთვის უნდა იყო ახალი ამბების კურსში და, როცა ამ ამბებში ჩაიყურყუმელავებ, სულ მალე მოგეჩვენება, რომ ყველაფერი, რაც მსოფლიოში ხდება, რაღაც ჯოჯოხეთური თამაშია. ხანდახან იმით ვირთობ თავს, რომ მანქანასთან ვზივარ და ახალ-ახალ ამბებს ვიგონებ.

— ასე შეიძლება ხათაბალაში გაება...

— არასოდეს. სულ ერთია, ნიუ-იორკში თითქმის ყოველთვის გადააკეთებენ ხოლმე ჩემს ცნობებს. შეგიძლია აიღო, რომელიც გნებავს, უსულო საგანი, ქვა, მაგალითად, და ათასგვარი მანკიერება მიაწერო. ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, როგორ მიუდგები საკითხს.

— შენ მართალი ხარ. აი, ზოგჯერ ვინმე გაიმეორებს ჩემს ნათქვამს და საშინელებად მომეჩვენება ჩემივე ნათქვამი სიტყვები. ვერასოდეს ვერ მოვიფიქრებდი, რომ შეიძლებოდა ამგვარად თქმულიყო.

— ჰო, ეს ყველას ემართება ასე... მაგრამ ჟურნალი ერ-

თადერთი ადგილია, სადაც ყოველ წუთს თავს არ გადგია უფროსობა.

ისინი მინის კედელთან დასხდნენ, რომელიც ყავახანას პარკისაგან ჰყოფდა. ყავასთან, რძესთან და პურთან ერთად სებასტიანმა ფორთოხლის წვენიც შეუკვეთა. იგი ვერასოდეს ვერ სვამდა საუზმის შემდეგ ფორთოხლის წვენს. სახათაბალო საქმე იყო ყოველ დილას ფორთოხლის წვენის გამოწურვა. ლუისმა კოვზით მოაცილა ქაფი ცხელ რძეს და რამდენიმე წვეთი მაგიდაზე დაეღვარა.

სებასტიანი შეჰყურებდა პარკის შუაგულში მდგარ მარტის ძეგლს. მოციქულს ზღვისაკენ გაეშვირა თავისი მტკიცე ხელი, თითქოს ჰავანიდან გასასვლელს უჩვენებსო. ერთხელ ვიღაც ამერიკელი აცოცდა ქანდაკებაზე და დაუსველა მარმარილოს თავი. მეზღვაური ძლივს გადაურჩა ლინჩის წესით დასჯას. აყალ-მაყალი ჩააჩუმეს და ოფიციალური პატიება ითხოვეს. ამერიკის ელჩმა გვირგვინით შეამკო ძეგლის კვარცხლბეკი.

— ალბათ, იმ მეზღვაურს თავი მოაბეზრა ძეგლებმა, ალმებმა და ნაციონალურმა ჰიმნებმა, — შენიშნა სებასტიანმა,— და ქანდაკებებმაც — ისინი ხომ ყოველთვის დუმან.

— შენ სულაც არ გამოცვლილხარ. აბა ერთი გაჩვენა ზოგიერთები ჩვენი კოლეჯიდან! გახსოვს, გეუბნებოდი, არასოდეს არ ვიმუშავებ-მეთქი შაქრის ქარხანაში. შარშან ერთი გოგო გავიცანი და მკითხა, რატომ შენც ისე არ მუშაობ, როგორც ყველანი მუშაობენო. მაშინ მოველაპარაკე ჩემს მოხუცს და იმან მითხრა, ხვალვე კანტორაში დაიწყე სიარულიო. მეც წავედი. მას შემდეგ ყოველდღე დავდივარ კანტორაში. მერე კბილებზე ჩამაცივდა ის გოგო: მოინდომა, რომ ჩემი

კბილები დამეძრო და ახლები ჩამესვა. ცოტა მოშავო კბილები მაქვს. ხომ შეგინიშნავს, ზოგს კბილებზე არა აქვს მინანქარი— ასე დაჰყვება დაბადებიდან. ჩამაცივდა, საშველი აღარ მომცა. მეც ავდექი და დავანებე თავი მასთან სიარულს. ყოველთვის, როცა გამოვთქვამდი ჩემს აზრს რაიმეს შესახებ — რაზეც არ უნდა ყოფილიყო,—მეუბნებოდა, გიჟი ხარო.—ლუისს სამი ასანთის ღერი გადაუტყდა, სანამ სიგარას მოუკიდებდა.—მე რომ ის ცოლად შევირთო, ჩემს ფულებს დაუწყებს ფლანგვას, მე კი კანტორაში უნდა ჩავლპე.. ახლა, ალბათ, რომელიმე მირამარელ ქარაფშუტასთან აგდია. მე იმ მამაკაცების რიცხვს ვეკუთვნი, რომელთაც ყოველთვის ატყუებენ ქალები. მე კი არ მინდა, რქები მედგას თავზე. მინდა, ცოლს ესმოდეს ჩემი და მეც მჯეროდეს მისი. თუმცა, ეს მეტისმეტად ძველებურია. ხომ მართალია? ჩემი ბიძაშვილი, მაგალითად, ამტკიცებს, რომ თუ სურვილი არა გაქვს ჯვარი დაიწერო ფულიან ქალიშვილზე, ეს სისუსტის ნიშანიაო.

— მიანებე თავი კანტორას და, რაც შენ გინდა, იმას მოჰკიდე ხელი. რას დაკარგავ? ადამიანებმა ყოველ ორ წელიწადში ერთხელ უნდა იცვალონ სამუშაო.

— მამა მეცოდება. არ ვიცი, რას მოელის ჩემგან. ანდა, როგორ შეუძლია მოსწონდეს ეს საბანკო ოპერაციები, დავიდარაბა სახელმწიფო ინსპექტორებთან, მუშებთან? კომპანიონიც მისი ასლია. მთელი დღე კანტორაში სხედან დაბმულებივით, ტელეფონს ვერ სცილდებიან. მე კი ყოველივე ეს კაეშნით მივსებს გულს.

— რატომ არ გინდა ძმას მოახვიო თავზე ყველაფერი? ის ხომ შენზე უფროსია.

— ბერნარდო ყეყეჩია, მისი ცოლი კი ურჩხული... შეუ-

სვენებლივ ლაქლაქებს... უზარმაზარი კბილები აქვს... ნამდვილი ჭაკი ცხენია... ისა და ჩემი ძმა ჩააცივდნენ მამაჩემს, აეშენებინა ვილა მაინცდამაინც კანტრი-კლაბში.[1] მამაჩემიც იმდენად სულელია, რომ დაეთანხმა. ვერ გამიგია, ნუთუ შეიძლება ამდენი ფული იშოვოს კაცმა მხოლოდ და მხოლოდ შაქრის გაყიდვით?

მაგიდაზე ხურდა დატოვეს მსახურისათვის. კედელზე მიყრდნობილი ოფიციანტი კბილის საჩიჩქნით იწმენდდა ფრჩხილებს. ავტომობილი პრადოზე იდგა. სასტუმრო „სიბონეისთან“ სებასტიანს ნორმა გაახსენდა.

— ხომ არ გინდოდა, შენი გოგოსთვის დაგერეკა? — ჰკითხა მან ლუისს.

— ეს რამდენიმე დღეა ვაპირებ, მაგრამ ვერც ერთხელ ვერ ვუთხარი ის, რაც მინდოდა. ყოველთვის თავგზას ამიბნევს ხოლმე. რატომ ხდება ასე?

— მეც მყავს გოგო. შენ იცნობ მას: ნორმა. მასთან კარგად ვგრძნობ თავს. ყოველგვარი სისაძაგლე მავიწყდება, რაც მარტო ყოფნისას მომივა ხოლმე თავში.

— შენი საქმე სულ სხვაა. შენ არ ისწრაფი იმისაკენ, რომ ფული გააკეთო, — ლუისმა კინაღამ გაიმეორა მამის სიტყვები: სებასტიანი არაფრის მაქნისი კაციაო. — ფულის გასაკეთებლად კი სარფიანი ქორწინებაა საჭირო.

ნელა გაიარეს ძველი ჰავანა, კუდში მიჰყვებოდნენ ავტომობილების მწკრივს. ცენტრალურ გზატკეცილზე რომ გავიდნენ, სიჩქარეს მოუმატეს. ყველაფერმა განზე გაიწია, გაიზარდა, გამწვანდა.

— თუ დაიღალო, მითხარი, მე დავჯდები საჭესთან.

---

[1] არისტოკრატიული რაიონი ჰავანაში.

* * *

ერთი კილომეტრით რომ მიუახლოვდნენ ქარხანას, შაქრის ლერწმით დაფარულ მინდვრებს იქით ქარხნის მილი ამოიზიდა. ქარხანა გულაღმა მწოლარე სპილოსა ჰგავდა, ზევით აწეული ხორთუმით.

კარებთან მოურავი იდგა.

— როგორ გიკითხოთ, სენიორ ლუის?

— კარგად, ვიდალი. შენ როგორღა ხარ?

— თვითონვე მოგეხსენებათ, ახლა მალე დაიწყება მოსავლის აღება. მოხუცი როგორ არის?

— ვერ არის კარგად, რაღაც აწუხებს ზურგში.

— ეს რაღა უბედურებაა. ძალიან სამწუხაროა.

— ჩვენ კი თქვენთან ჩამოვედით. რაღაც ქაღალდები ჩამოგიტანეთ შესავსებად და ხელის მოსაწერად.

— ვიცი, მამათქვენმა დამირეკა გუშინ.

— მოხუციც ასეთი უნდა, არაფერი არ ავიწყდება! თანაშემწეები არ სჭირდება. აი, ქაღალდები, სჯობია, ახლავე გამომართვა, სანამ დამეფანტებოდეს.

— თქვენ კი ისევ ისეთი ხართ, სენიორ ლუის! როგორც ვხედავ, მეგობართან ერთად ჩამოხვედით.

— ჰო, იცნობდეთ, ჩემი მეგობარი სებასტიან სოლერი... ხომ შეიძლება, წავიდეთ, დავიბანოთ? ძალიან დავიღალეთ და ერთიანად დავსველდით ოფლით.

— რა თქმა უნდა, რა თქმა უნდა, წადით, დაიბანეთ. — ვიდალიმ არ იცოდა ხოლმე, რა ელაპარაკა ჩამოსულებთან: „სულ ამ ჯოჯოხეთში ტრიალებ. ადამიანურ ლაპარაკსაც კი გადაეჩვევი კაცი“.

ერთი საათის შემდეგ ყველანი ვიწრო, გრძელ მაგიდას უსხდნენ. მრშუშული ბანანები ისე იყო გაჟღენთილი ერბოთი, რომ ლუისმა პირი ვერ დააკარა.

ყავა რომ მოიტანეს, მოურავმა გული გაუხსნა სტუმრებს. განაცხადა, რომ ფულს აგროვებს და ოცნებობს, შემოსავლიანი სახლი იყიდოს ჰავანაში, თავი დაანებოს მუშაობას და რენტით იცხოვროს. ეს რომ თქვა, სახეზე სულელური, მეოცნებე კაცის გამომეტყველება აღებეჭდა.

— ამიტომაც ვწვალობ აქ... არ მინდა, რომ ჩემი ქალიშვილი გლეხებს შორის აღიზარდოს.—დაამთავრა ვიდალიმ თავისი გრძნობების გადმოშლა. — ხვალ საღამოსათვის საბუთები მზად იქნება. დილით თქვენს მეგობარს შეგიძლიათ დაათვალიერებინოთ ქარხანა. მე თუ დაგჭირდეთ, კანტორაში მნახავთ.

— ღამე მშვიდობისა, ვიდალი.

— ღამე მშვიდობისა, ყმაწვილებო.

საწოლზე ჩამოკიდებული მარმაშის ფარდიდან ლუისისა და სებასტიანის ხმა ნაწყვეტ-ნაწყვეტად ისმოდა. საწოლის ქვეშ ჭრიჭინობელა ჭრიჭინებდა. ფანჯრებს იქით უკუნეთი ღამე გაწოლილიყო.

— იცი, — წაიბურტყუნა უკვე ძილში წასულმა ლუისმა,— როცა აქ ღამეს ვათევ, არა მჯერა, რომ არსებობს ჰავანა, რომ იქ ადამიანები ცხოვრობენ. ასე მგონია, თითქოს მოწყვეტილი ვარ მთელ ქვეყნიერებას. შენ დაგმართნია ასე?

სებასტიანი ნორმაზე ფიქრობდა, თუმცა ნორმა ახლა სხვასთან იყო. სებასტიანმა მათი პირველი ღამე გაიხსენა.

ნორმა ხის ქვეშ იდგა და ავტობუსს ელოდა. სებასტიანმა დაინახა, ავტომობილი შეაჩერა და წაყვანა შესთავაზა. ნორმა დათანხმდა, მაგრამ ისინი სახლში როდი წასულან. პლაჟზე გა-

ისეირნეს მარიანაოში, ღამის სამ საათზე კი ორივენი სებასტიანის საწოლ ოთახში აღმოჩნდნენ. ორი კვირის შემდეგ ნორმამ სამუშაო მიატოვა, ისე რომ წინასწარ არ გაუფრთხილებია სებასტიანის მშობლები.

— „ეს მოსამსახურეები აუტანელნი შეიქნენ", — სწორედ ასე თქვა დედამისმა, „აუტანელიო".

სებასტიანი უხმოდ იწვა სიბნელეში. დარდი შემოაწვა — სწორედ ის არის დამნაშავე, რომ ნორმა მეძავი გახდა. კიდევ ცოტაც და ოთახსაც იქირავებს კრესპოს ქუჩაზე. უკვე დიდი ხანია დადის კიდეც იქ და ნებდება ყველას, ვინც მოხვდება, ოღონდ ფული იშოვოს. რას იზამ, ასეა! სებასტიანი რომ არა, სხვა გამოჩნდებოდა.

ღამის სიწყნარეში უეცრად ამოვარდნილმა ქარმა შეწყვიტა მისი ფიქრი. ოთახმა გარკვეული, რეალური სახე მიიღო, თითქოს მისი ბუნდოვანი, მოღლილი ფიქრების საწინააღმდეგოდ. ყველაზე მკვეთრად ფანჯრის ლურჯი ჩარჩო მოჩანდა, ოდნავ ბრწყინავდნენ ლითონის რაღაც საგნები. დააცქერდა და ძლივს გაარჩია ლუისის საწოლი, მაგიდა, კამოდი და ორი სკამი, რომელთაც ფორმა დაჰკარგოდათ საზურგეზე გადაკიდებული ტანსაცმლის გამო... ნორმას ადგილზე თვითონაც ასე მოიქცეოდა: უმჯობესია, გაყიდოს საკუთარი სხეული, ვიდრე ემსახუროს ისეთ ადამიანებს, როგორიც მისი მშობლები არიან. უკანასკნელად, სანამ თვალები დაეხუჭებოდა, დაინახა ლუისის ფეხსაცმელები, მის პირდაპირ საწოლის ქვეშ რომ ეწყო.

სებასტიანს განთიადზე გაეღვიძა. მზის ალმაცერი სხივები კედელზე მიცოცავდნენ, მამლების ყივილი ხან შორიდან ისმოდა, ხან სულ ახლოს. სებასტიანი გაღვიძებისას პირველად ყოველთვის სევდას იგრძნობდა ხოლმე, დღეს კი მშვენივრად

გრძნობდა თავს. კარგადაც ეძინა, მიუხედავად სხვისი ლოგინისა და ბალახის სუნისა, ზეწარს რომ ასდიოდა. ყველა სახლს თავისი სუნი აქვს. სებასტიანს არასოდეს არ შეხვედრია ორი სახლი ერთნაირი სუნით.

სანამ ისინი საუზმობდნენ, ლუისთან მოვიდა ვიღაც მუშა და დაუწყო ლაპარაკი თავისი ქალიშვილის შესახებ. ქალიშვილი ავად ჰყავდა და უნდოდა ქალაქში წაეყვანა. ლუისმა ოცი პესო მისცა მუშას, სანამ იგი ბოლომდე იტყოდა თავის გაჭირვებას.

— მიმიფურთხებია ფულისათვის. მე ის მაბრაზებს, რანაირად გთხოვენ ამ ფულს. ჰგონიათ, რომ აუცილებელია დაგიხატონ სურათი საშინელი სიღატაკისა, — ლუისმა ყავაში პურის ნაჭერი ჩაასველა და ფრთხილად მიიტანა პირთან.

— კიდევ ბედი გქონია, რომ არ მოგკლა. გლეხები ყველა მდიდრებს უნდა ხოცავდნენ.

— როცა მამა აქ ჩამოდის, ტკბება სიამოვნებით. გლეხებთან ლაყბობაც კი მოსწონს. თავი ყოველივე ამის მეპატრონედ და შემოქმედად მიაჩნია. მე მგონი, მეც რომ მოვინდომო, შემიძლია ასე მოვიქცე.

საუზმის შემდეგ ქარხანაში გასეირნება გადაწყვიტეს. ვიდალი მოვიდა მათთან. ლუისმა, რათა რაიმე ეთქვა მისთვის, ჰკითხა როდის დაიწყება ლერწმის მოჭრაო.

— ორი კვირის შემდეგ, — უპასუხა ვიდალმა; მის ხმაში საყვედური ისმოდა: ლუისს უნდა სცოდნოდა ეს.

მალე მთელი ოლქიდან დაიწყება მუშების დენა. ამ გაგანია სიცხეში დაიწყებენ ლერწმის ჭრას, ოფლად დაიღვრებიან. გზებზე, შაქრის პლანტაციების გასწვრივ, შაქრის ლერწმით დატვირთული ორთვალა ურმები გაიჭიმება. მეურმეები უწმა-

წური სიტყვებით დაუწყებენ გინებას ხარებს. ლერწამს ასწონიან, გადმოჰყრიან, ნაკუწ-ნაკუწად აქცევენ. შემდეგ კი ხარშავენ და ხარშავენ წვენს, სანამ ტკბილ, ყავისფერ კრისტალებად არ იქცევა.

— ქვაბში ბევრი თაგვები და ხოჭოები ცვივა, — შენიშნა მოურავმა. — იცით, ამას რომ ვამბობ, ჰავანელები ლამის გადაირიონ. მათ ხომ ვერც კი წარმოუდგენიათ ამისთანა რამ.

ლუისი ცენტრიფუგთან მივიდა და ლაპარაკი შემოესმა.

— არ ვიცი, რომელია. ორივენი, ეტყობა, იმისთანები არიან, ერთხელაც, რომ არ დასჯდომიათ კოჟიჟი ხელზე. მამა — ღორია, შვილი დიდი უმაქნისი.

— ოცი პესო მისცა იმ რიგობერტოს, სულ მოურავთან რომ ტრიალებს, ქალიშვილის წასაყვანად ექიმთან. ვინ იცის, იქნებ სულაც არაფერი სჭირს მის ქალიშვილს.

— ჩვენ კი ერთ გროშსაც არ მოგვცემდა... რიგობერტო ყველგან მოსძებნის გამოსაძვრენს...

ლუისი მიუახლოვდა მუშებს, უნდოდა, გამოლაპარაკებოდა და მათთვისაც მიეცა ფული. ორნი აღმოჩნდნენ მაზუთში ამოგანგლულები, ოფლად გაღვრილები. აღარაფერი უთქვამს მათთვის, უკანვე მობრუნდა სებასტიანთან და ვიდალთან.

მოურავი ქარხანაში დარჩა, მეგობრები კი სახლისაკენ წამოვიდნენ. ლუისს მაღალყელიანი საცხენოსნო ფეხსაცმელი ეცვა. მიდიოდა და ფეხსაცმელზე წკეპლას იტყაპუნებდა. წითელ მიწაზე დაჟანგული თვლები და მანქანის რაღაც ნაწილები ეყარა...

— ყური მოვკარი, რას ლაპარაკობდა ჩვენ შესახებ ორი მუშა. მე უმაქნისი მიწოდეს, მამაჩემს კი ღორი. კაცმა რომ თქვას, მართლები იყვნენ.

— მათი თვალსაზრისით — კი.

— როგორ შემიძლია გავაკეთო რამე, როცა ვიცი, რომ ასე ფიქრობენ ჩვენზე. აი, რაშია განსხვავება ჩემსა და მამაჩემს შორის. ვერ გამიგია, როგორ შეუძლია ისიამოვნოს თავისი საქმიანობით, როცა ირგვლივ ყველას სძულს. მეც ვცდილობ, იმისთანა ვიყო, მაგრამ არ გამომდის. გეფიცები, სებასტიან, არაფერი არ გამომდის.

გლეხების ჯგუფი მოდიოდა მათკენ.

— დილა მშვიდობისა, — მიესალმნენ ისინი და ბოლო სიტყვა გაჭიანურებით წარმოთქვეს.

— არ ვიცი, მართლა ასე ზრდილობიანები არიან თუ დაგვცინიან, — წამოიძახა ლუისმა.

— მგონი, ერთიც და მეორეც. — სებასტიანმა ქვა აიღო, ხელი მოიქნია და მთელი ძალ-ღონით გაისროლა. — ბევრ შაქარს ყიდით ნორმის ზევით?

— ჰო, მამაჩემი ახერხებს. აკრძალულია, მაგრამ ქრთამი ჯოჯოხეთს ანათებსო, ხომ გაგიგონია. ინსპექტორებიც ენას კბილს აჭერენ. ასეა ყველაფერში.

* * *

ისინი ავტომობილთან მივიდნენ.

— არაფერია სოფლის ცხოვრებაზე უფრო მოსაწყენი: ხეები, ეს სულელური ძროხები, ტალახი, კოღოები, — ლუისი დაკბენილ შუბლს იფხანდა. — მაინც როგორ ძვრებიან კოღოები ბადეში!

მან გლეხებს შეხედა, რომლებიც ლერწამსა ჭრიდნენ. ეტყობოდა, მთელი ღამე ასე მუშაობდნენ.

— შეხედე ამ გლეხებს, --- განაგრძო ლუისმა და მანქანაში ჩაჯდა. ჰავანაში ესენი არავის აგონდება. არ ვიცი, რანაირად აპირებენ კომუნისტები მათი ცხოვრების გაუმჯობესებას. ეს შეუძლებელია. ისინი ყოველთვის გლეხებად დარჩებიან. ერთხანს კომუნისტებმა კარგი საქმე გაუჩინეს მამაჩემს. დარაზმეს მუშები და მამაჩემი იძულებული შეიქნა, ხელფასი მოემატებინა. მაგრამ სულერთია, თვეში ათასი პესოც რომ მიიღონ, მათ ცხოვრებას მაინც არა აქვს აზრი, საქონელივით ცხოვრობენ... და თუ აქვს მათ ცხოვრებას რაიმე აზრი, ჩემთვის მაინც გაუგებარია... მე ისიც კი ვერ გამიგია, რა გვინდა ჩვენ აქ.

შაქრის ქარხანა და პლანტაციები უკან დარჩა, ახლა ისინი გზატკეცილს მიჰყვებოდნენ ჰავანისკენ.

— სავსებით შესაძლებელია, რომ მხოლოდ და მხოლოდ გლეხები გადარჩნენ ცოცხლები, როცა წყალბადის ყუმბარა მიწასთან გაასწორებს ხალხს. მომავალი გლეხებს ეკუთვნის. ისინი იქნებიან მემკვიდრენი რადიაქტიური სამყაროსი.

ლუისს არც კი გაუღიმია, როცა სებასტიანის მსჯელობას ისმენდა.

რამდენიმე წუთს ხმაამოუღებლად მიდიოდნენ. სებასტიანმა ფანჯარაში გაჰყო ხელი და იგრძნო, როგორ სწვავდა მზე. კილომეტრების მაჩვენებელმა ბოძმა გაიელვა: 403 ჰავანამდე.

— რითი დასრულდა ის კომუნისტების ამბავი? — იკითხა სებასტიანმა.

— ყველანი მიიმალნენ. თუ მუშების ხელმძღვანელები კომუნისტები არ არიან, იოლად მოისყიდი. ჩვენ ბევრი ლიდერი მოვისყიდეთ, მაგრამ კუმუნისტი თითქმის არც ერთი არ

ყოფილა. ისინი ყველაფერს მეტისმეტი სერიოზულობით უყურებენ და სწამთ ის, რასაც აკეთებენ.

— სწორედ ამაშია ჩვენი უბედურებაც. ჩვენ კი ვერ ვამჩნევთ, რომ ცხოვრებაში რაღაც მაინც არის მყარი. შენ შენს მოხუცებულსა ჰგევხარ, მე კი ჩემსას. ჩვენ კომფორტისა და სიცრუის ატმოსფეროში აღვიზარდეთ. ჩვენ მხოლოდ ერთი რამ განგვასხვავებს მოხუცებისაგან: არა გვწამს სისტემა.

— არ მესმის, რაზე ლაპარაკობ.

სპიდომეტრის ისარი ოთხმოცთან ირხეოდა. მანქანა ლუისს მიჰყავდა. სებასტიანი ამწვანებულ მინდვრებს გაჰყურებდა. წინ წაიწია, ფეხები გაჭიმა და თავი საავარძლის საზურგეს მიაყრდნო.

— ჰავანაში საქმე არაფერი გვაქვს, რატომ ვბრუნდებით?

— არაფერია. ცხოვრებაში მოძრაობაა საჭირო.

მატანსასში სადილად შეჩერდნენ. რესტორნიდან მთლიანად მოჩანდა ყურე.

— მე მომწონს ზღვა: სულ მოძრაობაშია, არც ხეებია, არც ადამიანები, არც შაქრის ქარხნები. დასწყევლოს ღმერთმა, ერთი იახტა მაინც გვქონდეს, ჩვენ ერთად უნდა ვიშოვოთ ფული, სებასტიან.

— მე უკვე გითხარი, რომ შეგიძლია გქონდეს ჩემი იმედი. მაგრამ, მე მგონია ბიზნესში ვერ იპოვი იმას, რასაც ეძებ. უფრო მეტად წაიბილწები. რატომ არ წერ? შენ გაქვს წარმოსახვის უნარი და საკმაოდ ძლიერი ხასიათი. რა თქმა უნდა, ამით ფულს ვერ იშოვი, მაგრამ შენ ისედაც ბლომად გაქვს ფული. შეგიძლია იყიდო შემოსავლიანი სახლი, რენტით იცხოვრო და წერო. წიგნებში შეგიძლია კიდეც დახოცო ისინი,

ვინც გძულს. მე ვცდილობ რომანის დაწერას, მაგრამ არ გა-
მომდის, არეული მაქვს თავში ყველაფერი.

— არა, იმათ მათივე იარაღით უნდა ურტყა. მწერლებსა
და არტისტებს ყველა დასცინის. მწერალი ხელმოცარული
ადამიანია.

— ვითომ რატომ! ადრე თუ გვიან ყველა ხელმოცარული
იქნება. ქრისტემ თავისი მოძღვრებით, გიყვარდეს მოყვასი შე-
ნიო, ისტორიაში უდიდესი მარცხი განიცადა, მაგრამ ნახე, რა
სახელი მოიხვეჭა. ბიზნესში..... — სებასტიანს კიდევ უნდოდა
რაღაც ეთქვა, მაგრამ ლუისი აღარ უსმენდა, ანგარიშმიუ-
ცემლად ამტვრევდა კბილის საჩიჩქნს.

რა იცი, იქნებ ასეც სჯობდეს. ქარხანაში დარწმუნდა, რომ
ყოველივე იმას, რაც ჰავანაში დარჩა, არავითარი ფასი არა
აქვს მისთვის. მისი ცხოვრება სუფრაზე დაყრილ დამტვრე-
ულ კბილის საჩიჩქნსა ჰგავს, თუ სულს შეუბერავ და იატაკზე
გადაჰყრი, ამით არაფერი დაშავდება.

— შენ ძარღვებში სისხლი გაქვს თუ ვარდის წყალი? მათ
თავისივე იარაღით უნდა დასცხო. ჯერ მინდა მილიონი პესო
ვიშოვნო, მერე კი ამ საქმიანობას თავს დავანებებ და ვეღარა-
ვინ იტყვის, ხელმოცარული კაციაო.... მაშინ შეიძლება დაკ-
წერო კიდეც იმის შესახებ, თუ ერთხელ როგორ დავუმტკიცე
მათ, რომ შემიძლია ვაჯობო. ყველაფერს დავწერ, რასაც ვფი-
ქრობ მამაჩემის კომპანიონებზე, ბანკებზე და ყველა იმ სუბი-
ექტებზე. რომ იცოდე, სებასტიან, როგორ მძულს ისინი.

ყურის მეორე მხარეს თითქოს უძრავად იდგა სამგზავრო
გემი.

— იცი, შენ ერთადერთი ადამიანი ხარ, ვისთანაც შემი-
ძლია ასე გულახდილად საუბარი, მაგრამ ზოგჯერ არ მესმის
შენი საუბარი. მე მინდა ვიცოდე, როგორ მოიქცეოდი შენ,

საქმოსანი რომ ყოფილიყავი. ჩემს ადგილზე წარმოიდგინე თავი.

— ეს შეუძლებელია. ადამიანს არ შეუძლია ასე შეიცვალოს.

— ერთხანს მამაჩემიც წინააღმდეგი იყო ჩვენი მეგობრობისა. ყველა ჩემ სისულელეში შენ გდებდა ბრალს... იმიტომ აღარ მოვდიოდი შენთან. თუმცა ამით არაფერი შეცკლილა. ვერ გამიგია, რატომ არ შემიძლია გამოვამჟღავნო ჩემი უნარი კანტორაში? იქნებ ფსიქიატრს უნდა მივმართო... როცა შენ, რაც მოგხვდება, იმაზე ლაპარაკობ, ადამიანები სერიოზულად ღებულობენ შენს ნათქვამს, მაგრამ როცა მე მინდა გამოვთქვა ჩემი აზრი, მეუბნებიან, ჯერ ისევ ბავშვი ხარო და ყურადღებასაც არ მაქცევენ. ვერ გამიგია, რატომ არის, რომ არავინ პატივს არ მცემს?

— იმიტომ, რომ შენ ჩემზე გულწრფელი ხარ. უმეტესობას, რასაც მე ვამბობ, თითქოს მე კი არა, ვიღაც სხვა ლაპარაკობს. თუ გინდა, რომ მიაღწიო რამეს, უნდა იცრუო, მოატყუო ყველა, მით უმეტეს თუ მილიონის მოპოვება გინდა. ბიზნესი მთლიანად სიცრუეა. უნდა დაიჯერო, რომ გლეხები ბედნიერები არიან, თუმცა შიმშილით კუჭი უხმებათ.

— მე არ ვიცი, რა მინდა ან რა უნდა გავაკეთო! — წამოიძახა ლუისმა, კბილის საჩიჩქნი გატეხა, თავი გადასწია და ხმამაღლა გადიხარხარა.

საით წავიდე?

— ერნესტ ბოურისაგან. — ყურმილში ისევ გაიმეორეს: — ერნესტ ბოურისაგან.

სებასტიანს ვერ გაეხსენებინა ვერც ერთი ადამიანი, რო-

ძელსაც ერხესტ ბოური ერქვა. არასოდეს არ გაუგოხია ასეთი გვარი. ამერიკელი ქალი სასტუმრო „სურფში“ იყო ჩამომხტარი. ეს სასტუმრო ზღვის პირას იყო, გალიანოს მახლობლად. სანაპიროს რომ მიუახლოვდა, სებასტიანმა ნერვიულობა დაიწყო. ალბათ, ვიღაც ისტერიული ბებერი იქნება. ლამაზი ქალი არ დაიწყებდა რეკვას იმ საბაბით, რომ არავის ვიცნობ ქალაქშიო. გულში კი მაინც იმედი ჰქონდა, რომ მომხიბვლელ ქალს შეხვდებოდა. საღამოს ნორმა დაუკაკუნებს კარზე და არავინ გაუღებს. ხომ არ შეიძლება მუდამ მის ვიზიტებზე იყოს დამოკიდებული. თითქოს ნორმა ერთადერთია და უკანასკნელი, რაც მას დარჩენია... ამ ქალს ნენსი ჰქვია, ასე უთხრა მან. თუმცა, ხმაც მატყუარაა, როგორც სხვა ყველაფერი.

სებასტიანი სარწეველა სავარძელში ჩაჯდა და თვალიერება დაუწყო მწვანე არაბესკებით მორთულ ნარინჯისფერ ფილებს. თავის გასართობად ქანაობა დაიწყო. სანაპიროს მოჯირი ფარავდა ზღვას. მხოლოდ შორს, ძალიან შორს მოჩანდა პატარა სინათლე: ალბათ რომელიღაც გემი იყო.

ყოველ ფეხის ხმის გაგონებაზე სებასტიანი თავს მოაბრუნებდა ხოლმე.

— I hope, I haven't kept you waiting too long[1], — მიმართა მაღალმა ქალიშვილმა, რომელსაც წვრილნაკეცებიანი, განიერი ქვედა კაბა ეცვა, და მიუახლოვდა მას.

— სრულებითაც არა. მომწონს ასე ჯდომა და თვალიერება გამვლელ-გამომვლელისა.

— მე კი საშინლად მძულს ლოდინი. ამიტომაც მთელი

---

[1] იმედი მაქვს, დიდხანს არ გალოდინეთ (ინგლ.).

ჩემი ფული ტაქსში მეხარჯება. იმიტომ კი არა, რომ ავტობუსები არ მიყვარს, უბრალოდ, დიდ ხანს თუ ვიცადე, ყვირილი მომინდება.

სებასტიანი დამშვიდდა. ნენსის უაზრო ტიკტიკმა გაუქარწყლა ნერვიული დაძაბულობა.

—არ გეშინიათ, გიჟად რომ ჩაგთვალონ, უცხო მამაკაცს პირდაპირ ასე რომ დაუწყეთ ლაპარაკი?

— არა, არ მეშინიახ. — იგი სარწეველა სავარძელში ჩაჯდა, სებასტიანის პირდაპირ.

მისი სახის ნაკვთები განსაკუთრებით არაფრით გამოირჩეოდა. რომ გაგეგოთ, როგორი თვალები ჰქონდა, საგანგებოდ უხდა დაკვირვებოდით. ნენსის ფეხი ფეხზე შემოუდო, კაბა ძლივს წვდებოდა მუხლებამდე. სებასტიანმა ვეღარ მოითმინა და ფეხებზე შეავლო თვალი.

— რომელი საათია? — შეეკითხა ნენსი და ქანაობა შეწყვიტა.

— ათი წუთია ცხრის.

— ჰო, ისინი უკვე ნიუ-იორკისაკენ მიფრინავენ.

— არაფერი მესმის.

— ჩემი და დღეს გათხოვდა და ნიუ-იორკში გაფრინდნენ. იქ უნდა გაატარონ თაფლობის თვე. მე კი ჰავანაში ჩამოვედი... — მას არ უთქვამს, რომ მისი და ცოლად გაჰყვა იმ კაცს, რომელიც მას, ნენსის, უყვარდა. მამამ ფილადელფიიღან ჰავანაში გამოისტუმრა, რათა არ დასწრებოდა ქორწინებას. — არ მიყვარს ცერემონიები.

— საქმე ისაა, რომ ვერ გავიხსენე, ვინ არის ერნესტ ბოური. ის მიცნობს მე ?

— მე ის თქვენს მეგობრად გამოვაცხადე. არ მინდოდა

მეთქვა, რომ მამა იყო ჩემი. თავი მომაბეზრა იმან, რომ ყოველთვის მამა აწესრიგებს ჩემს საქმეებს. მამაჩემი ჟურნალ „მეტროპოლიტენის“ აქციონერია. ნიუ-იორკში დარეკა და გაიგო გვარი მათი ჰავანელი კორესპონდენტისა. თუ არ გსურთ ჩემი თანხლება, შეგიძლიათ წახვიდეთ და არ შეიწუხოთ თავი...

— ახლა რომ გამაგდოთ კიდეც, მაინც არ წავალ. — უარი განაცხადა სებასტიანმა. — რა თქმა უნდა, ყოველგვარი მეურვეობა თავმოსაბეზრებელია. ეს გასაგებია ჩემთვის... ამაზე არ ღირს ლაპარაკი. წამოდით, კუბის ჯუნგლებში წაგიყვანთ.

— მე ყოველთვის ასეთი არა ვარ... ცოტახნის შემდეგ უკეთესი ვიქნები.

როცა ისინი „ტროპიკანში“ მივიდნენ, ნენსის უკვე მოესწრო შეგუება სებასტიანთან. შორს, შორს გაფრინდა ენდრიუსა და დის სახე, როგორც ის თვითმფრინავი, რომელიც საქორწინო მოგზაურობისათვის მიაქროლებდა მათ. ნენსის ზღაპრული ეჩვენა ბაღი, რომელშიაც დასეირნობდნენ, მაგრამ არავითარი გაოცება არ გამოუხატავს.

ოფიციანტმა ისინი განაპირა მაგიდასთან დასვა, პალმის ქვეშ. სცენა ჩაბნელებული იყო. ორკესტრი რაღაც საცეკვაოს უკრავდა.

— ერთხელაც ვერ ვეღირსე კარგ მაგიდას აქ, — თქვა სებასტიანმა და დარბაზი მოათვალიერა.

— არა მჯერა არცერთი შენი სიტყვა. ყოველივე ეს ინტელიგენტური ბაქიაობაა, — ღიმილით უთხრა ნენსიმ.

— თუ კინოში შევედი, აღმოჩნდება, რომ პროგრამა შეცვლილია, თუ ვინმე ვახშამზე დავპატიჟე, აღმოჩნდება, რომ რესტორანი დაკეტილია ან თავისუფალი ადგილი არ არის.

— ასე ყველას ემართება, შენ აზვიადებ...

— მოგწონს აქ ყოფნა?

— მომწონს, იმიტომ რომ ღამის კლუბს არა ჰგავს. ბე მხოლოდ ერთი რამით განვსხვავდები ჩემი მეგობრებისაგან: არ მიყვარს სმა. ვერავითარ სილამაზეს ვერ ვხედავ ამაში.

— მაშ რატომ შეუკვეთე მარტინი? თუ გინდა, სხვაგან წავიდეთ. მეც არ მიყვარს კაბარე. აქ მხოლოდ იმიტომ მოვდივარ, რომ დამოუკიდებელი, მაღალი საზოგადოების კაცის სახელი გამივარდეს.

— არა, არა, დავრჩეთ, ხანდახან მინდა, ცოტა მაინც დავლიო, რათა დავრწმუნდე, რომ არაფერი კარგი არ გამომრჩენია.

პროექტორები აანთეს, ლამაზი თეძოების რხევით გამოცქრიალდნენ მოცეკვავენი, ზედ შემოტმასნილი ტრუსებითა და ფარშავანგის ფუჩფუჩა ბოლოებით. მოსაწყენი სიმღერებისა და ორაზროვანი ხუმრობის შემდეგ, რომელიც ნენსიმ ვერ გაიგო, სცენა კვლავ ჩამობნელდა. სებასტიანმა ჰკითხა:

— რით ცხოვრობ? რენტა გაქვს და ქმარს ეძებ, თუ პატივმოყვარე ოცნებებით აღსავსე დამოუკიდებელი ქალი ხარ?

— არ ვიცი, რა ვარ. დაინტერესებული ვარ კერამიკით. ამით თავს ვირთობ. მიყვარს ხელებით შრომა, რაღაც ნივთების შექმნა. ზოგიერთ რამეს გაჩვენებ... როცა მეორედ ჩამოვალ: თან არაფერი წამომიღია. მთავარი ის არის, რომ მამაჩემი მილიონერია. საშინლად მომაბეზრა თავი იმან, რომ ასეთი ყოვლისშემძლე მამა მყავს. ყველა ჩემს პრობლემას ის თავისებურად ჭრის.

— ამან არ უნდა გაართულოს შენი ცხოვრება. თუ მდიდარ ადამიანს უკვე თავს აბეზრებს თავისი სიმდიდრე, ეს იმას ნიშნავს, რომ დადგა უკვე მისი აღსასრული. ეს საზოგადო პრობლემაა შეერთებული შტატებისა: მდიდარი ქვეყანა,

რომელმაც არ იცის, რაში გამოიყენოს თავისი სიმდიდრე. სინამდვილეში ეს ხომ პურიტანების ქვეყანაა. ახლა, როცა მათი მზე ჩაესვენა და შეუძლიათ მთლიანად მიეცნენ გართობა-დროსტარებას, აღმოჩნდა, რომ ამისი უნარიც არა ჰქონიათ:

— ეს ყველაფერი მეტისმეტად რთულია ჩემთვის. არ მიხდა ამაზე ფიქრი... იცი, ვის გევხარ?

— არ ვიცი.

— ბეტ დეივისს. შენც ისეთი თვალები გაქვს.

— სასაცილოა. მე სებასტიანს ვგევარ, სხვას არავის.

— ცეკვავ?

— თუ მეტისმეტად ჩქარი არ არის. მოდი, ვცადოთ ეს ბოლერო. ნენსი ლოყით მიეკრა მის ლოყას.

— ხომ ხედავ, არც ისე ძნელია. — ნენსიმ სახეში შეხედა სებასტიანს.

— შენ როგორ გგონია, ცეკვა მხოლოდ იმის საბაბი ხომ არ არის, რომ მამაკაცს მოეხვიო?

— გაჩუმდი... ნუთუ არ გესმის? მე ხომ ქალი ვარ, მიყვარს ილუზიების შექმნა და იმის ფიქრი, რომ ადამიანებს არავითარი ცუდი განზრახვა არა აქვთ.

— სებასტიანს გაახსენდა, როგორ ითმენდა ნორმა ყოველგვარ მის ჟინიანობას, მაშინაც კი როცა არაფერი ესმოდა. მას უნდოდა, გახუმრებოდა ნენსის, ისე როგორც ნორმას ეხუმრებოდა ხოლმე, მაგრამ ეს არც ისე იოლი აღმოჩნდა. ნენსი ბევრად უფრო ჭკვიანი იყო ნორმაზე და თვითონვე შეეძლო მისი დაგესვლა.

როცა მაგიდასთან ბრუნდებოდნენ, სებასტიანმა შენიშნა,

რომ ნენსის ცალი წინდა ჩამოუვარდა. გველის ტყავივით ჩამოუსრიალდა, ნენსი კი ცეკვას განაგრძობდა და სახეზე აღტაცება ეხატებოდა. სებასტიანს უნდოდა ეკოცნა ნენსისთვის, მაგრამ ჩამოვარდნილმა წინდამ გუნება წაუხდინა.

როცა დასხდნენ, ნენსიმ თვალები დახუჭა და ხელი მავიდაზე დასდო, სებასტიანმა ხელი მოუჭირა მის ხელს. მაგრამ ახლაც ჩამოვარდნილი წინდა გაახსენდა. ალერსიანი სახე ნენსისა თითქოს .სხვა სხეულს ეკუთვნოდა. დაწყეველილი წინდა ბებერი ქალის დანაოჭებულ კანს აგონებდა. სებასტიანი რომ ნორმასთან ყოფილიყო, მისი სურვილი აღარ განელდებოდა. ნორმა ყოველთვის პატარა მხეცივით იყო და არცა ჰქონდა პრეტენზია იმისა, რომ მანდილოსანი ეწოდებინაო. სებასტიანი შეეცადა, აღარ ეფიქრა ნორმაზე. მას მოსწონს ნენსი და სულაც არ არის საჭირო ისე მოიქცეს, თითქოს ნევრასტენიით შეპყრობილიაო.

— წეღან ამბობდი, არაფერი გამომდისო. მე კი მგონია, ასე იმიტომ ამბობ, რომ შენი სიცრუე ამხილონ. არ მეგონა, თუ ასე კარგად ცეკვავდი. ვერ ვიტან, როცა მამაკაცები ცეკვის დროს კოპწიაობენ.

მანქანაში ისინი ერთმანეთს გადაეხვივნენ. ნენსიმ თქვა, აჩქარება საჭირო არ არისო... შემდეგ, როცა ხელმეორედ ჩამოვა ჰავანაში... ხვალ ხომ მიფრინავს. ნენსი მოწყენილი ჩანდა.

სებასტიანმა წარმოიდგინა, როგორ აკაკუნებს ნორმა კარებზე, სახლი კი ცარიელია, ძაღლებმა ყეფა ატეხეს და კარს არავინ უღებს.

* * *

ცაში უძრავად გარინდულიყო სამი ღრუბელი.

ნორმა წინ მიდიოდა. სებასტიანმა შეამჩნია, ნორმა გასუ-ქებულიყო; კაბა ძეხვის კანივით ჰქონდა შემოკრული, „მით უფრო მიმზიდველია“, გაიფიქრა მან და ხელი გამოსდო, როცა ქუჩაზე გადადიოდნენ. ნორმამ სთხოვა ჩქარა წავიდეთო. კინო ოთხი კვარტალით იყო დაცილებული. უნივერსიტეტთან რომ ჩაიარეს, სახელგანთქმულ კიბეებთან, Alma Mater-ისკენ რომ მიიმართებოდა, სტუდენტები დაინახეს, რომლებიც დე-მონსტრატიულად სწვავდნენ კონსტიტუციას. სარკოფაგის ირგვლივ საპატიო ყარაული იდგა.

26 ივლისს ასამდე კაცი, ადვოკატის მეთაურობით, რომელ-საც ანთებული სევდიანი თვალები ჰქონდა, თავს დაესხა მონ-კადას ყაზარმებს სანტიაგო-დე-კუბაში. მცირე ჯგუფი, რომე-ლიც მათგან ცოცხალი გადარჩა, ციხეში ელოდა თავის განა-ჩენს. მთავრობამ გააუქმა საკონსტიტუციო გარანტია ორმოც-დახუთი დღით.

სებასტიანმა უკვე ნახა გაზეთებში დახოცილთა და დაპა-ტიმრებულთა სიები: ფრანსისკო მათ შორის არ ყოფილა. შე-იძლება დაიღუპა კიდეც. სებასტიანმა ბანკში დარეკა, ფრან-სისკო ახლა სარდაფშიაო, უპასუხეს. ხვალისათვის გაივლის მასთან და სადილად დაპატიჟებს.

„ისინი ვერასოდეს ვერ აიღებდნენ ყაზარმებს“, გაიფიქრა სებასტიანმა.

სტუდენტები უხეშ გაზეთის ქაღალდზე დაბეჭდილ პროკ-ლამაციებს ფანტავდნენ. ნორმამ ორი ცალი აიღო და ერთი სებასტიანს მიაწოდა.

სებასტიანს დიდი ხანია უნდოდა სტატია დაეწერა სტუდენტებზე, თუ როგორ სწავლობენ ისინი პლატონს და ებრძვიან პოლიციელებს. კუბაში ხომ ბევრი რამ არის გასაკეთებელი და სტუდენტებმა უნდა გამოასწორონ წარსულის შეცდომები.

ისინი კიბეებზე ავიდნენ. ნორმა ერთ ქალს უყურებდა, რომელსაც თავზე ფრიგიული ქუდი ეხურა და ნაციონალური ალამი ჰქონდა შემოხვეული.

რეპროდუქტორებიდან ნაციონალურმა ჰიმნმა დაიქუხა. სებასტიანს სუნთქვა შეეკრა მღელვარებისაგან. უფრო რთულ მდგომარეობაში გამოუჩენია თავის შეკავების უნარი. გაფუჭებული ფირფიტა ოთხჯერ შეჩერდა ერთსა და იმავე სიტყვაზე. სებასტიანმა თავისუფლად ამოისუნთქა. გულზე მოეშვა.

— კონსტიტუცია ფეხქვეშ გათელეს. და თქვენ იცით, ვინ არის ყველაფერში დამნაშავე: ბატისტა, სისხლისმღვრელი სატრაპი! გენერალი ფიქრობდა, რომ... — ორატორი მოჰყვა ყვირილსა და ხელების ქნევას.

ხშირად ისმოდა სიტყვები „თავისუფლება“, „კორუპცია“, „ხალხის უფლება“. რამდენიმე წუთის შემდეგ სებასტიანს მოთმინება დაეკარგა და ნორმას მიუბრუნდა:

— რომელი უფრო ძველი პროფესიაა მსოფლიოში: პროსტიტუცია თუ პოლიტიკა?

ნორმამ მუჯლუგუნი უთავაზა გვერდში.

— წავიდეთ, თორემ კინოში დაგვაგვიანდება.

კიბეებიდან რომ ჩამოვიდნენ, სამი მანქანა დაინახეს პოლიციელებით. თხუთმეტიოდე პოლიციელმა ალყა შემოარტყა ქუჩას. სტუდენტებმაც შენიშნეს მემანქანეები. სან-ლასაროს ქუჩა უნივერსიტეტთან მთავრდებოდა.

მანიფესტანტებმა ყვირილი დაიწყეს:

— იძლევით თუ არა ბატისტას თავს? მოგვეცით ბატისტას თავი!

სებასტიანმა წარმოიდგინა სხეულისაგან მოცილებული, უზარმაზარი, გაბერილი თავი, რომელსაც ფეხით დააგორებ-დნენ ქუჩაში..

ოთხმოცამდე სტუდენტი დაეშვა ქვევით, კიბეებზე, პირ-დაპირ პოლიციელებისაკენ. ისინი ყვიროდნენ, სიძულვილითა და მრისხანებით აღსავსენი. რაც უფრო ქვევით ჩამოდიოდნენ, მით უფრო გარკვევით ისმოდა მათი ყვირილი... სტუდენტები მართალი იყვნენ: ისინი სიმართლეს ლაპარაკობდნენ.

სებასტიანი და ნორმა ტროტუარზე შეჩერდნენ. ორმა ახალგაზრდამ გვერდით ჩაუარა, შეხედეს და მიამიტად გაი-ცინეს. ქვევით ჩასვლისას სტუდენტებმა შეამჩნიეს, რომ პო-ლიციელების რიცხვმა იმატა: თითქმის იმდენივე გახდნენ, რამ-დენიც მანიფესტანტები. მაშინ უცებ შეჩერდნენ და უკანვე გაიქცნენ. პოლიციელებმა ცეცხლი გახსნეს ავტომატებიდან. სებასტიანმა ხელი სტაცა ნორმას და მახლობელ სადარბაზო შესასვლელში შეაგდო.

მხოლოდ ერთი სტუდენტი გარბოდა ისევ პოლიციელები-საკენ. მისი ხელები პროპელერის ფრთებივით აპობდნენ ჰაერს. იგი ჩახრინწული ხმით გაიძახოდა:

— თა-ვი! თა-ა-ვი!

ახალგაზრდა ვერ ამჩნევდა, რომ დიდიხანია მარტო დარჩა როცა გონს მოვიდა, გვიანღა იყო, ავტომატის ტყვიებით დაცხრილული დაეცა მიწაზე. სებასტიანი ადგილზე გაშეშდა. ირგვლივ მხოლოდ კაკანი ისმოდა.

— წავიდეთ — ანგარიშმიუცემლად უთხრა მან ნორმას.

ხალხი გაიფანტა; ისინი ხმადაბლა აცხადებდნენ პროტესტს, რათა საკუთარი სინდისი დაემშვიდებინათ და პოლიციელებს არ გაეგოთ.

— როგორ გგონია, მოკვდა? — შეეკითხა ნორმა, როცა თავი დააღწიეს საფრთხეს.

— რა თქმა უნდა.

ნორმამ დაინახა, როგორ ნაჭრის თოჯინასავით მოეშვა ჭაბუკის სხეული და ტირილი მოუნდა, მაგრამ რაღაც გაუგებარმა ძალამ აიძულა, საყვედურით მიემართა მსხვერპლისათვის.

— თვითონვე მოიკლა თავი! პოლიცია ხომ ვერ მისცემს იმის ნებას, რომ ბატისტა ლანძღოს!

— შენ მომკლავ, რომ გაგლანძღო?

— მე რას წარმოვადგენ. შენ ვერაფერს შეგასმენს კაცი, ყველაფერს გადაასხვაფერებ ხოლმე.

— იმას ხომ არა ჰქონდა იარაღი.

— მერე რა? უნივერსიტეტში თუ დადის, ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ყველაფერი იცის.

— რასაკვირველია, არა... პოლიციელს, რომელმაც მოჰკლა იგი, ალბათ ორი კლასიც არ ექნება დამთავრებული, მაგრამ ავტომატი აქვს ხელში. აი, რაშია განსხვავება.

— თუ ასე აგაღელვა ამ ამბავმა, რატომ არ გამოექომაგე?

— იმიტომ რომ მხდალი ვარ. შემეშინდა. ყველა ხომ გულადი ვერ იქნება.

— იმ სტუდენტს რომ ავტომატი ჰქონოდა, ისიც ხომ მოჰკლავდა პოლიციელს.

— ჰო, მაგრამ ჯერჯერობით არაფერი აქვს.

— კარგი, რაც მოხდა, მოხდა. ჩქარა წავიდეთ, ვიგვიანებთ.

ისინი ჩაბნელებულ დარბაზში შევიდნენ. სეანსი დაიწყო,

მაგრამ სებასტიანს კვლავ სტუდენტის დაღუპვის სურათი ედგა თვალწინ. ყველაფერი ისეთი სისწრაფით მოხდა, რომ ჯერაც ვერ მოსულიყო გონს... ეკრანზე კანტიფლასი გამოჩნდა. სებასტიანი ნორმას ჩვეულებრივ შეკითხვებს ელოდა. მერე გაახსენდა, რომ ნორმა მხოლოდ მაშინ ეკითხებოდა, როცა ფილმი ინგლისურ ენაზე იყო. ტიტრებს ვერ კითხულობდა. ნორმამ გაიცინა...

სებასტიანმა პირველად დაინახა თავის სიცოცხლეში, როგორ დაიღუპა მის თვალწინ ადამიანი, ის კი, როგორც მხდალს შეჰფერის, საკუთარ ტყავს გაუფრთხილდა ...კანტიფლასი ლაპარაკს მოჰყვა და ხალხიც გულიანად ახარხარდა.

ამ საღამოს ნორმას დაწოლისთანავე ჩაეძინა. დაწოლის წინ კიდევ შეიცოდა დაღუპული სტუდენტი, თანაც დააყოლა, სტუდენტები სულელები არიან, თუ ფიქრობენ, რომ შეუძლიათ ბატისტას ჩამოგდებაო.

სანამ სებასტიანი იხდიდა, ნორმა ტუჩებით უღიტინებდა ბეჭებზე, მაგრამ როცა დაწვა, ნორმას უკვე ღრმად ეძინა.

სებასტიანმა თვალები დახუჭა, უფრო მოხერხებულად დაწვა. ძილი უფრო შორეული ეჩვენებოდა, ვიდრე დღეს შუადღით მომხდარი ამბავი. სულ რაღაც მცირე დროით შეეძლო სიახლოვე ეგრძნო ადამიანთან, მაგრამ ეს რამდენიმე წუთიც სრული ილუზია იყო და არავითარ სიამოვნებას არ ანიჭებდა. ადამიანები არასოდეს არ უახლოვდებიან, მხოლოდ ხვდებიან ერთმანეთს, საიდანღაც მოდიან და მერე ისევ საითკენღაც მიდიან...

სებასტიანმა ფანჯარაში გაიხედა... ადამიანი მოკვდა მის თვალწინ. არა, მას არ უნდა გახდეს მსხვერპლი პოლიტიკური უაზრობისა. სტუდენტი დაიღუპა იმიტომ, რომ ლაწირაკი

იყო. ლაწირაკი, რომელიც მართალია... ეს საშინელებაა. ერთადერთი გამოსავალია — იცხოვრო პოლიტიკის გარეშე.

სებასტიანმა პალმის შრიალს მოჰკრა ყური, დააკვირდა და გაარჩია პალმის სილუეტი. სამეფო პალმა, დასვრეტილი და უსარგებლო. მისი ღერო მეტისმეტად რბილია, მყარს ვერაფერს ვერ შექმნი მისგან, მხოლოდ უბადრუკ ქოხებს თუ ააშენებენ, რომლებშიც ჯერ კიდევ ხუთასი წლის წინათ ცხოვრობდნენ ინდიელები. მის თესლსაც მხოლოდ ღორები ჭამენ. ერთი სიტყვით, ხე კი არა დეკორაციაა. რბილი მერქანი ზიზღს იწვევდა მასში. ჯერ კიდევ პატარა იყო სებასტიანი, პალმას რომ დაეჯახა, ციკლონისაგან წაქცეულს. დანა ამოიღო და ჩაასო მის რბილ სხეულს ერთხელ, მეორედ, მესამედ, მანამ არ დარწმუნდა, რომ წინააღმდეგობას არ უწევს... მისი ქვეყანაც ასეთივეა გარეგნულად, როგორც ეს პალმა—უნაყოფო და ცარიელი. ათასობით წელია საჭირო იმისათვის, რომ რომელიმე ქვეყანა რეალობად იქცეს. როგორც ესპანეთი, ინგლისი. შეერთებული შტატებიც კი უდაბნოა. კუბა კი — რბილი, უფორმო სხეული.

საითაც გაიხედავ, ყველგან პალმებია და ყველგან ბოროტებაა — დაწყებული ბატისტათი, რომელიც რამდენიმე სქელჯიბიანის სასარგებლოდ მართავს ქვეყანას, გათავებული სასამართლოს ჩინოვნიკით, ქრთამით რომ ჭამს პურს. პალმა ამშვენებს ნაციონალურ ღერბს. ათასობით ბეჭედი გამოხატავს მას საბუთებსა და ყოვლისშემძლე ქაღალდებზე, აკანონებს უაჩაღობასა და დანაშაულს.

სებასტიანს არ ეძინება. საით წავიდეს? რა თქმა უნდა, მთავარი მაინც გრძნობებია. ნორმა აკვიატებულ იდეად ექცა... რატომ არ შეირთავს ცოლად? მასთან ყოფნისას აღარ დაე-

კარგებოდა დრო უსარგებლო ფიქრებზე. სხვა ქალებთან სიახლოვე ყოველთვის სიბინძურის გრძნობას აღუძრავდა. ნორმა თითქოს ცხიმის მკვრივი წვეთი იყო მისი არსებობის წყალწყალა მორევში. იგი უნდა ფლობდეს ნორმას, რათა ცოცხალ ადამიანად იგრძნოს თავი. ახლა ყოველ შეხვედრისას ცდილობს, რაც შეიძლება, დიდხანს დატოვოს ნორმა... ეშინია, არ მიატოვოს. ნორმა არასოდეს არ დაეცემა ისე, რომ დასთანხმდეს რესპექტაბელურ ბურჟუაზიულ ქორწინებაზე. ნორმა ყოველთვის ნორმად დარჩება მაინც. როგორმე უნდა დაიყოლიოს, აუცილებლად უნდა დაიყოლიოს, რაც იქნება, იქნება. ნორმა საჭიროა მისთვის, მორჩა და გათავდა.

სებასტიანმა ნორმას დახედა. იგი მძიმედ სუნთქავდა ძილში. ძლივს შეიკავა თავი, რომ არ გაეღვიძებინა. ყურზე მოჰკიდა ხელი. ნორმამ თავი წამოსწია და მისი ხელი ლოყის ქვეშ ამოიდო. სებასტიანმა გაიღიმა და ფრთხილად გამოაცალა ხელი.

არ მომეკარო, ზანგო!

ნორმა ალერსით უჩეჩავდა მანუელს ხუჭუჭა თმებს. მისი თითები ყავისფერ ხის ნაჭრებს ჰგავდა შავ, პომადაწასმულ, ხშირი თმის ზვინში. მანუელმა აკოცა ნორმას.

— გეყოფა... უკანასკნელი კოცნაა, — უთხრა ნორმამ და თავიდან მოიცილა. — უკანასკნელი!

მანუელი განცვიფრდა.

— რატომ?

— თუ გინდა, მეგობრებად დავრჩეთ. თუ გინდა. მაგრამ დღეის შემდეგ აღარც ერთ სასტუმროში აღარ წამოგყვები.

— ერთ საათს კიდევ გიყიდი. დიდებულ საათს, ოქროს სამაჯურითა და ბრილიანტებით.

ზეწარს ნორმას სუნამოს სუნი შერჩენოდა. საწოლი ჯერ კიდევ ინახავდა მათი სხეულის სითბოს. მანუელი ვერაფერს მიმხვდარიყო.

— ამაში არ არის საქმე. თავს ნუ ისულელებ. თუ არ მიქირავებ ბინას, სხვა უნდა მოვძებნო. სინდისი სადა გაქვს? შენ არ იყავი, ამ ერთი წლის წინათ რომ შემპირდი ბინას. თვალსა და ხელს შუა მომატყუე! ახლა კი მეტს ვეღარ მოგიცდი. ისიც იცოდე, რომ მყავს კაცი, რომელსაც არ უნდა, რომ მე ხელიდან ხელში გადავდიოდე.

— ვინ არის?

— შენ არ იცნობ. მას ბევრი უსწავლია და სხვადასხვა რამეებს წერს; ჩემი ცოლად შერთვა უნდა.

— მიჰქარავ! შენ მურტალ ცხოვრებაში ერთხელაც არ შეგხვედრია მაგისთანა.

— წარმოიდგინე, რომ შემხვედრია.

— მოგკლავ, სხვასთან რომ წახვიდე! შენ ჯერ კიდევ არ მიცნობ მე, ნორმა!

— უჰ, როგორ მეშინია! — ნორმამ გადაიხარხარა და ვითომ შიშისაგან ხელები გაასავსავა. — შენი მუნდირით ვერ შემაშინებ!

ნორმა პერანგის ამარა იყო. მანუელმა სულ დაკარგა თავი.

— გიყვარს ის ტიპი?

— შენ რაღაც უცნაური გახდი. აღარ შემიძლია ასე. ბებრები მეზიზღებიან. შენ თუ არ დამეხმარები, იმასთან წავალ. მაინც რას გადავეყარე ასეთ უსინდისო ტიპს! ცარიელი ლაქლაქი ხარ, მეტი არაფერი! — ნორმამ კაბა გადაიცვა.

მანუელმა გაიფიქრა, რომ ვერასოდეს ვეღარ ჩაიკრავდა გულში ამ ქალს.

— მე არაფრის გაკეთება აღარ შემიძლია. შენ გინდა ვიქურდო? მე სერჟანტი ვარ და მეტი არაფერი. სად უნდა ვიშოვო ფული?

— მაშასადამე ბედი არა გწყალობს. არ მომეკარო, ზანგო!

მანუელმა იდაყვზე მოჰკიდა ხელი, ნორმამ სილა გაარტყა და ფრჩხილებით ჩააფრინდა მის ხელს.

— არ გაბედო ხელის მოკარება, არ გაბედო არასოდეს, გესმის? ძალით არაფერი გამოვა! ღორო! თუ გინდა, მომკალი კიდეც!

გაოგნებული მანუელი დაჩხაპნილ ხელზე ისვამდა ხელს.

— ბინას თუ დაიქირავებ, სულ შენი ვიქნები. აი, მაშინ გაიგებ, როგორი ნაზი ვარ და ვნებიანი, თუ მოვინდომე. ძალით ვერავინ ვერაფერს გახდება ჩემთან!

— სად ეშმაკში ვიშოვო ფული? — წუწუნებდა მანუელი, თან ისევ ხელზე ისვამდა ხელს.

— ჩემი საქმე არ არის. მე ქალი ვარ, კარგად დაიხსომე ეს. შენ კი კაცი. მოაწყე, როგორც გინდა. მე ჩემს თავზე უნდა ვიზრუნო.

მანუელი ტრუსების ამარა იჯდა საწოლზე, ფეხები იატაკზე ჩამოეშვა.

— ჩაიცვი ფეხსაცმელი! — დაუყვირა ნორმამ. — იატაკი ცივია, ახლა დამბლა არ დაგეცეს.

მანუელი ანგარიშმიუცემლად იცვამდა წინდებს. ვერაფრით ვერ მოსულიყო აზრზე, რა მოხდა. ერთი საათის წინ ყველაფერი ისე კარგად იყო და უცებ ყველაფერი გადატრიალდა. მან ფეხსაცმელი აიღო იატაკიდან.

— ხვალვე გამოგისყიდი საათს. მიწას გავხეთქავ და ვიშოვი ფულს. ნუ გეშინია...

— არ მინდა საათი. მე უკვე გითხარი, ნუ ისულელებ-მეთქი თავს. მე ოთახი მინდა, ოთახი ოთხი კედელით, გესმის? ოთახი და კარადა დიდი სარკით. მთლიანად მინდა დავინახო ჩემი თავი, როცა ვიცვამ... შენ ვერ გაიგებ ამას.

— კარგი, კარგი, ნუ ბრაზობ. საათიც გექნება და ოთახიც. აი, ნახავ. სულ რაღაც ერთი თვის შემდეგ დედოფალივით იცხოვრებ. ყველაფერი მოწესრიგდება, აი, ნახავ!..

* * *

ნორმა წავიდა. მანუელი დაბრუნდა სახლში. ათასნაირ ხმებს შორის, რომლითაც სავსე იყო ეზო, მისი ცოლის ხმა გამოირჩეოდა: იგი შვილს ეძახდა. ბიჭი ყოველ დაძახებაზე ჯიუტად პასუხობდა: „რა გინდა?“ ისიც მკივანა ხმით ისევ იმეორებდა მის სახელს.

— სულიც გაგძრობიათ ყველას, — წაიბურტყუნა მანუელმა, რომელიც კიბეებზე ადიოდა. — რას ჩამაცივდნენ, რატომ არ მომასვენებენ?

ცოლმა კარი გაუღო და აკოცა. მანუელი ტუჩებით შეეხო მის ცივ, ოფლიან ლოყას.

— შენი შვილი აუტანელი შეიქნა. სულ არაფერს მიჯერებს. პირწავარდნილი მამაა.

— ხმა ჩაიწყვიტე, ბებერო, ძალიან დაღლილი ვარ.

ქალი ღუმელთან მივიდა და სამი ცალი თხელი ბივშტექსის კეპვას შეუდგა. მერე დანით შემოასწორა და ჩამონაჭრები წითელ კაფელზე გადასდო, კატისათვის.

მანუელი უყურებდა ცოლს.

— ერთ პესოს თუ არ მომცემ, ვახშმად ბრინჯი აღარ გვექნება, — თქვა მან და მეავე ფორთოხალი დააწურა ხორცს. — ვერ გამიგია, სად მიგაქვს ფული. ახლა ხომ ორჯერ მეტს ღებულობ.

მანუელმა კიდევ გააფრთხილა ცოლი, გაჩუმდიო, და თვითონ საწოლზე გაიშლართა. ცოლი მივიდა და ჯიბეების ჩხრეკვა დაუწყო. რამდენიმე მონეტი ამოიღო.

— ამის მეტი არაფერი გაქვს?

— დღეისათვის სულ ეგ არის. თუ არ ჩაიკმენდავ ხმას და თავს არ დამანებებ, დღეის შემდეგ ერთ გროშსაც ვეღარ მიიღებ.

— ამ ბოლო დროს ძალიან გაყოყლოჩინდი! თორმეტი წელია შენს უხეშობას ვითმენ. ეს შენი სახლია, მანუელ, და უნდა გვარჩინო კიდეც. ჰაერით ვერ ვირჩენთ თავს. მე სულაც არ ვდარდობ, გყავს თუ არა სხვა ქალი. ცოტა როდი მირეცხია შენი ჭუჭყიანი საცვლები. თუ ოჯახში ფულს შემოიტან და შენს შვილს არაფერი მოაკლდება, რამდენიც გინდა, იმდენი საყვარელი გყავდეს. მაგრამ პირველ რიგში ჩვენ უნდა გახსოვდეთ.

ისინი ამ ათიოდე წლის წინათ დაქორწინდნენ. მანუელს ზუსტად აღარც კი ახსოვდა, როდის მოხდა ეს. მამაკაცად რომ ეგრძნო თავი, მისთვის ნორმა იყო საჭირო... აქ ყველაფერი აღიზიანებდა: ავეჯიც, ცოლიც, რომელიც ძლივს მიდი-მოდიოდა ოთახში, თითქოს ხორცის ზვინიაო...

— რატომ არ ჩაიცვამ? დაივარცხნე თმები, მოწესრიგდი. მარტო ხომ არა ხარ? მე კედელზე დახატული ხომ არ გგონივარ?

— დრო არა მაქვს... სახლში სულ ასე ვარ. დღეს რა ბუზმა გიკბინა?

— კარგი, კარგი. — მანუელი მიხვდა, მექსიკელი კინო-მსახიობივით რომ გამოპრანჭულიყო მისი ცოლი, მაინც ვერ შეიყვარებდა.

ოთახში ბიჭი შემოვიდა. მიუხედავად შავი კანისა, მაინც ფერმკრთალი ჩანდა. საწოლთან მივიდა და მუშტებით დააწვა მამას მხრებზე.

— ოხ-ოხ-ოხ! — მანუელმა ისეთი სახე მიიღო, თითქოს ძალიან სტკიოდა.

— ღონიერი ვარ არა, მამა?

არა, ვერ მიატოვებს მათ. როცა ცოლი სუფრის გაშლას შეუდგა, მანუელმა კარი გამოაღო და ცოლს გასძახა:

— უფრო მეტი აჭამე პატარას, გამხდარი მეჩვენება.

მანუელი ზღვისაკენ წავიდა. „თუ გინდა, ეს იმას ნიშნავს, რომ ძალაც შეგწევდეს, — ფიქრობდა იგი. — ძალაც უნდა შეგწევდეს“.

იგი ყავახანასთან შეჩერდა, გადასწია ბამბუკის ფარდა, კარის მაგიერობას რომ სწევდა, და ყავახანაში შევიდა. წინა მაგიდასთან ვიღაც წყვილი იჯდა. წინ ორი ბოთლი ედგათ. მანუელმა მაგიდებს შორის გაიარა და კუთხეში დაჯდა. ხუთი კაცი ერთდროულად ლაპარაკობდა. მანუელმა ერთი ჭიქა რომი შეუკვეთა, მაგიდაზე თითებს აკაკუნებდა და აქეთ-იქით იყურებოდა. ვიღაც მსუქანი კაცი მუსიკალურ ავტომატთან მივიდა და მონიკელებული ყუთისაკენ დაიხარა. გაისმა სიმღერა:

ჩვენს პაწაწინა ოთახში,
კვლავ ყველაფერი ისევ...

დაშვებულია ფარდები,
სიბნელე ჩამოწოლილა...
ჩვენს პაწაწინა ოთახში
კვლავ ყველაფერი ისეა...

მუსიკა არ შველოდა. მანუელი ჩაფიქრდა. მისი ფიქრები კვლავ იმავე მოჯადოებულ წრეში ტრიალებდა. რაში სჭირდება ნორმა? ეშმაკსაც წაუღია მისი თავი! რომ ეშოვა ფული, ექირავებინა ბინა და მოეწყო... მაინც რა ჰგონია თავისი თავი? უიმისოდაც კარგად გაძლებს.

შენ აქ ღმერთი ხარ,
ყვავილები ამკობს შენს სურათს,
აქ არის წმინდა სიყვარულის საკურთხეველი...

მანუელმა ყური მიუგდო სიმღერას. „ქალები, ქალები! ყველაფერში ისინი არიან დამნაშავენი, — ფიქრობდა იგი და თითებს ატკაცუნებდა. — ყველანი როსკიპები არიან... მხიარული რამე მაინც დაეკრათ. რატომ არიან ყველანი მოწყენილები?“ მანუელის ფიქრები თითქოს სიცარიელეში დაჰქროდნენ... იგი სადღაც ჭერში იყურებოდა.

მუსიკალურ ავტომატთან ისევ მსუქანი კაცი მივიდა. ათი სენტავო ჩაუშვა და ისევ წეღანდელი მელოდია გაისმა:

და ყველაფერი ისეა,
როგორც საყვარელს სწადია...

მანუელი გამოფხიზლდა. ორი გოგონა შემოვიდა ყავახანაში. მანუელმა თავის მაგიდასთან მიიპატიჟა ისინი, მაგრამ გოგონებმა უარი უთხრეს. ნაოვლიანი განწყობილება გაშმაგებამ შესცვალა. მანუელმა მესამე ჭიქაც გადაჰკრა, გაისმა სიმღერის უკანასკნელი ტაქტი. აპარატი ჩაჩუმდა. მსუქანი კაცი წამოდგა,

ხელში მონეტა ეჭირა, უნდოდა კიდევ გაემეორებინა იგივე ფირფიტა. მანუელი თვალს არ აცილებდა მას.

— მეგობარო! ერთი რჩევა უნდა მოგცე. აღარ დაუკრა ის ფირფიტა, — უთხრა მანუელმა და თავი გააქნია, — გეყოფა.

— თქვენ ვინა ხართ, რომ მიბრძანებთ? მე როგორც მინდა, ისე მოვიხმარ ჩემს ფულს.

— მე კი გაფრთხილებთ: თუ კიდევ დაუკრავთ იმ საძაგელ „პაწაწინა ოთახს", ტყვია მოგხვდებათ შუბლში.

მანუელი თვითონვე შეაძრწუნა საკუთარმა სიტყვებმა. შეხედა იმ კაცს, რომელსაც ემუქრებოდა... ამის გულისთვის არაფერს მიზამენო, გაიფიქრა, ღრმად ამოიოხრა და ხელები შარვალზე გაიწმინდა. მანუელი არმიის სერჟანტია. ეს მისთვის არაფერია. არც ეს მსუქანი კაცი ჰგავს გავლენიან პიროვნებას, ვიღაც ხელმოცარული უნდა იყოს, თვალებზე ეტყობა.

მსუქანმა მონეტა ჩააგდო. მანუელს შეხედა და „პაწაწინა ოთახის" ფირფიტა დაუდო. მაგრამ სანამ ფირფიტა დატრიალდებოდა, მანუელმა რევოლვერი ამოიღო და გაისროლა, მსუქანი კაცი დაეცა.

* * *

ნორმა დარწმუნებული იყო, რომ მისანი პასუხს გასცემდა ყოველ მის კითხვას. თვითონ კი ყველაფერს, ყველაფერს შეასრულებს, რასაც მისანი უბრძანებს. საზარელი შავ-მოწითალო თვალი მისჩერებოდა ოთახის კუთხიდან. ნორმას ყოველთვის თან დაჰქონდა თილისმა ავი თვალის დასაძლევად. საიდანღაც გამოვიდა შუატანის მელოტი კაცი სიგარით პირში. მას მოჰყვებოდა ლურჯკაბიანი ქალი.

— ბესონი ავად არის, — თქვა სენიორამ, რომელიც ნორმას გვერდით იჯდა. — მაგრამ ჩვენ მაინც მიგვიღებს. მას ბევრი რამ შეუძლია. მე ეს კარგად ვიცი. ორჯერ ვიყავი ფეხმძიმედ და ორჯერვე მკვდარი ბავშვი ვშობე, სანამ მასთან არ მივედი. წინასწარ მითხრა, გოგო გაგიჩნდებაო. ახლა კი ჩემი გოგონა უკვე ორი წლისაა და ძალიან ჯანმრთელია. დღეს ავგაროზის სათხოვნელად მოვედი, ხალხი შურიანია, შვილო. უკვე ნაყიდი მაქვს აქატის სამაჯური, მაგრამ ეს რას ეყოფა. მეშინია, ვინმემ არ გათვალოს... ჯერ ისე პატარაა!

— მე კი სულ ერთი კაცისგან მჭირს ყველაფერი, მიწაც გახეთქია იმას! როგორ გგონიათ, მიშველის რამეს ბესონი?

— თუ მოინდომა, შვილო, ისე მიგაჯაჭვავს იმ კაცს, რომ სამარის კარამდე აღარ მოგცილდება.

მათ უკან, კედელზე ეკიდა რქით მოოჭვილი ხის გული... იმ წუთიდან, რაც ნორმა ნავში ჩაჯდა, რათა გადმოელახა უბე, სულ ის ახსოვდა, როგორ უმკითხავა მისანმა ნიჟარებზე, და მომწვანო ამღვრეულ წყალს ჩასცქეროდა, ზღვა აშინებდა ნორმას. ბანაობის დროსაც მხოლოდ წელამდე შედიოდა წყალში.

ხის პატარა სახლი დაბის განაპირას იდგა. ნორმა მარტო იჯდა დაწნულ სოფაზე და ყურს უგდებდა ზღვის ხმაურს. სენიორა, რომელსაც იგი ესაუბრებოდა, უკვე შესულიყო მისანთან. ნორმამ მფარველი ქალწულის — რეგლას გამოსახულებას ახედა და შეევედრა, მოეხდინა სასწაული.

— შენც ისეთივე ქალი ხარ, როგორიც მე, — ჩურჩულებდა იგი. — შენც იცი, რასაც განვიცდი.

შორიდან გემის საყვირის ხმა მოისმა.

ნორმამ ოცნება დაიწყო ბინაზე. პირველ რიგში საწოლი ოთახის გარნიტურს იყიდის. კოპწიაობას დაიწყებს და საღამოს, დაწოლის წინ, ყოველთვის დაიყენებს თმებს, როგორც კინოფილმებშია. ავეჯი პრიალა იქნება. დედა ამბობს, უკეთეს ავეჯს ვერ იყიდიო. ყოველ კვირას გაწმენდავს, გააპრიალებს. საწოლთან იესოს წმინდა გულს ჩამოჰკიდებს. სებასტიანმა უთხრა, წმინდა გულის ნაცვლად სჯობია წმინდა ღვიძლი ჩამოჰკიდოო. გასულელდა ალბათ! სასტუმრო შეიძლება მერე მოაწყო... პირველად ესეც საკმარისია... ოღონდ მანუელმა არ მოატყუოს! კედელზე სურათს ჩამოჰკიდებს — გედზე მჯდარ შიშველ ქალს. ასეთი სურათი ეკიდა სასტუმროში სენიორა მერსედესს, რომელთანაც მთელი წელი მუშაობდა მოსამსახურედ.

„მხოლოდ მოსამსახურედ აღარავის დავუდგები, — ფიქრობდა იგი, — დეე, კრესპოს ქუჩის მეძავი გავხდე, თავიანთი ოთახის ფანჯრებიდან რომ უძახიან მამაკაცებს“.

— ბედნიერებას გისურვებთ, — სენიორიტა, — უთხრა წასვლისას ქალმა, რომელსაც უკვე მიეღო რჩევა-დარიგება.

ეზოში ორი მამალი წაიკიდა. მამლების ნაცრისფერმა ფრთებმა და გაშიშვლებულმა წითელმა კისერმა გაახსენა ნორმას, რომ მისნის სახლში იმყოფებოდა.

ბოლოს ისიც გამოიძახეს; როცა მის უკან კარი მიიხურა, ნორმამ პირველად სარკე დაინახა. სარკეზე ცარცით იყო წარწერილი: ხუან ბესონი. ნორმამ კითხვა არ იცოდა, სარკეში ჩაიხედა და თმები შეისწორა.

ბესონი საწოლზე იწვა, გამხდარი, გამოფიტული შავი თავი სამ თეთრ ბალიშზე იყო მისვენებული.

— შენ ჩანგოს ქალიშვილი ხარ, — უთხრა მან და ხელი

გაუწოდა. წაგრძელებული ფრჩხილები მამლის დეზებს წააგავდნენ.

— თქვენ ალბათ აღარ გახსოვართ, ხუან ბესონ, ერთი თვის წინათ ვიყავი თქვენთან. გახსოვთ?

— რა თქმა უნდა, მახსოვს. ნიჟარებზე გიმკითხავე. მე ყველაფერი მახსოვს. მთელი ქვეყანა ერთ მთლიან სურათად არის ჩემ თავში გაშლილი.

— ერთხელ კიდევ მიმკითხავეთ. მინდა, გავიგო, მიქირავებს თუ არა ბინას ის უსინდისო.

— დღეს ავად ვარ, შვილო, არა ვმკითხაობ. მაგრამ ცოტა რამეს მაინც გეტყვი — ბესონი რამდენიმე წუთს გაჩუმებული იყო. — აჰა, ჩემი ხელი.

— ნორმამ ხელი მოჰკიდა მის მარჯვენა ხელს. დამჭკნარი კანი თითქოს სცილდებოდა ძვლებს.

— შენ თრთი, როგორც მტრედი.

— დამეხმარე, ხუან ბესონ. გემუდარები, დამეხმარე.

— ორი მამაკაცი ფიქრობს შენზე. — მან ხელი დაუსვა თეძოებზე. — მათი სურვილი ჭკუას გაკარგვინებს შენ. — ხელი ახლა ნორმას მკერდსა და მხრებზე დასცურავდა.

— ჰო სებასტიანი და მანუელი. მაგრამ მე მანუელი მიყვარს.

— შენ ბევრი სისხლი გაქვს. მეტისმეტად ბევრი სისხლი. შენი გატაცება ძალიან სახიფათოა... ნუ გეშინია, შენი გახდება მანუელი, ის მოზვერი, ოღონდ მოთმინება უნდა იქონიო. ჩვენ მას ფრთებს შევაკვეცავთ.

— მე არ მინდა, მეძავი ვიყო. მე მინდა, მანუელმა სახლი მიქირავოს.

— ქალმა უნდა იცადოს და საიდუმლოდ აკეთოს თავისი საქმე. თუ მე დამიჯერებ, მანუელი შენი მონა გახდება.

— მე ყველაფერს გავაკეთებ, რასაც მეტყვი, ყველაფერს, ყველაფერს!

— ყური დამიგდე, აიღე მწვანე კვახი, კარგად გამოწმინდე შიგნიდან. მერე ჩაასხი შიგ თაფლი და საწოლის ქვეშ დადგი. როგორც კი თაფლი კვახიდან გამოჟონავს, სახლი შენი იქნება. მაგრამ მანამდე იმ შენს მანუელს თეთრი ცხვირსახოცი ამოაცალე. მხოლოდ დარწმუნებული უნდა იყო, რომ იმ ცხვირსახოცით ოფლი მოიწმინდა. გამონასკვე ცხვირსახოცი და ძუძუებს შუა ჩაიდე. უნდა გათბეს... წამალსაც დაგიმზადებ—ყავაში ჩაუგდე. ყოველივე ამას რომ გააკეთებ, შენს მანუელს მოსვენება დაეკარგება: ვეღარც დაჯდება, ვეღარც ჭამს, ვეღარც დაიძინებს. არავის — არც ზანგს, არც თეთრკანიანს, არც ჩინელს, არც მულატს — არავის აღარ გაეკარება. გიჟივით გამოგეკიდება უკან.... შემდეგ კვირას მოდი, შვილო. უკეთ შევიქნები და შეგეწევი.

თქვენ კომუნისტი ხართ?

„ჩვენ დავიბადეთ თავისუფალ ქვეყანაში, რომელიც ბრძოლით მოიპოვეს ჩვენმა მამებმა, და უმალ ჩვენი კუნძული ზღვაში ჩაიძირება, ვიდრე მონობაზედ დავთანხმდებოდეთ“. საბეჭდი მანქანის ხმაური ქუჩაში ისმოდა. სებასტიანმა გადაწყვიტა, ახლახან მომხდარი ამბებიც გაეხსენებინა. ადამიანები ხომ მეტად გულმავიწყნი არიან. ძველი შაშხანებით შეიარაღებულმა მამაცთა ჯგუფმა, რომელსაც ფიდელ კასტრო მეთაუ-

რობდა, მონკადას ყაზარმებზე მიიტანა იერიში. ახლა ფიდელ კასტრო სასამართლოში იცავდა თავს. სებასტიანმა გაიხსენა დონ-კიხოტი ცხვრის ფარას რომ დაერია, რადგან რაინდებად ჩათვალა ცხვრები. ბატისტამ კორუპცია ცხოვრების ძირითად კანონად გამოაცხადა.

სებასტიანი შეეცადა წარმოედგინა, რას განიცდიდა ბრალდებული სასამართლოზე.

„განთიადისას საბარგო მანქანებით ტყვეები ჯგუფ-ჯგუფად გადაჰყავდათ ყაზარმებიდან: სიბონეიში, ლამაიაში, სონგოსა და სხვა ადგილებში; ნაცემ-ნაგვემნი, წამებით დასახიჩრებულნი გადმოჰყავდათ მანქანებიდან და შემდეგ ხოცავდნენ“...

სებასტიანი შუა წინადადებაზე შეჩერდა. ფრანსისკო მაშინ გაფითრდა, უარყო თავისი მონაწილეობა აჯანყებაში და სებასტიანმაც შესცვალა საუბრის თემა. იმანაც უმჯობესად ჩათვალა არ ყოფილიყო გულახდილი. საერთო საიდუმლო ყოველთვის რაღაცას გავალებს.

მანქანა ფიდელ კასტროს უკანასკნელ სიტყვებს ბეჭდავდა: „თქვენ შეგიძლიათ მსჯავრი დამდოთ, ამას არა აქვს მნიშვნელობა. ისტორია გამამართლებს!“

უმიზნობამ მოიცვა რევოლუციონერები. ფიდელ კასტრო მომავალში ეძებდა ხსნას, რადგან მოსამართლეები მოსყიდულნი იყვნენ. ოპოზიციამ ვერ გაბედა, მხარი დაეჭირა შეიარაღებული აჯანყებისათვის. იგი მარტოდმარტო იყო, დაბნეული, შეშინებული ადამიანებით გარშემორტყმული.

მას ცხრამეტი წლით საკატორღო მუშაობა მიუსაჯეს კუნძულ პინოსზე. სებასტიანმა ორი გვერდი კიდევ დაწერა სასამართლოს შესახებ, მერე სხვა საგანზე დაიწყო ფიქრი; კუბელებისათვის ასე უკულმართად ეწყობა ყველაფერი.

სებასტიანმა გაიხსენა სამწუხარო ამბავი ისტორიიდან, რომელსაც უნივერსიტეტში შესვლამდე სწავლობდა. თითქოს ცხადად დაუდგა თვალწინ ფრანსისკო ვისენტე აგილერა (მის მამულებს უფრო დიდი ადგილი ეჭირა, ვიდრე რომელიმე გერმანულ სამთავროს), მან ყველაფერი დაკარგა ათწლიან ომში და ზამთარში მარტოდმარტო დაეხეტებოდა ნიუ-იორკის ქუჩებში. მისი წვერი ალბათ იმ თოვლივით თეთრი იყო, რომელზედაც იგი მიაბიჯებდა... მაშინ ისტორიის სახელმძღვანელოში სებასტიანმა სურათზე ფანქრით გაუშავა აგილერას თეთრი წვერი.

„ბედნიერი ვარ, კარმიტა, ძალზე ბედნიერი. ყოველგვარი ილუზიებისა და საკუთარი თავით აღტაცების გარეშე შემიძლია გითხრა: ბოლოს და ბოლოს მე ვიპოვე თავი ჩემი. კეთილშობილება და მამაცობა ჩემი თანამემამულეებისა გამბედაობას გვმატებს, მათი თანაგრძნობა გვარწმუნებს, რომ სამართლიანი საქმისათვის ვიბრძვით და ეს ტკბილი რწმენა თავბრუს მახვევს: მხოლოდ სინათლე შეედრება ჩემს ბედნიერებას“. მარტი, რომელიც იძულებული შეიქნა საწერ მაგიდასთან მჯდარს ეხელმძღვანელა ომისათვის, ბრუნდება კუბაში და პირველსავე ბრძოლაში იღუპება ცხენზე ამხედრებული. „მეც ასეთივე თეთრი ცხენი მიბოძეს. ახლა საღამოს ცხრა საათია. ბანაკში უკვე დასცეს ნაღარა ბრძოლის შეწყვეტისა: და მე კალმით ხელში ვისვენებ სიხარულის მომნიჭებელი, მძიმე შრომის შემდეგ. მასეო, გომესი, ბონე და ბორერო კი ჰამაკებში წვანან და ბრძოლის ამბებს ყვებიან“. ცხრამეტ მაისს მთელი ღამის განმავლობაში აწვიმდა მარტის ნეშთს, რომელიც ვიღაც ესპანელმა ჯარისკაცმა ფარდაგზე დაასვენა.

გენერალი მასეო, რომელიც ოცდაათი წლის განმავლობაში

იბრძოდა და ოცდაორი ჭრილობა მიიღო, სწორედ რესპუბლიკის დაბადების წინ გარდაიცვალა. სანამ უსამართლობა არსებობს, რევოლუცია ვერ დამთავრდება“.

ისტორია მეტისმეტად უსამართლო იყო კუბის მიმართ. „მენი“ მაშინ აფეთქდა, როცა ესპანეთი თითქმის დამარცხებული იყო. შეერთებული შტატები ომში ჩაება, იგი კუბის მხარეზე იყო; ყველაფერი კი იმით დამთავრდა, რომ არ გამოიყვანა კუბიდან საოკუპაციო ჯარები, სანამ კუბელებმა არ მიიღეს „პლატის შესწორებები“ — სხვანაირად რომ ვთქვათ, ვაშინგტონს დართო უფლება, როცა მოესურვება, ჩაერიოს კუბის საქმეებში. დედა-ესპანეთი შეუბრალებელი აღმოჩნდა, მეგობრები კი მოღალატეები, და აბობოქრდა სული კუბელისა!

ბევრი კუბელი დათმობაზე წავიდა. გადაწყვიტა, რომ უმჯობესია ჰქონდეს ეს რაღაც, ვიდრე არაფერი. მათ ნება დართეს საერთაშორისო კონსორციუმებს, პროფესიონალ პოლიტიკოსებსა და სამხედროებს ხელში ჩაეგდოთ ქვეყანა. კუბელები მხიარულობდნენ, ცეკვავდნენ კონგასა და რუმბას, მაგრამ ამ გარეგნულ მხიარულებაში იმალებოდა სევდისა და ტკივილის გრძნობა სამშობლოს გამო და აღარც იყო იმედი უკეთესი მომავლისა.

> თუ ღამით წვიმა იქნება, მე თავდავიწყებას მივეცემი
> და ჩემი ხსოვნა ათი საუკუნით გადაინაცვლებს,
> ოჰ, გაიგე ცხოვრება ჩემი!
> ხანდახან მგონია, რომ ჯერ კიდევ დაბადებამდე ვიტანჯებოდი
> შენი მძიმე ბორკილების ქვეშ.

წარსული აღარ იხსენებოდა შეუბრალებელ აწმყოსთან. მთელი ნაფიქრალი სებასტიანისა მტვრად იქცა სინამდვილის

პირისპირ. სინამდვილე ნთქავდა ყველაფერს, როგორც ყოვლის გადამბუგველი მზე. მას აღარ ძალუძდა ფიქრი: უნდა იმოქმედო, როგორც მოქმედებდა ფიდელ კასტრო. მაგრამ ეს იმას ნიშნავს, საფრთხეში ჩააყენო საკუთარი სიცოცხლე, სებასტიანი კი ამჯობინებდა ეარსებნა თუნდაც ნახევრად ცოცხალს, უფრო სწორად — ნახევრად მკვდარს.

ნოტიო მიწის სუნი დადგა. სებასტიანმა ფანჯარაში გაიხედა. ცა მოღრუბლულიყო, საწვიმრად ემზადებოდა. შორს უკვე ჩამოშლილიყო წვიმის ფარდა. სებასტიანმა ღრმად ამოიოხრა. გაურკვეველმა შიშმა შეიპყრო. ათი გვერდი უკვე დაწერილი ჰქონდა. შავი ასოები დაკლაკნილ ჭიაყელებს ჰგავდნენ. ნიუ-იორკში კარგად მოუვლიან ამას, მხოლოდ ოთხ აბზაცს თუ დატოვებენ. შემდეგ წაიკითხავენ ჟურნალს და მთელი კვირის განმავლობაში დაგროვილ ნაგავთან ერთად დაწვავენ. სებასტიანი გარეთ გამოვიდა და წვიმის მოლოდინში სკამზე ჩამოჯდა.

გრილ სიოს გამხმარი ფოთლები მოჰქონდა. შორიახლო ეძინა მუსულუნგოს, ჭრელ ქოფაკს.

ნორმა, მონკადოს იერიში, ვალიეხოს პოემა, მარტი, მძინარე მუსულუნგო. არის თუ არა რაიმე კავშირი ყოველივე ამას შორის?

პირველი მძიმე წვეთები დაეცა მიწას. ერთი პირდაპირ მუსულუნგოს დაეცა თავში, ძაღლი წამოხტა და მიწას დაუწყო ყნოსვა: ვერ მიმხვდარიყო, საიდან მოდიოდა წყალი — ყურადღებით აკვირდებოდა წვიმის ყოველ წვეთს, ენას უსვამდა, ისევ ყნოსავდა და იქნევდა კუდს.

წინა ღამეს სებასტიანმა ფეხის კვრით მოიცილა მუსულუნგო, რომელიც ზედ ახტებოდა. ქოფაკი წკმუტუნით გაიქცა.

სებასტიანი უყურებდა მუსულუნგოსა და სველ ბალახს. ცხოველი ან ძალიან ძლიერი უნდა იყოს, ან უმწეო—მეტი გზა არა აქვს. ასე არის გაჩენილი. მას არ სჭირდება გადაწყვეტილების გამოტანა ან აზრის გამოცვლა.

წვეთები სულ უფრო სწრაფად, სულ უფრო ხშირად ეცემოდა მიწას.

* * *

იმავე დღეს, წვიმის შემდეგ, კომუნისტურ მოქმედებათა ჩამხშობი ბიუროს ორმა აგენტმა დააკავა სებასტიანი. მთავრობას ჩვეულებად ჰქონდა, ყველა სხვაგვარად მოაზროვნისათვის კომუნისტობა დაებრალებინა. „მათ არავითარი მოსაზრება არა აქვთ“, იტყოდა ხოლმე ასეთ შემთხვევაში სებასტიანი. მაგრამ ამჯერად კი არავითარ მახვილსიტყვაობას აღარ შეეძლო მისი ხსნა: იგი ავტომობილში იჯდა პოლიციის ორ აგენტს შუა. ეს სინამდვილე იყო.

სებასტიანს ყოველგვარი იმედი დაკარგული ჰქონდა და არ იცოდა, როგორ მოქცეულიყო: ელაპარაკა თუ გაჩუმებულიყო. ფანჯარაში გაიხედა. ქუჩები ჯერ ისევ სველი იყო წვიმისაგან.

— თქვენ, ალბათ, არ შეგიძლიათ ამიხსნათ, რას ნიშნავს ყოველივე ეს.

— ჩვენს შეფს უნდა თქვენი ნახვა. — წარმოთქვა მარჯვნივ მჯდარმა აგენტმა და სიგარეტების კოლოფი ამოიღო.

— ნუ გეშინია, — დაუმატა მეორემ, — არ შეგჭამთ. მაგრამ ერთი დაიმახსოვრეთ: ყველაფერს გათქმევინებთ, რასაც მოვინდომებთ. — მან ხელი გაიწოდა სებასტიანის ზურგს უკან და მეგობარს სიგარეტი გამოართვა.

სებასტიანმა პაპიროსის ბოლი და ოფლის სუნი ჩაისუნთქა. მასაც შესთავაზეს სიგარეტი, უარი აღარ უთხრა, რათა არ ეწყენინებინა მათთვის, თუმცა არასოდეს არ მოუწევია. — ხელები მაინც ექნება რიღაცით დაკავებული. რამდენიმე წუთის შემდეგ ფინლეის ობელისკს ჩაუარეს. სებასტიანმა სირცხვილი იგრძნო იმის გამო, რომ სიგარეტი გამოართვა. იგი ჩაფიქრდა, ირგვლივ ყველაფერი გამოუცნობი და მტრული ეჩვენებოდა.

სებასტიანს საშუალება არ ჰქონდა გამოლაპარაკებოდა ადამიანებს, რომლებიც დერეფანში დადიოდნენ. იგი რაღაც შენობაში შეიყვანეს. როგორც კი გადაადგა ზღურბლს ფეხი, გულისრევა იგრძნო.

— დაბრძანდით, სენიორ ჟურნალისტო! — ოფიცერი იჯდა, ხელები კეფაზე შემოედო და იღიმებოდა.

სებასტიანი შავი ხის გაპრიალებული მაგიდის წინ ჩამოჯდა. ფეხი ფეხზე შემოიდო, რათა კანკალი შეეკავებინა.

— ეს თქვენ დაწერეთ? — ჰკითხა ოფიცერმა და გაუწოდა ფურცელი „მეტროპოლიტენისა“, რომელზეც სებასტიანის სტატია იყო დაბეჭდილი მონკადას იერიშის შესახებ.

— დიახ.

— მერე რატომ სწერთ ასეთ რამეებს? ნუთუ ვერ ხედავთ, რომ ამით ამცირებთ თქვენი ქვეყნის ღირსებას შეერთებული შტატების თვალში?

ოფიცრის მეგობრულმა კილომ წუთით დაამშვიდა სებასტიანი: უფრო უხეშ შეხვედრას ელოდა. თუმცა ოთახში მაინც დაძაბული ატმოსფერო იყო და ეს მოქმედებდა მის ნერვებზე.

— მე ფული მჭირდება... თქვენ ხომ იცნობთ ამერიკელებს, ისინი ყოველთვის მოწყენილები არიან და მხოლოდ ლათინუ-

რი ამერიკის ქვეყნებში მომხდარი რევოლუციები ართობთ. მით უმეტეს, თუ მთავრობა იცვლება ისე, როგორც ჩვენთან.— სებასტიანი მოუთმენლად ელოდა პასუხს, შეშინებული იმით, რომ შესაძლოა, მისი სიტყვები თავხედობად ჩაეთვალათ.

— განა სხვა საქმე ცოტაა, უფრო მნიშვნელოვანი, რომელთა შესახებაც შეგეძლოთ გეწერათ და გეშოვათ ფული. ისეთი საქმეები, რომლებიც ნამდვილად განადიდებენ კუბას. თქვენ კი აქ ყოველგვარ სიბინძურეს ჩმახავთ. . მაპატიეთ, რომ ამას ვამბობ, მაგრამ ის, ვინც მთავრობის წინააღმდეგ წერს, კარგ კუბელად ვერ ჩაითვლება.

— მე არასოდეს არ ვამტკიცებდი, რომ კარგი კუბელი ვარ. დეე, პოლიტიკოსებმა მოჰკიდონ ამას ხელი, — სებასტიანს მტრული გრძნობა დაეუფლა. სიგარეტი გადაავიწყდა.

— ვხედავ, სიტყვებით თამაში შეგძლებიათ. ჭკვიანი ყმაწვილი ხართ.

სებასტიანი თვალს არ აცილებდა ლითონის პრესპაპიეს, რომელიც მაგიდაზე იდო.

— ჩვენ ვიცით, რომ თქვენთან საღამოობით ბევრი ხალხი იყრის თავს და გვიანობამდე არ იშლებიან. ვინ არიან ისინი?

— ეგ ტყუილია. საღამოობით ჩემთან ერთ ან ორ კაცზე მეტი არასოდეს ყოფილა.

— ჩვენი ცნობები კი საწინააღმდეგოს ამტკიცებენ. თქვენ კავშირი გაქვთ სამშობლოს მტრებთან.

— ნება მომეცით, აგიხსნათ ყველაფერი. მე არ ვეთანხმები ბატისტას პოლიტიკას, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ვმონაწილეობ საიდუმლო ორგანიზაციაში, რომელსაც ბატისტას დამხობა სწადია. ეს ჩემი საქმე არ არის. მე იმისათვის

ვხვდები ხალხს, რომ ინფორმაციები მჭირდება ჩემი სტატიებისათვის.

— ვინ არის ეს ხალხი? — მნიშვნელოვნად შეეკითხა ოფიცერი.

— პოლიტიკური მოღვაწენი, რომელთაც თქვენც შეგიძლიათ შეხვდეთ, თუ სურვილი გექნებათ. აუტენტიკებისა და ორთოდოქსების პარტიის წევრები, რომლებიც ოპოზიციაში იმყოფებიან — ეს არის და ეს. — სებასტიანს ეგონა, რომ ეს ბრალდებები მხოლოდ საბაბი იყო დაკითხვისა. მან სირცხვილი იგრძნო თავისი სიმხდალის გამო. — თქვენც ხომ იცით, რომ ესენი უწყინარი ხალხია; მათ მხოლოდ ის აინტერესებთ, რომ თათი ჩაჰყონ სახელმწიფო ხაზინაში. მე არავითარ მავნე მოღვაწეობას არ ვეწევი, რა საჭიროა ჩემი დაპატიმრება.

— კარგი, კარგი. ტყუილად ხართ ასე დარწმუნებული საკუთარ თავში. რატომ გინდათ, გმირად მოგვაჩვენოთ თავი. ჩვენ რომ მოვინდომოთ... თუმცა არაფერი გვაქვს თქვენი საწინააღმდეგო. არაფერი... უბრალოდ გაფრთხილებთ მომავლისათვის: მეტი დაკვირვება გმართებთ თქვენს სტატიებში.

— მე არ მომწონს დიქტატურა, მაგრამ მეტისმეტად მხდალი ვარ იმისათვის, რომ შევეცადო რაიმეს შეცვლას.

— იმედი მაქვს, თქვენდა საკეთილდღეოდ, კვლავ მხდალად დარჩებით... ჭკვიანი კაცი ხართ. არ დაგავიწყდეთ, რომ მთავრობის წინააღმდეგ წერა — ესეც თავისებური... ჰო-ო... თქვენ რა სიტყვა იხმარეთ?.. ჰო — მავნე მოღვაწეობაა...

— მე ვფიქრობდი, რომ არსებობს სიტყვის თავისუფლება... თუმცა, ვინ იცის, შეიძლება ამ რამდენიმე საათის განმავლობაში ყველაფერი შეიცვალა..

— თავს ნუ ისულელებთ. არაფერი არ შეცვლილა, —

ოფიცერმა ხელი გადაისვა ულვაშებზე. — თქვენ ავრცელებთ სიცრუეს მთავრობის შესახებ. ჩვენ ვდევნით კომუნისტებს. მხოლოდ ისინი სწამებენ ცილს მთავრობას. თქვენ კომუნისტი ხართ? არა, სჩანს, რომ არა ხართ კომუნისტი.

სებასტიანმა გადაწყვიტა, აღარ ჩაეგდო საფრთხეში თავი. ბიგი გაჩუმდა.

— რატომ არ გინდათ დაწეროთ ახალი გვირაბის შესახებ, რომელსაც მთავრობა აშენებს? აი რის შესახებ ჯერ არს იცოდეს თქვენმა ჟურნალმა. თუ დაგჭირდებათ რომელიმე მინისტრის ინტერვიუ, შემატყობინეთ, მე მოგიწყობთ. თუ რაიმეთი უკმაყოფილო იქნებით, მაშინაც მე მომაკითხეთ. თქვენ შემწედ მიგულეთ. კუბელებს ყოველთვის ესმით ერთმანეთისა და შეუძლიათ საერთო ენის გამონახვა.

— ვიფიქრებ, — უთხრა სებასტიანმა; თითებზე თუთუნის სუნი უდიოდა. — გმადლობთ.

— მოიფიქრეთ, როგორც საჭიროა. გირჩევთ.

— მეტი არაფერი? შემიძლია წავიდე?

— რა თქმა უნდა, ჩვენ არ გაპატიმრებთ. მე უბრალოდ მინდოდა დავრწმუნებულიყავი, რომ თქვენ არა ხართ კომუნისტური პარტიის წევრი. მადლობელი ვიქნები, თუ ამისთანა სტატიებს წინასწარ წამაკითხებთ, სანამ შეერთებულ შტატებში გაგზავნიდეთ. მე მინდა, თავიდან აგაცილოთ ყოველგვარი გაუგებრობა. არ გვინდა, უსამოვნება მოგაყენოთ. თქვენ ჩვენთან არა ხართ, მაგრამ, როგორც ვხედავ, არც მათთანა ხართ.

სახლისკენ მიმავალი სებასტიანი ტუჩებს იკვნეტდა, დაკითხვა რომ ახსენდებოდა. წინასწარ რომ სცოდნოდა, დაპატიმრებას უპირებდნენ, უფრო დამაჯერებელ პასუხებს მოამზა-

დებდა. მაგრამ კაცმა არასოდეს არ იცის, საიდან მოელის ხიფათი.

ბეწვიც არ შერხევია თავზე, არც სიკვდილით დამუქრებიან, აქამდე არ მისულა საქმე. სებასტიანმა გადაწყვიტა, არავისთვის არაფერი ეთქვა.

შინ რომ მივიდა, სტატია მოძებნა. ყურადღებით გადაიკითხა, უნდოდა გაეგო, რამ გაახელა ჯაშუშები. მაგრამ ვერაფერი ნახა ისეთი, რისთვისაც მისი დაპატიმრება შეეძლოთ. ცხადია, მხოლოდ მისი დაშინება უნდოდათ.

„ეშმაკსაც წაუღია მათი თავი, ყველაფერს დავწერ, რასაც მოვისურვებ“. მან იცოდა, რომ ამგვარი გადაწყვეტილება, ღმერთმა უწყის, რა გმირობა იყო. იმის გასაკეთებლად, რაც ფიდელმა გააკეთა, არასოდეს არ ეყოფოდა გამბედაობა. მაგრამ მას სძულდა ბატისტას ხელისუფლება და ამის შესახებ უნდოდა ეთქვა რაიმე.

სებასტიანმა ახალი სტატია აიღო მაგიდიდან (მათ არც კი გაუჩხრეკიათ სახლი) და კონვერტში ჩადო. თუ მათ არ მოეწონათ ცნობები მონკადას იერიშის შესახებ, მაშინ კიდევ უფრო გააგულისებთ ფიდელ კასტროს სასამართლო პროცესის ანგარიში. გადაწყვიტა ფოსტით გაეგზავნა სტატია. ეს იქნებოდა შურისძიება იმ მტანჯველი წუთებისათვის, რაც დაკითხვის დროს განიცადა.

კარი რომ გამოაღო, მძინარე ძაღლები დაინახა. ძაღლები წამოხტნენ და მისკენ გამოქანდნენ. სებასტიანმა ალერსით გადაუსვა ხელი. როცა ქუჩაში გამოვიდა, ძაღლები წინა თათებით გალავნის მოაჯირს დაეყრდნენ და ყეფით გააცილეს.

ფოსტით სტატია დროულად მივა.

სამხედრო ქალაქი სებასტიანისათვის პირველად იქცა რე-

ალობად. აქამდე დეკორაციად მიაჩნდა გაზონები, ქონგურებიანი კოშკები; როგორც პეიზაჟი, რომელსაც მატარებლის ფანჯრიდან უყურებ. ახლა კი იცოდა: სამხედრო ქალაქი თავშესაფარია შეუბრალებლობისა და ბარბაროსობისა. შენობებში, მუყაოს სათამაშოებს რომ ჰგავდნენ, ადამიანებს აწამებდნენ.

ხუან ბესონი და პაბლო პიკასო

ნორმა ჩქარი ნაბიჯით მიდიოდა: ეშინოდა, არ დაენახათ, რა მიჰქონდა კალათით... „პალმის ქვეშ დასდეო“... პალმა სებასტიანის ეზოში დგას. ნელა, უხმაუროდ შეაღო ჭიშკარი, რომ ძაღლებს არ აეტეხათ ყეფა.

სებასტიანი საბეჭდ მანქანასთან იჯდა და დაუმთავრებელ სტატიას დასცქეროდა. მაგიდაზე უწესრიგოდ ეყარა გაზეთის ამონაჭრები და წიგნები, კედელზე კუნძულის რუქა იყო გაკრული. მობეზრდა სულ ამ რუქის ყურება და ზევიდან მიაკრა ჟურნალებსა და გაზეთებიდან ამოჭრილი რეპროდუქციები.

აქ იყო პიკასოს „ჰერნიკა“, დომენიკო ვენეციანოს „ახალგაზრდა ქალის პორტრეტი“ და ჟან პოლ სარტრის ფოტოსურათი. აღორძინების ეპოქის მშვენიერი ქალწულის გვერდით სასაცილოდ მოჩანდა ულამაზო სახე ფრანგი მწერლისა.

სებასტიანმა აჭიხვინებულ ცხენზე გადაიტანა მზერა, შემდეგ მიწაზე დაგდებულ გადატეხილ ხმალს შეხედა... თითქოს მის თვალწინ მძვინვარებდა ჰერნიკა, მოჩანდნენ დასახიჩრებული, ნაკუწნაკუწად ქცეული სხეულები. და მაინც სურათი, რომელიც ომს გამოხატავდა, პირველყოფილი ცხოვრების სიძლიერით სუნთქავდა, და ეს ყველაფერი თვითგანადგურების

წინააღმდეგ იყო მიმართული, რაც ბოჭავდა სებასტიანის ყოველ მისწრაფებას. თავის ყოველ სურათში პიკასოს სიცოცხლე უყვარდა, რაც ჰერნიკას შავ-თეთრ ტრაგედიაშიც კი ჩანდა. ფლობდა იგი თავის გრძნობებს, თუ ეს მისდაუნებურად ხდებოდა — სებასტიანმა არ იცოდა. თვითდაკვირვება საკმაოდ უნაყოფო საქმეა. მას თუ მისდევ, მილიონ სარკეს ემგვანები, რომელიც ერთსა და იმავე სიცრუეს იმეორებს. სებასტიანი ისევ ბეჭდვას შეუდგა. ყველა თითს ხმარობდა მანქანის კლავიშებზე გარდა ნეკისა: ნეკი თითით მუშაობას ვერაფრით ვერ შეეჩვია.

როცა ნორმა ეზოში შევიდა, ძაღლები მისკენ გაექანნენ. ნორმა მიეალერსა მათ. ძაღლები ხელებს ულოკავდნენ და კალათს სუნავდნენ. ნორმა პალმის ქვეშ შეჩერდა, მკერდში თითქოს უზარმაზარი საათი ხმაურობდა. პალმის ძირში მოაპირქვავა კალათი და გულზე მოეშვა: დაკლული მამალი და წითელ ბაფთაზე ასხმული ბანანები მაღალ ბალახში ჩაიმალა. ახლა მანუელი დაუქირავებს ბინას... მანუელსაც იმდენი ფული ექნება, რამდენიც სებასტიანს აქვს... „პალმის ქვეშო“, უთხრა ბესონმა.

კარები გაიღო. ნორმას ახლაც ისე ეჩვენებოდა, თითქოს ბამბის ფეხები ჰქონდა. სებასტიანმა სთხოვა, კაბინეტში მოეცადა; სანამ წერას დაამთავრებდა — ხვალ უნდა გადაეცა ტელეგრაფით. რამდენიმე ჟურნალი დაუდო მუხლებზე. ნორმამ გადაფურცლა ჟურნალები, მხოლოდ ილუსტრაციებზე ჩერდებოდა.

— რა იქნება, შინ რომ ვივახშმოთ? — დაარღვია სიჩუმე ნორმამ, როცა ჟურნალში ვარდისფერი, ცვრიანი ლორის რეკლამა დაინახა. — საჭმლის კეთება მომინდა.

სებასტიანმა გაოცებით ასწია თავი. ჩვეულებრივ ნორმა ყოველთვის სახლის გარეთ ამჯობინებდა ვახშმობას. სებასტიანს ესიამოვნა, რომ ნორმას მისთვის საჭმლის მომზადება უნდოდა, მაგრამ ცოტაოდენი დაფიქრების შემდეგ უარი უთხრა.

— რატომ უნდა იწვალო. შეიძლება უცებ ხელი გაიჭრა ან ცხელი ერბო ცხვირზე შეგეშხეფოს. — სებასტიანს გაახსენდა ჭუჭყიანი თეფშები სამზარეულოში.

— რას მოიგონებ ხოლმე, მართლა მომინდა დღეს საჭმლის გაკეთება. — ნორმა დამნაშავედ გრძნობდა თავს პალმის ქვეშ დაყრილი მამლისა და ბანანების გამო. — მე ჯერ არასოდეს არ მომიმზადებია შენთვის საჭმელი. არა, მე არასოდეს არავის არ შევიყვარებ. როგორც კი ქალს მამაკაცი შეუყვარდება, კაცი ამით მაშინვე ისარგებლებს. მაინც რატომ არ გინდა, მოგიმზადო ვახშამი?

ბოლოს და ბოლოს სებასტიანი დათანხმდა და ჯიბიდან ათი პესო ამოიღო.

— მე წამოვიდოდი შენთან ერთად, მაგრამ მალე უნდა დავამთავრო სამუშაო. იყიდე ლორი და რამდენიმე ქილა კონსერვი. გინდა, საღამოს პლაიტასში წავიდეთ.

— თუ მოგეწონება, რასაც მოგიმზადებ, წავიდეთ, თუ არ მოგეწონება, არ წავიდეთ.

ნორმას მოულოდნელმა ალერსიანობამ ცნობისმოყვარეობა გაუღვიძა სებასტიანს: ნორმას უყვარს იგი, თავისებურად, ახირებულად, მაგრამ მაინც უყვარს. ვახშმის შემდეგ ქორწინებაზე უნდა მოელაპარაკოს. ნორმა ჯერ ისევ ახალგაზრდაა და შეუძლია ხასიათი გამოიცვალოს.

ნორმა ქუჩაში მიდიოდა და ტკიცინა ქაღალდს დაჰყურებ-

და. სამ პესოზე მეტს არ დახარჯავს. სებასტიანი გატენილია ფულებით. უეცრად ახალმა აზრმა გაუელვა: რა იქნება, რომ სებასტიანი დაეხმაროს მანუელს ბინის დაქირავებაში...

სებასტიანს მოეწონა ბრინჯი კალმარებით.

— ძალიან გემრიელია, მართლა გეუბნები. საერთოდ არ მიყვარს კალმარები, მაგრამ შენი გაკეთებული ძალიან მომეწონა. ხომ შეამჩნიე, ორი თეფში შევჭამე. ძილიც კი მომინდა, გეგონება გველი ვიყო და ქათამი გადამეყლაპოს.

— ოჰ, ნუ ამბობ ამას, ჟრუანტელმა დამიარა... მართლა მოგეწონა?

— ამაზე გემრიელს ვერაფერს ინატრებ, — კინაღამ უთხრა, კონფუცი სწორად მოიქცა, რომ გაეყარა ცოლს, რომელმაც საჭმელების კეთება არ იცოდაო.

— მე ძალიან მომწონს ახიაკო. შენ?

— მეც. იქნებ როდისმე გააკეთო. შენ სად დაიბადე. ნორმა?

— შენ რა? იქნებ გგონია, რომ ჰავანაში არა ვარ დაბადებული. ხომ ასეა? გგონია, რომ სოფლელი ვარ, არა?

— არაფერიც არ მგონია. მინდოდა მეკითხა, ჰავანის რომელ რაიონში დაიბადე-მეთქი.

— იქვე, სადაც ახლა ვცხოვრობ, პოგოლოტში. თუმცა სხვა ქუჩაზე, მაგრამ იმავე რაიონში.

— მე მხოლოდ ამის გაგება მინდოდა. ხვალვე წავალ და ავიღებ ცნობას შენი დაბადების შესახებ, მომავალ კვირას კი ხელი მოვაწეროთ...

— მართლა ამბობ? — ნორმა დაჟინებით დააცქერდა სებასტიანს.

— ნურაფერს ნუ მეტყვი, არ არის საჭირო, ხვალ დილით ადრე წავალ სასამართლოში. შენ იმიტომ გეშინია, რომ ღარიბი ხარ და კიდევ იმიტომ, რომ მულატი ხარ. ჩემთვის კი სულერთია. ნუ გეშინია, ყველაფერი კარგად მოეწყობა, არაფერი არ შეგვიშლის ხელს.

— არ ვიცი, რატომ ამოიჩემე ჩემი ცოლად შერთვა, მე ხომ ისედაც დავდივარ შენთან. ნუ იწვალებ თავს... მაშ კარგი, თუ შენ ასე გინდა, მოვაწეროთ ხელი.

სებასტიანი ნორმას ყოველთვის უსიამოვნო ფიქრებს აღუძრავდა ხოლმე. მაგალითად, ახსენებდა, რომ წერა-კითხვა არ იცოდა. ნორმას კი სულაც არ უნდოდა წერა-კითხვის სწავლა. სებასტიანის სამყარო აშინებდა მას.

მანუელი არამზადა იყო, მაგრამ მასთან ყველაფერი ავიწყდებოდა. ის, რაც დღეს მოიფიქრა, უცებ გადაჭრის ყველა პრობლემას და სამივენი კმაყოფილნი იქნებიან. ხვალვე ეტყვის ამის შესახებ მანუელს.

— თუ პლაიიტასში წავალთ, კაბა უნდა გამოვიცვალო, — უთხრა ნორმამ, რათა თავი აერიდებინა ახალი შეკითხვებისათვის.

— მე მომწონს ის კაბა, აქ რომ დატოვე. რატომ არ გინდა იმის ჩაცმა? ახლახან მოიტანეს სამრეცხაოდან. გინდა, მოგეხმარები?

— ხომ არ გინდა დამბლა დაგეცეს? ჭამის შემდეგ ფიქრიც კი არ შეიძლება ასეთ რამეზე...

— ცრუ რწმენაა...

ღამის სამ საათზე დაბრუნდნენ შინ, მთვრალები.

სებასტიანს ხელში აყვანილი მოჰყავდა ნორმა.

* * *

სებასტიანმა კარი გამოაღო: მის წინ უცნობი მამაკაცი იდგა. მანუელმა აუხსნა, რომ ნორმას თხოვნით მოვიდა და პირისპირ უნდა მასთან მოლაპარაკება.

— მე დიდ პატივსა ვცემ ნორმას, — უთხრა მანუელმა.

სებასტიანმა პერანგის ქვეშ რევოლვერი შენიშნა უცნობს. გადაწყვიტა, რომ ისევ პოლიციიდან იყვნენ მოსული.

— ნორმამ ბევრი რამ მიამბო თქვენს შესახებ, ღვიძლ ძმასავით გიცნობთ, — მანუელი ისე დადიოდა ოთახში წინ და უკან, თითქოს მთელი თავისი სიცოცხლე აქ გაუტარებიაო.

— ჩემთვის კი არასოდეს არაფერი უთქვამს თქვენს შესახებ.

— ეშინოდა, რომ თქვენ არ გწყენოდათ, როცა გაიგებდით... მე ხომ ციხეში ვარ, სერჟანტად, „პრინსიპეში", გესმით?.. საქმე ისაა, რომ მე არ მაქვს საშუალება, ორი ბინა ვიქირავო. ეს ქალი ჭკუას მაკარგვინებს და, თუ ჩვენ არ ვიზრუნეთ მასზე, ქუჩის ქალად გადაიქცევა. შენ ხომ გესმის ჩემი? მე არ შემიძლია ვარჩინო ცოლი, შვილი და კიდევ ნორმა. ეს მეტისმეტია. მე თქვენ დიდ პატივსა გცემთ. თქვენ ისეთი ადამიანი ხართ, ვისაც ესმის ცხოვრება. რატომ არ შეიძლება, ჩვენ ორივემ ვუქირავოთ ბინა ნორმას?

მათ შეუძლიათ გაინაწილონ ხარჯებიცა და ქალიც... სებასტიანი დამცირებულად გრძნობდა თავს... ეს ყველაზე თავხედური წინადადება იყო, რომელიც კი ოდესმე სმენია. მანუელმა თქვა, კვირაში ორ-სამჯერ მეტად არ შევხვდები ნორმასო.

— ამოირჩიეთ დღეები, რომელიც უფრო მოსახერხებელი იქნება თქვენთვის. ნორმამ თქვა, ჩემთვის სულერთიაო, თქვენ შეგიძლიათ ღამე გაატაროთ მასთან, მაგალითად, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით. მე კი სამშაბათობით...

სებასტიანი შეურაცხყოფილი იყო. ეჩვენებოდა, თითქოს მის ზურგს უკან ვიღაც იდგა და თვალყურს ადევნებდა, — ვიღაც უხილავნი ტრიალებდნენ მის ირგვლივ. ბუნდოვანი, საძაგელი სახება ნორმასი ხან თვალწინ დაუდგებოდა, ხან გაქრებოდა. ამგვარი არასოდეს არ უხილავს ნორმა.

— მეგობარო, შენ ვერც კი წარმოიდგენ, როგორ ვზრუნავ ამ ქალზე. აი, მაგალითად, ამ დღეებში საათი გამოვუსყიდე, დაგირავებული ჰქონდა...

სებასტიანი ცდილობდა გაეგო, რა აკავშირებდა ნორმას მანუელთან: ჩახუჭუჭებული თმები, შესამჩნევად წინ წამოწეული მუცელი. სებასტიანმა წარმოიდგინა ორივე ლოგინში... სახე დაემანჭა. სასოწარკვეთილება, ბოღმა და სირცხვილი ახრჩობდა სებასტიანს.

— თქვენ არ გჯერათ, მე მიყვარს ეს ქალი და მხოლოდ სიკეთე მსურს მისთვის, გეფიცებით...

სებასტიანმა შარვალზე გაიწმინდა გაოფლიანებული ხელისგულები.

— მე არაფერი მაქვს საწინააღმდეგო იმათ მიმართ, ვისაც არ მოსწონს მთავრობა, — თქვა მანუელმა; იგი შიშობდა, ვაითუ იმიტომ შემხვდა ასე გულცივად, სამხედრო რომ ვარო. მას შემდეგ, რაც ის მსუქანი კაცი შემოაკვდა ყავახანაში, მოთხოვნილებად ექცა, ესიამოვნებინა ადამიანებისათვის. — თქვენ შეგიძლიათ გძულდეთ ბატისტა, თუ ასე გინდათ, ეს თქვენი საქმეა, გესმით? არიან ისეთი ადამიანები, რომელთაც

არ შეუძლიათ გაუგონ სხვებს. მაგრამ თქვენ უნდა შეხვიდეთ ჩემს მდგომარეობაში.

— არა მგონია, რომ არმიას უფრო მეტი უფლება ჰქონდეს ხელისუფლებაზე, ვიდრე ვინმე სხვას. თითქმის ყველა სამხედრო პოლიტიკოსზე უარესია, რადგან მათ საშუალება აქვთ არა მარტო იქურდონ, არამედ მოკლან კიდეც...

— ახალგაზრდობაში მეც ისეთი ვიყავი, როგორიც თქვენ, — შეაწყვეტინა მანუელმა. — ოჰ, რა თავგადაკლული რევოლუციონერი ვიყავი მაჩადოს დროს! მაშინ პროვინციაში ვცხოვრობდი. რომ მომენდომებინა, უნივერსიტეტშიც შემეძლო შესვლა. ახლა დოქტორი ვიქნებოდი. მაგრამ ამის მაგივრად ათასი პოლიტიკური სისულელე ჩავიჭედე თავში. ზერე ჰავანაში ჩამოვედი. და იცი, რით დასრულდა ყოველივე? იმით რომ ქუჩაში ლატარიის ბილეთების გაყიდვა დავიწყე. არ გეგონოს, რომ მრცხვენია... მაჩადოს დროს სამჯერ ვიჯექი ციხეში. და არავინ იცის, სადამდე მიმიყვანდა ეს... ასე კი ცოცხალი გადავრჩი და ვმსახურობ. არა, ახლა იმის მხარეზე ვარ, რომელიც უფრო შესაფერია ჩემთვის. საკუთარ ტყავს უნდა გაუფრთხილდე, ძმაო. კუბაში არაფერი არ შეიცვლება... არაფერი... კუბა მეძავი ქალივით არის, მაგრად უნდა დაიჭირო ხელში. ბატისტა ყველაზე უკეთესია, ყველაზე შესაფერია კუბისათვის, — მანუელმა გაიღიმა და ბეჭებზე ხელი დაარტყა სებასტიანს.

— მე მგონია, კუბას სულელები უფრო სჭირდება, ვიდრე ჯიბიდან გავარდნილი ხალხი, — უთხრა სებასტიანმა, რომელიც ძლივს იკავებდა ზიზღს მოსაუბრისადმი. — მე ვფიქრობ, სჯობია, დოყლაპია იყო, ვიდრე გაიძვერა.

— ვინ იცის, შეიძლება მართალიც ხართ. ზოგს ასე მოს-

წონს, ზოგს ისე. მე მაინც ჩემებურად ვცხოვრობ. — მანუელმა გადაწყვიტა, არ გაეღიზიანებინა სებასტიანი. — აი, ნახავ! ჩვენ ყველაზე კარგად მოვეწყობით. ნორმა კი არ დაიბნევა, თავისას წაიღებს. ხომ მართალია?

სებასტიანი გაწითლდა. გადაწყვიტა ორასი პესო მიეცა მისთვის და მოატყუა, მომავალი თვიდან შეერთებულ შტატებში მივდივარო.

— როცა ჩამოხვალთ, შეგიძლიათ მიხვიდეთ ნორმასთან.

სებასტიანი წამოდგა, რათა ჩეკების წიგნაკი მოეძებნა. ცოტაღა ჰქონდა ბანკში ანგარიშზე დარჩენილი. უეცრად გაახსენდა, რომ მანუელი შეიძლება ატყუებდეს და ჩეკი ნორმას სახელზე გამოწერა. დეე, იცოდეს, რომ მან უკვე დაიბანა ხელი. თუ ამის შემდეგ კიდევ დაჭირდება ფული, შეუძლია ქუჩაში გავიდეს. სებასტიანმა მოხია ჩეკი. კარგი იქნებოდა, ასევე მოეღო ბოლო თავისი გრძნობებისათვის.

მანუელმა ჩეკი დაკეცა, საფულეში ჩაიდო. ამის შემდეგ ოციოდე წუთს კიდევ ყბედობდა.

— მთელი სიცოცხლე თქვენი მადლიერი ვიქნები. თქვენ ჩემი ძმა ხართ. ნორმას ძალიან უყვარხართ, — უთხრა მან წასვლისას.

სებასტიანმა დერეფანში გააცილა და უკან მობრუნებულმა მთელი ძალით მოიჯახუნა კარი.

კიდევ ერთი გამვლელი

სებასტიანს ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს საცაა სახლი წაიქცეოდა და თავის ნანგრევების ქვეშ დამარხავდა მას. კედლები თითქოს გულზე აწვებოდნენ, საჩქაროდ გამოვიდა

ქუჩაში და „ელ-პასიფიკოსაკენ“ გასწია ლუისის სანახავად. ჯერ ისევ ძალიან ადრე იყო და სებასტიანმა მანქანაში მოცდა ამჯობინა. მძიმედ განიცდიდა ნორმას უნახაობას, სევდამ სულ უფრო დარია ხელი. ერთხანს კიდეც ეგონა თავს დავძლევო, მაგრამ შემდეგ მიხვდა, რომ უბრალოდ არ უნდოდა თავიდან მოეცილებინა მისი თილისმა. ნორმა მისთვის ერთადერთი გამოსავალი იყო, მეტი არაფერი დარჩენოდა. ყოველგვარი ძლიერი გრძნობა სჯობდა იმ გულგრილობას, რომელიც ჟამიდან ჟამზე დაეუფლებოდა ხოლმე მას. სებასტიანი შეეცადა ეფიქრა მომავალზე, უყურებდა ქუჩაში მოსიარულე ხალხს, მაგრამ ნორმაზე ფიქრი ვერაფრით ვერ მოიშორა. ნორმას კი ერთხელაც აღარ დაურეკია მანუელის სტუმრობის შემდეგ.

სებასტიანს სიკვდილი უნდოდა, მაგრამ გამბედაობა არ ჰყოფნიდა თავის მოსაკლავად. ნორმას ნახვა სწყუროდა და იცოდა, რომ ეს შეუძლებელი იყო. ალბათ, დამნაშავე თვითონ არის და არა ნორმა... სებასტიანს მოუნდა, დაემცირებინა საკუთარი თავი. ის ხომ ისე არ ცხოვრობს, როგორც ყველა, როგორც, მაგალითად, მისი მშობლები. სულაც არ არის ისე თავისუფალი, როგორც თვითონ სურდა. უნდა დაივიწყოს იგი, რაღაცით უნდა გაირთოს თავი, თუნდაც ქაღალდები ატრიალოს ხელში. შხაპი მიიღოს, იკითხოს, იმოძრაოს — ოღონდაც შეავსოს ეს სიცარიელე. ნორმა არასოდეს არ ეკუთვნოდა მას. სხვისი გულისთვის მიატოვა იგი. სებასტიანს მოეჩვენა, რომ უკვე ჰკარგავდა მსჯელობის უნარს. ვინ არის იგი? კიდევ ერთი გამვლელი, უგზო-უკვლოდ მოარული, დაკარგული ამ ურიცხვ გამვლელთა შორის, ქუჩაში რომ დაეხეტებიან... მან ხელი გადაუსვა პრიალა სავარძელს, კარი გამო-

აღო და მანქანიდან გამოვიდა, თან უკმაყოფილოდ ბუზღუნებდა რაღაცას.

* * *

— მე რომ მოვდიოდი, ჩვენები ყველანი ტელევიზორთან ისხდნენ: კამათობდნენ, როგორი თმები უნდა ჰქონდეს ქალს— გრძელი თუ მოკლე... ჭკუას მაკარგვინებენ. ცოტა კიდევ და ვეღარ მოვითმენ.

წიწილი შეუკვეთეს ნუშით, შემწვარი ბრინჯი და ხილი. ლუისი გამხმარ ორცხობილას ჭამდა. სუფრაზე იბნეოდა ნამცეცები და სებასტიანს მოეჩვენა, თითქოს ეს ნამცეცები რაღაც ფანტასტიურ სახესა ჰქმნიდნენ.

— ვერაფერი გამიგია ჩემი მოხუცისა. ფული იმაზე მეტი აქვს, ვიდრე საჭიროა იმისათვის, რომ მოისვენოს, ის კი ვირივით განაგრძობს მუშაობას. აი, რა ვერ გამიგია.

— ყველაფერს აქვს თავის მეორე მხარე, ლუის. მამაშენმა გამარჯვება მოიპოვა. იგი ტკბება იმით, რომ ფულს აკეთებს და დადის წირვაზე. — სებასტიანს იმედი ჰქონდა, საუბარი გადაავიწყებდა ნორმას. — შენ ან უნდა მიიღო ის, რაც შენს ირგვლივ ტრიალებს, ან უნდა ეძიო რაღაც სხვა, რომელიც შენთვის არის მნიშვნელოვანი. მაგრამ ეს „სხვაც“ არ შეიძლება მთლიანად შენ გეკუთვნოდეს. მამაშენი, დარწმუნებული ვარ, არ ითვალისწინებს იმ მსხვერპლს, რაც გაიღო იმისათვის, რომ ამ გზით გამდიდრებულიყო.

სებასტიანს ზიზღსა ჰგვრიდა საკუთარი სიმშვიდე. ვერავინ ვერ ახერხებდა მის გატაცებას. ზოგჯერ უნდოდა რაღაც გზას დადგომოდა, მაგრამ მაშინვე გადაიფიქრებდა ხოლმე. რაღაც

ძალა მუდამ აიძულებდა ყველაფერი შეედარებინა, აეწონა, შეემოწმებინა ქრონოლოგიური სიზუსტით. აი, ახლაც ვერაფრით ვერ გადაუწყვეტია, უთხრას ლუისს, რომ მიატოვა ნორმა, თუ გაჩუმდეს.

ჩინელმა ოფიციანტმა ღიმილით გაშალა სუფრა. ლანგარს თავი ახადეს. ღამის ნიავმა გაჰფანტა ამოვარდნილი ორთქლი. სებასტიანმა წყალი მოითხოვა. ლუისი ხარბად ჭამდა.

— ჩემი ძმა ათასნაირ სისულელეს როშავს, მამაჩემი კი ყურადღებით უსმენს. არ ვიცი, სადა აქვს მოხუცს ამდენი მოთმინება. მუდამ პოულობს დროს იმისათვის, რომ ყველაფრით დაინტერესდეს. ყოველ დილას, საპირფარეშოში რომ შედის, გაზეთს კითხულობს, მარტო მისი შეხედვაც კი ნერვებს მიშლის.

— შენ მეტისმეტად კარგად გესმის ყველაფერი იმისათვის, რომ მდიდარი გახდე. მე ვთხოვ მამაშენს, გიყიდოს შემოსავლიანი სახლი. გააქირავებ ოთახებს და იცხოვრებ არხეინად,— ეს რომ თქვა, სებასტიანი მიხვდა, რომ აწყენინა ლუისს.

მას მხოლოდ ერთი რამ ეწადა: ნორმასთან ყოფნა. დანარჩენი ყველაფერი უაზრობად ეჩვენებოდა და ტკივილს აგრძნობინებდა. ეშინოდა, კიდევ არ ეწყენინებინა ლუისისათვის.

— მე არასოდეს წირვაზე არ დავდივარ. იქნებ, საჭიროც იყოს ჩემი იქ სიარული. მაშინ მოვიკრებდი მოთმინებას და აღარ ვიბუზღუნებდი. ეკლესიაში სულ იმას ჩაგჩიჩინებენ, მადლიერი უნდა იყო ღმერთისაო. რისთვის უნდა იყო მადლიერი?

ტერასიდან გაკაშკაშებული ქალაქი მოჩანდა. ეკლესია რეინის ქუჩაზე და კაპიტოლიუმი თავზე დაჰყურებდნენ ქალაქს. მახლობელი სახლის ბრტყელ სახურავზე მოხუცი ჩი-

ნელი ქანაობდა სარწეველა სავარძელში, გვერდით ფლოსტები ეწყო. განათებულ ღია ფანჯრებში ხან გამოჩნდებოდა, ხან იმალებოდა სილუეტები. სებასტიანი რომელიღაც ფანჯარაში იყურებოდა და ნორმაზე ფიქრობდა. ალბათ, ის და მანუელი ტკბებიან თავის სიყვარულის ბუდეში და დასცინიან მას... ისევ სევდა მოაწვა. რას იზამ? ეს სევდა ხომ მაინც არის მისი და ვერავინ წაართმევს.

— მშვენიერი ადგილია. აი, სად იქნება სასიამოვნო გოგოსთან დროს გატარება.

სებასტიანმა გადაწყვიტა ეთქვა ნორმას შესახებ, მაგრამ ლუისმა შეაწყვეტინა.

— მე შენ გიამბე, როგორ გადავწყვიტე მეშოვა ფული წიწილების საშუალებით? ყოველ დილას შვიდის ნახევარზე ვდგებოდი და ფერმაში მივდიოდი. საძაგელი ცხოვრება იყო. წარმოგიდგენია: მხოლოდ იმიტომ დაიბადო ქვეყანაზე, რომ წიწილები ზარდო! ისეთი სასოწარკვეთილება მიპყრობდა ხოლმე, რომ ზოგჯერ მზად ვიყავი წყალში გადამეყარა ყველაფერი. ნახევარი წელი გავიდა და მე ერთი სენტავოც ვერ ვიშოვე. ახლა ისევ ცხენები ვამჯობინე. ამას წინათ ორას პესოზე მეტი მოვიგე. აი, მესმის კაპიტალის ასეთი დაბანდება! მომწონს, მაშინვე რომ დაინახავ შედეგს... მოცდა არავის არ უყვარს. იცი, მამაჩემი ოცი წელიწადი მუშაობდა, სანამ პლანტაციისა და შაქრის ქარხნის ყიდვას შეძლებდა.

— შენს მოხუცს კიდევ ბედმა გაუღიმა, ლუის. უმეტესობა ადამიანებისა მთელი სიცოცხლე მუშაობს და ისე კვდება, რომ ერთი გროშიც არა აქვს ჯიბეში... ყველაფერს ისე უნდა შეხედო, როგორც სინამდვილეშია, — გაბოროტებით უთხრა სებასტიანმა. — შენ კი ბავშვივით მსჯელობ. ქვეყანას შენი

სურვილისამებრ ვერ გადააკეთებ. თუ სხვანაირად ფიქრობ, ცდები. — სებასტიანი გულმოსული იყო. იგი ლუისზე იყრიდა მანუელის სტუმრობით გამოწვეულ გულის ჯავრს.

— მე ხომ ვერ შევიცვლები!

— ძალიან სერიოზულად ნუ მიიღებ ჩემს სიტყვებს, ლუის... ყოველთვის ისეთი იყავი, როგორიც ხარ. ვერ წარმოიდგენ, როგორ მოსაწყენ ტიპად იქცევი, თანამედროვე საქმოსანს რომ დაემგვანო.

ლუისმა გაიცინა. სებასტიანი ნუშის აღებას ლამობდა, წიწილის ნაჭერი კიდევ დარჩენოდა და უნდოდა ნუშთან ერთად შეეჭამა.

— კომუნისტებმა მაინც გაიმარჯვონ. ყოველ შემთხვევაში, დაანახვებდნენ მაინც, რომ არსებობს სხვაგვარი ცხოვრება, რომელიც სავსებით არ ჰგავს მათ ცხოვრებას. მარტო ამისათვისაც კი ღირს, სებასტიან, ინატროს კაცმა კომუნისტების გამარჯვება. იცი, რას ჩამჩიჩინებს ყოველ წუთში ჩემი ბიძაშვილი? ცხოვრებაში უნდა შეგეძლოს ყველაზე მცირედითაც დატკბობაო, მარწმუნებს... ერთხელ კარგად გამოიტენა პირი ბანანებით და ისეთი სახე მიიღო, თითქოს რაღაც ზებუნებრივს აკეთებსო. სწორედ ეს მიაჩნია ყველაზე მცირედად. ერთი სიტყვით, ჯანდაბას გავისტუმრე თავის ბანანებიანად, როცა ჩემი გამასპინძლება დააპირა...

ისინი ლიფტით ჩამოდიოდნენ. რომელიღაც სართულზე ნაწყვეტ-ნაწყვეტი ჩინური საუბარი შემოესმათ:

— ალბათ, თქვენი ლიფტი ყველაზე პატარაა მთელს ჰავანაში? — შეეკითხა სებასტიანი მელიფტეს.

— არ ვიცი. ეს ძალიან პატარაა.

— რა სულელურ შეკითხვებს იძლევი ამერიკელი ტურისტივით, — უთხრა ლუისმა, როცა ქუჩაში გამოვიდნენ.

— ჰო, ამერიკელებს ყოველთვის ასეთი რამეები აინტერესებთ...

— რა დაგემართა? უსიამოვნება ხომ არაფერი შეგემთხვა?

— პირიქით, სიხარული მმართებს: ნორმას ჩამოვცილდი.

— რა მოხდა თქვენს შორის? მე ყოველთვის მეჩვენებოდა, რომ შენთვის სულ ერთი იყო, შეხვდებოდი თუ არა მას.

— წარმოიდგინე, რომ ვცდებოდი. თურმე ნამდვილად მყვარებია, ის კი სხვასთან...

— ნუ იდარდებ. ქალების მეტი რაა ქვეყანაზე.

— ჰო, ქალების მეტი რაა ქვეყანაზე, — გაიმეორა სებასტიანმა, — არ იცოდა, რა პასუხი გაეცა. თითქოს რაღაც ჰქონდა თავზე შემოჭერილი, საშინლად სტკიოდა თავი. მაგრამ როცა ლუისს გაანდო თავისი სევდა, ტკივილიც გაუნელდა.— ყოველივე ეს არც ისე საშინელია, როგორც გვეჩვენება. ჩვენ ყოველთვის დიდად წარმოვიდგენთ ხოლმე ჩვენს უბედურებას. ადამიანების ყველაზე საყვარელი თავშესაქცევია — ყველაფრის სერიოზულად მიღება.

— შენ მართალი ხარ. მე რომ სერიოზულად არ მიმეღო ჩემი ურთიერთობა სილვიასთან, ახლა მამაჩემთან არ ვიჯდებოდი კანტორაში. წავიდეთ კინოში.

ჩინური კვარტალიდან რომ გამოდიოდნენ, ორი მეძავი გაშოელაპარაკა მათ:

— მოდი აქ, ამერიკელო, კომი ჰირ[1], — დაუძახა ერთმა

---

[1] დამახინჯებული come here (ინგლ.).

მათგანმა და თეძოები შეარხია. მოდი აქ, ქერათმიანო, ვერი გუდ.

— ხედავ, — უთხრა ლუისმა. — მეძავებსაც კი ამერიკელი ჰგონიხარ.

— ეს ბუნებრივია. მეც არ ვიცი ზუსტად, ვინა ვარ...

სებასტიანმა ისევ გაიფიქრა, რომ ნორმა ქუჩის ქალად იქცევა. ამ აზრმა სიამოვნება მოჰგვარა. გაიხსენა, როგორ ნახა პირველად ნორმა: სუფრაზე ემსახურებოდა მამამისის სახლში. ერთხელ თავისი ოჯახის შესახებაც მოუყვა — თურმე ყველანი ერთ ოთახში ცხოვრობდნენ. დანარჩენი გადაავიწყდა სებასტიანს. სინამდვილეში იგი სრულებით არ იცნობდა ნორმას.

უკვე მეათე საათი იყო, როცა კინოთეატრში შევიდნენ.

— მოგწონს ეს სურათი? — რამდენსამე ხნის შემდეგ შეეკითხა ლუისი.

— არც ისე.

— უყურებ ბოლომდე?

— თუ გინდა, წავიდეთ. ჩემთვის სულერთია.

ისინი მალეკონის მიმართულებით მიდიოდნენ. სებასტიანი ისევ მოწყენილობამ შეიპყრო. ცდებოდა, როცა ფიქრობდა, რომ იოლად შეეძლო ნორმას დავიწყება. რაც არ უნდა ეღონა, ამით მხოლოდ იზრდებოდა მისი მწუხარება. იგი დაქანცა ლუისთან ყოფნამ, მაგრამ არც მარტო დარჩენა უნდოდა. ხვალ უნდა მისწეროს ნენსის. უკვე ერთი თვეა, რაც მისგან წერილი მიიღო და დღემდე პასუხი არ გაუგზავნია. ვინ იცის, იქნებ დათანხმდეს ჩამოსვლაზე.

ლუისი ცხვირსახოცის კუთხეს ღეჭავდა. სებასტიანი ცდილობდა არ შეეხედა მისთვის, რათა გული არ მოსვლოდა,

ირგვლივ ყველაფერი საძაგელი, გაურკვეველი ეჩვენებოდა. კუთხეში შეჩერდნენ ყავის დასალევად.

— მეც არ ვფიქრობდი, რა მაკლია მეთქი, — წამოიძახა ლუისმა, — იმ სულელურ რესტორანში მარტო ჩაის იძლევიან. იდიოტები!

სებასტიანმა ათი სენტავო დააგდო დახლზე.

— წავიდეთ კიდევ სადმე?

— წავიდეთ.

ნაწილი მეოთხე

ო, ქალნო შესანიშნავნო,
ო, სასმისნო, აღსავსენო ხორციელებით,
მზევალნო მათნო, რომელნიც გამკობენ თქვენ,
რათა შემდეგ მიგატოვონ...
ლექსო, მერწმუნე მე, —
კბილები მატკინა ამდენმა ხორცმა...

ხოსე მარტი

გულახდილნი ვიყოთ

დღის პირველი საათია. სებასტიანმა გაფრენათა განრიგს დაუწყო ძებნა: არ უყვარდა, როცა ვინმეს ეკითხებოდა. ნენსის მოულოდნელი ჩამოფრენის გამო ველარ მოახერხა ჩვეული დასვენება სადილის შემდეგ. ბოლოს იპოვა განრიგის დაფა: № 305 რეისის თვითმფრინავი ჰავანაში იქნება არა უგვიანეს ერთი საათისა.

სებასტიანი კიოსკთან მივიდა და „ბოემიის“ დილის ნომერი იყიდა. თავისუფალი სკამი მოძებნა „ნეშნლ ერლაინზის“ ვიტრინასთან და სკამზე ჩამოჯდა.

ყველა აეროპორტი ერთმანეთსა ჰგავს. სებასტიანს ეჩვენებოდა, რომ ჰაერის უმნიშვნელო მოძრაობაც საკმარისი იყო

იმისათვის, რათა მიწას მოსწყვეტოდა. წინანდელი გაფრენები გაახსენდა. ჟურნალი გადაფურცლა. ახალი საღებავის სუნი ეცა.

ჯაშუში, რომელმაც მოატყუა აშშ არმია. მტრები.
ცხოვრება კუბის გამოქვაბულებში.
ასოცი წლის წინათ კოლტმა გამოიგონა რევოლვერი.
სიცრუის დეტექტორმა კინაღამ ელექტროსკამზე
დამსვა.
ადამიანის სიცოცხლის კონტრაბანდა.
როცა გულში ჩავიხედავთ.

სებასტიანი ყურადღებით ათვალიერებდა სურათს. მეტად მძიმე იყო ლანცეტებით გადახსნილი ბავშვის მკერდის ყურება, მაგრამ მაინც არ შლიდა ფურცელს.

მსახურმა, რომელმაც უახლოესი რეისი გამოაცხადა, შეწყვიტა სებასტიანის ფიქრი. ორმა შლიაპიანმა შუახნის ქალმა მსახურს დაუძახა.

სებასტიანი ცდილობდა მეხსიერებაში აღედგინა ნენსის სახე. მას დაავიწყდა ნენსი, მაგრამ დარწმუნებული იყო, მაშინვე იცნობდა, როგორც კი დაინახავდა. ბუნდოვნად ახსოვდა: როცა ნენსი იცინოდა, თვალები ეჭუტებოდა. ზოგიერთი დეტალიც გაახსენდა: თავის მობრუნება, ქერა ბუსუსები ხელებზე...

ნენსის გრძელი ფეხები და ბრინჯაოსფერი კანი ჰქონდა. იგი ჩამოვა და თან ჩამოჰყვება უცხო სინთეტიური სურნელება... რეპროდუქტორმა მორიგ რეისზე ჩაჯდომა გამოაცხადა...

მგზავრები გასასვლელთან შეჯგუფდნენ. სებასტიანმა თავი

ასწია და უცნაურად გამოწყობილი ქალები დაინახა: ჰავანაში იშვიათად თუ შეხვდები შლიაპიან ქალს. საათს დახედა — ნახევარი საათი კიდევ რჩებოდა. იმ განყოფილებას გადახედა, რომელსაც სათაურად ეწერა: „კუბის ამბები". ფიდელ კასტრო მექსიკიდან იწერებოდა:

„უკვე ოთხი წელია ვიბრძვით იმის აღსადგენად, რაც ერთ ღამეში გაანადგურეს. მიმდინარეობს ბრძოლა იმ წყობილების წინააღმდეგ, რომელსაც ძრწოლას გვრის გარდაუვალი შურისგება. მიმდინარეობს ბრძოლა პოლიტიკური კამარილიის წინააღმდეგ, რომელიც თითქოს ოპოზიციაში დგას, სინამდვილეში კი მიისწრაფის არა იმისაკენ, რომ რადიკალურად გარდაქმნას ქვეყანა, არამედ სურს აწარმოოს იგივე დამღუპველი, უნაყოფო პოლიტიკა, რომელიც საარაკო შემოსავალს აღუთქვამს სენატორებსა და მაღალი თანამდებობის ჩინოვნიკებს. შემოსავალს, რომელიც საკმარისია არა მარტო მათთვის, არამედ მათ შთამომავლობასაც ეყოფა. სწარმოებს ბრძოლა იმ ადამიანების ინტრიგებისა და მაქინაციების წინააღმდეგ, რომელნიც ხალხის სახელით ლაპარაკობენ და არაფერი საერთო არა აქვთ ხალხთან. სწარმოებს ბრძოლა ცრუ მოციქულთა ბილწი ქადაგების წინააღმდეგ, რომელნიც, ვითომ მშვიდობის სახელით, მსჯავრს სდებენ რევოლუციას, მაგრამ იმაზე კი არაფერს ამბობენ, რომ დამშეული, დანიშნული, დაობლებული ოჯახები აგერ უკვე მეოთხე წელია ვერ ეღირსნენ მშვიდობას".

სებასტიანმა რამდენიმე აბზაცი გამოტოვა და კითხვა განაგრძო.

„მე იმათ რიცხვს ვეკუთვნი, რომელთაც სწამთ, რომ რევოლუციაში პრინციპები ზარბაზნებზე მნიშვნელოვანია. ჩვენ

ოცდაორკალიბრიანი შაშხანებით მიგვქონდა იერიში მონკადა-ზე. ჩვენ არასოდეს არ დაგვითვლია, რამდენი თოფი აქვს მოწინააღმდეგეს. მთავარია არა იარაღი, არამედ იდეები, როგორც თქვა მარტიმ. კუბაში გადაეჩვივნენ სიმართლის თქმას, მაგრამ სულ მალე ბოლო მოეღება სიცრუესა და ცილისწამებას. ჩვენ არ გავტეხთ მიცემულ სიტყვას: 1956 წელს ჩვენ ან თავისუფლები ვიქნებით ან დავიხოცებით. ამას მე ვაცხადებ მტკიცე რწმენით და სრული პასუხისმგებლობით: ას ოცდაექვს დღეში, 31 დეკემბრამდე".

სებასტიანმა დაბრკოლებებზე დაიწყო ფიქრი: კორუპციამ მოიცვა ქვეყანა, მაგრამ კრიზისი არ არის და მუშებიც, მგონი, კმაყოფილნი არიან. ფიდელი აღსავსეა ენთუზიაზმით. ვნახოთ, რითი გათავდება ყოველივე.

რადიომ 3C5-ე რეისის მოსვლა გამოაცხადა. გულმა გამალებით დაუწყო ცემა და სებასტიანმა რამდენიმე წუთს შეიცადა, სანამ ფეხზე წამოდგებოდა.

* * *

Please fasten your seatbelts. No smoking[1].

მგზავრები აუჩქარებლად იკრავდნენ დამტვერ ქამრებს. მოსალოდნელი დაშვებით გამოწვეული მღელვარება შეუმჩნევლად კუმშავდა გულს. ერთნი გაცხოველებით მუსაიფობდნენ, მეორენი ოცნებებში იყვნენ ჩაფლულნი. ფრანსისკო რუედამ სიგარეტი ჩააქრო. მამამისი, ალბათ, საფლავში გადატრიალდებოდა რომ გაეგო, ფრანსისკო სიგარეტს სწევდა და

---

[1] შეიკარით ქამრები. ნუ მოსწევთ (ი ნ გ ლ.).

არა სიგარას. თუმცა ფრანსისკოს ეჭვი არ ეპარებოდა, რომ ვერასოდეს ვეღარ ნახავდა მამას: მიცვალებულნი მიცვალებულად დარჩებიან. ამ აზრმა დააღონა და ამავე დროს ძალაც შემატა. მამა მოკვდა, ეს გათავებული საქმეა — მომავლისათვის უნდა იცხოვრო.

ფრანსისკომ გასასვლელის მეორე მხარეს სავარძლებს გადახედა — ვიღაც შავებში გამოწყობილი ქალი უღიმოდა. მისი ქმარი ფილადელფიაში გარდაცვლილიყო, თვითონ კი კუბაში ბრუნდებოდა. მან თავისი ამბავი უამბო ფრანსისკოს. ის და მისი ქმარი შერისხულებივით მუშაობდნენ შტატებში და როცა ცოტაოდენ ფულს მოუყარეს თავი, ქმარი გულის შეტევით გარდაიცვალა.

მაიამში აეროდრომზე ფრანსისკო გააფრთხილეს, რომ სამხედრო დაზვერვას შეუძლია დააპატიმროს იგი, თუ რანჩო ბოიეროს აეროპორტზე ჩამოვა, მაგრამ გეგმების შეცვლა გვიანღა იყო. დარჩენა არ შეეძლო. თვით ფიდელ კასტროს წერილი მოჰქონდა ჰავანაში შეთქმულების ხელმძღვანელებისადმი. ფრანსისკომ გაიღიმა და მის შავ თვალებში — კანარის კუნძულების მკვიდრის თვალებში — ნაპერწკლები აენთნენ. რომ სცოდნოდა ქვრივს, რა იდო ფრანსისკოს სამგზავრო ჩანთაში, უმალვე გაჰყვებოდა თავისი მეუღლის კვალს...

ბარგის აწონვის წინ ქვრივმა შენიშნა, რომ ფრანსისკოს მხოლოდ ერთი ჩანთა ჰქონდა. ქვრივმა შვილი უწოდა ფრანსისკოს და აუხსნა, ბევრი ბარგი მაქვს და სულაც არ მინდა ზედმეტი ფული გადავუხადო ავიოკომპანიასო. ფრანსისკომ ისარგებლა შემთხვევით, თავისი სამგზავრო ჩანთა გადასცა, თვითონ კი ორი ჩემოდანი აიღო, რომლებშიც სენიორას უთო და სხვა მძიმე ნივთები ელაგა. სამგზავრო ჩანთის სარჩულზე

მსხვილი ძაფით იყო მიკერებული ფიდელის წერილი და სხვა მამხილებელი საბუთები. ფრანსისკოს უკვირდა: რაში სჭირდებოდა ქვრივს ფულის დაზოგვა; სულ ერთია, ქმარი ხომ მაინც გარდაეცვალა. არა უშავს. მისი სიძუნწე 26 ივლისის მოძრაობას მაინც დაეხმარება.

როცა მათ ქვევით პალმებით აჭრელებული მინდორი გადაიშალა, ფრანსისკოს გული შეეკუმშა. ვაითუ არავინ ელოდება აეროპორტზე? ტყუილი შიშია, ყოველივე ეს ტყუილი შიშია... მან ძალა დაატანა თავს, დაეძლია შიში. მის გვერდით ტანმაღალი ამერიკელი ქალი იჯდა. მხოლოდ და მხოლოდ იანკები გრძნობენ კუბაში თავს დამშვიდებით. წყეული იყოს ბატისტა, რომელმაც ამერიკელებს ჩაუგდო ხელში კუბა, ოღონდაც ხელისუფლებას დაპატრონებოდა. როგორ შეუძლიათ იმის ფიქრი, რომ ბატისტა კარგია კუბისათვის? როგორ შეიძლება დემოკრატად გწამდეს თავი და ამავე დროს ბატისტას ეხმარებოდე? სიძულვილმა იმათ მიმართ, ვინც ჰყიდდა და ვინც ყიდულობდა მშობლიურ კუნძულს, ოდნავ გაუფანტა შიშის გრძნობა. რადგანაც მაიამიდან მოდის, არავინ არ იფიქრებს, რომ ფიდელის გამოგზავნილია. მას აქვს წერილი ბანკიდან, რომელიც ამტკიცებს, რომ თავისი შვებულება მაიამში გაატარა. მართალია, სამსახურიდან განთავისუფლდა, მაგრამ ასეთი წერილი მაინც მისცეს. კარგი კაცია სებასტიანის მამა...

ამიერიდან მისი ცხოვრება რევოლუციის ინტერესებს ემორჩილება. დადგება დღე როცა ყველა ბანკი კუბის საკუთრებად იქცევა.

ნენსიმ რამდენჯერმე გადახედა ფრანსისკოს, უფრო მოუთმენლობის, ვიდრე ცნობისმოყვარეობის გამო. ფრანსისკო

დუმდა. არც ნენსი აპირებდა საუბრის დაწყებას. ეშინოდა, რომ პასუხად ისევ შესთავაზებდნენ ექიმს, რომელიც აბორტებს აკეთებს, როგორც წინა მოგზაურობის დროს.

სებასტიანი ისეთივე იყო, როგორც მისი ქალაქის მრავალი ახალგაზრდა, მაგრამ ის მაინც სხვა სამყაროში ცხოვრობდა. ვაითუ რამე ზნეობრივი სიმახინჯე სჭირს?“ ისე ვმსჯელობ, როგორც ნამდვილი ბურჟუის შვილი“, უსაყვედურა ნენსიმ თავის თავს. ყველაფერი კარგად იქნება. ამიერიდან იგი დაიწყებს ძვირფასი ქვების შეგროვებას, ხავერდგადაკრულ ყუთებში ჩაალაგებს და აღარ დაუჯერებს აღარცერთ მამაკაცს. ერთადერთი, რასაც იგი ცხოვრებაში აფასებს, მხიარულებაა. ქალაქში, სადაც ყველაფერი დუღდა და შფოთავდა და ადამიანები მისთვის უცხო ენაზე ლაპარაკობდნენ, ვიღაც მამაკაცმა მოულოდნელად შესთავაზა რამდენიმე დღე გაეტარებინა მის სახლში. ნენსისთვის ეს საინტერესოც იყო და საშიშიც.

მისი და ცოლად გაჰყვა ენდრიუს, რომელიც ნენსის უყვარდა. იგი ორი წლით უმცროსი იყო და ბევრად ლამაზი ნენსიზე და რათა დაემტკიცებინა ეს, შეყვარებული წაართვა. ერთი დღით ადრე მათ ქორწინებამდე, ნენსის ენდრიუსთან ეძინა. ენდრიუ დაჟინებით მოითხოვდა გამოსათხოვარ შეხვედრას და ნენსიც დათანხმდა. ნენსიმ თვითონაც არ იცოდა, რა უფრო მეტად უნდოდა — ენდრიუსთან გამოთხოვება თუ დის დამცირება.

თვითმფრინავის თვლები ბეტონს შეეხო და ზღაპრული ურჩხულივით ახტა. ფრანსისკომ თვალები დახუჭა. იგი არაფერს არ იტყვის, თუნდაც აწამონ კიდეც, თვალებიც რომ დასთხარონ.

ფრანსისკომ ღიმილით გაატარა წინ ნენსი. იგი ცდილობდა,

რაც შეიძლება, შორს ყოფილიყო იმ ქვრივისაგან, მისი სამგზავრო ჩანთა რომ ეჭირა, როცა საბაჟოში შემოწმება დაიწყებოდა.

კუბელი მოქალაქეები ჯერ საემიგრაციო სამმართველოს ჩინოვნიკმა შეამოწმა და ფრანსისკომ თავისუფლად ამოისუნთქა, როცა მის სამგზავრო ჩანთას იარლიყი ჩამოკიდეს. იმ რამდენიმე წუთის განმავლობაში ეს ჩანთა მის თვალში მთელ ქვეყანას ჩამოეფარა. ვესტიბულში ქვრივმა დაუბრუნა ფრანსისკოს ჩანთა და თავისი მძიმე ჩემოდნები გამოართვა.

— ღმერთი შეგეწიოს, შვილო, ვერც კი წარმოიდგენ, რა სამსახური გაუწიე საცოდავ მოხუცს...

ფრანსისკომ სებასტიანი დაინახა და მასთან მივიდა.

— როგორ ვიკითხოთ ბატონი საერთაშორისო მიმომხილველი, — მხიარულად უთხრა მან. — ნუთუ ჩემთან ერთად თვითმფრინავით ჩამოფრინდა ვინმე მნიშვნელოვანი პიროვნება?

— არა, მეგობარ ქალს დავხვდი. მხოლოდ ამ დღეებში შევიტყე, რომ ჩრდილოეთში ყოფილხარ, შტატებში. — სებასტიანმა საუბრის თემა შესცვალა, რათა ნენსიზე არ დაეწყო საუბარი. — მამას ვკითხე შენ შესახებ. მოხუცი, სხვათა შორის, პენსიაზე აპირებს გასვლას. მითხრა, რომ ბანკიდან წასულხარ...

— ჰო, მაიამში ვიყავი, — ახლა ფრანსისკომ შეაწყვეტინა ლაპარაკი, რათა სებასტიანს არ ეკითხა, სად მუშაობდა ამჟამად. — მოხარული ვარ, რომ დავბრუნდი. გრინგოხი არაფერი გამეგება. საწყალი ხოსე მარტი! ალბათ, ძნელი იყო მისთვის ნიუ-იორკში ცხოვრება. რამდენი წელი გაატარა იქ?

— ათზე მეტი... მეც არაფერი მესმის მათი, თუმცა დედა-ჩემი ამერიკელია. სიმართლე რომ ვთქვა, ბევრს არ ესმის, რას ნიშნავს იყო კუბელი.

— შენ მართალი ხარ. ჩვენ ყველამ ვიცით, რომ კუბელები ვართ, მაგრამ არაფერს არ ვაკეთებთ ჩვენი ქვეყნისათვის. ყოველთვის გვგონია, თითქოს ყველაფერი, რასაც უცხოელები აკეთებენ, ყველაზე საუკეთესოა... ამერიკელი ქალები მხოლოდ ეკრანზე არიან მომხიბვლელნი; ქუჩაში რომ შეხვდები, შეხედვა შეგეზარება, ისე არიან გამხდრები.

— სად აპირებ მუშაობას?

— შენთვის რაღაც მაქვს სათქმელი, მაგრამ სხვა დროს იყოს... ახლა მეჩქარება... როდის შევხვდეთ?

— როცა გინდა, თუკი შემიძლია რაიმე დახმარება...

— მომეცი შენი ტელეფონი, ჩემი წიგნაკი დამეკარგა,— ფრანსისკომ ნომერი ჩაიწერა, ციფრები საიდუმლო შიფრით აღნიშნა. — მომავალ კვირას შევხვდეთ.

ფრანსისკო ისევ აღელდა. საბაჟოს მოტყუებით გამოწვეულმა სიხარულმა გაუარა. შიშობდა თავისი სამგზავრო ჩანთის გამო და ცდილობდა, რაც შეიძლებოდა, ადრე დაეტოვებინა აეროპორტი. ყველა გამვლელი საიდუმლო აგენტი ეგონა.

* * *

სამგზავრო ჩანთა თეთრ, ყვავილებამოხუნებულ გადასაფარებელზე დაეცა. მოპირდაპირე კედელთან საწოლზე აბუზღუნდა ფრანსისკოს ძმა. იატაკზე ფეხსაცმელები ეყარა, სკამზე პერანგი იყო გადაკიდებული. გადმობრუნებისას რეხინომ ქვეშ

მოიყოლა გადაშლილი ჟურნალი. მუხლებზე წამოიწია, ჟურნალი გამოიღო და სკამზე დააგდო.

— კარგად მოწყობილხარ, მეტი რაღა გინდა! — დაუყვირა ფრანსისკომ. — პირველ საათამდე სამინისტროში მუშაობ, მერე კოტრიალობ და ბულვარულ რომანებს კითხულობ.

— თუკი საშუალება გაქვს, რატომ არ უნდა იკოტრიალო? — უპასუხა რეხინომ, რომელიც ჯერ კიდევ კარგად ვერ გამოფხიზლებულიყო. გარდა ამისა, ეს ბულვარული რომანი კი არა ჟურნალი „ბოემიაა“.

— ფრანსისკო, ახლავე აიღე ჩემოდანი საწოლიდან, — დაუყვირა ოთახში შემოსულმა დედამ. — განა არ გესმის, რომ ჩემოდანზე ათასნაირი მიკრობია?

— ჯერ არ ჩამოვსულვარ და უკვე მეჩხუბები, — ფრანსისკომ იატაკზე დასდო ჩანთა.

— აბა შეხედე, რა დღეშია გადასაფარებელი! შენ ვერ ამჩნევ ასეთ რამეებს, ეს ყველაფერი კი დედამ უნდა გარეცხოს.

— მაპატიე, დედა, მე მართლაც ვერ მოვისაზრე. დავიღალე გზაში. მერე, რატომ არ არეცხინებ სონიას? ისე ზრდი, თითქოს ბანკირის ქალიშვილიაო.

— შენ არაფერი გესაქმება იმასთან, თუ როგორ ცხოვრობს შენი და. ეს მხოლოდ ჩემი საქმეა. თუ მე არ მინდა, რომ იმუშაოს, მაშასადამე არც იმუშავებს. შენი და ჯერ პატარაა, რატომ უნდა გაიფუჭოს ხელები. მე კი უკვე დავბერდი და ჩემთვის ეს სულ ერთია.

— იცი, დღეს სონიამ რა გააკეთა? — მიუბრუნდა ძმას რეხინო. — დადიოდა სარკის წინ და იმანჭებოდა, თითქოს ტელევიზიის არტისტიაო, სონია კალეროსავით მოცეკვავე უნდა გავხდეო, ამბობს.

— დაანებე დას თავი.

დედა ფრანსისკოს საწოლთან მივიდა და გაასწორა გადასაფარებელი. ფრანსისკო მიეხმარა:

სასტუმროში რეხინო სარწეველა სკამს დაეტაკა, რომელშიც ბიძია რიკარდო იჯდა. ტელევიზორი არ იყო ჩართული. რიკარდო ყურადღებით ათვალიერებდა ყურებმოოქროვილ ფაიფურის სპილოს. სონიამ სპილოს კარისაკენ აქნევინა კუდი, ასე ბედნიერებას მოგვიტანსო.

რეხინომ ხმამაღლა შეიგინა და ტელევიზორის გვერდით სკამზე დაეშვა, თან ორივე ხელი ფეხზე იტაცა.

— მაგრად დაეტაკე? — შეეკითხა ბიძია რიკარდო და სარწეველა სკამი შეაჩერა.

— ვერა ხედავ თუ? — ბურტყუნებდა რეხინო და დაბეგვილს ისინჯავდა. — მთელი დღე ქანაობ: აქეთ-იქით, აქეთ-იქით. ამაზე უფრო ჭკვიანური ვერაფერი მოიგონე!

— როცა არ ვქანაობ, მოწყენილობას ვგრძნობ, — უპასუხა რიკარდომ და მარაო გაიქნია, რომელზეც ორი ლეკვი იყო დახატული.

— ასე მოგიხდება, ასე მოგიხდება! — სონია თავის ოთახიდან გამოვიდა. — ღმერთმა დაგსაჯა იმისათვის, რომ ჩამაცივდი.

— მე შენ გაჩვენებ დასჯას! — უთხრა რეხინომ და თავის ოთახში შებრუნდა, სადაც ძმასთან ერთად ცხოვრობდა. დედა საწოლზე იჯდა და ფრანსისკოს ელაპარაკებოდა:

— რას ჭამდი იქ, ჩრდილოეთში? ვინ გეყოლებოდა სადილის გამკეთებელი.

— რაც მომხვდებოდა, დედი. იქაც არის კუბური რესტორნები, მაგრამ ძალიან ძვირია. მხოლოდ ერთხელ შევედი იქ,

ისე კი თითქმის სულ ქუჩაში ვჭამდი: ცხელ-ცხელი სოსისები ან კატლეტიანი ბუტერბროდები.

— საღამოსთვის შემწვარ ღვიძლს გაგიკეთებ ხახვით, შენ რომ გიყვარს ისე. ბრინჯიცა მაქვს, ლობიოც.

რეხინომ ხელი დაავლო ჩანთას და თავის საწოლთან მიითრია.

— აბა ვნახოთ, რა იყიდე? იქნებ მეც გამომადგეს რამე. არ ჩამომიტანე პერანგი? იქ იყიდება, ფერადფერადები.

— დაანებე ჩანთას თავი. ერთი წყვილი ფეხსაცმლის მეტი არაფერი მიყიდია, ისიც აუცილებელი იყო ჩემთვის, ერთი კონსერვის დანაც ვიყიდე დედასთვის.

რეხინომ ერთი ხელის გაქნევით გახსნა ჩანთა. ფრანსისკო წამოხტა.

— ვის ველაპარაკები: დაანებე ჩანთას თავი. ხომ ხედავ — არაფერია შენთვის. საყიდლებისათვის დრო არა მქონია. — „არ უნდა მეთქვა ასე", მაშინვე გაიფიქრა ფრანსისკომ, „ვაითუ შინაურებმა ეჭვი მიიტანონ, რომ რევოლუციურ მოძრაობაში ვმონაწილეობ". — გარდა ამისა, მთელი ფული სასტუმროებსა და ბილეთებზე დამეხარჯა.

— შეხედე, როგორ ბრაზობს. ალბათ, კოსტუმი ექნება თავისთვის ნაყიდი.

— კარგი, გეყოფა! — ფრანსისკომ ხელიდან გამოსტაცა ძმას გახსნილი ჩანთა. — ნურასოდეს ნუ მოკიდებ ხელს ჩემს რამეებს. არ მიყვარს. მე ხომ არ ვურევ ხელებს შენს უჯრებში... არ გაბედო ჩემი რამისათვის ხელის მოკიდება უნებართვოდ. ჯერ იკითხე.

— მე კი არ მჯერა, რომ შენ დასასვენებლად იყავი მაიამში. მაგან, ალბათ, რევოლუციონერობა დაიწყო, დედი. ეტყო-

ბა, მანდ საიდუმლო ლიტერატურა აქვს ან სხვა რამ ამის მსგავსი. შეხედე, როგორ გაწითლდა!

— ჰო, ჰო, სწორედ აგრეა! — ფრანსისკომ გადაწყვიტა ხუმრობაში გაეტარებინა ყველაფერი. — რომ იცოდე, რა ჩამოვიტანე! ასაფეთქებელი ნივთიერება ერთი ძალიან მნიშვნელოვანი ტერორისტული აქტისათვის!

— ნუ ჩაერევი, შვილო, მაგისთანა საქმეებში, — დედამ შეშფოთებით შეხედა სახეში ფრანსისკოს.

— ვხუმრობ, დედა.

— სტყუი, არაფერსაც არ ხუმრობ, — შეეპასუხა რეხინო. დარწმუნებული ვარ, ჩანთაში საბუთები გაქვს 26 ივლისის მოძრაობისა. ვერა ხედავ, რას დაემგვანა?

— მართალი მითხარი, შვილო.

ფრანსისკომ შეხედა დედას, მერე ძმას. რეხინოს უყვარდა ფრანსისკო, მაგრამ ახლა ძალიან უნდოდა მისი გაგულისება.

— რატომ მიყურებ ეგრე? — უთხრა რეხინომ. — ნუ დაგავიწყდება რომ მე ძმა ვარ შენი. თუ გაიგეს, მეც გამომაგდებენ სამინისტროდან. მე ბატისტას მომხრე არა ვარ, მაგრამ არც წინააღმდეგი ვარ.

— კარგი, — ფრანსისკომ ხმას დაუწია. — მართლაც სჯობია, გულახდილნი ვიყოთ. მე ფიდელ კასტროსთან ვარ.

— შენ გესმის, ფრანსისკო, რა საქმისთვის მოგიკიდია ხელი? — შიშით შეეკითხა დედა.—შენ ჯერ ძალიან ახალგაზრდა ხარ ამისათვის. რაც გინდა, ის იფიქრე, ოღონდ პოლიტიკაში ნუ ჩაერევი. მამაშენი ყოველთვის წინააღმდეგი იყო პოლიტიკის მოყვარულებისა, პოლიტიკის კაცებს ეძახდა მათ.

— ეს ისე, მაგრამ თვითონ კი არასოდეს არაფერი წამო-

უწყია. ახლა საჭიროა იარაღით ხელში იბრძოლო ბატისტას წინააღმდეგ.

— სისულელეს ნუ ამბობ, შვილო. შენ შეგიძლია იყო ფიდელ კასტროსთან, მაგრამ სიცოცხლე არასოდეს საფრთხეში არ უნდა ჩაიგდო, — დედამ ხელები გაასავსავა. — მამაშენი არასოდეს არ ერეოდა პოლიტიკაში. პატივი ეცი მამის ხსოვნას.

— შენ სამარის კარამდე მიიყვან დედას, — უთხრა რეხინომ და იატაკს დააჩერდა. — თუ შენთვის სულ ერთია, რას მიზამენ მე, დედაზე მაინც იფიქრე.

— ასე იმიტომ ლაპარაკობთ, რომ გრძნობთ თქვენს დანაშაულს. ჩვენ ყველას ბრალი მიგვიძღვის იმაში, რომ არსებობს ბატისტა.

— მე არაფერში არა ვარ დამნაშავე. — რეხინომ ჟურნალის ფურცელა დაიწყო და ისეთი სახე მიიღო, თითქოს ილუსტრაციებს ათვალიერებდა.

— ყური დამიგდეთ: თუ ვინმე თითს დააკარებს დედას ან შენ, ჩემთან ექნება საქმე. თუმცა შენ საცოდავი მშიშარა ხარ, მაგრამ მაინც ძმა ხარ ჩემი. არავის არაფერი დაემართება და არც მე დამიჭერს ვინმე. ერთადერთი, რაც თქვენ მოგეთხოვებათ — დუმილია.

— მეც შენთან ვარ, ძმაო, — უთხრა რეხინომ; ჟურნალი ძირს დავარდა, — არ გეგონოს, რომ არაფერი მესმის. შენ მართალი ხარ. მე მართლაც სამინისტროს უქნარა ვარ, მაგრამ რა უნდა ვქნა, თუ სამინისტრო არამზადების თავშესაფარია. ისლა დამრჩენია ხელფასი მივიღო. ხანდახან დილაობით ყავახანაში რომ შევდივარ, ვფიქრობ, რა ტყუილად ვკარგავ დროს, არაფერს არ ვსწავლობ. ერთ მშვენიერ დღეს კი აღმოჩნდება,

რომ უკვე დავბერდი. სულელად ნუ ჩამთვლი, ფრანსისკო, ზოგი რამ მეც გავიგე.

— პირველ ყოვლისა, იმაზე იფიქრეთ, რომ ციხეში არ ჩაცვივდეთ და ცოცხლები გადარჩეთ, — იმეორებდა დედა. იგი თვალებდახუჭული იჯდა. — შეგიძლიათ თავს დაესხათ ბატისტას, ოღონდ მარგილზე არ უნდა წამოეგოთ. სულ ერთია, ბოლოს არავინ გეტყვით მადლობას. მხოლოდ ჩვენ არასოდეს მიგატოვებთ, შვილო.

— დაანებე თავი, ირენ, თავი დაანებე. დეე, გააკეთონ, რაც უნდათ, — წარმოთქვა ოთახში შემოსულმა ბიძამ. — მე ბებერი ვარ და ვიცი, რომ არსებობს უფრო მნიშვნელოვანი საქმეები, ვიდრე ის, რომ სული არ ამოგძვრეს. მე ძალიან მიყვარს ჩემი ქვეყანა და ერთხელაც არ გავსულვარ კუბიდან პრეზიდენტ მენოკადის დროს...

— გაჩუმდი, ბებერო მოლაყბევ. — შენი წაქეზება აღარ აკლია ფრანსისკოს. წადი აქედან! წადი, შენს სარწეველაზე დაჯექი და ნუ ეჩრები იქ, სადაც არ გეკითხებიან. ესენი ჩემი შვილები არიან. მე დავკარგე ქმარი და არ მინდა, შვილებიც დავკარგო.

ბიძია რიკარდო ხმაამოუღებლად იდგა შუა ოთახში, მერე რძალთან მივიდა და მარაოთი დაუწყო გაგრილება.

— ღმერთმა ნუ ჰქნას, რომ მეზობლებმა ყური მოჰკრან ჩვენს ლაპარაკს. — თქვა ფრანსისკომ. — თუ ნახევრად სმენადახშულმა ბიძია რიკარდომ გაიგონა, მათ ალბათ უკვე გაიგეს ყველაფერი.

— მეზობლები სახლში არ არიან, — დაამშვიდა იგი სონიამ, რომელიც უკვე რამდენიმე წუთი იყო, კარებში იდგა. —

ეუსებია პატარასთან ერთად საავადმყოფოში წავიდა, ტატიკოს კი რაღაც შეემთხვა, არავინ არ არის სახლში.

— შეხედე, დედი, რა კონსერვის დანა ჩამოგიტანე! აი ეს მესმის! — ფრანსისკომ ჩანთიდან პატარა კოლოფი ამოაძრო.— ამას მოარგებ, სახელურს გადაატრიალებ და ქილაც გახსნილია.

— მომაცილე თავიდან შენი მარაო! — დაუყვირა დედამ ბიძია რიკარდოს, საჩუქარი აიღო და საწოლზე ჩამოჯდა. — ოჰ, ჩემო მწვალებლებო! რამდენი მწუხარება გადამიტანია შენი გულისთვის, ფრანსისკო, შენი დაბადების დღიდან სულ ასეთ წვალებაში ვარ... ყივანა ხველა რომ გჭირდა, შენ საწოლს ვეღარ ვცილდებოდი.

— ვიცი, დედი, ვიცი. შეგიძლია არც მითხრა. მაგრამ უკვე დიდი ვარ და...

— შენ ისევ ბავშვი ხარ.

— კარგი ბავშვია, ნახევრად მელოტი,—შენიშნა რეხინომ.

— ამაზე მეტს ნურაფერს მეტყვი, დედი. ფრთხილად ვიქნები, სიტყვას გაძლევ. მაგრამ ნუ მთხოვ, არ გავაკეთო ის, რაც აუცილებლად მიმაჩნია.

— აი, რას გეტყვი: რაკი ასე წავიდა საქმე, ვეღარ ამიკრძალავ თავი გავწირო ამ საქმისათვის. მე შემიძლია დაგეხმარო და შენთან ერთად ვიყო საშიშროების ჟამს. ვერავინ ვერ მიიტანს ეჭვს ისეთ ბებერზე, როგორიც მე ვარ.

— ესღა მაკლდა, — ფრანსისკო ვეღარ მალავდა აღელვებას: — ესღა მაკლდა!

— მე რაღა ჩამომიტანე? — ჰკითხა სონიამ.

— მოუტანე დედას ერთი ჭიქა წყალი. ახლავე ვნახავ, მაქვს თუ არა შენთვის რამე, — ფრანსისკომ ჩანთა გახსნა და

დას მინიატურული იაპონური ფოტოკამერა გაუწოდა, რომელიც მაიამში იყიდა.

— რა მშვენიერია, — წამოიძახა სონიამ, ფუტლიარი რომ გახსნა. — დედოფლებისათვის არის?

— ნამდვილია თუ ისეა გაკეთებული? — ჰკითხა რეხინომ.

— არ ვიცი. მითხრეს, ამით იღებსო, — ფრანსისკომ გაუწოდა ძმას პატარა კოჭა, რომელიც ალუმინის კილიტაში იყო გახვეული.

— ეს ხომ ასანთის კოლოფზე უფრო პატარაა, — გაიკვირვა დედამ.

— რა თქმა უნდა. ტყუილად ვიყიდე, — გამოტყდა ფრანსისკო. — თავის გასაართობია, მაგრამ რატომღაც ძალიან მომეწონა.

— ხვალვე პლაჟზე წავალ და საბანაო კოსტუმით გადავიღებ სურათს, — წამოიძახა სონიამ.

— მერეც თუ ასე განაგრძე, — უთხრა რეხინომ, — იმით დაამთავრებ, რომ კაბარეს მოცეკვავე გახდები. იქიდან კი ვინმე ღიპიანი პოლიტიკოსის საყვარლამდე ერთი ნაბიჯია.

— როგორ ბედავ დასთან ამისთანა ლაპარაკს! — უთხრა დედამ. — სად გგონია შენი თავი?

— ქალები პატივმოყვარენი არიან. ამაში არაფერია გასაოცარი, — ჩაერია ფრანსისკო. — როცა კუბაში ყველაფერი შეიცვლება, სონიას შეუძლია სამინისტროში იმუშაოს. არ დასჭირდება, ლოგინში ჩაუგორდეს თავის უფროსს.

— ნუ ლაპარაკობ დასთან ასეთ რამეებს. ჯერ მხოლოდ თექვსმეტი წლისაა.

— მაგრამ იმაზე, რომ კუბაში ყველაფერი შეიცვლება, წინასწარ ვერაფერს იტყვი, — თქვა რეხინომ.

— მოთმინება იქონიე და ნახავ.

— კარგი, ნულარ ვიკამათებთ. მართალია, მე მუქთამჭამელი და უსაქმური ვარ, მაგრამ შეგიძლია ჩემი იმედი იქონიო. ჩვენ ხომ მაინც ძმები ვართ. რაც არ უნდა მოხდეს, მე და დედა ყოველთვის შენთან ვიქნებით.

ფორთოხალი მუცელში

ცელოფანის კონვერტი ნიასალენდის ჭრელი მარკებიო (ნიანგები, გეორგ V—მეფე დიდი ბრიტანეთისა, ჟირაფები, ბეჰემოტები) მანქანის დასაჯდომზე ჩამოსრიალდა. სებასტიანმა მარცხენა ხელი გადაჰყო ფანჯარაში: უკვე დროა მოუხვიოს. უკანასკნელ ხანებში იმდენად იყო დაკავებული სამუშაოთი და ნენსით, რომ თითქმის აღარ ყოფილა მშობლებთან. ახლა გადაწყვიტა მოენახულებინა, რადგან მამა ცოტა ხნის წინათ პენსიაზე გადასულიყო.

— მარკების კოლექცია — აი, რითი ვარ ახლა გატაცებული, — განაცხადა არტურომ ამ რამდენიმე თვის წინათ და ყველა თავის ნაცნობს საზღვარგარეთულ მარკებს სთხოვდა.— რაღაც საქმე უნდა გავიჩინო, თორემ ჭკუიდან შევიშლები.

არტუროს სამოცდახუთი წელი შეუსრულდა და აქედან ორმოცდახუთი წელი ბანკში გაატარა. შეიძლება სებასტიანი არც ისე ტაქტიანად მოიქცა, მარკები რომ იყიდა: არ ღირდა მამისათვის წლოვანების გახსენება. სებასტიანმა გადაწყვიტა მარკები დედისთვის გადაეცა: დეე, მან მისცეს საჩუქარი, როცა სებასტიანი იქ აღარ იქნება. ნუთუ ინგლისის რომელიღაც აფრიკული კოლონიის მარკებს რაიმე მნიშვნელობა აქვს ამ ღირსეული ოჯახის წევრებისათვის?

ყველაფერი იცვლება. სულის სიღრმეში სებასტიანს ყოველთვის სჯეროდა, რომ საჭირო მომენტში მშობლები ყოველთვის დახვდებოდნენ ამ სახლში. მაგრამ მშობლები უკვე დაბერდნენ და ნელ-ნელა მიდიან ამ ცხოვრებიდან ნისლიან შორეთში.

სებასტიანის ბავშვობა სულ უფრო და უფრო შორს რჩებოდა. მალე სულ მარტო დარჩება.

— მამა ეს-ეს არის გავიდა სასეირნოდ. ხომ იცი მისი ამბავი — ერთ ადგილზე არ შეუძლია ჯდომა. ალბათ ზოოპარკში წავიდა. ეს ყველაზე გრილი ადგილია ჰავანაშიო, ამბობს.

ქრისტინა ფეხგაუხდელი მიწოლილიყო საწოლზე და ასტმადორის ბოლს ისუნთქავდა.

— მე კი არასოდეს არ მაძლევდი ნებას, ფეხსაცმელებიანი წამოვწოლილიყავი გადასაფარებელზე, — იხუმრა სებასტიანმა და საწოლის გვერდით პატარა სარწეველა სავარძელში ჩაჯდა.

— მე მეტისმეტად ბებერი ვარ იმისათვის, რომ ყოველთვის გავიხადო ფეხზე, როცა ერთი წუთით წამოწოლა მინდა.

— არც ისე ბებერი ხარ, უბრალოდ, გეზარება.

— სად დაიკარგე? ორ კვირაზე მეტია აღარ მინახავხარ.

— ერთი მეგობარი ქალი ჩამომივიდა მაიამიდან.

— ეს უკანასკნელი ნახევარი წელია, თითქმის სულ დაანებე თავი ჩვენთან სიარულს... ის ქალი რა, გიყვარს?

— ასე ვთქვათ.

— რატომ არ მოიყვან ჩვენთან? მე მინდა, ვიცნობდე შენს მეგობრებს, ტიანი.

— მას არ უყვარს ყველას გაცნობა.

— მაგრამ ჩვენ ხომ შენი მშობლები ვართ.

— კარგი, მოვიყვან როგორმე. საერთოდ, ადამიანი არ შეიძლება აიძულო გააკეთოს ის, რაც გულით არ უნდა.

— მართალი ხარ. მე ვერასოდეს ვერ მივაღწიე იმას, რომ შენ და მამაშენმა გააკეთოთ ის, რაც მე მინდა.

— ყველანი ეგოისტები ვართ, დედი. შენც ალბათ მხოლოდ იმას აკეთებ, რაც შენ გინდა.

— რა თქმა უნდა. აი, ხვალ წავალ სენიორა მაკნამარასთან ბრიჯის სათამაშოდ. მამაშენს შეუძლია მოსამსახურესთან დარჩეს... იმედი მაქვს, აღარ ხვდები იმ მულატს?

— მეტისმეტად თეთრი აღმოვჩნდი მისთვის, მიმატოვა.

— მოხარული ვარ, რომ ასე დამთავრდა. შენ წესიერი ქალი უნდა შეირთო ცოლად.

— არ მომწონს წესიერი ქალები, — თქვა სებასტიანმა და მწვანე ფხვნილის მძაფრი სუნი შეისუნთქა, რომელსაც დედა ლითონის პატარა სინზე სწვავდა.

— დაანებე დედის დაცინვას თავი, ტიანი, ვის დაემსგავსე ამისთანა?

კვამლი ავსებდა მთელ ოთახს. მამა რომ შემოვიდოდა, გაზეთით ჰფანტავდა კვამლს და ისე იკვლევდა თავისთვის გზას. ეს არ მოსწონდა ტიანს. ბოლო ოთახს იმგვარ თავშესაფრად აქცევდა, სადაც აღარ იგრძნობოდა დრო; ასე უფრო ერჩივნა, უფრო მტკიცედ, უფრო გაბედულად გრძნობდა თავს.

— ტიანი, თუ შეიძლება გამოიღე კარადიდან რაიმე კაბა და ჩამოაფარე სარკეს, თორემ პირდაპირ თვალებში მცემს ანარეკლი.

კარადა რომ გამოაღო, სებასტიანმა დავიწყებული სიხარული იგრძნო: ბავშვობიდანვე უყვარდა დედის ნივთებში ფათური: სურათებიანი ალბომი, ოქროსფერი ნაწნავები,

ლალის ბეჭედი და ძველი სათვალე, რომელიც ბებიას ეკუთვნოდა. ერთხელ დაუკითხავად გაიკეთა ეს სათვალე და სკოლაში წავიდა. სახლში რომ დაბრუნდა, საშინლად სტკიოდა თავი...

დედას უცნაური სტვენა აღმოხდა მკერდიდან.

— როგორ შეეგუა მოხუცი ცვლილებას?

— შენ ხომ იცნობ მას: სულ ეძებს მიზეზს, რომ როგორმე სახლიდან გაიქცეს. ახლა, პირველად თავის სიცოცხლეში, უფლება აქვს დილაობით რამდენიც უნდა, იმდენი იძინოს. ეს, მგონი, მოსწონს. ჩემთანაც უფრო მეტ ხანს არის ხოლმე. მაგრამ ახლა დილაობით სადაზღვევო პოლისების გაყიდვა აიჩემა.

— რისთვის სჭირდება? პენსია ხომ მისი წინანდელი შემოსავლის ორ მესამედზე მეტი ეძლევა. ამ ფულით შეგიძლიათ კარგად იცხოვროთ.

— ოთხასი პესო. მაგრამ არ დაგავიწყდეთ, რომ სახლის გირაო გადასახდელი აქვს.

— მე მითხრა, გირაოს იმ ფულიდან ვიხდი, რომელსაც ზემო სართულის გაქირავებით ვღებულობო.

— ასე იყოს, ღმერთია მოწამე, რომ მე ვერასოდეს ვერ ვგებულობ, როდის შეიძლება დავუჯერო მამაშენს და როდის არა.

სებასტიანმა სინი გაიტანა, კოვზით მოფხიკა მიმხმარი ფხვნილი და გარეცხა. მერე ქაღალდის ნახევით გაწმინდა კოვზიცა და სინიც. ბავშვობაში ათასჯერ გაუკეთებია ეს. ხანდახან ისე გააპრიალებდა ხოლმე სინს, რომ თავის გამოსახულებას ხედავდა შიგ.

ქრისტინამ ღამის მაგიდის უჯრა გამოაღო და კოვზიც და სინიც წკრიალით ჩაფრინდნენ უჯრაში.

— ტიანი, მამაშენმა მთხოვა, არაფერი მეთქვა შენთვის, მაგრამ, მგონი, ძალიან ავად არის.

— ვერ გამიგია.

— მუცელში რაღაც ბურთი აქვს. სულ ქვევით, ფორთოხლისხელა. ოპერაციის გაკეთება არ უნდა, თუმცა ექიმი ურჩევს.

— რა უთხრა ექიმმა?

— საჭიროა სასწრაფოდ გაკეთდეს ოპერაციაო. თუმცა, არა მგონია, რომ ეს საშიში იყოს...

— რას ნიშნავს „საშიში", კიბოა?

— ექიმი ფიქრობს, რომ არა. მაგრამ უბედურება ისაა, რომ სიმსივნე შეიძლება ავთვისებიანად გადაიქცეს, თუ დროზე არ მიაქცია ყურადღება. მამა დარწმუნებულია, რომ ყველაფერი გაუვლის. ამბობს, ნაცნობი ექიმი, ერთი იმათგანი, ნატურისტებს რომ უწოდებენ თავს, მორჩენას მპირდება მასაჟითა და დიეტითო. ტიანი, უნდა დამეხმარო, რაღაც უნდა ვიღონოთ...

— დღემდის ვერ მივმხვდარვარ, სჯერა მამას ამ ნატურისტებისა, თუ უბრალოდ ეშინია ჩვეულებრივ ექიმთან მისვლა.

— რომ გაჩვენა რა სისულელეს სჩადის დაწოლის წინ. რაღაც ტალახს ისვამს თავიდან ფეხებამდე. ნატურისტმა ურჩია სპეციალური ტალახით დაიზილოს მუცელი ძილის წინ. ეს საშინელებაა, ტიანი. ყოველდღე ვუცვლი ზეწარს. მინდა, ვამხილო ეს ვიღაც შარლატანი. არავითარი დიპლომი არა აქვს. თავისი ხელობა ალბათ მიმოწერით შეისწავლა ნიუ-ჯერსელი სულელებისაგან. ერთი სიტყვაც არ მჯერა მისი.

— თვითონ მამა როგორ გრძნობს თავს?

— ცდილობს დამარწმუნოს, რომ ძალიან ჯანმრთელად არის.

— აი, ამას ჰქვია ბედის დაცინვა... სწორედ ახლა, როცა საშუალება აქვს დასვენებისა, როცა მუშაობა აღარ სჭირდება და შეუძლია გააკეთოს ყველაფერი, რაც მოესურვება, სწორედ ახლა მოხდა ეს.

— წინა ღამეს არ მძინებია. ათასი სულელური აზრი ამეკვიატა. ჩემზე ხომ მხოლოდ მამაშენი ზრუნავს. აბა ვილას სჭირდება ჩემისთანა ბებერი? შენ კიდევ ვერ მოეწყე აქამდე... ჩრდილოეთში აღარ შემიძლია წასვლა. უკვე ოცდაათი წელია იქ აღარ ვყოფილვარ. გარდა ამისა, ბიძია ჯორჯს თავისი საქმეებიც ეყოფა...

— ნუ იგონებ რაღაცეებს, დედი, — სებასტიანს შეეშინდა არ ატირებულიყო და გადაწყვიტა, ყველაფერი ხუმრობაში გაეტარებინა. — მამა კიდევ მოასწრებს შენს დასაფლავებას. და თუ პირიქით მოხდა, უზარმაზარ სადაზღვევო პრემიას მიიღებს. მდიდარი და ყოვლისშემძლე გახდები და ყველა ერთმანეთს შეეცილება შენს მიპატიჟებაში. ნუ გეშინია, მამა კარგად გახდება. მინდა მოველაპარაკო, მაგრამ არ ვიცი საიდან დავიწყო.

— უთხარი, რომ ექიმმა დაგირეკა, სოტოლონგო ჰქვია.

* * *

ცელქი ნიავი შემოიჭრა სასადილო ოთახში.

ფანჯრის იქით აგუაკატე ჩანდა, რომელიც დედამ დარგო, როცა სახლი იყიდეს. ივლისიდანვე დაიხუნძლებოდა ხოლმე ნაყოფით. ქრისტინა ამაყობდა, რომ მისი დარგული ნერგიდან

ისეთი ხე გაიზარდა, რომელსაც უფრო მეტი ნაყოფი მოჰქონდა, ვიდრე ისინი მოერეოდნენ. ხილს დამწიფებამდე ურიგებდა მეზობლებს.

არტუროსათვის ბაღი მხოლოდ იმის საშუალება იყო, რომ განემტკიცებინა თავისი შეხედულებები მედიცინაზე. ქარი იმიტომ სჭირდებოდა, რომ აბაზანა მიეღო. არტურო ყურთამდე გააღებდა ფანჯრებს, ტანსაცმელს გაიხდიდა და საწოლზე გაწვებოდა. „ეს ჰაერის აბაზანაა“, — იტყოდა ხოლმე.

ახლა არტურო ზურგშექცევით იდგა ფანჯარასთან და ფორთოხალს ფცქვნიდა.

— ტიანი, გეთაყვა, ცოტა მიხურე ფანჯარა, — სთხოვა დედამ. — მეშინია ქარის. მე ხომ ახლახან ასტმადორი ვისუნთქე.

არტურომ საყვედურით შეხედა ცოლს.

— როგორა ხარ, მამა? — ჰკითხა სებასტიანმა და ფანჯარა მიხურა.

— კარგად, ძალიან კარგად.

მამა ეგოისტი იყო, მაგრამ არასოდეს უარს არ ეუბნებოდა არაფერზე არც ცოლსა და არც შვილს. შეიძლება ამას იმიტომ აკეთებდა, რომ თავი არ მოებეზრებინათ მისთვის. ყოველ დილას მიდიოდა სამსახურში და, საერთოდ, ისე იქცეოდა, როგორც საჭირო იყო; ყოველ დილას იცვამდა გახამებულ სუფთა პერანგს და ყოველ კვირას დადიოდა წირვაზე. მრავალი წლის განმავლობაში დაჰყავდა შვილი ცირკში — „სანტოსი და არტიგასი“. და თუ მეტი ვერაფერი მისცა ცოლშვილს, მხოლოდ იმიტომ, რომ აღარაფერი ჰქონდა მისაცემი.

სებასტიანი მაგიდასთან იჯდა და მშობლებს შეჰყურებდა. მოულოდნელად გაახსენდა თავისი მშფოთვარე ახალგაზრდო-

ბა. მან ყველა პოსტულატი უარყო, რომელსაც თავს ახვევდა საზოგადოება, ყველა კანონი, რომელიც განსაზღვრავს ცხოვრებას და უკარნახებს ადამიანს, როგორ ჩაიცვას, როგორ ილაპარაკოს, როგორ უყვარდეს, როგორ იოცნებოს. ბურჟუას ცხოვრება საშინელი რუტინაა.

— კიდევ გადაიღე ლობიო, — დედამ თეფში გადააწოდა.

მოსამსახურემ თეფშები გაიტანა და სებასტიანს ყავა მოუტანა. სებასტიანმა დახედა მის წყლისაგან დახეთქილ ხელებს. გოგონამ გაუღიმა და სებასტიანს გაახსენდა, ერთხელ სწორედ ამგვარად გაუღიმა ნორმამ. ქრისტინამ ტკბილეულის მოტანა სთხოვა, მამამ კი ფორთოხლის ჭამა დაიწყო. ცოლად შეირთოს ნორმა, რათა იხსნას თავი ყოველივე ამისაგან? სისულელეა! ნორმა — გამოსავალი არ არის, არც მშობლები გამოდგებიან საამისოდ.

საშაქრეში იდო კოვზი, რომელსაც ჯერ ისევ ვაშინგტონში გატარებული თაფლობის თვიდან ინახავდნენ. ეს კოვზი ერთი იმ საგანთაგანი იყო, რომელმაც ბავშვობიდანვე მიიქცია სებასტიანის ყურადღება. კოვზსა და ჩინური ფაიფურის ცისფერ სერვიზს დედა სათუთად ინახავდა განსაკუთრებული შემთხვევისათვის. ფინჯნებზე ქალი ეხატა, რომელიც ხიდზე გადიოდა. სებატიანმა შაქარი ჩაყარა ყავაში. მამას არ უყურებდა.

— ნოემბერში ამ კოვზს ოცდათხუთმეტი წელი შეუსრულდება. ჩვენი თაფლობის თვეს გვაქვს ნაყიდი, — თქვა ქრისტინამ.

— ჰო, ვიცი.

კოვზის გადახეხილ ზედაპირს ჯერ ისევ აჩნდა ნახატი. ერთ მხარეს გამოხატული იყო არწივი, ჯორჯ ვაშინგტონი და ტოგაწამოსხმული ქალი ხმლით — მართლმსაჯულების სიმბოლო;

მეორე მხარეს კაპიტოლიუმი, კონგრესის ბიბლიოთეკა, მაუნტ ვერნონი და თეთრი სახლი. მამის ავადმყოფობა სებასტიანის მოგონებებს რაღაც ახალ, უცნაურ ელფერს აძლევდა. მარსელ პრუსტი მართალია, როცა ხსოვნის ყოვლისშემძლეობაზე ლაპარაკობს, მაგრამ მას დაავიწყდა ეთქვა, რომ მოგონება წარსულისა უძლურია ულმობელი აწმყოს პირისპირ. ახლა უნდა ჰკითხოს მამას „ფორთოხლის შესახებ“, რომელიც მას კუჭზე აწვება.

სებასტიანმა უთხრა, ექიმმა დამირეკაო.

— ფრთხილად იყავი. მამა... ეჭვი არ მეპარება, რომ ნატურისტებს შეუძლიათ განკურნონ კუჭის ავადმყოფობა, ნერვიული გაღიზიანება და სხვა ამის მსგავსი, მაგრამ სიმსივნე კი არა. სიმსივნე უნდა ამოიჭრა, სანამ ავთვისებიანად გადაიქცევა... რატომ ხარ დარწმუნებული, რომ იმათ დაწესებულებაში მოგარჩენენ? რას ეძახიან? პრო ვიტას?

— ჰო, „პრო ვიტა“. მე ვიცი, რასაც ვაკეთებ. ბევრი რამ წავიკითხე ამ საკითხის გარშემო. რომ იცოდე, რამდენი ხალხი მოარჩინეს „ნატურისტებმა“. ეს ზღაპარი როდია. გარდა ამისა, ისინი უმეტესად ისეთ ავადმყოფებს ჰკურნავენ, რომლებიც ექიმებს უიმედოდ მიაჩნიათ.. ჰო, ბევრი ჩემი მსგავსი შემთხვევა ჰქონიათ... და ავადმყოფები განიკურნენ ყოველგვარი ოპერაციის გარეშე. „ნატურისტების“ ჟურნალში არის სტატია ერთ ქალზე. მას მარჯვენა ძუძუს ფიბრომა ჰქონდა და განკურნეს. ბევრი რამ იციან. მე სავსებით მჯერა მათი.

— მამა, თუ ექიმებს არ შეუძლიათ.. იმათ როგორღა შეუძლიათ? ამიხსენი.

— ნუ მაჩქარებ, დამაცადე, მოვიფიქრო... ჯერ ერთი, მათ

ავადმყოფები სულ დიეტაზე ყავთ, სიმსივნეს კი სპეციალური მასაჟებით არბილებენ.

— ისინი კი არ მოგარჩენენ, მოგკლავენ, — ვეღარ მოითმინა ქრისტინამ, — გასულ კვირას, ტიანი, მამაშენს ერთი ლუკმა არ ჩაუდვია პირში, მხოლოდ წყალსა სვამდა.

— არ გესმის, რას ლაპარაკობ, ქრისტინა! — არტურომ წყენით გააწკლაპუნა პირი. — არაფერი არ გესმის, სულელო. ხომ აგიხსენი: ეს აუცილებელი იყო, რათა ორგანიზმი მკურნალობის კურსის ჩასატარებლად მოგვემზადებინა.

— შენ თვითონ ხარ სულელი. ორგანიზმის მომზადება! თუ შეიძლება აგვიხსენი, რას ნიშნავს ეს?

— რატომ არ აგიხსნი? შენ რა, სხვაზე მეტი იცი? სიმსივნე ჩნდება, როცა ორგანიზმი სწორად ვეღარ ითვისებს საკვებს.— მან მუცელზე დაირტყა ხელი. — ეს სიმსივნე კუჭ-ნაწლავის მოწამვლის შედეგია.

— სავსებით შესაძლებელია, რომ ასე იყოს, — თქვა სებასტიანმა. არ გეკამათები. მე მხოლოდ ეჭვი მეპარება, რომ მასაჟებით სიმსივნე შეიწოვება, დასრესა სწორედ ერთერთი ნიზეზია კიბოს გაჩენისა. სიმსივნე შეიძლება გართულდეს, თუ გააღიზიანებ მის ნაზ ქსოვილს.

— იმ ხალხმა იცის, რასაც აკეთებს. შე მჯერა „ნატურისტებისა“, ექიმი აგუსტინი ძალიან გამოცდილია. ამბობენ, სიფილისიც კი მოარჩინაო.

— რა გითხრა ექიმმა, ნამდვილმა ექიმმა?

— რა შეეძლო ეთქვა? ისინი ფულს შოულობენ ოპერაციებით, — ღიმილით უპასუხა არტურომ. — მე დარწმუნებული ვარ, რომ სიმსივნე შეიწოვება და არ დაჭირდება არავითარი ქირურგი. ჯერ ჩემი მეთოდი მინდა გამოვცადო.

— თუ ნატურისტებმა ვერ მოგარჩინეს, მაშინ თანახმა იქნები ოპერაციაზე? — ჰკითხა სებასტიანმა.

— არა, სჯობია მოვკვდე, ვიდრე გოჭივით გამფატრონ. ამას ვერავინ მაიძულებს. მე ხომ ბავშვი არა ვარ და ჯერ-ჯერობით გონებაც მიჭრის. უფლება არა აქვთ დამაძალონ... მე უკვე ვუთხარი ეს დედაშენს.

ადამიანებს არ ესმით ერთმანეთისა

ნენსი საწოლზე იჯდა და ფეხის ფრჩხილებს იღებავდა. ჩამოშლილი თმები მუხლებს უფარავდა.

— როგორ არიან შენი მშობლები? — ჰკითხა მან და ახედა სებასტიანს.

— მამას სიმსივნე აქვს მუცელში, ქვედა ნაწილში. ფორთოხლისოდენა. არ ვიცი, საშიშია თუ არა.

— ექიმი რას ამბობს?

— მამა არ თანხმდება ოპერაციას, სიკვდილის შიშითაც კი.

— მოხუცებს ხშირად აქვთ ხოლმე ამგვარი სატკივარი. ყოველთვის საშიში როდია. მამიდაჩემს უზარმაზარი სიმსივნე ჰქონდა ძუძუზე, მერე კი გულის ავადმყოფობით გარდაიცვალა.

— შეიძლება შენ მართალი ხარ. ნამდვილ ავადმყოფად რომ თვლიდეს თავს, მაშინვე დაავიწყდებოდა ყოველგვარი დიეტები და მასაჟები, გამოუძახებდა ექიმს და საავადმყოფოში დაწვებოდა.

— ეს ასეა, მაგრამ ახლა კარგი მოვლა სჭირდება.

— წონაში დაიკლო, მაგრამ ამბობს, უკეთესად ვგრძნობ

თავსო. მამამ თუ მოინდომა, შეუძლია ყველაფერში დაირწმუნოს თავი. ვნახოთ, რა იქნება... რა გავაკეთოთ ამ საღამოს?

— შენ რა გინდა? — ჰკითხა ნენსიმ და ფლაკონის საცობს თეთრი ქაღალდი მოაძრო.

— პირველად მე ვიკითხე.

— ჰო, ნუ ჩამაცივდები.

— რა დაგემართა დღეს?

— უკვე რამდენიმე თვეა აქ ვარ და შენ ჩემთვის არაფერი გიჩუქებია.

— ჩვეულებად არ მაქვს. არასოდეს არავის არ ვასაჩუქრებ. — სებასტიანმა შეღავათი იგრძნო. უარესს მოელოდა.

— მანქანაში მარკები ეწყო მამაშენისათვის.

— იმიტომ რომ მამა უკვე პენსიაზე გავიდა და შემეცოდა. ყოველ წუთში მოსალოდნელია მისი სიკვდილი. როცა კარგად იყო, მე მასზე არ ვზრუნავდი და არც საჩუქრებს ვუმზადებდი. უბრალოდ ვერც ვამჩნევდი მის არსებობას.

— თვითონაც არ მესმის, რას ვამბობ... ასე მარტოდმარტო რომ არ ვიყო აქ, honey,[1] ამას არავითარი მნიშვნელობა არ ექნებოდა. რატომ არ გამაცნობ შენს მშობლებს?

— შენ თვითონვე თქვი, არ მინდა მათი გაცნობაო, რადგან ჩემთან ცხოვრებით მომაკვდინებელ ცოდვას ჩადიხარ.

— ნუ დამცინი... ჰო, ეს მართალია. მე არ მოვისურვე მათი გაცნობა. არ მიყვარს ადამიანებთან შეხვედრა. ამას მაღაზიებში სიარული მირჩევნია. მაგრამ სულ იმას ვფიქრობ, რომ შენ არ გიყვარვარ. სიმართლე მითხარი, ტვირთად გაწევარ?

---

[1] ჩემო სიხარულო (ინგლ.).

— სულაც არა... უბრალოდ, არ მიყვარს ჩემი გრძნობების გამოხატვა სიტყვებით.

— მე კი მინდა, ყოველ დღე დამიმტკიცო სიყვარული... საშინლად მოწყენილი ვარ.

— მერე ძერწვა?

— ეს არ კმარა... სახელოსნოშიც ვერ მიდის საქმე კარგად. არ იციან კარგად გამოწვა, ყველაფერს პრიმიტიულად აკეთებენ. ქოთნები სკდება. ვერ დავარწმუნე, რომ სხვა თიხა იხმარონ.

— გინდა, მოველაპარაკები მათ.

— არ ღირს. ჯერჯერობით რაღაც-რაღაცეები მოვაწესრიგეთ... არ ვიცი, რა დამემართა დღეს. მაპატიე, გეთაყვა. მაღაზიაში ვიყავი; იქ ვიღაც კაცებმა გადაკრული სიტყვები მითხრეს. ყოველთვის მავიწყდება, რომ აქაური ქალები შორტებით არ დადიან ქუჩაში. ერთი სიტყვაც ვერ გავიგე მათი.

— ამას ყურადღებას ნუ მიაქცევ... ჩვენს მამაკაცებს მოვალეობად მიაჩნიათ კომპლიმენტებით გაუმასპინძლდნენ ქალებს. ამით უნდათ, თავისი გამბედაობა დაამტკიცონ, სინამდვილეში კი უწყინარნი არიან. ყურებას დაგიწყებენ, ყველაფერს გეტყვიან, რაც თავში მოუვათ, მაგრამ არასოდეს თითსაც არ დაგაკარებენ. საშიშნი არ არიან. პირიქით, შეიძლება კიდეც ეშინიათ შენი.

— შენ კი არ გეშინია?

სებასტიანი საწოლთან მივიდა და მის გვერდით ჩამოჯდა. იმედი ჰქონდა, ალერსით გაჰფანტავდა იმ უცხოობის გრძნობას, საუბრის დროს რომ იგრძნო.

— თუ გინდა, რომ მეშინოდეს შენი, ვეცდები. — მან კისერზე აკოცა ნენსის.

— არ გინდა, ბავშვი გყავდეს? — ჰკითხა ნენსიმ.

— რატომ მეკითხები?

— მითხარი: გინდა ბავშვი?

— არა... არ მინდა, ჩემი მიზეზით ვინმე გაჩნდეს ამ ქვეყანაზე და იტანჯოს. ისედაც ბევრი გადაუჭრელი პრობლემა მაქვს, — სებასტიანი უკან გადაიწია და ზურგით მიეყრდნო ყვითელ კედელს.

სებასტიანს ეშინოდა, რომ ნენსი მიატოვებდა. ქალები ყოველთვის მიდიოდნენ მისგან. ყველანი სტოვებდნენ. არ შეეძლო დარწმუნებით ეთქვა, რამდენად ძლიერ უყვარდა ნენსი, მაგრამ მისი გაშვება კი არ უნდოდა. სებასტიანმა თვალებში ჩახედა ნენსის. როცა ნენსი იცინოდა, გუგების სილრმეში ოდნავ შესამჩნევი ნაპერწკლები უელავღნენ.

— არ მინდა პასუხისმგებლობა ვიკისრო, — სებასტიანი დანაშაულს გრძნობდა და თავის გამართლებას ცდილობდა. — ბავშვები იმათი საქმეა, ვისაც სწამს ცხოვრება და მომავალი. ჩემთვის ქვეყანა — ბუდეა ათასგვარი უბედურებისა; არ მინდა, სხვაც ჩავაგდო ამ სატანჯველში.

— შენ რომ უფრო მეტ ყურადღებას მაქცევდე, აღარ ვიფიქრებდი ბავშვზე. რატომ არ მიყიდი წიგნებს, რომ ცოტათი მაინც გავერთო?

— სახლში ბევრი წიგნია.

— ყველა რომანი გადავიკითხე. სხვები კი — ფილოსოფია და სხვა ამისთანები — არ მაინტერესებს. გარდა ამისა, ბევრი მათგანი ესპანურ ენაზეა, მე კი არ ვიცი ესპანური კითხვა.

— წამოდი, ახლავე ვიყიდოთ ყველა წიგნი, რასაც კი მოიწადინებ.

— არ მინდა წიგნების ყიდვა. ამაში არაფერია სასიამოვნო მე მინდა, რომ შენ მაჩუქო წიგნები.

— ალბათ, ძნელია ისეთ კაცთან ცხოვრება, როგორიც მე ვარ. ადამიანებს მხოლოდ მწუხარება მოაქვთ ერთმანეთისათვის...

ნენსიმ ტუჩებში კოცნით ჩაახშო მისი სიტყვები. სებასტიანმა იგრძნო მისი სხეულის სითბო.

— ძალიან სერიოზულად ნუ მიიღებ ჩემს სიტყვებს. ჟამიდან ჟამზე მომივლის ხოლმე სურვილი დავცალო სული. განა ვერ ამჩნევ, როცა ასე ამოვთქვამ ხოლმე ყველაფერს, ორივენი უკეთ ვგრძნობთ თავს. ეტყობა, მეტისმეტად გამანებივრეს მშობლებმა. ნევრასტენია მეტისმეტი განცხრომისაგან — მგონი, ასე ამბობ ხოლმე შენ?

— ჰო, მაგრამ ეს მაინც უკეთესია შიმშილზე... სიტყვას გაძლევ, როცა ორმოცი წელი შემისრულდება, საჩუქრების ყიდვას ვისწავლი. მამაკაცებს იმიტომ მიაქვთ საჩუქრები ქალებისათვის, რომ როგორმე აანაზღაურონ თავიანთი უძლურება. მე კი არ მინდა შენი დასაჩუქრება, იმიტომ რომ ისედაც ვერ ვგრძნობ მაინცდამაინც მტკიცედ თავს. მე მინდა, გიყვარდე ისეთი, როგორიც ვარ.

— ვერაფერი გამიგია შენი. ხანდახან ისეთი ხარ, როგორც ნამდვილ შეყვარებულს შეჰფერის, ხანდახან კი ისეთი გულცივი და ანგარიშიანი ხდები, თითქოს შენთვის სულ ერთი იყოს ყველაფერი... .

სებასტიანმა იგრძნო, თუნდ ერთი სიტყვაც რომ დაემატებინა, ყველაფერს გააფუჭებდა. ნენსი შეიძლება გაშმაგე-

ბამდე მივიდეს. უმჯობესია, გაჩუმდეს. სებასტიანმა მუხლებზე დაისვა ნენსი, ზეწარზე ელავდა ცივი, გახსნილი მაკრატელი. სებასტიანმა ფეხით გადააგდო მაკრატელი.

— რატომ თქვი, რომ არ გესმის ჩემი? მე ვერც კი გამიგია, ერთნაირები ვართ, თუ ქალი მაინც განირჩევა მამაკაცისაგან.

— თვითონაც არ ვიცი. მე მგონი, ქალები ყოველთვის ცდებიან. ჩვეულებრივ, ჩვენ გვჯერა, რასაც მამაკაცები გვეუბნებიან. თქვენ ხართ მთავარი.

სებასტიანი გვერდზე გადაბრუნდა და, სანამ ბალიშის ქვეშიდან პიჟამას გამოიღებდა, წამოარტყა ნენსის. გაახსენდა, ოდესღაც რომ ასე ურტყამდა ხოლმე ნორმას... პიჟამას შარვალი გაასწორა და ჯერ ერთ ფეხზე შეხტა, მერე მეორეზე.

— ხომ არ გწყინს, ასე რომ გიტყაპუნებ?

— არა. მომწონს. მოდი ჩემთან, ჯერ არ მინდა ჩაცმა... უმეტესობა მამაკაცებისა გაურბიან იმ ქალებს, რომლებიც მათ ეკუთვნიან. ერთხელ სიტყვა მივეცი ჩემ თავს; არასოდეს დავემორჩილები-მეთქი მამაკაცებს. მაგრამ, ეტყობა, ვერ გაექცევი ამას. როგორც კი შემიყვარდი, სულ შენზე ვფიქრობ და ყველა ჩემი გეგმა შენზეა დამოკიდებული...

— მე არასოდეს არ ვლაპარაკობ ჩემს გრძნობებზე, იმიტომ კი არა, რომ არ მიყვარხარ, უბრალოდ, არ შემიძლია გითხრა: I love you[1]. საშინელებაა ამ სიტყვების გაგონება. ესპანურად შედარებით უკეთ ჟღერს, იმიტომ რომ ჩვენ გვაქვს ზმნა ნდომა, რომელიც სიყვარულსაც ნიშნავს და სურვილსაც.

— მე ვიცი, რომ შენთვის საჭირო ვარ, თორემ დიდიხნის

---

[1] მე შენ მიყვარხარ (ი ნ გ ლ.).

წინათ მიგატოვებდი... თუ წინააღმდეგი არ იქნები, დღეს სახლში დავრჩეთ. არსად არ მინდა გასვლა.

— შენი ნებაა... ხვალ ხომ წამოხვალ რეგლაში?

— რა იქნება იქ?

— პროცესია წმინდა მფარველი ქალწულის რეგლას პატივსაცემად. — სებასტიანმა არ უთხრა, რომ იქ ფრანსისკოს უნდა შეხვედროდა.

— დავიღალე, წავიძინოთ ცოტა, — უთხრა ნენსიმ და კედლისკენ გადაბრუნდა. სებასტიანმა თვალები დახუჭა და ხელი გადახვია ნენსის. იგი მშვიდად, მოხერხებულად გრძნობდა თავს. მხოლოდ ნენსის კეფასა და კისრის ნაწილს ხედავდა.

ნენსი ძლიერად, თანაბრად სუნთქავდა. მოულოდნელად სებასტიანმა იგრძნო, რომ ნენსი უცხო გახდა მისთვის, უცხო სხეული იწვა და სუნთქავდა მის გვერდით. შეეცადა, დაერწმუნებინა თავი, რომ ეს ნენსი იყო, მისი ნენსი, მაგრამ ყოველივე ამაო აღმოჩნდა... მიხვდა, რომ მათი სულები ვერასოდეს ვერ შეერთდებიან. ნენსი და სებასტიანი კვლავაც ასე დარჩებიან — მხოლოდ შემთხვევის გამო შეერთებულ ორ უცხო სხეულად.

ორი საათის შემდეგ გამოიღვიძეს და ერთად შეძვრნენ შხაპის ქვეშ.

— ნუ შეიმშრალებ, — უთხრა სებასტიანმა. — ასე უფრო გრილად დაგეძინება.

* * *

პოლიციელები კედლის გასწვრივ ჩამწკრივებულიყვნენ. ეკლესიიდან ჯერ კიდევ არ გამოეტანათ უწმინდესი ქალწულის

გამოსახულება. ქალებს იისფერი, ნარინჯისფერი და თეთრი კაბები ეცვათ. ფერი წმინდანებისა. ზოგიერთ მამაკაცს მკერდზე ოქროს ან ვერცხლის პატარა ხმალი ეკიდა — სიმბოლო წმინდა ბარბარესი, ცეცხლისა და ომის ქალღმერთისა.

— როგორ გგონია, შეიძლება მოხდეს რამე? — იკითხა ნენსიმ, როცა თეთრებისა და შავების შერეული პროცესია დაინახა. — პოლიცია აქ არის.

— ეს არაფერს ნიშნავს. პოლიცია ყოველთვის იქ არის, სადაც ბევრი ხალხია.

— თუმცა, შენ მართალი ხარ. — ნენსიმ ხელით შეამოუშა — ხომ არ ამოეწია უკან ბლუზა.

ეკლესიიდან რამდენიმე ნაბიჯის დაშორებით, სახელდახელოდ აშენებულ ჯიხურში იყიდებოდა მძივები, წმინდანების გამოსახულებანი და სამოთხის ხის ტოტები. ჯიხურში იჯდა კაცი, რომელსაც მოკლესახელოებიანი პერანგი ეცვა და ჩალის ქუდი ეხურა. მკერდზე ოქროს მედალიონი უბრწყინავდა უწმინდესი ქალწულის კარიდადის გამოსახულებით. სებასტიანმა ხელი გამოსდო ნენსის და ქუჩის მეორე მხარეს გადაიყვანა.

— მოგწონს ეს მანიაკები? მარგალიტისაზე ბევრად უფრო იაფია და ამავე დროს ზებუნებრივი ძალაც აქვს.

— აი ის ძალიან ლამაზია, — წარმოთქვა ნენსიმ, რომელიც ყურადღებით ათვალიერებდა ყვითელ და მწვანე ბურთულებისაგან გაკეთებულ მძივებს.

— ოლ რაიტ, ეს სან-ლასაროა, — გაიღიმა გამყიდველმა.

სებასტიანმა გამყიდველს შავი ხელიდან გამოართვა მანიაკი, ნენსის თმა აუწია და კისერზე ჩამოჰკიდა.

— ეს რა არის? წამოიძახა ნენსიმ და ცემენტის ფიგუ-

რებს დააკვირდა, რომელთაც კიბოს თვალები და ღორის ეშვები ჰქონდათ. — ეს რა ურჩხულებია?

— ეს ღმერთებია, — უპასუხა სებასტიანმა, გამყიდველმაც თანხმობით დაიქნია თავი. — ისინი ავი თვალისაგან იფარავენ სახლს, აღებენ ყველა კარს და ადამიანს გზიდან აცილებენ ყოველგვარ წინააღმდეგობას. თეფშზე დასვამენ, რომს დაასხამენ და გვერდით ბანანებს მოუწყობენ, რომ ღმერთებმა ჭამონ.

სებასტიანმა ხელში აიღო ღმერთის გამოსახულება, რომელსაც ორი სახე ჰქონდა: ერთი — თეთრი, მეორე — შავი. „თეთრი შავის საპირისპიროდ — აი, ეს არის კუბა“, გაიფიქრა სებასტიანმა და ნორმასთან კამათი გაიხსენა. ერთი წამით ამ გამოსახულებაში გაერთიანდა კუბის ყველა წინააღმდეგობა, ასე რომ აწვალებდნენ სებასტიანს. ნახევრად ესპანური, ნახევრად ამერიკული კუნძული, ხიდი თუ ციხე-სიმაგრე შეერთებულ შტატებსა და ლათინურ ამერიკას შორის. ესპანელი და ზანგი ტრადიციული ხალხური წარმოდგენიდან. XX საუკუნე და ტრადიციული ქვეყანა. „თუმცა, ასე შეიძლება აბსურდამდე მიხვიდე“, გადაწყვიტა სებასტიანმა და ორსახიანი გამოსახულება იყიდა.

— თავზე რატომ აქვს ორი ფრთა?

— ჩრდილო ამერიკელი ინდიელი არ გეგონოს! ეს ფრთა კი არა, ლითონის ჯოხებია, ძალიან მახვილი. ამით კლავენ მამლებს, როცა მსხვერპლშეწირვის ცერემონია დაიწყება. — სებასტიანმა ხელი გაშალა და მაჯასთან ლურჯი ძარღვები დაანახვა. — მეც შემიძლია ვისარგებლო ამით და ვენები გადავიჭრა, თუ მიმატოვებ...

— ეტყობა, მოგწონს ეს პირქუში სათამაშოები?

— მართლაც რომ მომწონს.

— ვცდილობ, როგორმე გავიგო, მაგრამ არ მსიამოვნებს ეს ავგაროზები, ღმერთები. ვიცი, ვიცი, ნუ ამიხსნი. ისინი თავისი სიმახინჯით არიან ლამაზნი, მოდერნისტული ხელოვნების ნაწარმოებთ მოგვაგონებენ... გამიგე, რისი თქმა მინდა: როცა შენ ამას უყურებ, მე მეჩვენება, რომ გინდა, ირგვლივ ყველაფერი ასეთი საზარელი და მახინჯი გახდეს.

— სულაც არ მინდა, რომ შენ, მაგალითად, ურჩხულად გადაიქცე. ძალიან გიხდება შენი ნეილონის თეთრეული და „კოლეჯეიტის“[1] ღიმილი...

— Stop it,[2] ნუ დამცინი. მე ვცდილობ, როგორმე გავიგო, გეფიცები.

— I'm sorry[3], — სებასტიანმა ხელზე აკოცა.

რეგლას წმინდა ქალწული ჩაბნელებული ეკლესიიდან კაშკაშა მზეზე გამოვიდა. ამჯერად ეს იყო ქალღმერთი იემაია. აფრიკამ გაიმარჯვა. სატკაცუნოების ტკაცუნმა და დოლის ბრახუნმა ჩაახშო კათოლიკური ლოცვა. ქალღმერთის გამოსახულებას, რომელიც ოთხ კაცს მოჰქონდა, უკან მისდევდა სამი მედოლე. უბის წყალს შეერია თაფლი და შაქრის ბადაგი.

— მოდი, შევუერთდეთ პროცესიას,— თქვა სებასტიანმა და ხელი მოჰკიდა ნენსის.

პროცესია ქუჩაზე მიემართებოდა. სებასტიანმა ნაბიჯი შეანელა, რათა სხვების ყურადღება არ მიეპყრო. სულელური ბედგომარეობაა! ფრანსისკო არსად ჩანს. დროდადრო გადახედავდა ნენსის, რომ მისთვის არავის ეწყენინებინა.

---

[1] ცნობილი ამერიკული ფირმა, რომელიც კბილის პასტას ამზადებს.

[2] გეყოფა (ი ნ გ ლ.).

[3] მაპატიე (ი ნ გ ლ.).

ვილაც გამხდარი მამაკაცი თავდავიწყებით ცეკვავდა, მკერდზე ავგაროზი უხტოდა.

სებასტიანი ცდილობდა მუსიკისთვის აეყოლებინა ფეხი. ცხელოდა, ოფლის წვეთები მოსცურავდა ლოყებზე. ბოლეროს ხმებით გატაცებულმა სცადა თვითონაც ეცეკვა, თუმცა მხოლოდ რამდენიმე ელემენტარული პა იცოდა. სებასტიანმა მიიხედ-მოიხედა. არა, არავის შეუნიშნავს, ასე ცუდად რომ ცეკვავდა. აუტანელი იყო შუადღის მზის ქვეშ ცეკვა, თითქოს მძიმე ქვები ეკიდა ფეხებზე.

წითელი ლაქები უტრიალებდნენ თვალწინ. ცდილობდა მხედველობიდან არ დაჰკარგვოდა ნენსი, მაგრამ მისი სახე მაინც ეკარგებოდა აჭრელებულ ბრბოში...

ნენსი ცდილობდა, როგორც სებასტიანმა ურჩია, ყველაფერი დაევიწყებინა და მთლიანად მუსიკის ჰანგებს მისცემოდა, მაგრამ არაფერი გამოსდიოდა, ვერ დაეძლია თავი. „This is terrible“[1], გაიფიქრა მან... სახე ეწვოდა. ბრბო სტიქიურად ემორჩილებოდა დოლის ხმას... ნენსი ჯოჯოხეთურ მორევში ტრიალებდა.

სებასტიანმა ბრბოს თავზე ქალწულ რეგლას გამოსახულებას შეხედა. მოქარგულ მანტიაში გაშეშებული უწმინდესი ქალწული ზიგზაგებით მიცურავდა ქუჩაში. მზის სხივები თხელ პირბადეში ატანდნენ და მის გაქვავებულ სახეზე მოელვარე ნაპერწკლები თრთოდნენ. ქალწულის ფეხებთან, ორ უცნაურად მოკუნტულ ქერუბიმს შუა მწიფე ბანანების კუნწულა იდო.

---

[1] ეს საშინელებაა (ი ნ გ ლ).

მოედანზე, მუნიციპალიტეტთან, ნენსიმ თავი დააღწია ბრბოს და სებასტიანს დაუძახა.

— სადღა აპირებ წასვლას?

— დაიღალე?

— წყალი დავლიოთ, წყურვილით ვკვდები...

სებასტიანმა მიიხედ-მოიხედა. ნაცნობი არავინ ჩანდა. იქნებ ფრანსისკო დაიჭირესო, გაიფიქრა და გულმა ცემას მოუმატა. შეეშინდა, ნენსის არ შეემჩნია მისი შეკრთომა. სასაუზმეში შევიდნენ. სებასტიანმა ორი ბოთლი გაზიანი წყალი მოითხოვა.

— არა მგონია, რომ ამ ხალხისათვის სასიამოვნო იყოს ჩვენი აქ ყოფნა, — თქვა ნენსიმ. — ალბათ, ჰგონიათ, რომ დავცინით. — ნენსიმ ბოთლი მოიყუდა და ნახევრამდე გამოსცალა. — რა ტკბილია.

— ნუ გეშინია, ლინჩის კანონით არ გაგვასამართლებენ. შეერთებული შტატების სამხრეთში ხომ არა ვართ.

— ჯერ ერთი, სულ არ იყო საჭირო აქ წამოსვლა. არ ვიცი, რას ხედავ ყოველივე ამაში საინტერესოს. აქ უარესია, ვიდრე ნიუ-იორკის ტაიმზ-სკვერზე ახალწლის ღამეს. — ნენსის უნდოდა, რომ სებასტიანს მხოლოდ მასზე ეფიქრა. იგი მოიქანცა. ირგვლივ ყველაფერი ჭუჭყიანი და საშიში ეჩვენებოდა.

— მაგრამ ეს ხომ ჩემი ხალხია. ბებიაჩემი ზანგი იყო, იემაია სწამდა.

— გეყოფა, სასაცილოდ ნუ გაიხდი თავს. შენ არაფერი გაქვს საერთო ამ ხალხთან... ესენი ველურები არიან. შენ უფრო გევხარ იანკის, ვიდრე მე.

— სჯობია იცეკვო, ვიდრე ატომური ყუმბარები აკეთო.

შეიძლება სწორედ ამ წუთს რომელიმე მეცნიერი მასაჩუსეტსში თავს იმტვრევს ახალ ატომურ პრობლემაზე... აბა დაუფიქრდი ამას!

— ჩემთვის სულერთია. თუ გინდა, შეგიძლია დაიხრჩო აქ... მე შინ მივდივარ. თუ შეიძლება, მომეცი მანქანის გასაღები...

ნენსიმ მოიხედა, ტროტუარი ცარიელი იყო. სებასტიანი არ გამოჰყოლია. გადაწყვიტა რამდენიმე წუთი დაეცადა, სანამ სტარტერს ფეხს დააჭერდა. რატომ დარჩა? ნენსიმ მოტორი აამუშავა და წავიდა, დარწმუნებული იმაში, რომ სებასტიანს სძულდა.

რამდენიმე წუთს სებასტიანი ტროტუარის კიდეზე იჯდა. კმაყოფილი იყო, ისე მოიცილა ნენსი, რომ არაფერი უთქვამს ფრანსისკოზე. მას უფლება არა აქვს ამ საქმეში ჩააბას ნენსი. ნენსიმ ეჭვითაც არაფერი იცის, რა ხდება კუბაში.

რატომ მაინც და მაინც რეგლა დაუნიშნა ფრანსისკომ შესახვედრ ადგილად? ადვილი შესაძლებელია, სხვა საქმეებიც ჰქონდა აქ. სებასტიანმა ტროტუარიდან ნაყინის ჯოხი აიღო და მიწაზე ხაზვა დაიწყო.

ფრანსისკო შეიძლება დააპატიმრეს... სებასტიანს ეჩვენებოდა, რომ საცაა თავს დაესხმის პოლიცია. აუცილებლად დაესხმის თავს. რას იზამს? ნუთუ გაიპარება, როგორც ყველაზე მხდალი? არა! თუ დააპატიმრებენ, ერთ სიტყვასაც არ იტყვის ფრანსისკოზე. სებასტიანმა გადაწყვიტა დაეცადა... ნენსი ნაწყენი წავიდა... სებასტიანს უნდოდა ნენსი კუბაში დარჩენილიყო. მის გვერდით აუცილებლად უნდა იყოს ქალი, მხოლოდ მაშინ გრძნობს სიცოცხლეს.

სებასტიანი პროცესიას წამოეწია. რუხი ღრუბელი გადა-

ეფარა მზეს. წვრილი წვიმა წამოვიდა. წამით თითქოს შეჩოჩ-ქოლდა ბრბო. წვიმამ უმატა და პროცესია შესამჩნევად შეთხელდა. ყოვლად წმინდა ქალწული მახლობელ სახლში შეიტანეს. წვიმამ დიდებული იერი დაუკარგა და საცოდავად გამოიყურებოდა. პროცესიის თავი დამკვრელებთან ერთად სასაფლაოსკენ მიიწევდა.

სებასტიანიც მოჰყვებოდა პროცესიას. სასაფლაოს გალავანთან რომ მივიდნენ, მზემ ღრუბლებიდან გამოიხედა, თუმცა წვიმა მაინც მოდიოდა.

— ეშმაკი ქორწილს იხდის, — წამოიძახა ვიღაცამ.

დოლებმა რიტმი შეცვალეს. სებასტიანი მარმარილოს საფლავის ქვაზე აცოცდა. იგი აქ მოვიდა და ბოლომდე დარჩება. ვიღაც ქალი, რომელსაც სადად გადავარცხნილი თმა კეფაზე გამოენასკვა, რაღაც გაუგებარ სიტყვებს წარმოთქვამდა აფრიკულ ენაზე. იგი ცეკვავდა და ბოროტ სულებს ულოცავდა. ხელები უკანკალებდა. ვიღაც ბებერმა სამოთხის ხის სველი ტოტით წყალი შეასხურა. ქალს შავი თმა მზეზე უბრწყინავდა და სულ ტრიალებდა, ტრიალებდა, ტრიალებდა.

სებასტიანი საფლავის ქვაზე ჩამოჯდა.

* * *

სასაფლაოს შესასვლელთან ფრამბოიანის წითელი ყვავილების ქვეშ მდგარი ნაცრისფერი ავტომობილი ვარდისფრად მოჩანდა. სებასტიანი ავტობუსით აპირებდა წასვლას. ნენსიმ მანქანის კარი გამოაღო და დაუძახა.

— მაპატიე. მერწმუნე, ძალიან ვნანობ... მოდი, დაჯექი.

— მიხარია, რომ დაბრუნდი, — უთხრა სებასტიანმა და

მანქანაში ჩაჯდა. — ცოტა უნდა დავიცადოთ, სანამ ხალხი დაიშლება.

— არა უშავს. მე აქ მომწონს. რატომ არის ჰავანაში ასე ცოტა ხეები. ტროპიკულ კუნძულზე ბევრი ხე უნდა იყოს.

— ბევრს ჰგონია, რომ უხეებოდ ქალაქი უფრო თანამედროვედ გამოიყურება. ჰავანა იმ ადამიანებმა ააშენეს, რომელთაც ბუნება სძულდათ... შენ მართლა გაინტერესებს ეს თემა? მგონი, რაღაც სხვა გინდოდა გეთქვა.

— არ ვიცი, არ ვიცი, — ნენსი უყურებდა ბალახს, წითელი ყვავილებით მოფენილ ტროტუარს. — მომწონს ფრამბოიანი, ბალახისა და ფოთლების ერთფეროვნებას არღვევს...

— მითხარი, რა დაგემართა?

— ოჰ, დამანებე თავი, ხომ დავბრუნდი, მეტი რაღა გინდა? მეშინოდა, დასველდება-მეთქი... რატომ არაფერს მეუბნები ჩემს ახალ კაბაზე?.. რამდენი ხანია, რაც აქა ვარ?

— შენ გინდა თქვა — რეგლაში?

— არა. რამდენი ხანია, რაც შტატებიდან ჩამოვედი?

— თითქმის ერთი წელია.

— ასე მგონია, არასოდეს არ წავსულვარ-მეთქი კუბიდან. გესმის, მე თითქოს ერთ ადგილზე გავიყინე. ადრე ყველაფერს აზრი ჰქონდა ჩემთვის, ახლა კი — არა. აქაური მცხოვრებლები მეტისმეტად პროვინციელები არიან: ხედავ, როგორ გვიყურებენ... სახლში უნდა წავიდე. შენ საეუშაო გაქვს, მეგობრები გყავს, შენთვის ყველაფერს აზრი აქვს, აქ დაიბადე, მე კი მხოლოდ შენ მიყვარხარ. თუმცა, ამაშიც არა ვარ მტკიცედ დარწმუნებული.

— არასოდეს არავინ არ არის სავსებით დარწმუნებული, ნენსი, რასაც არ უნდა შეეხებოდეს ეს. ჩვენ ეს ათასჯერ გვით-

ქვამს. მარტო შენ კი არ გაწუხებენ გადაუჭრელი პრობლემები, მეც მტანჯავს ეს. შენ შეგეძლო დამხმარებოდი. როგორ ფიქრობ, უნდა ვილაპარაკო ამაზე თუ არა? მე შენ მიყვარხარ, შენ საჭირო ხარ ჩემთვის.

— მართლა გინდა, რომ დაებრუნდე?

— მე არ მინდა, რომ წახვიდე. სიყვარული ეგოისტური გრძნობაა. ეს ორი ადამიანის ეგოიზმია. მაგრამ მე მეჩვენება, რომ ამ უკანასკნელ ხანებში ჩვენი გრძნობა ვეღარ პოულობს საერთო ენას.

— ჩემთვის აუცილებელია წასვლა, მაგრამ დავბრუნდები. მინდა, მარტო დავრჩე და ყველაფერი კარგად მოვიფიქრო.

— შენ მოგწონს მწუხარება, — სებასტიანმა თვალებში ჩახედა ნენსის. — ასე უფრო ამაღლებულად გრძნობ თავს. ტრაგიკული და მტანჯველი სიყვარული.

— ამბობენ, ნამდვილი სიყვარული განშორებით უფრო ძლიერდებაო...

— ხანდახან მოწაფეს მაგონებ. იქ შექმნი სიძნელეს, სადაც არ არსებობს. ვერ გამიგია, თუ ორივეს ერთად ყოფნა გვინდა, რატომ უნდა დავცილდეთ?

— შენ ბავშვი ხარ... აქ მე სავსებით მოუწყობელი ვარ. ქალისათვის საჭიროა სახლი სუფთა ზეწრებით და მაცივრით, ის, რომელიც შენ გიდგია, არ ვარგა: წყალი მოჟონავს და ირგვლივ ყველაფერი სველდება. ზიზღსა მგვრის ჭუჭყიან ვედროში წყლის ჩასხმა... გარდა ამისა, ჯერ შენი ცოლიც არა ვარ. არ ვიცი, ვგონი ჭკუიდან ვიშლები...

— ხვალ დილასვე მოვაწეროთ ხელი, თუ ეს გაღელვებს, ხვალ დილასვე, — სებასტიანმა გაიხსენა, როგორ უარყო ნორმამ მისი წინადადება. — ნამდვილი სულელი ვარ! აზრა-

დაც არ მომსვლია, რომ თანახმა იქნებოდი ჩემი ცოლობისა. არც მითხოვია, იმიტომ რომ მეშინოდა, უარი არ გეთქვა.

— ნამდვილად გააკეთებ ამას? ჩემი გულისთვის გააკეთებ?

— რა თქმა უნდა! თუმცა, შეიძლება ასეთივე წარმატებით ხვალვე დავცილდეთ.

— აი, ხომ ხედავ. ყოველთვის უნდა გააფუჭო ხოლმე ყველაფერი. რატომ არ შეგიძლია დაცინვის გარეშე? მითხარი, რატომ?

— მე არ დაგცინი. უბრალოდ არ მიყვარს სანტიმენტები. მაგრამ ნამდვილად მინდა, ჩემი ცოლი გახდე, მე მეკუთვნოდე მთლიანად და სავსებით. ამ გზით კი ჩემი იქნები არა მარტო სულითა და ხორცით, არამედ კანონითაც.

— ამ დღეებში უნდა წავიდე, ფილადელფიაში დავტოვე ჩემი ნივთები. გარდა ამისა, ხომ უნდა ვუთხრა მშობლებს, რომ ვთხოვდები. ყველაფერი უნდა ავუხსნა. ერთი თვის შემდეგ დავბრუნდები. ვიცი, არ გინდა ჩემი მშობლების გაცნობა. ნუ გეშინია; მოვიფიქრებ რაღაცას მათთვის სათქმელად... მაგრამ შენ ჯერ არ გიკითხავს, თანახმა ვარ თუ არა გამოგყვე ცოლად.

— გინდა, გამომყვე ცოლად?

— მინდა, ხომ იცი, რომ მინდა... მაკოცე.

სებასტიანმა მოტორი გამორთო, ნენსისკენ გადაიწია და ჯერ თვალებში აკოცა, მერე ტუჩებში. უეცრად ყოველივე ეს უაზროდ ეჩვენა. ნენსი სულ სხვაგვარად უყურებდა ყოველივე ამას. შეირთავდა თუ არ შეირთავდა ცოლს ამით სებასტიანისათვის სრულიად არაფერი იცვლებოდა.

— არ იფიქრო, ძალას გატანდე. სულაც არა. უბრალოდ,

ჩემთვის სასიამოვნოა იმის ცოდნა, რომ შეგიძლია რაღაც გააკეთო ჩემთვის და ამიტომ ბედნიერი ვარ, ნამდვილად ბედნიერი.

სებასტიანი დაიქანცა. მისთვის სულ ერთი იყო ყველაფერი. ნენსიმ ხელი გამოსდო, ცელქობა უნდოდა მასთან. სებასტიანი კი ფიქრობდა, რომ ყოველივე ეს სისულელე იყო. რა საჭირო იყო მთელი თვის ლოდინი. სებასტიანს ვერაფერი გაეგო. ცხოვრებაში ყველაფერი ისეთი გარჯის ფასად გეძლევა, რომ როცა დასახულ მიზანს მიაღწევ, უკვე ისე მომხიბვლელად აღარ გეჩვენება. სებასტიანი მოჰქანცა ამდენმა განცდამ. დეე, გააკეთოს, რაც უნდა. სებასტიანმა ნენსის გადახედა, ნენსიმ გაუღიმა.

— ნუ ღელავ, ერთ კვირაზე ადრე არ წავალ. ამ რამდენიმე დღის განმავლობაში შევეჩვევი იმ აზრს, რომ ცოტა ხნით უნდა გავშორდეთ. არ მინდა შენი მარტო დატოვება. მაგრამ ეს აუცილებელია. ნუ მიყურებ ასე. სახლში წავიდეთ. აეროპორტში ხომ არ მივდივართ.

— კარგი იქნებოდა, ასე ყოფილიყო.

— რა გინდა თქვა? ვერ გავიგე.

— ადამიანებს არ ესმით ერთმანეთისა.

რომი და პრუ

ათი წუთიც არ გასულა სებასტიანის წასვლის შემდეგ, რომ ნენსიმ გადაწყვიტა, კიდევ მოეხარშა თავისთვის ყავა. მაგარი ყავა ნერვებს უღიზიანებდა. „ყავაც კი სხვანაირია აქ“, ფიქრობდა ნენსი და უყურებდა, როგორ წყდებოდა წვეთები სა-

ყავეს. სავსე ფინჯანი გვერდზე გასწია და ცარიელი ჭიქა შეუდგა.

ნენსიმ ორი ფინჯანი მოხატა სეპიით. დედისა და მამის ფოტოების ასლები გადაიღო. ეს სურათები ქორწინების წელს იყო გადაღებული. მათზე გამოხატული იდეალური მშობლები სულაც არ გავდნენ იმათ, ნენსი რომ იცნობდა.

სებასტიანმა თქვა, სიამოვნებით ვსვამ მათი თავებიდანო. ნენსიმ ფინჯანს შეხედა: სულაც არ გავდა მამას ეს ულვაშებიანი მამაკაცი. დეე, ამ ფინჯანმა გაახსენოს სებასტიანს ნენსი, სანამ აქ არ იქნება.

ნენსიმ ორი კოვზი შაქარი ჩაიყარა, ყავას ურევდა და თან ხოჭოს უყურებდა, პირსაბანის კიდეზე რომ მიცოცავდა. მოჰკლას თუ აჩუქოს სიცოცხლე. ნენსის მწერების არ ეშინოდა, თუმცა ზოგჯერ ისეთ სახეს ღებულობდა, თითქოს ძალიან აშინებდა მათი დანახვა. ამას იმიტომ აკეთებდა, რომ ქალურად მიეჩნიათ მისი საქციელი. „სებასტიანს მოსწონს ჩემი ჩაცმულობა“, გაიფიქრა ნენსიმ და შეათვალიერა თეორი ჯინსები, მჭიდროდ რომ ეკვროდა ფეხს. სანდლის თასვეპიდან შეღებილი ფრჩხილები მოუჩანდა. კაბები, თითქმის ყველა, ჩემოდანში ჰქონდა ჩალაგებული.

ნენსიმ ფინჯანი აიღო, კაბინეტში გავიდა და საწერი მანქანის წინ დაჯდა. სებასტიანი ისევ იმ კაცთან შესახვედრად წავიდა, კასტროსთან რომ მუშაობს. ეს უბრალოდ მიზეზია, როგორც მაშინ, რეგლაში რომ წაიჩხუბნენ: მაშინ ხომ არავინაც არ მოსულა. არა მგონია, სებასტიანს რაიმე საფრთხე ელოდეს: ჰავანაში სრული სიმშვიდეა. შეიძლება ეს ერთგვარი ფანდია, იმისათვის რომ უღალატოს. ნენსიმ არ იცოდა, რა ეფიქრა. არა სჯეროდა, რომ შესაძლებელი იყო, პოლიტიკას

რაიმე სერიოზული მნიშვნელობა ჰქონოდა... ერთხელ, საღამოს, ნენსის როგორღაც შეებრალა ედლი სტივენსონი, როცა რადიოთი მოისმინა, რომ მან მარცხი განიცადა. ნენსიმ გაიხსენა, რომ იგი ცოლმა მიატოვა და დააფიქრა მარტოხელა, მოწყენილი კაცის ხვედრმა.

ნენსიმ მაგიდაზე დაზვინულ წიგნებს გადახედა. მერე ცხვირზე მოისვა ხელი: პუდრი ხომ არ წაისვას? ყველაფერი აერია თავში, დაბნეული იყო. ცხოვრება აუტანელი შეიქნა.

უნდა დაბრუნდეს ფილადელფიაში, რათა მშობლებს განუცხადოს თავისი გადაწყვეტილება გათხოვების შესახებ. იქ მის კარადაში ბევრი კარგი კაბა დარჩა, რომელიც აქ გამოადგებოდა. თვითონაც არ იცოდა, უნდოდა თუ არა კუბაში დარჩენა. აქ შეუძლებელია ქუჩაში გასვლა ისე, რომ საერთო ყურადღება არ მიიპყროს. აქ მას არაფერი არ ეკუთვნის. როცა იქორწინებენ, ყველაფერი შეიცვლება. შეიძლება დაიყოლიოს სებასტიანი და შეერთებულ შტატებში გადასახლდნენ. ნიუ-იორკში მაინც... ნენსიმ მანქანის კლავიშებს დაჭერა ხელი. საშინელმა ტკივილმა გაჰკრა თითში, სატაცურის ქილის გახსნაზე რომ გაიჭრა. ნენსი ნატრობდა კონსერვის ქილის გასახსნელ ელექტროდანას, მამის სახლში რომ ჰქონდა. ნატრობდა უნივერსალურ მაღაზიას, სადაც საჭირო არ იქნებოდა ესპანური ლაპარაკი.

შეიძლება, როცა დაბრუნდება, სახლში მუშაობაც შესძლოს. ეზოში დადგამს ცეცხლგამძლე აგურის ღუმელს. ასე ბევრად უფრო მოხერხებული იქნება. ნენსი ხშირად იმიტომ რჩებოდა სახლში, რომ არ უნდოდა ავტობუსით სიარული სანტიაგო-დე-ლას-ვეგასში, კერამიკულ სახელოსნოში. შოურუნი ბოლო წერილში ახალ ნაკეთობებს თხოულობდა, რადგან ყვე-

ლაფერი, რაც ნენსის გაეგზავნა, უკვე გაეყიდა — თუმცა, უმეტესი ნაწილი გზაში დამტვრეულა. კანდელაბრები დასკდა. კანდელაბრები, რომელიც პაწაწინა ვარდისფერი და ყავისფერი ჩიტუნებითა და იისფერი და წითელი ყვავილებით მორთო...

უჯრა გამოსწია და ქაღალდის ფურცელი ამოიღო — წერილს დაუტოვებს სებასტიანს: თავი უნდა აარიდოს გამომშვიდობებას. ნენსიმ კალმისტარი მოძებნა მაგიდაზე... გამოუმშვიდობებლად წავა, სებასტიანს ეგონება მაღაზიაშია გასულიო... ნენსი შეჩერდა.

სჯობია, შხაპი მიიღოს და კინოში წავიდეს. არა, ჯერ მაღაზიაში უნდა შეიაროს, „ელ-ენკანტოში". როცა რამეს იყიდის, ყოველთვის გულზე მოეშვება ხოლმე. ჩანთა სჭირდება, დიდი ტყავის ჩანთა. მაგრამ ჰავანაში ძნელია ასეთის ყიდვა. აქ რაც იყიდება, მხოლოდ მდივნებსა და ბებრებს თუ გამოადგებათ. უპირველეს ყოვლისა ჩანთას იყიდის ფილადელფიაში... ნენსიმ ისევ კალმისტარი აიღო.

უნდოდა სცოდნოდა, ფიქრობდა თუ არა მასზე სებასტიანი, როცა ერთად არ იყვნენ. სებასტიანი დაბრუნდება და ნენსი აღარ დახვდება სახლში. ფილადელფიიდან მოულოდნელად ჩამოფრინდება. ისე გამოვა, თითქოს არც მიუტოვებია:

* * *

— ახლა სულ აღარაფერს ვაკეთებ კანტორაში. მივდივარ დილით და იქ ვატარებ მთელ დღეს, რაღაცეებს ვჩხაპნი. ვერ ვიტან იმ ხალხს, მოთმინება აღარ მყოფნის. აი, მაგალითად, მამაჩემის კომპანიონი. დიდმნიშვნელოვან ვინმედ მოაქვს თავი მხოლოდ იმიტომ, რომ მეცხოველეობას მისდევს. ჰგონია,

დიდ საქმეს აკეთებს — სულ რამდენიმე ძროხა კი ჰყავს. აბა, რა დიდი საქმეა რამდენიმე ძროხის ყოლა? ბებერია და, გარდა ყოველივე ამისა, ცოცხლად ხრავს კიბო. — ლუისი ფეხებით დაეყრდნო მარმარილოს იატაკს. — მოვიქანცე ამდენი ფიქრით და საშუალება არა მაქვს გამოთქმისა. სულ მინდა ვეკამათო, როცა ათასგვარ სისულელეს რომავენ, მაგალითად ასეთ რაღაცას: „ინგლისის დედოფალი მშვენიერია", მაგრამ არ შემიძლია, მთლად გამომაშტერეს. მთელი დღეები ვფიქრობ, რანაირი პასუხი გავცე და შემთხვევას ვერ ვპოულობ. მთლიანად ჩამიგდეს ხელში. კიდევ მეტი. დამცინიან კიდეც. ერთხელ მამაჩემის კომპანიონს ვუთხარი: ჩემის აზრით, კუბაში ფულის გაკეთების საუკეთესო საშუალება კინემატოგრაფია არის-მეთქი. ისე შემომხედა, როგორც გიჟს, მამაჩემმაც მიბრძანა, ხმა ჩაიკმიწდეო.

ლუისს ეცინებოდა თავის თავზე. ბისი სიცილი ყრუდ ისმოდა გამოცარიელებულ სახლში. ოჯახი სამი კვირით სამოგზაუროდ წასულიყო, ჯერ ლონდონში, მერე კი კუნძულ მენორკაზე, სადაც ვილა ჰქონდათ. ლუისმა უარი თქვა მათთან წასვლაზე. უკანასკნელად, როცა ერთად იმოგზაურეს ევროპაში, უმეტესი ნაწილი სასტუმროებში გაატარეს და გამუდმებული დავა ჰქონდათ. ამ მოგზაურობიდან ლუისს შემორჩა მხოლოდ მავრის კოსტუმით გადაღებული სურათი, სევილიაში რომ გადაიღო, და მოგონებები ნიუ-იორკელი ქვრივის ანას შესახებ, რომელიც „ილ-დე-ფრანსის" ბორტზე გაიცნო. მასთან ერთად მთელი კვირა გაატარა კაპრიზე. ლუისს ხსოვნაში ჩარჩა მისი ნათელი თვალები, ხელოვნური წამწამები და ცხრათვალა მზე... ყოველთვის, როცა სახლში ამ მოგზაურობაზე ჩამოვარდებოდა ლაპარაკი, მამა შემთხვევას არ უშვებდა გაე-

ხსენებინა, რომ ეს მოგზაურობა ოთხმოცი ათასი დოლარი დაუჯდა...

ლუისმა და სებასტიანმა, ის იყო, ისადილეს და ფრანსისკოს ელოდნენ.

— ახლა რაღა გიჭირს, თქვენები წასულები არიან, — შენიშნა სებასტიანმა, — შეგიძლია პირდაპირ იატაკზე დაყარო ფერფლი და მოსამსახურესთან ერთად იკოტრიალო მშობლების საწოლში.

— თუ გაიგეს, რომ ჩვენ სახლში დანიშნულია შეხვედრა რევოლუციონერთან, მთელი ერთი კვირით დაეკარგებათ ძილი. როგორ გგონია, რა მოხდება, აქ რომ მოგვისწრონ შენს მეგობართან ერთად?

— მე კარგად არ ვიცნობ შენიანებს.

— არა, მე სამხედრო დაზვერვა მაქვს მხედველობაში.

— მე მგონი, ციხეში ჩაგვყრიან, — სებასტიანმა გადაწყვიტა, რომ ახლა წამებაზე ლაპარაკი ბავშვობა იქნებოდა.

— სანაძლეოს ჩამოვალ, რომ მე და შენ ზოგიერთ მნიშვნელოვან ორგანოსაც დავკარგავდით. იცი, რა უყვეს ერთ მასწავლებელ ქალს, რომელიც ახლახან დააპატიმრეს? გახურებული შანთებით აწამეს.

— ნუ გეშინია, მე და შენ არ გვიწერია წამებულად ყოფნა. ფრანსისკო კიდეც მოვა, კიდეც წავა და არაფერი არ მოხდება. თუ პოლიცია დაგვესხა თავს, ვიტყვი, რომ იგი მამაჩემის ბანკში მუშაობდა. ნუ გეშინია, — სებასტიანმა მური მოიცილა თავიდან.

— იმ ტიპებს არავისი არ სჯერათ. ისინი ჩვენ ფრჩხილებს დაგვაძრობენ.

— რა თქმა უნდა, შეიძლება ყველაფერი ივარაუდო,

მაგრამ არ ღირს ამაზე ამდენი ფიქრი. ჩვენ ფრანსისკოს ნახვა გვინდა და ვნახავთ. მეც არ ვარ მამაცი, მაგრამ არც კისრისტეხვით ვაპირებ აქედან გაქცევას. საერთოდ კი ქუჩაშიც შეიძლება ჩავარდე მანქანის ქვეშ. ნუ გეშინია, ძველო.

— რაიმე დახმარება მაინც შემეძლოს. მოთავეებს თითქმის ყველას ვიცნობ. ერთხელ ბატისტასთანაც კი წარმადგინეს. საქმოსნები და პოლტიკოსები სცდებიან, სებასტიან. არ ვიცი, მომავალში შეიცვლება თუ არა ფიდელ კასტრო, დღემდე კი ყველაფერი გააკეთა რაც ხალხს აღუთქვა. მე მხოლოდ იმის მეშინია თვალები არ დამთხარონ.

— ასეთ რამეებზე ნუ იფიქრებ, თორემ ვერასოდეს ვერაფერს ვერ გააკეთებ, — სებასტიანმა იგრძნო, როგორ შეეკუმშა გული. — ყველას მოუწევს ხანდახან საფრთხეში თავის ჩაგდება.

— როცა ჩემს ბიძაშვილს შევჩივი კანტორასა და მშობლებზე, მეუბნება, უნდა მოითმინო, უთანხმოებას უნდა ერიდო. როგორ უნდა ერიდო? ქვეყანაზე ყველაფერი ერთმანეთს ედება და იხეხება. ხანდახან ისე გაგხეხავენ, რომ სულ გაგაძრობენ ტყავს. მოდი და ნუ იყვირებ! ამაზე მაღლა უნდა იდგე! აი, რატომ მინდა გავხდე რევოლუციონერი. მე შაქრის პლანტაციების მფლობელი ვარ — მერე რა? ჩემი ოჯახი ერთი იმ ასსამოც ოჯახთაგანია, რომლებიც ყველაზე მდიდრებად ითვლებიან ჩვენს ქვეყანაში — მერე რა? მე მაინც გული მერევა.

— ზოგჯერ მეც მინდა, ყველაფერი ისე ღრმად განვიცადო. როგორც შენ განიცდი, ლუის! როცა ასეთი გაბოროტებით ლაპარაკობ, მგონია, ყოველივე ეს სადღაც სხვა პლანეტაზე ხდება. მე ყოველთვის უცხოსავით ვგრძნობ თავს და ეს არის ჩემი დამღუპველი. ვერაფერს ვეძლევი მთლიანად.

ლუისი ვერ მიხვდა.

— ამის შემდეგ ჩემი ფეხიც აღარ იქნება კანტორაში. ერთხელ კიდევ რომ მივიდე იქ გავგიჟდები. მოხუცს ვეტყვი. რომ ის აქ არაფერ შუაშია. მე მინდა, ფიდელმა ჩამოაგდოს ბატისტა და ყველაფერი, რასაც ისინი ფლობენ, საპნის ბუშტივით გასკდეს. მაშინ დაინახავენ, რომ სხვაგვარადაც შეიძლება ცხოვრება.

— ის კაცი, რომელსაც დღეს გაგაცნობ, ერთ-ერთი ხელმძღვანელთაგანია იატაკქვეშა მოძრაობისა აქ, ჰავანაში. მაგრამ მისგან ბევრს ნურაფერს მოელი. შეიძლება, არც მოინდომოს შენი სამსახურის გამოყენება. და, თუ მოინდომა, დიდი სიფრთხილე გმართებს.

— მესმის, მესმის...

— ეს კარმენია? — იკითხა სებასტიანმა და მაგიდიდან აიღო ფოტოგრაფია, რომლიდანაც მუცელზე გაწოლილი ტიტველა ბავშვი უღიმოდა.

— ჰო. ჩემმა დამ მილიონჯერ სთხოვა მოხუცს, არ გამოედგა აქ ეს ფოტო, მაგრამ მაინც ყველაფერს თავის ჭკუაზე აკეთებს. ერთხელ ეს სურათი მის თაყვანისმცემელს უჩვენა.

— მერე, იმან რა თქვა?

ზარის ხმა გაისმა.

— წამოდი, — უთხრა ლუისმა. — ჩვენ ხომ არ ვიცნობთ ერთმანეთს...

მათ უხერხულად ჩამოართვეს ერთმანეთს ხელი. ფრანსისკო თავისუფლად ვერ გრძნობდა თავს. ეს-ეს არის შხაპი მიეღო და გახამებული გუაიაბერა ჩაეცვა.

ლუისს გაუკვირდა, რომ ფრანსისკო თავისუფლად დადიოდა ქუჩაში და არავინ იჭერდა. ეგონა, ფრანსისკო მაღალი

იქნებოდა ანდა პირიქით დაბალი, რაღაცით განსხვავებული სხვებისაგან.

სებასტიანმა წარუდგინა ლუისი ფრანსისკოს.

— ჩემი მეგობარი ლუის რეიესი. სურვილი აქვს დაგეხმაროთ.

— კარგი. ამაზე შემდეგ ვილაპარაკოთ. მთებიდან ახალი ამბავი ჩამოვიტანე: ფილიპე პასოსი და რაულ ჩიბასი ფიდელ კასტროს შეუერთდნენ. უკვე ერთი კვირაა, რაც სიერა-მაესტრაში ჩამოვიდნენ.

— მე გავიგე, რომ ჩიბასი მთებშია. ფილიპე პასოსის შესახებ კი არაფერი ვიცოდი. ეს, მგონი, კარგი ამბავი უნდა იყოს. ფიდელს სერიოზული თანაშემწე სჭირდება, რომელსაც ესმის ზოგი რამ ეკონომიკისა.

— პასოსი ხომ პრეზიდენტი იყო ნაციონალური ბანკისა?— იკითხა ლუისმა.

— დიახ, პრიომ დანიშნა, — უპასუხა ფრანსისკომ.

სიჩუმე ჩამოვარდა.

ლუისი შეირხა. სკამის ჭრაჭუნმა კიდევ უფრო შესამჩნევი გახადა სიჩუმე. ფრანსისკო თაროზე ჩამწკრივებულ, წითელ-ყდაში ჩასმულ წიგნებს ათვალიერებდა. სებასტიანი ტუჩებს იკვნეტდა. ბოლოს გადაწყვიტა, დაერღვია ეს მტანჯველი სიჩუმე.

— ესენი პირველი ცნობილი პოლიტიკური მოღვაწენი არიან, რომლებიც ფიდელს შეუერთდნენ. მე მხედველობაში მაქვს ოპოზიცია. აქამდე მხოლოდ სტუდენტები და ახალგაზრდები ეხმარებოდნენ. ალბათ იმიტომ, რომ მხოლოდ მათ აქვთ რწმენა იმისა, რომ შესაძლებელია რაიმე შეიცვალოს კუბაში.

— დიახ, ნაწილობრივ მართალი ხართ. მაგრამ ჩვენ გვინდა.

ჩამოვცილდეთ ოპორტუნისტებს, არც პროფესიონალ რევოლუციონერებთან გვინდა დაკავშირება. რაულ ჩიბასი მიემხრო ფიდელს არა როგორც ორთოდოქსების ლიდერი, არამედ როგორც კერძო პიროვნება. ყოველგვარი კომპრომისი ან შეთანხმება ტრადიციულ პოლიტიკოსებთან მხოლოდ შეასუსტებს ჩვენს მოძრაობას. ჩვენ ვერ წავალთ მორიგებაზე. თუ მათ სურვილი აქვთ 26 ივლისის მოძრაობას დაეხმარონ, ძალიან კარგი, მაგრამ ასეთ შემთხვევაში უნდა მიიღონ ჩვენი პირობები, — ფრანსისკომ ხელით გაჰკვეთა ჰაერი.

— თქვენ მართალი ხართ, — წამოიძახა ლუისმა. — საქმოსნები და ხელისუფლება ერთი ბანდაა. სწორედ ახლახან ვეუბნებოდი ამას სებასტიანს. მათთან ვერასგზით ვერ მორიგდები. სარფიანი საქმე რომ შესთავაზო, იმის გაგებაც არ უნდათ. მე მინდოდა დამეთანხმებინა მამა პამპანინის მონაწილეობით კინოფილმის გადაღებაზე...

— მე ვიცი, — შეაწყვეტინა სებასტიანმა, — რომ ეს ადამიანები უვიცები და მშიშრები არიან. ამიტომაც არ წავედი ბანკში, არ გავყევი მამის გზას, მაგრამ ახლა ეს არ არის მთავარი. მთავარია პოლიტიკური ტაქტიკის საკითხი. ფიდელი მარტო ვერ ჩამოაგდებს ბატისტას. მისთვის საჭიროა მშრომელი ადამიანებისა და საშუალო ფენების დახმარება. ეს უკანასკნელნი უკვე ეხმარებიან, უკვე ერკვევიან ზოგიერთ რამეში... მხედველობაში მიიღეთ, რომ მუშებს ჯერ კიდევ არ სჯერათ რევოლუციისა. მათი პროფკავშირების ლიდერები მოსყიდულნი არიან და ახლა გაფიცვები შეუძლებელია. რათა თავი დააღწიო ამ მოჯადოებულ წრეს, უნდა ეძიო მხარდაჭერა ინტელიგენციისა და წვრილი ბურჟუაზიისა, რომელთაც ჯერ კიდევ სწამთ სამართლიანობის იდეალები.

— ნაწილობრივ ეს ასეა, — ჩაერია საუბარში ფრანსისკო, — მაგრამ ნუთუ შენ იმდენად ბავშვი ხარ, რომ გჯერა — ეს ადამიანები დაგეხმარებიან, რათა შეიცვალოს ცხოვრება კუბაში? მე არ მწამს ისეთი ადამიანებისა, როგორიც არიან აგრამონტე ან რაულ ჩიბასი. ისინი ჩაეფლნენ წარსულში და მიეტმასნენ ამ სისტემას. ისინი პროტესტს აცხადებენ, მაგრამ რადიკალური ცვლილებები არ უნდათ. რევოლუცია მათთვის საჭირო არ არის. ჩვენი რევოლუცია კი სახალხო უნდა იყოს.

სებასტიანმა უცებ მწვავედ იგრძნო, რა რეალური იყო საფრთხე ციხეში ჩავარდნისა და რამდენად განყენებული იყო თემა მათი კამათისა. მან ფანჯარაში გაიხედა: ცა მოწმენდილი, ლაჟვარდოვანი იყო და ალვის ფოთლებს ქარი აშრიალებდა.

— ბურჟუაზია მეტისმეტად სულმოკლეა, — განაგრძო ფრანსისკომ. — ჩვენ არ ვფიქრობთ კერძო საკუთრების ექსპროპრიაციას, მაგრამ თუ აუცილებელი შეიქნა, ამაზეც არ დავიხევთ უკან. გავატარებთ აგრარულ რეფორმას. შენ გინახავს, როგორ ცხოვრობენ გლეხები? სურვილი გებადება, ბოლო მოუღო ყველა იმ არამზადას, რომლებიც სისხლსა სწოვენ მათ. ბოლო უნდა მოეღოს ლატიფუნდიას. უნდა აშენდეს სკოლები, გლეხთა სახლები. ჩვენ ბოლომდე მივიყვანთ საქმეს, რადაც არ უნდა დაგვიჯდეს ეს, მხდალები ვერ ვიქნებით.

— მე ერთი წუთითაც არ მეპარება ეჭვი შენი სიტყვების სამართლიანობაში, ფრანსისკო. მხოლოდ თქვენი საქმის წარმატება მაეჭვებს, — შეეპასუხა სებასტიანი. — ჩვენ ესპანეთის ბრჭყალებიდან განთავისუფლებას ვლამობდით და შეერთებულ შტატებს ჩავუვარდით ხელში. 1938 წელს სოციალური რევოლუციისაკენ მივისწრაფოდით და ბატისტა წარმოვშვით.

ასეა მთელ ლათინურ ამერიკაში: ხელისუფლებას სათავეში უდგანან რეაქციული ძალები. მათ გაანადგურეს რევოლუცია მექსიკაში. ასე გაგვთელავენ ჩვენც. მათ ყველაფერი აქვთ, ჩვენ არაფერი. ახლა არ არის ეკონომიური კრიზისი, მათ კი იარაღი აქვთ. საქმე ის კი არ არის, ვის მხარეზეა სიმართლე— სიმართლე თქვენს მხარეზეა — მთავარია რეალური წარმატება. იმისათვის რომ გაიმარჯვო, საჭიროა იარაღი.

— არა, არა, შენ სცდები, იარაღი აქ არაფერ შუაშია. „იარაღი — ეს სინათლეა ჩვენი აზრებისა", როგორც თქვა მარტიმ. თუ შენ სამართლიანი საქმისათვის იბრძვი, აღრე იქნება თუ გვიან, იარაღიც იქნება. ფიდელმა ილაპარაკა აპის შესახებ სასამართლო პროცესზე, მონკადას შემდეგ. აქ წყდება ზნეობრივი პრობლემა, გვეყოფა დამცირება.

— მართალი ხარ: თუ არა გაქვს ენერგია, არა გაქვს გატაცება, სჯობს, სულ არ მოჰკიდო საქმეს ხელი. შენ რომ ანგარიშიანი კაცი იყო, მაშინ ისე ჩასთვლიდი, რომ ჩვენთან არაფრის შეცვლა არ შეიძლებოდა და შეურიგდებოდი ყოველივე ამ სისაძაგლეს. რაღა თქმა უნდა, რომ თუ შენ გონების თვალით ზომავ ყველაფერს, ისე როგორც მე, ეს იმას ნიშნავს, რომ ამართლებ საკუთარ უმოქმედობას.

— აი, სწორედ ამის თქმა მინდოდა.

— დიახ, მაგრამ არ შემიძლია დავძლიო ჩემი პესიმიზმი. მჯერა, რომ შენ მართალი ხარ, მაგრამ არ შემიძლია ვიგრძნო ან ვიმოქმედო შენსავით.

— კარგი იქნებოდა, დაგველია რამე, — შესთავაზა ლუისმა და წამოდგა, — მაგალითად, „კუბა ლიბრე"[1]. ეს ერთად-

[1] სიტყვების თამაშია — კოკა-კოლასა და რომისაგან დამზადებულ კოქტეილს „კუბა ლიბრე" ეწოდება, რაც ნიშნავს „თავისუფალ კუბას".

ერთი კოქტეილია, რომლის მომზადებაც შემიძლია. გარდა ამისა, მაცივარში კოკა-კოლას მეტი არაფერი მაქვს.

— მერე რა, არც ეგ არის ცუდი, — უპასუხა ფრანსისკომ.

— აქაც კი წინააღმდეგობაა, — თქვა სებასტიანმა, როცა ლუისმა მაგიდაზე დადგა ვერცხლის ლანგარი, რომელზედაც ოთხი ბოთლი და სამი ჭიქა იდგა — კოქტეილი „კუბა ლიბრე“ კოკა-კოლასაგან მზადდება. ჩვენ ვსარგებლობთ ამერიკული სასმელით, რომ ჩვენი კოქტეილი მოვამზადოთ.

— ჰო, კოკა-კოლა „პლატას შესწორებაა“, — შენიშნა ფრანსისკომ და სამივემ გაიღიმა.

სანამ ლუისი კოქტეილს ურევდა, ფრანსისკომ სიგარეტს მოუკიდა და ბავშვის ფოტოგრაფიას დააკვირდა. როცა ფრანსისკო პატარა იყო, მამას დაჰყავდა ხოლმე თამბაქოს პლანტაციაში. გაშლილ მინდორზე იდგა მაღალი შენობები, სადაც თამბაქოს ფერმენტაცია ხდებოდა. თამბაქოს ბოლმა და ოთახის კონდიცირებულმა ჰაერმა წუთით ის ჩაბნელებული შენობა გაახსენა, სადაც გრძელ ხის ჭოგრებზე თამბაქოს ფოთლები ეკიდა. გაახსენდა ის დღე, როცა მამამ მოუსწრო თამბაქოს მოწევაზე და ნაცვლად იმისა, რომ გაბრაზებულიყო, როგორც ფრანსისკო ელოდა, გაიცინა.

— დავლიოთ თავისუფალი კუბის სადღეგრძელო კოკა-კოლას გარეშე, — წარმოთქვა ფრანსისკომ და ჭიქა ასწია.

— ძართალია. კოკა-კოლა ოპიუმზე უარესია, — დაუმატა სებასტიანმა. — შეუმჩნევლად აბრუებს გონებას და, როცა გონს მოხვალ, უკვე გვიან არის.

— რომი უნდა შეურიო პრუს[1], — თქვა ფრანსისკომ და

---

[1] უალკოჰოლო სასმელი, დაყენებული ფესვებსა და ბალახებზე. გავრცელებული აღმოსავლეთ კუბაში.

მარმარილოს იატაკზე დადგა ჭიქა. — აი ეს იქნებოდა კარგი... ყველაფერი ძირფესვიანად უნდა შეიცვალოს, თუ არა და დეე, ისევე დარჩეს ყველაფერი. სულ ახალი სისტემაა საჭირო. მეტისმეტად ბევრი უსამართლობაა, როგორმე უნდა დავაღწიოთ თავი ამ ჩიხს.

— კაპიტალის დაბანდება — აი ძირითადი პრობლემა ნაკლებად განვითარებული ქვეყნებისათვის. რევოლუციონერებს არასოდეს არა აქვთ ფული. საიდან უნდა იშოვოს მთავრობამ ფული რეფორმების ჩასატარებლად? — შეეკითხა სებასტიანი, თან ყავისფერ სითხეს დასჩერებოდა ჭიქაში.

— გადასახადები ხომ იქნება! თუ დაგვჭირდება ბანკის სარდაფებიდანაც გამოვიტანთ ფულს... ყველა ქვეყანას მივყიდით შაქარს. ყოველგვარ შესაძლებლობას გამოვიყენებთ. ჩვენ რას ვკარგავთ? იმაზე უარესად არ ვიქნებით, ახლა რომ ვართ.

— ეს მართალია. ახლა არაფერი გაგვაჩნია. კუბელები არაფერს კარგავენ. ფიდელი გაუტეხელი ადამიანია. — სებასტიანი ცდილობდა, როგორმე შეენელებინა წინააღმდეგობანი. — ეჭვი არ არის, რომ მისთვის ყველაზე მთავარი სამშობლოს ინტერესებია. იგი იმ მცირერიცხოვან პოლიტიკოსთა ჯგუფს ეკუთვნის, რომელთათვისაც უცხოა ეგოიზმი და შემრიგებლობა. ფიდელი გადაწყვეტს ყველა პრობლემას. მაგრამ რამდენია ეს პრობლემა!

— შენ ფიქრობ, შეერთებული შტატები თავს დაგვესხმის, სოციალური რევოლუცია რომ მოვახდინოთ? — შეეკითხა ფრანსისკო.

— არა მგონია, შეიარაღებული თავდასხმა გაბედოს. შენ ამას გულისხმობ? სამყარო შეიცვალა. არსებობს საბჭოთა

კავშირი... მაგრამ შტატები ათასნაირ დაბრკოლებას შეუქმნიან ნაციონალურ მთავრობას. არა მჯერა, რომ შესაძლებელია ჩვენი პრობლემების გადაჭრა შეერთებული შტატების დახმარებით. ის, რასაც ვაკეთებთ, ჩვენ თვითონვე უნდა გავაკეთოთ. სანამ პოლიტიკისა და ეკონომიკის მხრივ მათზე სუსტი ვიქნებით, ისე მოგვექცევიან, როგორც სუსტებს. თავიანუფლებას რომ მიაღწიო, ძლიერი უნდა გახდე. მაგრამ ჩვენ სულ რამდენიმე ათეული მილით ვართ დაცილებული ფლორიდიდან და ვაითუ თავის აწევის საშუალება არ მოგვცენ.

— ასე ძველი რეაქციონერები მსჯელობენ, სებასტიან, შენ კი სულ არ გევხარ მათ. ნუ გეშინია, ყველაფერი კეთილად დამთავრდება. შენ ჩემ ძმას მაგონებ. ერთი კარგად უნდა შეგანჯღრიონ, რომ ყველაფერში გაერკვე. და შენც იმასვე გეტყვი, რასაც ჩემ ძმას ვეუბნები: მარტო ჩვენ არაფრად არ ვღირვართ.

— ღმერთმანი, აღტაცებული ვარ შენით, — უთხრა სებასტიანმა, — მაგრამ არ შემიძლია ვიგრძნო ისე, როგორც შენ გრძნობ. მე, მაგალითად, არასოდეს არ გამომიცდია შიმშილი, არასოდეს არ ვუცემივარ პოლიციელებს. მე ვიცი, რომ საჭმელი და ჯანმრთელობა ძალიან მნიშვნელოვანია, მაგრამ ეს ყველაფერი როდია ჩემთვის. ადამიანებს რაღაც უფრო დიდი უნდათ. მე არა ვარ მოქმედების ადამიანი... ყველა ხომ ერთნაირად არ იქნება დაინტერესებული სოციალური პრობლემებით. ზოგს მხოლოდ ის უნდა, რომ გემრიელად ჭამოს, იცეკვოს, წავიდეს კინოში, ქალთან დაწვეს ან სურათი დახატოს...

— ეს მერე იქნება. ჯერ კი მთავრობა უნდა ჩამოვაგდოთ. არ შეიძლება კინოში იარო ან სურათი ხატო, როცა ქუჩებში ადამიანებს ხოცავენ. შენ გებრალება ღარიბები, მაგრამ შენ

არასოდეს არ ყოფილხარ ღარიბი. შენ იმიტომ ეხმარები რევოლუციას, რომ საკუთარი სინდისი დაიმშვიდო, უმწიკვლოდ იგრძნო თავი. მაგრამ ცხოვრება უმწიკვლო კი არა, საშინელი სიბინძურეა. მე თუ დამჭირდა მოკვლა ან მოტყუება იმისათვის, რომ ხალხმა არ იშიმშილოს და პოლიციელების მათრახებს გადაურჩეს. უყოყმანოდ გავაკეთებ ამას... ახლა მხოლოდ ერთია საჭირო — ბოლო მოვუღოთ ბატისტას.

— მართალი ხარ. მე მართლაც საკუთარი თავის დამშვიდება მინდა... მაგრამ განა ეს ისეთი დიდი დანაშაულია? თვითშეგნება — აი, რა აკლია კუბას. შენ გაქვს ეს. მაგრამ ფილოსოფოსი რომ ყოფილიყავი ან მწერალი, რომელთაც ბევრი რამ შენზე ადრე გაიგეს, ფიქრსაც კი ვერ გაბედავდით ბატისტას საწინააღმდეგო აჯანყებაზე. რევოლუცია რომ მოახდინო და ბოლო მოუღო მთელ ჩვენ ღორობას, გარკვეული იდეებით უნდა იყო შეიარაღებული.

— იცი, ამ საკითხებზე შენთან საუბრის შემდეგ ბევრად უკეთ ვგრძნობ თავს, — უთხრა ფრანსისკომ და მუხლზე ხელი დაარტყა სებასტიანს. — შეიძლება შენ მართალი ხარ ზოგიერთ რამეში, მაგრამ ბევრ დროს კარგავ ლაპარაკში. ახლა გადამწყვეტი მოქმედების მომენტი დადგა. ქუჩებში უნდა ვავიდეთ. ხალხი გველოდება.

— თუ კუბამ თავი დააღწია ჩამორჩენილ მდგომარეობას, მაშინ წარმოიშვება საჭიროება არა მარტო მოქმედებისა, არამედ გონებრივი განვითარებისაც. ბევრი მუშაობა დაგვჭირდება იმისათვის, რომ გადავჭრათ ყველა პრობლემა. ჩვენს მაგივრად არავინ არ გააკეთებს ამას. რა თქმა უნდა, შეიძლება დაგვეხმარონ, მაგრამ დამოუკიდებლობისა და ერის შექმნის საქმე ჩვენ გვაკისრია, მხოლოდ ჩვენ. რად გვინდა ბატისტას

გაგდება, თუ ამის შემდეგ არ შეცვლი ადამიანთა შეგნებას, თუ თვალს არ აუხელ, არ ასწავლი აზროვნებასა და გონივრულ ცხოვრებას?

— როგორც კი გავიმარჯვებთ, მაშინვე უნდა ვასწავლოთ ხალხს აზროვნება. როცა ბატისტა აღარ იქნება, ყველაფრისათვის გვეყოფა დრო.

— გულწრფელობა და სულიერი სიწმინდე თქვენი უდიდესი ღირსებაა და უდიდესი უბედურებაც. თქვენ თითქოს სულ არ იცნობთ ისტორიას, მის საშინელებებს.

— ჰო, შეიძლება შენ მართალი ხარ, — უთხრა ფრანსისკომ.

სებასტიანმა გაიღიმა და მეორე ფოტოგრაფიას შეხედა, მაგიდაზე რომ იდგა. სენიორას თეთრ ყელს მარგალიტის მანიაკი ამშვენებდა. თუ რევოლუციამ გაიმარჯვა, სენიორა ვეღარ იყიდის ძვირფასეულობას გლეხებისაგან გამოძალული ფულით. ლუისი მოუსვენრად ცქმუტავდა სკამზე. სებასტიანს მისი თხოვნა გაახსენდა.

— ლუისს უნდა რაიმეთი დაგეხმაროთ.

— დაგვეხმარე იარაღის შემოტანაში. ეს ახლა ჩვენთვის პირველი ნომერი ამოცანაა. იქნებ იცნობ ვინმეს, ვინც თანახმა იქნება ფარულად შემოგვიზიდოს იარაღი ანდა, შეიძლება, თვითონვე გაქვს იახტა?

— არა. მთელი ფული მამაჩემს აქვს. არ მინდა, მას ვთხოვო. მინდა, თვითონვე გავაკეთო ყველაფერი.

— ხალხი ჯერჯერობით არ გვჭირდება. იარაღი სხვა საქმეა. მაგრამ მე მხედველობაში მეყოლები. შეიძლება შენთან რომელიმე ჩვენი ამხანაგი დავმალოთ ან სტამბა მოვაწყოთ გარაჟში? რამდენიმე დღით...

— დიდად ვწუხვარ, მაგრამ მე აქ არავისი დაშალვა არ შემიძლია. ეს ჩემი მშობლების სახლია. ახლა ისინი ევროპაში არიან, ისე კი თითქმის სულ აქ ცხოვრობენ.

— შენ გინდა, დაახახო მამას, რომ ზოგი რამ შეგიძლია დამოუკიდებლად გააკეთო, ხომ ასეა?

— დიახ. ისინი სულ იმას ამბობენ, რომ მე არაფერში არ ვარგივარ. მინდა, დავუმტკიცო, რომ ზოგი რამ შემიძლია გავაკეთო... ჩემი ქვეყნისათვის.

— ნუ გეწყინება, მეგობარო, მაგრამ ჩვენ ვამჯობინებთ, არ დავიჭიროთ საქმე ისეთ ადამიანებთან, რომელთაც უნდათ დაუმტკიცონ თავის ნათესავებსა და მეგობრებს, რომ გმირები არიან. ასეთი ადამიანები, როგორც წესი, მეტისმეტად ჟინიანები არიან და არაერთხელ ჩაგვიფუშეს კარგი გეგმები. ჩვენ სიფრთხილე გვმართებს.

— შეიძლება, თქვენ მართალი იყოთ, — ლუისს გაეცინა.— მე, ალბათ, იმით დავამთავრებდი, რომ ცეცხლს წავუკიდებდი მამაჩემის შაქრის პლანტაციასა და ქარხანას.

სებასტიანს გულზე მოეშვა, რაკი დაინახა, რომ ლუისმა არ იწყინა ეს.

— არა, არა, ჩემი სიტყვები თქვენ არ გეხებათ, — უთხრა ფრანსისკომ, იგრძნო, რომ მეტისმეტი მოუვიდა. — თქვენი წყენა არ მინდოდა. საქმე ისაა, რომ ამგვარ საქმეებში ზოგჯერ სიმკაცრეა საჭირო. ბევრი ხომ სიცოცხლესაც სწირავს. ჩვენთვის გადამწყვეტი მოქმედებაა საჭირო.

— ნუ სწუხართ. ჩემთვის ეს გასაგებია, — უთხრა ლუისმა და სიცილი შეწყვიტა. — ყოველთვის ასე მემართება.

— თუ შეძელი თქვენი გამოყენება, სებასტიანს შევატყო-

ბინებთ. — ფრანსისკო წამოდგა. — მომავალ კვირას შევხვდეთ, — უთხრა მან სებასტიანს, — მე დაგირეკავ.

— კარგი. მომავალ კვირას მინდა გავუგზავნო ჟურნალს მასალები სიერა-მაესტრას შესახებ. იქნებ რაიმე ფოტოგრაფიები მიშოვო?

— ვნახოთ.

სებასტიანს უნდოდა მალე გამომშვიდებოდა, რათა თავიდან აეცილებინა ლუისისათვის არასასიამოვნო საუბარი.

— კარებამდე მიგაცილებ.

— კარგი. ჯერჯერობით. ძალიან სასიამოვნო იყო თქვენი გაცნობა. — ფრანსისკომ ხელი ჩამოართვა ლუისს. — სხვა გასასვლელი არ არის?

— არის, სამზარეულოდან.

— წავიდეთ, გამაცილე, — უთხრა ფრანსისკომ სებასტიანს. — ასეთი ხალხის იმედი არ უნდა გქონდეს, — მან თავით ანიშნა ოთახზე, სადაც ლუისი დარჩა — ასეთი ხალხი უსარგებლოა, საშიშიც არის.

— ლუისი თავისებურად ჭკვიანია. მან იცის, რომ საქმე ვერ მიდის კარგად:

— ეს არ კმარა.

— შეიძლება, მართალიც იყო.

სებასტიანი ოთახში შემობრუნდა. ფრანსისკოს წასვლასთან ერთად თითქოს რაღაც ჩამოსცილდა. ნენსი გაახსენდა.

— მნიშვნელობას ნუ მისცემ მის სიტყვებს, — უთხრა ლუისმა, — ერთნი მოქმედების უნარით არიან დაჯილდოვებულნი, მეორენი არა. მე ვერასოდეს ვერ გავხდებოდი კარგი რევოლუციონერი. ბევრ რამეში ფრანსისკო მართალია.

— ვიცოდი, რომ არ მიმიღებდა. ის მართალია: მე არა-

ფერი შემიძლია შევთავაზო მას... რა უნდა ვქნა, როცა არავინ არ ღებულობს ჩემს ნათქვამს სერიოზულად? რითი დავიწყო?

სებასტიანი საჩქაროდ გამოემშვიდობა. სახლში რომ დაბრუნდა, ნენსის დაუძახა, მაგრამ არავინ გამოეპასუხა: ნენსი აღარ იყო იქ. იგი აეროპორტში წავიდა.

ლეიტენანტის მათრახი

— ყველა კოსტუმი გაუდიდდა, — უთხრა ქრისტინამ და სარწეველა სკამის სახელურს დაეყრდნო. — ისე ჰკიდია ზედ, თითქოს საკიდარზე ჰკიდიაო. მამაშენის შარვალში ახლა ორი მამაშენისთანა ჩაეტევა.

— ვერ გამიგია. სწორედ ახლა მეუბნებოდი, უკეთ არისო. როგორ მოვიქცე? — ჰკითხა სებასტიანმა და დედისაკენ შეტრიალდა.

— არ ვიცი. ამბობს, უკეთ ვარო, მაგრამ განა დაეჯერება? სახის ფერი მართლაც უკეთესი აქვს, ისეთი ყვითელი აღარ არის. შეიძლება ვეგეტერიანული საჭმელი მართლაც სასარგებლოა მისთვის. მაგრამ ძალიან ცოტას ჭამს.

— რამდენ ხანს უნდა იყოს კიდევ დიეტაზე?

— „ნატურისტმა“ უთხრა, მთელი შენი სიცოცხლეო, თუ არ გინდა, ხელმეორედ გახდე ავადო.

— სიმსივნემ დაუკლო?

— არ ვიცი, რა გითხრა, ტიანი. არ ვიცი, დაურბილდა, თუ ასე მეჩვენება იმიტომ, რომ გახდა. ბევრჯერ გავუსინჯე სიმსივნე და უბრალოდ აღარ ვიცი, რა ვიფიქრო. სთხოვე საღამოს, იქნებ გაგასინჯოს.

— მე არაფერი არ გამეგება ამისა, დედი, მაგრამ მაინც ვეტყვი.

სებასტიანისათვის უმჯობესი იყო სულ არ მოეკიდა სიმსივნისათვის ხელი. იგი შეშფოთებული იყო. ნენსის წასვლა უფრო მეტად აწუხებდა, ვიდრე მამის ავადმყოფობა.

— შეგიძლია, ტიანი, ერთი სამსახური გამიწიო? — ჰკითხა ქრისტინამ.

— რა გაგიკეთო?

— ძლივსღა ვსუნთქავ. არ შეგიძლია მორწყო ყვავილნარი და ქოთნის ყვავილები, სანამ დაბნელდებოდეს. შლანგი ეზოშია, სამრეცხაოს ქვეშ. მე წავალ, წამოვწვები.

სებასტიანი ვერანდაზე გავიდა, რომელიც ირგვლივ ერტყა სახლს. დედა თავის ყვავილნარზე წუხს, მაშინ როცა მამა ასე მძიმე ავადმყოფია. რატომ? უნდა თავი დააღწიოს საშინელ ფიქრებს თუ შიშობს, რომ აღარ მივხედო სახლს, ყველაფერი გავერანდებაო? ყოველ დღე უნდა ჭამო, დუქანში იარო, ყვავილები მორწყო...

ონკანი მოუშვა. გამჭვირვალე ნაკადი გადმოიღვარა შლანგიდან. სველი მიწის სუნი დადგა. ალაგ-ალაგ გადაშლილიყო მიხაკის კოკრები, მესერის გასწვრივ ახლად გასხლული ყვავილები კი ჯერ არ ჰყვაოდნენ. სებასტიანი ყოველ მხრივ ატრიალებდა შლანგს და ირგვლივ გამეფებულ მყუდროებას არღვევდა. ქუჩიდან ზარის ხმა მოისმა. მოუნდა, როგორც ბავშობაში, ახლაც გავარდნილიყო ჭიშკარში და შოკოლადის გემები ან ნაყინი ეყიდა. ნაყინის გამყიდველი ბრინჯაოს ზარს აქნევდა, ცხენი კი ნელა ძიათრევდა საზიდარს.

სებასტიანმა ქვევით დასწია შლანგი, ფეხებთან გუბე დადგა. ქუჩაში ხმაურით გაიარა მოტოციკლმა, მაგრამ მაინც

ირგვლივ სიმშვიდე მეფობდა. ქარი ხეთა კენწეროებს არხევ-და, შორს ვიღაც გასძახოდა ვიღაცას. ბინდდებოდა. სებასტი-ანმა მოწყენილობა იგრძნო: ნენსის წასვლის დღიდან სევდა ჩაუსახლდა გულში.

შლანგი დაახვია.

სახლში არტურო შემოვიდა, იღლიაში გაზეთები ჰქონდა ამოჩრილი, ხელში კი რაღაც გახვეული ეჭირა. სებასტიანმა ჟურნალი გადასდო და მამას აკოცა.

— დედაბერი სადღაა?

— მგონი, სამზარეულოში, მოსამსახურეს ელაპარაკება.

რამდენიმე წუთის შემდეგ არტურო ისევ შემობრუნდა სასტუმროში. კაკლით სავსე ლანგარი მოჰქონდა, თეფში და კაკლის სამტვრევი.

— ციყვებია საჭირო, — წარმოთქვა მან. — ახლა ძალიან ბევრ კაკალსა ვჭამ, ხორცის მაგიერ.

— უმადური სამუშაოა — მთელი დღე ამტვრიო კაკალი.

— ამას დღეში სამჯერ ვაკეთებ... გარდა ამისა, არავითარი მსხვერპლი არ შეიძლება იყოს დიდი, როცა საქმე ჯანმრთე-ლობას ეხება.

— როგორ გრძნობ თავს?

— ძალიან კარგად,—უპასუხა მან და კაკალი გატეხა.—ბევ-რად უკეთესად ვგრძნობ თავს მას შემდეგ, რაც დიეტაზე ვარ. ახლა მასაჟსაც კვირაში ორჯერ მიკეთებენ და არა ერთხელ, როგორც წინათ, სამშაბათობით და ხუთშაბათობით. რამდე-ნიმე გირვანქა დავიკელი წინაში, მაგრამ მე ხომ ყოველ-თვის მინდოდა გახდომა და ვერ ვახერხებდი. ახლა კი ერთი გასრულით ორ კურდღელსა ვკლავ.

სებასტიანმა ყურადღებით შეხედა მამას. მალე ისიც

გატყდება კაკალივით. ნეტა რას ფიქრობს დასნეულებული მოხუცი, როცა უკვე სამოცდახუთი წელი გაატარა ამ ქვეყანაზე.

— შენი მარკების კოლექცია რას შვრება? — შორიდან დაუწყო სებასტიანმა. ვერ შესძლო პირდაპირი და გულწრფელი ყოფილიყო მამასთან საუბარში. ესეც თავისებური ცერემონია იყო. იგი ყოველთვის ჩერდებოდა, როცა მიაღწევდა რაღაც ზღვარს, რომლის იქითაც საუბარს ინტიმური ხასიათი უნდა მიეღო. ბოლო ხანებში სებასტიანი ფიქრობდა, რომ მამისაგან მიიღო მემკვიდრეობით საკუთარი გრძნობების გამოთქმის უუნარობა.

— არა, მარკებს არ მიაქვს მთელი ჩემი დრო... მე ბევრი ვიმუშავე ბანკში. გარდა ამისა, მარკები ძალიან პატარებია და როცა დიდხანს ვუყურებ, თვალებსა მტკენს. გადავწყვიტე, ფირსაკრავი ვიყიდო და კარგი მუსიკის მოსმენას მივეჩვიო. მუსიკა ნერვებს აწყნარებს და სულიერადაც ამხნევებს. ყოველთვის მომწონდა კლასიკური მუსიკა, მაგრამ არასდროს არ მქონია დრო, დავმტკბარიყავი ამით.

— რა თქმა უნდა, ბევრად უფრო მოსახერხებელია, იქონიო ფირსაკრავი, ვიდრე ჩაიცვა და თეატრში წახვიდე. სახლში უკეთესია შენთვის.

— დავიარე მთელი მაღაზიები, მინდოდა მეშოვა წიგნი, რომ მესწავლა შერჩევა კლასიკური მუსიკისა, მაგრამ მათ მხოლოდ მუსიკის ისტორიის შესახებ აქვთ წიგნები, ანდა ვიწრო სპეციალური ხასიათისა. მაღაზია „ბოემაში“ კი სულ არაფერი აქვთ, ინგლისურ ენაზეც კი. მე უფრო რაიმე მარტივი მინდოდა დასაწყისისათვის.

— საოცარია... დარწმუნებული ვარ, ინგლისურად ბევრია

ასეთი წიგნი, — უთხრა სებასტიანმა, რომელიც ააღელვა მამის ასეთმა გულმოდგინე ცდამ — როგორმე შეევსო სიცარიელე თავისი უკანასკნელი წლებისა. — ასეთი წიგნები პოპულარულია ჩრდილოეთში... შემიძლია გიშოვო... ნენსი, ერთი ჩემი მეგობარი, რამდენიმე კვირის შემდეგ ჩამოვა ჰავანაში. ვთხოვ, ჩამომიტანოს. ხვალვე მივწერ.

— ძნელი ხომ არ იქნება მისთვის? ამგვარი თხოვნის შესრულება ყოველთვის არასასიამოვნოა.

— არა, ნუ სწუხარ, სულაც არ იქნება ძნელი. გარდა ამისა, მას უნდა კარგი ურთიერთობა ჰქონდეს... ადამიანებთან... — კინაღამ უთხრა, თავის მომავალ მამამთილთანო, მაგრამ თავი შეიკავა: მერე, რომ აღარ ჩამოვიდეს?

მშობლებს მაშინ გაუმხელს ცოლის შერთვას, როცა ნენსი ჰავანაში დაბრუნდება.

* * *

ზარი აწკარუნდა. სებასტიანი არავის ელოდა. იქნებ ნენსი ჩამოვიდა? წერილს თავი დაანება და კარისკენ წავიდა.

მის წინ ორი კაცი იდგა. ერთმა მათგანმა ორგზის ჰკითხა, სახლშია თუ არა სებასტიან სოლერიო.

— მე ვარ, — უპასუხა სებასტიანმა.

პოლიციელები სახლში შემოვიდნენ.

— ჩვენ შეგვატყობინეს, რომ თქვენ სახლში იარაღს მალავთ, — უთხრა ერთმა, რომელიც უფრო მაღალი იყო, და ყავისფერი ტყავის მათრახი დააგდო მაგიდაზე დაწყობილ ჟურნალებზე. — აქ, ამ სახლში.

— რა უნდა გიპასუხოთ? — სებასტიანმა ჩაახველა. — ჰო თუ არა?

— ხმა ჩაიკმინდე! — დაუყვირა მაღალმა.

ორივენი სებასტიანის წინ იდგნენ, ერთხანს ყოყმანობდნენ. სებასტიანი ელოდა პოლიციელების სტუმრობას, მაგრამ მაინც თავზარი დასცა მათმა გამოჩენამ. ესმოდა, როგორ ძლიერად უცემდა გული.

— რატომ ეხმარებით ფიდელ კასტროს? — ჰკითხა მაღალმა; მას მოკლესახელოებიანი, გადმოშვებული თეთრი პერანგი ეცვა.

— მე არასოდეს არ მიმუშავია ფიდელთან. — სებასტიანი შიშმა შეიპყრო, მაგრამ გონება მაინც ზუსტად მუშაობდა.

— გენერალი ბატისტა ყველაზე უკეთესია იმათ შორის, ვინც კი ოდესმე ჰყოლია კუბას. ყველაზე უკეთესი! არავის არა აქვს უფლება, იფიქროს სხვაგვარად — იმიტომაც ვართ ჩვენ დაყენებული. თქვენ მოგწონთ თუ არ მოგწონთ — ბატისტა ნამდვილი ადამიანია, ფიდელ კასტრო კი არარაობაა! — პოლიციელმა, თეთრი პერანგი რომ ეცვა, თავის კოლეგას გადახედა, თითქოს დასტურს ელოდა მისგან. — ჩვენ ახლა გავჩხრეკავთ სახლს. აბა, გაგვიძეხი წინ!

სებასტიანი შეეცადა წარმოედგინა, რა შეეძლოთ პოლიციელებს ექნათ მისთვის, მაგრამ გონება უარს ამბობდა განეჭვრიტა მომავალი. გაახსენდა, რომ სწორედ გუშინ დაამთავრა სტატია, მიმართული ხელისუფლების წინააღმდეგ. სტატია მაგიდაზე იდო. პოლიციელების ყოველ შეხებას თავისი საგნებისადმი, ისე განიცდიდა, თითქოს სილა გაეწნათ მისთვის. მათ იპოვეს შპრიცი, რომლითაც პენიცილინის ნემსებს იკეთებდა ხოლმე, როცა ძლიერ იყო გაცივებული.

— ეს რაღა არის? რისთვის გჭირდებათ? ნარკომანი ხართ, არა?

— არა, იპოქონდრიკი ვარ, — უპასუხა სებასტიანმა და ფეხი იცვალა.

— იპაქანდროკი?.. როგორც ვხედავ, განსწავლული ყმაწვილი ყოფილხართ. ხედავ, იპაქანდროკიო?

პოლიციელმა, რიმელიც უფრო ახალგაზრდა ჩანდა, გვერდზე გადასდო შპრიცი და ჰკითხა:

— პედერასტი ხართ?

შეკითხვა მოულოდნელი იყო. პოლიციელები დასცინოდნენ. სებასტიანმა თავი შეიკავა, რათა არ ეჩხუბნა პოლიციელებთან და ღიმილით უთხრა:

— პედერასტი ვარ თუ არა, თქვენ ამის ცოდნა არ გჭირდებათ, — მან ჯიბეში ჩაიყო ხელები.—ეს იაფფასიანი ფანდია. თქვენ სულ სხვა რამის გაგება გწადიათ.

— ეს უკვე ჩვენი საქმეა. აბა, ასწიე ხელები. გაჩხრიკე, ანხელ!

— ახლავე, ლეიტენანტო, — პოლიციელი შეყოყმანდა, სანამ მივიდოდა სებასტიანთან:

— ნუ გეშინია, შეამოწმე, როგორც წესია. ვერა ხედავ, პედერასტია და მეტი არაფერი!

უცხო ხელები ფათურობდნენ მის ჯიბეებში. სებასტიანი თავლაფდასხმულივით იდგა, სირცხვილი სწვავდა, ტუჩებს იკვნეტდა. პოლიციელმა გასაღებების ასხმულა ამოაცალა და ოცპესოიანი ბანკნოტი.

— საიდან გაქვს ამდენი ფული? შენი ლამაზი თვალებისათვის გაძლევენ?

— შეიძლება, — უთხრა სებასტიანმა. — მაგრამ თქვენ იმიტომ არ მოსულხართ, რომ ჩემი პირადი ცხოვრებით დაინ-

ტერესდეთ. ასე ტყუილად დაჰკარგავთ დროს. ეძიეთ იარაღი, შეიძლება იპოვოთ.

მათ დერეფანში გამოიყვანეს სებასტიანი და კაბინეტისკენ უბიძგეს. ახალგაზრდა პოლიციელი მაგიდაზე მიყრილი ქაღალდების გადარჩევას შეუდგა. მოჩვენებითი ყურადღებით ათვალიერებდა ზოგიერთ მათგანს. მერე სკამთან მივიდა, რომელზედაც ხროვად ელაგა წიგნები და ახლა წიგნების გადათვალიერება დაიწყო.

— სად იშოვე ფული მანქანისათვის? ჟურნალისტს სად შეუძლია იმოდენა ფული იშოვოს, რომ მანქანა იყოლიოს. კარგ რამეებს რომ სწერდე მთავრობის შესახებ და არა ყოველგვარ სიბინძურეს, კიდევ მესმის, შენ იცოცხლე, გექნებოდა ფული. შენი სტატიები კი გახვრეტილი გროშიც არა ღირს. დარწმუნებული ვარ, იმ ფულიდან, რომელსაც 26 ივლისის მოძრაობისთვის აგროვებ, კარგა ბლომადა გრჩება...

— სისულელეებს ნუ ლაპარაკობ, — უთხრა სებასტიანმა, რომელსაც სირცხვილი სტანჯავდა იმის გამო, რომ იძულებული იყო, თავი ემართლებინა იმ ადამიანების წინაშე, რომლებიც უკვე სძულდა.

— შენ არასრულფასოვნების კომპლექსი გაქვს, არა? რას იტყვი? მეც ვიცი განსწავლული სიტყვები.

— ჰო, რა თქმა უნდა, დაიჯესტებში ამოკითხული.

სებასტიანს სურვილი ჰქონდა, გაებოროტებინა პოლიციელი. შეუგნებლად ცდილობდა მალე დასრულებულიყო ყველაფერი. პოლიციელი კი მხოლოდ იღიმებოდა.

— აი, ამას ვეძებდით ჩვენ. საიდან გაიგე, — უთხრა ლეიტენანტმა: — საიდან გაიგე, რამდენი კაცი ჰყავს ფიდელ კასტროს სიერა-მაესტრაში. აქ ნათქვამია, ხუთასიო. საიდან გაქვს ეს რიცხვი?

— მოვიგონე. თქვენ მაინც არ დაიჯერებთ, რომ ყველაფერი, რაც აქ დავწერე, სიმართლეა.

ანხელმა გაიღიმა და ოქროს კბილი გამოაჩინა. ლეიტენანტმა გაბრაზებით გადახედა.

— მე ვიცი ინგლისური. აბა, დაუგდეთ ყური, ყური დაუგდეთ, — თქვა მან და მედიდური ხმით დაიწყო კითხვა.

სებასტიანს არაფერი ესმოდა. მის სმენას მხოლოდ დამახინჯებული ინგლისური სიტყვები სწვდებოდა, მათი აზრი კი ვერ გამოეცნო. ეშინოდა, პოლიციელებს მის ქაღალდებში ყუმბარა ან მთავრობის საწინააღმდეგო პროკლამაცია არ ჩაედოთ და თვალს არ აშორებდა მათ. თავზარს სცემდა იმის ფიქრი, რომ წამებას დაუწყებდნენ. რა იქნება, ქრთამი რომ ჩაუდოს ჯიბეში? იქნებ, დაანებონ თავი? არა. ტელეფონით დარეკოს? უაზრობაა.

— Ai liveed in di Ounited Estates,[1] — თქვა პოლიციელმა, რომელსაც მოკლესახელოებიანი პერანგი ეცვა.

— დიდხანს? — ჰკითხა სებასტიანმა, რათა წაეხალისებინა პოლიციელი.

— მრავალი წლის განმავლობაში, mani yeers in Washington... — მან პიკასოს „ჰერნიკას“ რეპროდუქციას შეხედა. — იშვიათი ტიპი ხართ.

ამ შენიშვნამ გაამხნევა სებასტიანი. უნდოდა, რაიმე გონებამახვილური ეთქვა, მაგრამ სიტყვები ავიწყდებოდა: მეტისმეტად ნერვიულობდა. სდუმდა და გულში სწყევლიდა თავის ამპარტავნობას.

— ჩემთვის სულ ერთია, რას იფიქრებთ ჩემზე, — უთხრა

[1] მე შეერთებულ შტატებში ვცხოვრობდი (დამახინჯებული ინგლისური).

მან. ამით უნდოდა ეჩვენებინა, რომ არც აპირებდა მლიქვნელობას. — ეს სულ არ მაინტერესებს.

— გმირად ნუ მოგვაჩვენებ თავს. ჩვენთან, სამმართველოში, სულ სხვანაირად ამღერდები.

ანხელი წიგნების დათვალიერებას შეუდგა.

— „შიში“ სიორენ კიერკეგორისა. ამ ტიპმა შიშისაგან, ალბათ, უკვე ჩაისვარა შარვალში... პიო ბაროხის „ხე ცნობადისა“. ჟან-პოლ სარტრის „მოწიფულობის ასაკი“. აქ სატირებიც კი ყოფილა!

სებასტიანმა თავისი ამასწინანდელი დაპატიმრება გაიხსენა... ოღონდაც ფრანსისკო არ იყოს დაჭერილი თავისი წიგნაკით, სადაც მისი გვარი სწერია! დარწმუნებული იყო, რომ ამჯერად იოლად ვეღარ დააღწევდა თავს. ერთ წუთს ინატრა, ყოველივე ეს შეცდომა ყოფილიყო. დეე, წავიდნენ პოლიციელები, დაანებონ თავი.

— მე ვიცი ინგლისური, — გაიმეორა ლეიტენანტმა. — დიდხანს ვცხოვრობდი შეერთებული შტატების ყველაზე დიდ ქალაქში, ვაშინგტონში. იქ კაი ფულს აკეთებს ხალხი.

ისიც ბლომად აკეთებდა ფულს, ჭურჭელს რეცხავდა ყავახანაში. იტალიელმა ოფიციანტმა ქალმა მიატოვა იგი, მზარეული ირჩია, რომელიც მთელი დღე არიებს მღეროდა ოპერებიდან.

— ყველაზე დიდი ქალაქი შეერთებულ შტატებში ნიუიორკია ან ლოს-ანჟელოსი, ვაშინგტონი კი არავითარ შემთხვევაში. — სებასტიანმა გადაწყვიტა, გაეთავებინა, თავი მოაბეზრა იდიოტურმა ლაპარაკმა. — ჩიკაგოც კი დიდია ვაშინგტონზე.

ლეიტენანტი გაწითლდა. ნელა აიღო მაგიდაზე დაგდებუ-

ლი მათრახი და დაარტყა სებასტიანს. მეორედ სახეში დაუმიზნა, მაგრამ ქვევით მოხვდა, კისერზე. სებასტიანმა იგრძნო, როგორ ჟელესავით შეუთრთოლდა კისერი. დარტყმამ განმუხტა მისი დაძაბულობა. „არც ისე საშიში ყოფილა, როგორც ველოდი". მწვავე ტკივილი იგრძნო. ოჰო, ესე იგი ჯერ ისევ ცოცხალია! თავი დაანება ფიქრს.

ლეიტენანტი, რაკი დაინახა, რომ სებასტიანი უძრავად იდგა, საწერ მაგიდასთან მივიდა და დაუმთავრებელი წერილი ამოიღო.

— ვინ არის ნენსი?

— თქვენი საქმე არ არის, — უპასუხა სებასტიანმა; მას უნდოდა ხელიდან გამოეტაცნა წერილი. — ეს თქვენი საქმე არ არის.

— კარგი, ძალიან კარგი, — ლეიტენანტმა თავი დაუქნია.— მე მინახავს, როგორ ტიროდნენ ადამიანები, რომლებიც ორჯერ უფრო ძლიერები იყვნენ შენზე. ვნახავ, როგორ გიშველის ეს სიბინძურე, ეს შენი წიგნები და ქაღალდები, როცა ყელში წაგიჭერთ ხელს. ანხელ, აკრიფე მაგიდიდან ქაღალდები.

ფერფლად იქცევიან

კართან წირთხლს მიყრდნობილი იდგა შეიარაღებული პოლიციელი. სებასტიანი კედელთან მიდგმულ სკამზე იჯდა. პოლიციელი მოწყენილი ჩანდა. მას ლურჯი ფორმა ეცვა, ფართოფარფლებიანი ქუდიც კი ლურჯი ეხურა. შაშხანა და ჩანთა ისე მძიმე იყო, ყოველ წუთში იცვლიდა ფეხს. პოლიციელის კოსტუმი სებასტიანს თეატრალური ეჩვენა, მაგრამ შაშხანა და ვაზნები ბუტაფორია არ იყო.

სებასტიანი კაბინეტში შეიყვანეს. ის ორნი, რომელთაც დააპატიმრეს, უკვე იქ ისხდნენ. მაგიდასთან, ესპანური რენესანსის სტილზე, სარწეველა სავარძელში ქანაობდა პოლკოვნიკი.

სებასტიანი შუა კაბინეტში გაჩერდა და შარვალი აიწია: ქამარი ჩხრეკის დროს წაართვეს.

— მაგ თავში არაფერი გქონია, ყმაწვილო. კომუნისტურ მოძრაობათა ჩამხშობმა ბიურომ უკვე გაგაფრთხილა ერთხელ, მაგრამ შენ ეს ყურში არ შეუშვი და გადაწყვიტე, არ დაემორჩილო ჩვენს ბრძანებას, — პოლკოვნიკმა თანაგრძნობით შეხედა სებასტიანს: ზოგჯერ ასეთი მამობრივი მზრუნველობით მოიგებდა ხოლმე პატიმრის გულს. — არაფერი გამოგივა. ყველაფერს საზღვარი აქვს, იქონიე ეს მხედველობაში. ჩვენ სასარგებლო რჩევა მოგეცით, მაგრამ არ დაგვიჯერე, ვირივით ჯიუტი ყოფილხარ, მეტი არაფერი. როგორ გიწერია ამ სამარცხვინო სტატიაში? — პოლკოვნიკმა ჟურნალი მოძებნა მაგიდაზე.

სებასტიანმა ნერწყვი გადაყლაპა.

კედელზე, პოლკოვნიკის უკან, ორი ფოტოგრაფია ეკიდა: მომღიმარი ბატისტა და მარტი, ლიანების ფონზე, იამაიკაში, მოციქული დიქტატორის გვერდით. წუთით თითქოს ერთმანეთს შეერწყა ეს ორი გამოსახულება და სებასტიანს აღარ შეეძლო მათი ერთმანეთისაგან გარჩევა.

პოლკოვნიკმა ხმამაღლა წაიკითხა მთელი აბზაცი, რომელმაც განსაკუთრებით გააბოროტა იგი, და წამოიყვირა:

— მესმის, რომ ახალგაზრდა ხარ, გინდა, დაანახო ყველას შენი სიმამაცე და სხვა ამისთანები, მაგრამ ამჯერად უკვე წასულია შენი საქმე.

— ახალგაზრდობა აქ არაფერ შუაშია. მე ვიცოდი, რასაც ვაკეთებდი.

— მაშ, შენის აზრით, მთავრობა პარაზიტია?

— ასე დავწერე, — შემკრთალი ხმით უპასუხა სებასტიანმა.

— ჩვენ დაგეხმარებით, რათა სწორი წარმოდგენა იქონიო საგნებზე. აბა, ერთი მიდი, — პოლკოვნიკმა თავით ანიშნა და ერთერთმა მისმა პოლიციელმა გაარტყა სებასტიანს. სებასტიანმა, როგორც ადრე სახლში, ძლივს შეიკავა თავი, რომ არ აერიდებინა გარტყმა. — ეს თითქოს სცლიდა მასში დაგროვილ დაძაბულობას.

— როგორც კინოშია! — წარმოთქვა მან და სახე მოიწმინდა. ხელები უკანკალებდა.

— მომწონს ჭკვიანი ხალხი. უნივერსიტეტში ლექსებსა ვწერდი. აი, მესმის ამადო ნერვო. თქვენ გიყვართ ამადო ნერვო? — საიდუმლო ხმით ჰკითხა პოლკოვნიკმა.

— მექსიკელი პოეტია. — სებასტიანი ნერვოს სახელს თავის პირველ მარცხიან ლიტერატურულ ცდებს უკავშირებდა. არ უნდოდა ეჩვენებინა, რომ ტკივილი აწუხებდა და განაგრძო: — ბევრმა წელმა ჩაიარა მას შემდეგ, რაც მისი „გაქვავებული სატრფო“ წავიკითხე... „მაგრამ ასეთ მშვენიერ ყვავილს დიდხანს სიცოცხლე არ უწერია“...

— მე კი ეს მომწონს: „და ვინც იგი ერთხელ იხილა, ველარასოდეს ვერ დაივიწყებს“. ეს სიმართლეა — ლამაზ დედაკაცს რომ ნახავ, დიდხანს ველარ ამოიგდებ თავიდან... რატომ დაუკავშირდით მეამბოხეებს? აბა, მითხარით, რას მიაღწევთ ამით? სტუდენტები და ყველა ჯურის მაწანწალები იმიტომ გაჰყვნენ ფიდელ კასტროს, რომ იმედი აქვთ, ხეირს

ნახავენ, თქვენ კი განათლებული ახალგაზრდა ხართ, კარგი ოჯახიშვილი, თქვენ ყველაფერი გაქვთ, რაც გინდათ. რატომ გაერიეთ მათში? ფიდელის კაცები იმიტომ იბრძვიან, რომ უფრო მსუქანი ნაჭერი ჩაიგდონ ხელში. თითქმის ყველა მათგანმა იცის, რა თანამდებობას მიიღებს და რა ფულადი საჩუქარი მიეცემა. თქვენ რაღას შეგპირდნენ?

— თქვენთვის სასურველს სინამდვილედ ასაღებთ?

— რა?

— ფიდელმა არაფერი იცის ჩემი არსებობის შესახებ. არცერთ რევოლუციონერს მე არ ვიცნობ. — სებასტიანი კვლავ შიშმა აიტანა. — თუმცა, შეიძლება თქვენ მართალიც ხართ, — მან მაგრად დააჭირა კბილი კბილს, რომ კანკალი შეეკავებინა.

— რა თქმა უნდა, მართალი ვარ. ერთადერთი, რისთვისაც ფიდელ კასტრო იბრძვის, ის არის, რომ გაგვყაროს ჩვენ და თვითონ დაჯდეს ჩვენს ადგილას. პოლიტიკა კუბაში ყოველთვის ამგვარად იქმნებოდა და მომავალშიც მუდამ ასე იქნება.

— თქვენ ნება არ მომეცით, დამერეკა მშობლებისათვის, შეიძლება ახლა დავურეკო და ვუთხრა, რომ წამიყვანეს?

— წაგიყვანეს კი არა დაგაპატიმრეს.

— ასე იყოს. მაგრამ რომ არ დავრეკო, იმათ ასე ეგონებათ, რომ წამიყვანეს. ნებას მომცემთ?

— არა. მშობლები აქ არაფერ შუაშია. შენ უკვე პატარა აღარა ხარ. როცა საჭირო იქნება, ჩვენ თვითონ დავურეკავთ შენს მშობლებს.

— ფიდელი მართალია...

პოლკოვნიკი წამოდგა და სებასტიანმა ხელებში ჩამალა

სახე. პოლკოვნიკმა მუშტებით დაუწყო ცემა. სახსრების ძვლებს კაკუნი გაჰქონდა მის თავზე. სებასტიანი მოიღუნა, უნდოდა დაემალა თავი. ეგონა, საცაა კვერცხის ნაჭუჭივით გაუსკდებოდა თავის ქალა.

პოლკოვნიკმა შუშის პრესპაპიეს დაავლო ხელი და ბეჭებში დაარტყა სებასტიანს. ისეთი ძლიერი ხმა გამოსცა, თითქოს ცარიელ ყუთს დაარტყესო.

პოლკოვნიკი მაგიდასთან დაჯდა და სიგარას მოუკიდა.

— აი, ასე მოგივა, თუ არ შესწყვეტ შენს იდიოტურ ჯღაბნას. — პოლკოვნიკმა ხელით გადაყარა მაგიდიდან ჟურნალები და სტატიები.

ქაღალდებმა ცხვირწინ ჩაუქროლეს სებასტიანს და კედელს მიაწყდნენ. სჯობდა, არასოდეს არ დაეწერა ეს სტატიები! რამდენიმე ფურცელი მაგიდის ფეხთან დაეცა, — ლომის თათს რომ გამოხატავდა დედამიწის სფეროზე.

— თუ კარგ და სასარგებლო რამეებზე დაწერ, რომელსაც მთავრობა ანხორციელებს, მაშინ შემიძლია დაგეხმარო... ვერ დაგპირდები, მაგრამ ვიმედოვნებ, რომ შეიძლება კიდევ მოგვარდეს ყველაფერი. ყური დამიგდე, ყმაწვილო. რატომ უნდა დაანახვო იანკებს ცუდი მხარე ჩვენი ცხოვრებისა. გგონია, მე მართალი არა ვარ? ჩვენ შეგვიძლია მოგცეთ სტიპენდია და გაგაგზავნოთ პარიზში ანდა რომელიმე ჩვენს საელჩოში მოგაწყოთ. თან ისეირნებ, თან იმუშავებ. მწერლებს ხომ უყვართ მოგზაურობა! განა ჭკუაში არ გიჯდება პარიზში გასეირნება? ეს ხომ დიდებული იქნება! ბევრი ქალი, ბევრი კულტურა! სულ სხვა ცხოვრებაა! დაუფიქრდი, ყოველთვის კი არ გეწვევა ასეთი ბედნიერება.

— პარიზამდე ჩასვლასაც ვერ მოვასწრებ, რომ უკვე

უმუშევარი დავრჩები, — ბატისტას დიდხანს აღარ უწერია ბატონობა.

— შენ კიდევ ინანებ იმას, რაცა თქვი. შენივე ხელით გაითხარე სამარე. შეგიძლია უკვე მიცვალებულად ჩასთვალო თავი. ჩვენთან არის არმია და ამერიკელები, ჩვენ ვერავინ გადაგვაგდებს... წაიყვანეთ აქედან!

ორი საათი სებასტიანი კამერაში იჯდა. მზად იყო ატირებულიყო. დაკითხვაზე, რაც შეეძლო, თავს იკავებდა. ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ გაეძლო, ახლა კი უმტყუნა ძალამ. რას უზამენ? ამაზე ფიქრიც კი აშინებდა. თავიდან იცილებდა წამებაზე ფიქრს. სახეზე გაეყინა ტკივილისა და საშინელების გამომეტყველება. არც არავინ იცის მისი დაპატიმრების ამბავი.

გონებაში წარმოიდგინა ქუჩა პოლიციის განყოფილების წინ. ხალხი დამშვიდებით დადის ტროტუარებზე. აქედან რამდენიმე ნაბიჯის დაშორებით თავის მწვანე წყალს მიაქანებს ალმენდარისი. მშობლებმა რომ იცოდნენ, შეეცდებოდნენ მის დახსნას; მოსძებნიდნენ ვინმე ნაცნობს, ის კიდევ სხვას მონახავდა და იქნებ საქმეც გაჩარხულიყო. თუმცა მისი მშობლებისათვის ეს მეტისმეტად საშინელი და რთული იქნება. „მაშინვე მაინც მოეღოთ ჩემთვის ბოლო. სისულელეა, იქონიო რაიმე იმედი. იმედი მხოლოდ აძლიერებს ტკივილს მკერდსა და თავში.

სებასტიანი იატაკზე გაიშოტა და კედელზე სინესტისაგან ჩამონგრეულ ბათქაშს მიაჩერდა.

ერთიანად განადგურებულად გრძნობდა თავს. რა ესაქმება მას ფიდელის იდეალებთან ან ბატისტას კორუპციასთან? ერთიც და მეორეც ერთნაირად შორსა დგას მისი ცხოვ-

რებიდან... და მაინც ციხეში ზის რევოლუციურ მოძრაობაში „მონაწილეობისათვის“. მისი სიკვდილის შემდეგ ბატისტა გაჰქრება მისთვის და ფიდელიც. ყველაფერი გაჰქრება. და თუ ეს ასეა, რაღა განსხვავებაა — მის მხარეზეა სიმართლე თუ არა? ჭკვიანურად იქცევი თუ სულელურად? ის ხომ ველარაფერს დაინახავს, ველარაფერს გაიგებს. სიკვდილი ყველაფერს წაშლის.

დერეფანში რაღაც ხმები გაისმა, არც უცდია ყურის დაგდება. იმ წუთიდან, რაც კამერაში შემოაგდეს, თითქმის არც განძრეულა.

* * *

როცა სებასტიანმა თვალი გაახილა, უკვე სავსებით გათენებულიყო. გარკვევით ჩანდა საგანთა მოხაზულობა. ათასი ხიფათი, კამერის კუთხეებში რომ იმალებოდა, სიბნელესთან ერთად გაჰქრა. სებასტიანმა გაიფიქრა, რომ თუ წამება არ დაუწყეს, შეეჩვევა თავის გალიას. მოახლოებული ხმა შემოესმა. გისოსებიან კარს იქით პოლიციელები და პატიმრები დადიოდნენ. მის მარჯვნივ კიდევ ორი კამერა იყო, მარცხნივ სამზარეულო. ვერ მიმხვდარიყო, რატომ ჩასვეს ცალკე კამერაში, მის მეზობლად სამი თუ ოთხი ისხდნენ ერთად. ისინი ჩუმი ხმით ლაპარაკობდნენ და აქეთ-იქით იყურებოდნენ.

სებასტიანს უმწეოდ მიაჩნდა თავი: არსად არ შეეძლო დამალვა. კარის რკინის ძელები მთელ ქვეყანას აშორებდა, მაგრამ უცნობებისაგან ვერ იფარავდა. თავის სიცოცხლეში პირველად ხედავდა გალიაში ჩასმულ ადამიანებს. ზოოპარკში ყოფნისას გონებაში ყოველთვის წარმოიდგენდა ხოლმე თავის

თავს ცხოველების ადგილას. აქ კი აღარ სჭირდებოდა წარ-მოდგენა. სამაგიეროდ სწორედ აქ უნდა ქცეულიყო ნამდვილ ადამიანად.

პოლიციელმა, რომელსაც კოხტად შეკრეჭილი ულვაშები ჰქონდა, კონსერვის ქილით რძიანი ყავა და ორი ცალი გამხ-მარი გალეტი მოუტანა. სებასტიანს უნდოდა ეჭამა, მაგრამ ეშინოდა, რამე წამალი არ ყოფილიყო გარეული შიგ მისი ნებისყოფის გასატეხად. თუმცა, მაშინვე განდევნა თავისი შიში: ყველაფერი ეს კინომ და ლიტერატურამ შთააგონა. ის ხომ არარაობაა. იგი მხოლოდ იმიტომ დაიჭირეს, რომ ისინი, მთავარნი, მიუწვდომელნი არიან პოლიციისათვის. ყოველივე ეს საშინელი ფარსია. ცხვარივით უნდა შეეწიროს ამ საქმეს. კასრით წყალი მოიტანეს და ტილო კამერის დასალაგებლად. წყალს ფიჭვის მძაფრი სუნი უდიოდა.. რამდენიმე საათის შემდეგ სებასტიანს კიდევ უდიოდა ხელზე დეზინფექციის სუნი.

მოვიდნენ ის ორნი, რომელთაც გუშინ დააპატიმრეს. ზედამხედველმა კარი გაუღო და მაღალ პოლიციელს სერ-ჟანტი უწოდა. „მაშასადამე, ლეიტენანტი არ ყოფილა“, გაი-ფიქრა სებასტიანმა, გახარებულმა იმით, რომ მტრის სუსტი მხარე აღმოაჩინა. სერჟანტი მათრახს იტკაცუნებდა ფეხზე. ახლაც გუშინდელივით სამოქალაქო ტანსაცმელი ეცვა...

სებასტიანი ქუჩაში გამოიყვანეს და ლურჯ ლიმუზინში შეაგდეს, რომელიც გასასვლელთან იდგა.

— ასე ბევრი გამოდის აქედან და აღარ ბრუნდება. მორჩა, შენი წირვა გამოსულია.

სებასტიანი პოლიციელების შუა იჯდა. იგი ფიქრობდა, რომ მისი დაშინება უნდოდათ. ქარსაფარ შუშის ზემოთ,

სარკეში რომ დაინახა თავი, გაახსენდა, რომ ორი დღეა თმა არ დაუვარცხნია. იმ საღამოს, როცა ეს ორნი შემოიჭრნენ მის სახლში, სადილის შემდეგ ისვენებდა და ახალი წამომდგარი იყო. პირში საძაგელი გემო ჰქონდა. მის გვერდით ჩსხდომნი კი ახალი გაპარსულნი იყვნენ, თეთრეულიც ახლად გამოცვლილი ჰქონდათ. სებასტიანმა თავის თავზე დაიხედა: მოკლესახელოებიანი ლურჯი პერანგი და დაჭმუჭნილი თეთრი შარვალი, შიშველ ფეხებზე კი მოკასინები.

სად მიჰყავთ? სებასტიანი უეცრად მიხვდა, რომ დარღვეულია ჩვეული წესი მისი ცხოვრებისა. ისე გამოიტაცეს ამ ცხოვრებიდან, რომ მოფიქრების საშუალებაც არ მისცეს. წინდების ჩაცმაც კი ვერ მოასწრო ან წიგნის წამოღება.

სებასტიანმა ზიზღით მოისვა ენა გაუწმენდავ კბილებზე.

ალმენდარისის შესართავთან რომ მივიდნენ, მანქანიდან გადმოვიდნენ. კოშკთან ორი მეზღვაური იდგა პოსტზე. პოლიციელებმა რაღაც დაუყვირეს მისალმების მაგივრად. სებასტიანი ნავმისადგომთან მიიყვანეს და ნავში ჩაჯდომა უბრძანეს. მოტორი აამუშავეს.

როცა მდინარე უკან მოიტოვეს და ირგვლივ ლურჯი ზღვა გადაიშალა, სებასტიანი მძიმე წინათგრძნობამ შეიპყრო. იგი განადგურებული იყო და ამავე დროს თავს ამაღლებულად გრძნობდა. იქნებ ფრანსისკომ გასცა ნარკოტიკების ზემოქმედების შედეგად? თუმცა მისი სახელი არ უხსენებიათ. ნუთუ ყოველივე ეს სტატიის გამო მოხდა. რაღაც სხვა მიზეზი უნდა იყოს. შეუძლებელია, რომ ასე უმიზეზოდ გამოიყვანონ და ჩააგდონ ზღვაში.

სებასტიანმა ანხელს გადახედა. ზემოთა ტუჩი იმდენად მოკლე ჰქონდა, რომ გეგონებოდათ, საცაა ცხვირს შეეხებაო.

უსწორ-მასწოროდ შეკრეჭილი ულვაშები, დიდი ყურები... სებასტიანმა გაიფიქრა, რომ სირცხვილიც კია ამგვარი ფიზიონომია ,ჰქონდეს კაცს.

მოტორი ჩაჩუმდა. სებასტიანმა ჰავანის მაღალ შენობებს გახედა და გამოიანგარიშა — ნაპირიდან ერთ მილზე მეტი ჰქონდათ გამოვლილი. ჰორიზონტი ცისფერ ზოლად იყო გაშლილი და ზედ უსიცოცხლო მტევნებად ეკიდა ღრუბლები. ცაში დაკიდული მზე და წყლის უსაზღვრო სივრცე აშინებდა სებასტიანს. ირგვლივ ყველაფერი გულგრილი იყო მისადმი...

სანამ მოტორი მუშაობდა, არცერთ პოლიციელს ხმა არ ამოუღია.

სერჟანტმა დაჟანგებული ღუზა ამოიღო და უბრძანა სებასტიანს, მიება ფეხზე. სებასტიანმა უარი განაცხადა. სერჟანტმა ხელი ასწია და მთელი ღონით მოუქნია თოკი. სებასტიანი ნავის ფსკერს დასჩერებოდა. ფიცრებს შუა წყალი შხაპუნობდა. უკვე რამოდენიმე გოჯზე იყო ამოსული... კისერსა და ბეჭებზე შეწყდა დარტყმა.

— კარგი, მომეცით თქვენი ღუზა. თუ გინდათ, კისერზე შევიბამ. — სებასტიანმა მარცხენა კოჭთან შემოიხვია თოკი. ანხელმა კიდევ ერთხელ შემოახვია ყულფად და გამოსწია.

სებასტიანს უცებ დაებადა სურვილი, ატირებულიყო, შეხვეწნოდა, პატიება გამოეთხოვა, მაგრამ არ შეეძლო და გაბრაზდა საკუთარ სისუსტეზე.

— ახლა რა ვქნა? — იკითხა მან; გრძნობდა, როგორ მსუბუქად ირხეოდა წყალზე ნავი.

— გადახტი.

— სისულელეა; — სებასტიანი გაღიმებას შეეცადა. — შეგეძლოთ უფრო იოლი რამ მოგეგონებინათ ჩემი თავიდან ძოსაცილებლად. ეს რაღაც სისულელეა!

— გადახტი, გეყოფა ლაქლაქი! გადახტი წყალში!

სებასტიანი წამოდგა. საეჭვოა, წყალში ღუზის შეხსნა შესძლოს და გაჩერდეს, სანამ ვინმე ამოიყვანდეს. ირგვლივ არავინა ჩანს ზღვაზე. ზვიგენებზე ფიქრმა წუთით შეაყოვნა.

გადახტა.

პოლიციელს თოკის ბოლო ეჭირა ხელში.

სებასტიანი გრძნობდა თავისი მდგომარეობის მთელ საშინელებასა და უხერხულობას. მაშინვე აამოძრავა ფეხები, რათა ზღვის ზედაპირზე გაჩერებულიყო. მერე ნავთან მიცურდა და ინსტინქტურად ჩააკლო ხელი. ერთმა პოლიციელმა ფეხი დაარტყა ხელზე, მეორე თავზე დააწვა.

ღუზა ქვევით ეწეოდა და სებასტიანი წყალში აფართხალდა.

— შეხედე, ერთი შეხედე, შენ გგონია, გმირი ხარ? ისეთი, კინოში რომ უჩვენებენ ხოლმე... თევზი ხარ, მეტი არაფერი. — პოლიციელები ახარხარდნენ. — უთათებო ცხოველი. თუ იტყვი, რომ ბატისტა ნამდვილი კაცია, შენ კი თევზი, ამოგიყვანთ.

სებასტიანს სული ეხუთებოდა, მაგრამ ხმას არ იღებდა, თითქმის არც ესმოდა, რას ეუბნებოდნენ ნავიდან.

პოლიციელებმა ნიჩაბი აიღეს და თავის გატეხვით დაემუქრნენ, თუ არ ჩაიყურყუმელავებდა. სებასტიანმა ჰაერი ჩაისუნთქა და ჩაყვინთა. თითქმის ზღვის ფსკერამდე დაეშვა. ყურები უგუგუნებდა. თვალთ დაუბნელდა. სებასტიანი შეყოყმანდა, წუთით ცხოველურმა შიშმა შეიპყრო. ერთადერთი სურვილი ჰქონდა — ზევით ამოეცურა. მთელი ძალღონით აიწია, მაგრამ ღუზა არ უშვებდა. სებასტიანი თავგანწირვით იბრძოდა...

ჯერ ჰაერი ჩაისუნთქა, მერე მზე დაინახა. თვალით მოძებნა

ნავი. საშინლად სტკიოდა სასა. პოლიციელები მისჩერებოდნენ და სებასტიანი ისევ ჩაიძირა.

დიდხანს აღარ გამოჩენილა და სერჟანტი შეშფოთდა. „დააშინე მხოლოდ, მეტი არაფერი,—უთხრა პოლკოვნიკმა.— მაგას მოუხდება ერთი დაშინება". სებასტიანმა თავი მოაბეზრა სერჟანტს და ძალიან უნდოდა მისი დახრჩობა, მაგრამ გაახსენდა, რომ ერთხელ ასევე კინაღამ დაახრჩო ფინანსთა მინისტრის ძმისწული... პოლკოვნიკმა მაშინ ყველაფერი სერჟანტს გადააბრალა და, პოლიციიდან გაგდებითაც დაემუქრა, თუ რამე ამის მსგავსი გამეორდებოდა. სერჟანტმა თოკის ამოწევა დაიწყო. ვინ იცის, იქნებ ესეც ვინმეს ძმისწული აღმოჩნდეს.

სებასტიანი ამოათრიეს წყლიდან. იგი გრძნობადაკარგული იყო. ცა ბრუნავდა მის თავზე — წითელი ცა შავი ვარსკვლავებით.

* * *

ოთხი საათის შემდეგ ისევ აკანკალებდა სიცივისაგან.. იატაკზე იყო გაწოლილი და ამაოდ ცდილობდა გათბობას.

— არამზადები, სულელები...

სადღაც სულის სიღრმეში კი სიხარული იმალებოდა: ცოცხალია. ვერასოდეს ვერ იფიქრებდა, რომ მისთვის ასე ძვირფასი იყო სიცოცხლე.

დროდადრო შიში შეიპყრობდა ხოლმე, მაგრამ ამ შიშს მალე იმორჩილებდა, არწმუნებდა თავის თავს, რომ ახლა ყველაფერს გადაიტანდა. იგი განადგურებულია და დამცირებული, მაგრამ მაინც არ დანებდა.

— „ჩემი ცეცხლი სძლევს სიცივეს წყლისას“, — წაიჩურჩულა სებასტიანმა, გაიხსენა გამოჩენილი ესპანელის კევედოს სონეტი.

იგი არ აღმოჩნდა ისეთი სუსტი, როგორც ეგონა. ისინი ცდილობდნენ, ფიზიკურად გაეტეხათ, მაგრამ გაუძლო და ახლა ვერაფერს უსაყვედურებს თავის თავს. სებასტიანმა კუნთები დაჭიმა. დედა და მამა გაახსენდა. რა შორს არიან ისინი ამისგან... არაფრის გაკეთება არ უნდოდა. ოღონდაც ესუნთქა.

არაჩვეულებრივ სისუსტეს გრძნობდა და ცდილობდა, გაემეორებინა უკანასკნელი სტრიქონები კევედოს ლექსისა:

ფერფლად იქცევიან — ამაში უფრო მეტია აზრი,

ფერფლად იქცევიან — ოღონდ მოტრფიალე ფერფლად...

ფიქრი არ შეეძლო ისე, მაგალითები რომ არ მოეშველებინა ლიტერატურიდან.

— სულელები... — თუმცა ლანძღვა უფრო ამშვიდებდა, ვიდრე ლექსები.

ყველა გრძნობა ატროფირებული ჰქონდა.

ჰუჰყი და განავლის სუნი უკვე აღარ იწვევდა მასში ზიზღს. სხვაგვარ ვითარებაში ვერ დამშვიდდებოდა, სანამ არ დაიბანდა, ახლა კი თითის განძრევაც არ უნდოდა. სიმყრალე დეზინფექციის სუნში იყო არეული.

ერთადერთი, რაც თითქოს შემორჩა — სმენა იყო. იგი სცნობდა ხმებს დერეფანში, ერთმანეთისაგან არჩევდა პატიმრებისა და პოლიციელების ფეხის ხმას.

ხოჭოები ზედ დაცოცავდნენ, მაგრამ არც კი განძრეულა მათ გასადევნად.

— გაანთავისუფლეთ. რათა ორმოცდარვა საათის განმავლობაში დაატოვოს კუბა. თუ კიდევ გნახეთ კუბაში, კუნძულ პინოსზე გადასახლება არ აგცდება.

სებასტიანი ყურს უგდებდა პოლკოვნიკს. ეჩვენებოდა, თითქოს ეს სიტყვები სხვისადმი იყო მიმართული. უყურებდა, როგორ ბოლავდა საფერფლეზე სიგარეტი.

— მორჩა. დაიკარგეთ აქედან. რაღას უცდით? გინდათ, რომ თვალები ამოგთხარონ? წადი, დაიკარგე აქედან! — პოლკოვნიკს გაახსენდა, რომ დღეს დედასთან ერთად უნდა ევახშმნა. პოლიციელი უნდა გაგზავნოს და შეატყობინოს მაგდალიას, რომ არ დაელოდოს. მოხუცი უფრო პატივსაცემია. მაგდალია მოითმენს.

— შეგიძლია დაურეკო შენს მოხუცებს, რომ მათი შვილი კარგად და ჯანმრთელად არის, — უთხრა პოლკოვნიკმა და ფრჩხილებზე დაიხედა. — ამას რომ გააცილებ, — განაგრძო მან და იმ პოლიციელს მიმართა, რომელმაც შემოიყვანა სებასტიანი, — ჩემთან შემოდი, ერთი რამ მინდა გთხოვო, წერილს გაგატან.

იმედი დაუბრუნდა სებასტიანს, მაგრამ იმედთან ერთად შიშმაც გაიღვიძა. არ სჯეროდა, რომ გაანთავისუფლეს, სანამ ქუჩაში არ გავიდა. რაც შეიძლება ჩქარა სახლისაკენ! მარტო ყოფნა სწადია! არავის ნახვა არ უნდა!

ორი კვარტალიღა დარჩა. ყაზარმის კორპუსები სულ უფრო და უფრო იზრდებოდა, რამდენადაც უფრო უახლოვდებოდა მათ. კოლუმბია აღარ იყო მისთვის კალის სალდათებიანი მუყაოს ციხე-სიმაგრე. მზე სწრაფად ეშვებოდა ჰორიზონტი-

საკენ. გალავნის მოაჯირები გადატეხილს ჰგავდა. სებასტიანი თავისუფლად გრძნობდა თავს, მაგრამ ნაღვლიანი იყო.

* * *

იატაკზე კარების ქვეშ სამი კონვერტი იდო. ერთზე ნენსის ხელწერა იცნო. კონვერტები გაუხსნელად დაყარა მაგიდაზე და გაიღიმა: მის აქ არყოფნაში არაფერი შეცვლილა. ნენსიმ წერილი მოსწერა და ფოსტალიონმა კარების ქვეშ შემოაცურა. ნენსიმ არ იცოდა, რა მოხდა. სებასტიანს არც გახსენებია იგი ამ დღეებში. ციხეში განმარტოების შემდეგ შინ, ნაცნობ გარემოში ეძებდა დარდის გაქარვებას, მაგრამ ავეჯიც კი უცხოდ ეჩვენებოდა. მსხლის კონსერვის ქილა გახსნა. ნახევარი შეჭამა და მერე სააბაზანოში გავიდა. თბილმა წყალმა სასიამოვნო მოთენთილობა მოჰგვარა. იგი ნენსიზე ფიქრობდა. ვნებიანი, სისხლსავსე ცხოვრება მოენატრა. ორი კვირის წინათ ამგვარი ფიქრი ზიზღს გამოიწვევდა მასში. თბილ წყალში იწვა და გრძნობდა, როგორ მოძრაობდა სისხლი გამოჯანმრთელებულ სხეულში. ახლა ყველაზე მთავარია — წავიდეს კუბიდან. ფლორიდაში გაფრინდება ნენსისთან. მერე კი ვნახოთ!

სებასტიანი აბაზანიდან ამოვიდა და ტანის გამშრალებას შეუდგა. მალე სამუდამოდ გამოემშვიდობება კუბას. სიკვდილი და სიბინძურე დარჩება უკან. ვაითუ ნენსი ხვალ ჩამოდის?! კონვერტი აიღო და საჩქაროდ გახსნა.

„My dear[1], სებასტიან!

---

[1] ჩემო ძვირფასო (ი ნ გ ლ.).

არ მინდოდა მომეწერა, მაგრამ ასე ვფიქრობდი მაშინ, როცა მანდ ვიყავი, ახლა კი აქა ვარ და ყველაფერი შეიცვალა.

ძალიან ცუდად ვგრძნობ თავს, — ერთი წუთითაც არ უნდა მიმეტოვებინე: ახლა ვგრძნობ, რომ მართალი იყავი. ჩემი მშობლები ცდილობენ, ალერსიანები იყვნენ, მაგრამ ნევრასტენიკები და აუტანელნი არიან. მე ვუამბე მათ, რა კარგი ხარ შენ. მამაჩემისთვის ეს თავზარდამცემი იყო, ახლა კი, მგონი, ეჩვევა იმ აზრს, რომ შენ უნდა გამოგყვე ცოლად. პირველად მამა დამემუქრა, რომ უარს მეტყოდა მემკვიდრეობაზე და მითხრა, კუბაში მხოლოდ შეგიძლია ივაჭრო მარიხუანით ან საკუთარი სხეულითო... ახლა კი მიხვდა, რომ მე სერიოზულად ვამბობ ამას და შენი გაცნობა სწადია.

რომ არ ვიცოდე, კვლავ ერთად ვიქნებით, სულ დავკარგავდი გონს. ჯოზეფ კონრადი წავიკითხე და ჰეისტი მისი „გამარჯვებიდან“ შენა გგავს. ქვეყანა საშინელია და უნდა იბრძოლო იმისათვის, რაც გიყვარს. დანარჩენს მნიშვნელობა არა აქვს.

წერილის ბოლოს მინდა, ცოტა რამ შემოგთავაზო, ჯერ კი ვერ ვბედავ.

კბილის ექიმთან ვიყავი, ამოვაღებინე ის კბილი, ყოველთვის რომ მტკიოდა ხოლმე, როცა ნაყინს ვწუწნიდი. ექიმმა ახალი კბილი ჩამისვა, ზუსტად ისეთი, როგორიც მქონდა, განსხვავებას ვერ შეამჩნევ. ვშიშობდი, კბილი რომ ამოვიღო, აღარ ვეყვარები-მეთქი. ისე ვღელავდი, რომ შუშის კარს დავეჯახე უნივერსალურ მაღაზიაში. მეგონა, ცხვირი გავიტეხე-მეთქი, იმდენი სისხლი დავღვარე. მაგრამ ყველაფერმა კეთილად ჩაიარა.

ახლა ვეღარც კი მიცნობ: თმა შევიჭერი, სხვანაირად ვიკე-

თებ—სწორ თმას ვერ ვიტან, ერთად შეკრული ან დაწნული თმა კი აბერებს; ახლა ტალღებად მეფინება თმა მხრებზე. ძალიან ეფექტურია! ყოველივე ამას შენთვის ვაკეთებ. თითქოს რაღაც საიდუმლო წესის აღსასრულებლად ვემზადები. მამა ძალიან კარგად მექცევა, ფული მომცა მზითევისათვის. უამრავი სხვადასხვა ნივთი ვიყიდე, დიდი ხნის მარაგს ვიმზადებ.

აღარ შემიძლია აქ ცხოვრება. გუშინ საღამოს ტელეგადაცემას ვუყურებდი. დედა შემოვიდა და გამორთო ტელევიზორი, უკვე გვიან არის, შენთვის ახლა მეტი დასვენებაა საჭიროო, მითხრა. სულ თერთმეტი საათი კი იყო. იქამდეც კი მივიდა, რომ დასაძინებლად წასვლა მიბრძანა. ისე მექცევა, როგორც ავადმყოფ ბავშვს. დარწმუნებული ვარ, დასთან სულ სხვანაირად უჭირავს თავი. დედაჩემი ურჩხულია. რომელიც ბრჭყალებს ხავერდის ხელთათმანებში მალავს.

ვგრძნობ. ათასგვარი სისულელე დავწერე, მაგრამ შენ ერთადერთი ადამიანი ხარ, რომელსაც შემიძლია ყველაფერი ვუთხრა... რომ იცოდე, სებასტიან, როგორი საჭირო ხარ ჩემთვის! იფიქრე ჩემზე! მე მინდა, რომ შენ მუდამ ფიქრობდე ჩემზე. I love you, and I miss you, and I want you[1].

ნენსი.

P. S. აი, რა მინდოდა მეთქვა შენთვის: ჩვენი სახლი კოუკენეტ გროუში ცარიელია, არავინ ცხოვრობს. შეგვიძლია რამდენიმე დღე გავატაროთ იქ ქორწილის შემდეგ. ჩვენ იქ საკუთარი პლაჟი გვაქვს და სხვა ამისთანები. მე ვიცი. რომ შენ არ გიყვარს ამგვარი რამეები, მაგრამ ეს სულაც არ

[1] მიყვარხარ, მენატრები, შენთან მინდა (ი ნ გ ლ.).

იქნება ჩვენი თაფლობის თვე, იმიტომ რომ მე უკვე დიდი ხანია შენი ვარ. ჩვენები არ აპირებენ წელს ფლორიდაში წასვლას და ჩვენ იქ ჩინებულად გავატარებდით დროს. ხომ კარგი იქნება, შენ როგორ გგონია?"

სებასტიანმა დაბნეულად მიიტანა წერილი ცხვირთან — ნენსის სურნელი. ქაღალდიც ცისფერი იყო. შეეცადა წარმოედგინა ნენსი იქ, გოლფსტრიმს იქით. გონებაში გადალახა ფლორიდის ნახევარკუნძული, მერე ზევით აიწია, ფილადელფიისაკენ... თვალწინ დაუდგა ნენსი...

სებასტიანი საჩქაროდ გავიდა კაბინეტში. ძველ ქვითრებსა და ქაღალდებში მოძებნა თავისი საზღვარგარეთის პასპორტი. ვიზას კიდევ ჰქონდა ძალა მომავალ წლამდე. ჩქარა უნდა შეუკვეთოს ბილეთი! ორმოცდარვა საათი სრულიად საკმარისია საქმეების მოსაწესრიგებლად. ყოველ წუთს შეუძლია გაფრინდეს, ხელი ჩაიქნიოს ყველაფერზე. „კუბანა-დე-ავიასიონში" უპასუხეს, რომ ბილეთები მხოლოდ ხვალისთვის აქვთ, საღამოს ხუთი საათისათვის. „ნეშნლსა" და „ისტერნშიც" იგივე უთხრეს. გადაწყვიტა კუბის ავიოკომპანიის თვითმფრინავით გაფრენილიყო და დეპეშა გაუგზავნა ნენსის, მაიამში შეხვედროდა.

წინ თითქმის მთელი ოცდაოთხი საათი იყო. სებასტიანმა დედას დაურეკა.

— სად დაიკარგე? — ჰკითხა ქრისტინამ. — საშინლად ვღელავ. ვრეკავ, ვრეკავ და შენ არასოდეს არა ხარ სახლში. გუშინ ღამითაც კი დავრეკე.

— ორი დღე ზღვაზე გავატარე ვარადეროში... რასაკვირველია, უნდა დამერეკა შენთვის, მაგრამ დამავიწყდა. უბრალოდ მინდა გაგტანჯო იმისათვის, რომ გამაჩინე.

— I think so[1]. გუშინ ვფიქრობდი შენზე. მშვენიერ მოთხრობას ვკითხულობ. სულ მინდა, წინასწარ მივხვდე, ბოლოს და ბოლოს ვის შეირთავს ექიმი. მშვენიერი მოთხრობაა! ახალგაზრდა ექიმის შესახებ არის, რომელმაც არ იცის, ვინ შეირთოს ცოლად; ის ქალი, რომელიც უყვარს, თუ მდიდარი ქვრივი, რომელიც საავადმყოფოს აშენებას დაპირდა. როცა მოხვალ, მოგიყვები, რითი დამთავრდება.

— ხვალ შეერთებულ შტატებში მივფრინავ. ჟურნალმა გამომიძახა...

— რამდენ ხანს დარჩები იქ?

— ჯერ არ ვიცი.

— ერთის მხრივ მოხარული ვარ, რომ მიდიხარ. რატომ გიკვირს? იქ საფრთხე არ მოგელის. ყოველთვის, როცა დაპატიმრებულთა ახალ სიას დავინახავ, შენზე ვფიქრობ, როდის მოხვალ გამოსამშვიდობებლად?

— ხვალ მივფრინავ.

— მე მთელი დღე შინ ვიქნები... შენი წერილებიდან ვერაფერს ვერ გაიგებ, დეპეშაზე უარესია. მე მესმის, რომ ერთი ჭკუიდან გადასული დედაბერი ვარ, მაგრამ მაინც მინდა ვიცოდე, რას აკეთებ, კარგად იკვებები თუ არა... შენ კი ყოველთვის წერ, ახალი არაფერი არ არისო...

— ამჯერად ყველაფერს დაწვრილებით მოგწერ, სიტყვას გაძლევ. მამას უთხარი, რომ გამგზავრების წინ უამრავი სხვადასხვა საქმე მაქვს, მაგრამ ძალიან ვეცდები ხვალ თქვენთან ვისადილო. თვითმფრინავი საღამოს ხუთ საათზე გადის.

სებასტიანმა ყურმილი ჩამოჰკიდა და ოთახებში სიარული

---

[1] ალბათ მართლაც ასეა (ი ნ ჯ ლ.).

დაიწყო, რაღაცას ეძებდა, თვითონაც არ იცოდა, რას. ვერაფრით ვერ მოეწესრიგებინა თავისი ფიქრები. ჩემოდანი შეუძლია ხვალაც ჩაალაგოს. სებასტიანმა ლუისს დაურეკა.

* * *

— საბედისწერო სახელი მქვია, — უთხრა ლუისმა. — არც ერთ გამოჩენილ ადამიანს არ ვიცნობ, რომელსაც ლუისი ერქვა. ვითომ ლუდოვიკო XVI, მაგრამ იმასაც გილიოტინაზე მოჰკვეთეს თავი. მინდა გამოვიცვალო სახელი... შენთან დავრეკე, მაგრამ არავინ მიპასუხა. მინდა ლეონი[1] დავირქვა, უფრო ვაჟკაცურად ჟღერს.

— ჩინებული აზრია. ალბათ, მეც გადავირქმევ სახელს, — სებასტიანმა კისერზე მოისვა ხელი, — ამბობენ, ატილა იმიტომ შეჩერდა რომის წინ, რომ რომის პაპს ლეონი ერქვა. მე მინდა დავირქვა — „არავინ“, იქნებ მაშინ დამანებონ თავი.

სებასტიანი ცდილობდა ირონიულად ელაპარაკა. მაგრამ გულისტკივილით იგრძნო სიყალბე საკუთარი ინტონაციისა. ყველა თავისი წინანდელი მტკიცება არათანამიმდევრული ეჩვენებოდა. უნდოდა, ყველაფერი დავიწყებისათვის მიეცა...

ისინი სანაპიროს მოაჯირზე ისხდნენ. ზღვა მრისხანებით ბობოქრობდა მათ ფეხქვეშ.

— როგორ ფიქრობ, — ჰკითხა ლუისმა, — სად შეიძლება კაცმა იყიდოს ლომი. მამაჩემს ძინდა მივგვარო კანტორაში... ლომი კანტორაში... რა თქმა უნდა, ჯერ კარგად გამოვწვრთნიდი... ანდა შეიძლება სჯობდა ქადაგობა მესწავლა? რა კარგი

---

[1] ლეონი ესპანურად ლომს ნიშნავს.

იქნებოდა! წარმოგიდგენია, მე მათ გამოვლანძღავდი, როგორც მომეხასიათებოდა, ისინი კი ვერ დამიჭერდნენ. ყველაფერს ლომს გადავაბრალებდი, მოხუცებულს რომ არ სწყენოდა. მე რომ ქადაგი ვყოფილიყავი ლომს ლუისს დავარქმევდი, ის კი ლეონს დამიძახებდა.

— სასაცილოც ხარ და სავალალოც. ალბათ, თვითონაც არ გესმის, რას ლაპარაკობ. კანტორაში დადიხარ?

— არც მიფიქრია. აი, ლომი რომ მყოლოდა... აღარც ვაპირებ შაქრის გაყიდვას ან საქონლის მოშენებას იმისათვის, რომ მილიონერი გავხდე. კინემატოგრაფიას უნდა მოვკიდო ხელი, — ლუისმა შავი სათვალე ამოიღო და გაიკეთა. — ეს იმიტომ ვიყიდე, რომ კინოპროდიუსერს დავემგვანო, ისინი ყოველთვის საიდუმლოდ მოგზაურობენ. მე კუბელი კარლო პონტი გავხდები და სოფი ლორენს შევირთავ ცოლად.

— ეს სავსებით შესაძლებელია, თუ კაცი მოინდომებს. ჰავანა შესაძლებელია კინემატოგრაფიის სატახტო ქალაქად იქცეს იმ ქვეყნებისათვის, სადაც ესპანურ ენაზე ლაპარაკობენ. კუბა ხომ კარიბის აუზის ცენტრშია. შენ გეყოლება ულამაზესი ქალები კონტინენტისა და დაუსრულებლივ უყურებ კინოს, მე მგონი, ამ საქმისათვის უფრო შესაფერი ხარ, ვიდრე შაქრით ვაჭრობისათვის.

ლუისმა გაიცინა, ქუჩის ფარანმა გაანათა მისი ჩაშავებული კბილები, სებასტიანმა ზღვას გახედა. მთვარის შუქი სადღაც ჰორიზონტს იქით იკარგებოდა. ეჩვენებოდა, ის კი არა, ვიღაც სხვა იჯდა ლუისის გვერდით. ჰავანას შორს, შორს, წარსულში გადაენაცვლა.

— ხვალ მივფრინავ ჩრდილოეთში.

— მიდიხარ? შენც ვეღარ გასძელი ამ ჯოჯოხეთში.

— არა, მე ჟურნალის საქმეებზე მივდივარ.

— როდის დაბრუნდები? — ლუისმა თვალებში შეხედა სებასტიანს. — იქ დარჩები?

— ჯერჯერობით არ ვიცი. რამდენიმე თვეს დავისვენებ. წინასწარ არასოდეს არ იცი, რა დაგემართება. თუ გინდა, ჩამოდი ჩემთან. მხოლოდ ეს გუბე უნდა გადასცურო, — სებასტიანმა ზღვისკენ გაიქნია ხელი.

— არ ვიცი, შენ როგორ ხარ, მე კი სრულებით არ შემიძლია წარმოვიდგინო რაიმე, რაც ჩემგან დაშორებით მდებარეობს. არა მაქვს ამის უნარი. ამ წუთში რეალურად არსებობს მხოლოდ ეს მოაჯირი და შენ, იმიტომ რომ აქვე, ჩემს გვერდით გხედავ. ეს წყალიც კი შორეული მეჩვენება. საეჭვოდ მიმაჩნია იმ საგნების რეალური არსებობაც, ჩემგან რამოდენიმე კვარტალით რომ არიან დაშორებული. ღამით სახლში რომ ვბრუნდები, უცნაური გრძნობა მიპყრობს: ყოველთვის აღმოჩნდება ხოლმე, რომ სახლი იმავე ადგილზე დგას.

— კარგი, მოდი გავისეირნოთ ცოტა. ვინ იცის, იქნებ მართლაც იცვალა რამემ ადგილი.

— წავიდეთ შევჭამოთ რამე, მომშივდა.

ტროტუარის გასწვრივ ცად ატყორცნილიყვნენ ალვის ხეები. სებასტიანმა ფოთოლი მოსწყვიტა და პირში ჩაიდო. ჰაერი შეხუთული იყო. გრილი სიოს მოლოდინში ყურთამდე გაღებულ კარ-ფანჯრებიდან ნაწყვეტ-ნაწყვეტი ლაპარაკი ისმოდა.

— მე ერთი საიდუმლო მაქვს, — განუცხადა ლუისმა და პირთან მიიტანა სენდვიჩი ყველითა და ლორით. — მოხუცმა რომ აიღოს ეჭვი, მომკლავს. მე... დღის ცხენი ვიყიდე: უკვე

ერთი თვეა საკვირაო ჯირითებში მონაწილეობს მარიანაოს ჰიპოდრომზე. და ყოველთვის მეორე ადგილზეა. უკვე მესამედ. უკანასკნელი რომ მისულიყო, ასე არ გავგულისდებოდი. ასეთი რამ მხოლოდ მე შეიძლება დამემართოს. შენ გწამს ბედი?

— რა თქმა უნდა, მწამს. იმიტომაც მივდივარ ჩრდილოეთში. წუხელ სიზმარი ვნახე, თითქოს მაწამებდნენ პოლიციაში და მინდა წინასწარ წავიდე, სანამ ამიცხადდებოდეს სიზმარი. — სებასტიანმა ჩალის ღერო გადააგდო და პირდაპირ ჭიქიდან მოსვა ხილის კოქტეილი.

— შენ მართალი ხარ. — აქ უკვე შეუძლებელია ცხოვრება, ამიტომაც მინდა გავხდე კინოპროდიუსერი. როდის დაბრუნდები?

— უკვე გითხარი, როცა ბატისტას გადმოაგდებენ. — „მიუხედავად ყოველივე ამისა, მაინც ღირს ცხოვრება“, — გაიფიქრა სებასტიანმა, რომელსაც სიამოვნებდა კოქტეილი. — ბატისტას ჩამოაგდებენ. ადრე იქნება თუ გვიან, ჩამოაგდებენ.

— შენ ფიქრობ, რომ ერთ მშვენიერ დღეს გაიპარება?

— რასაკვირველია. ეს მხოლოდ დროის ამბავია, მეტი არაფერი.

— მე კი დარწმუნებული ვარ, რომ სამუდამოდ აქ დარჩება... ერთი რამ მინდა გთხოვო. მაიამში რომ ჩახვიდე, მიყიდე ერთი ცხენი. ჩრდილოეთში კარგი მორბენალი ცხენებია. საკომისიო გასამრჯელოს გადაგიხდი. თუ კარგი გამოდგება, შეგიძლია ფლორიდაში შეამოწმო, შემდეგ კი კენტუკში ჩამოიყვანო.

— რამდენი შეგიძლია გადაიხადო?

— არა უმეტეს სამი ათასი დოლარისა. სულ ეს არის, რაც ანგარიშზე მაქვს დარჩენილი.

სებასტიანს უცებ მოუნდა, რაც შეიძლება მალე მიეტოვებინა კუნძული. ამ წუთში იგი უფრო განადგურებულად გრძნობდა თავს, ვიდრე წამების შემდეგ. ლუისი არ უწამებიათ, მაგრამ მაინც დამახინჯებულია.

— ანდა შეიძლება უკეთესი იყოს, რომ გამოარკვიო, რა დაჯდება მოწყობილობა კინოსტუდიისა? შენის აზრით, რამდენი დაჯდება კინოსტუდიის აშენება ჰავანაში? შეიძლება შემიგროვო ცნობები? ცხენს მაშინ ნუღარ იყიდი.

— რა თქმა უნდა, — დაეთანხმა სებასტიანი, ლუისს ისევ შავი სათვალე ეკეთა და მხოლოდ მაშინ უჩანდა თვალები, როცა სინათლეს ზურგს შეაქცევდა. — მაგრამ პრაქტიკულად უნდა მიუდგე საქმეს, ლუის. აბა, რა იცი კინოს შესახებ?

— შენც ისე გგონია, როგორც ჩემიანები ფიქრობენ, რომ მე ჭკუიდან შევიშალე. ხომ მართალია?

— მთელი ქვეყანა შეიშალა, ლუის. ყველანი უგუნურები ვართ. არ ვიცი, საიდან დაიწყო ეს უგუნურება. — სებასტიანს თავისი სულელური დაპატიმრება გაახსენდა. მე ალბათ ასე სულელი დავიბადე. მაგრამ, მგონია, ამ ქვეყანას სულელები აკლია, მეტისმეტად მომრავლდნენ ჭკვიანები.

შავ სათვალეში ვერაფრით ვერ გაარჩია სებასტიანმა ლუისის თვალების გამომეტყველება.

* * *

სებასტიანი საწოლიდან წამოხტა. ისევ დააკაკუნეს კარზე. „ამჯერად უკვე ვეღარ დავაღწევ თავს“, გაიფიქრა სებასტიანმა. სამზარეულოში ზარი აწკრიალდა. სებასტიანმა პიჟამაზე

ჩაიცვა შარვალი, ფეხები ტუფლებში ჩაყო და გარეთ გავარდა. გაუკვირდა, რატომ არ ყეფენ ძაღლებიო. მერე გაახსენდა, ნენსის ჩამოსვლამდე რამდენიმე დღით ადრე რომ გააჩუქა ძაღლები. ირგვლივ სიწყნარე იყო. ჭრიჭინების ჭრიჭინი კიდევ უფრო შესამჩნევს ხდიდა ღამის უსაზღვრო სიჩუმეს.

შორიდან ისმოდა ზარის წკრიალი. სებასტიანი ღობეზე გადაძვრა და მეზობელი სახლის ეზოში აღმოჩნდა. კარები და ფანჯრები ჩაკეტილი იყო. სინათლე არ ენთო. ყველას ეძინა. არასოდეს არ გამოლაპარაკებია მეზობლებს. ორი სიტვაც არ უთქვამს მათთვის. ახლა ინანა ეს. შეიძლება უარიც უთხრან დამალვაზე. ხუთიოდე წუთს კიდევ შეიცადა, მერე ღობესა და სახლებს შუა გაძვრა. ქუჩა ცარიელი იყო. პიჟამას ხალათზე დაიხედა. — ღამით იოლად გასწევს პერანგის მაგიერობას.

კუთხემდე მივიდა და ყური მიუგდო. პოლიციელები ალბათ ავენიდეზე გავიდნენ, მაგრამ სიფრთხილეს თავი არ სტკივა. კუთხეში შეუხვია და ვიღაც ქალი დაინახა. ქალი მისკენ მოდიოდა.

— სებასტიან, — წამოიძახა ნორმამ, — აქ რას აკეთებ? ასე გვიან პიჟამათი? კარგია, რომ შევხვდით. ამ დღეებში ბევრს ვფიქრობდი შენზე.

— შენ აკაკუნებდი კარზე?

— საიდან იცი?

— ასე ვიფიქრე. — სებასტიანმა გაიხსენა, რომ მანუელი არმიაში მსახურობდა. იმედი მაქვს, მეზობლები არ გაგიღვიძებია, მე მორიგე აფთიაქში ვიყავი. თავი ამტკივდა და ასპირინი არ მქონდა.

— არა, არავის არ გაუგია, წესიერად მეჭირა თავი, — უთხრა ნორმამ და ღიმილი დამალა.

— წავიდეთ სახლში, აქ ხომ არ ვიდგებით.

— რომ იცოდე, როგორ ვდარდობდი შენზე. — როგორც კი სახლში შევიდნენ, ნორმა მაშინვე ყელზე შემოეხვია სებასტიანს. — ისე ვიტანჯებოდი, სულ დამეკარგა გონი. მანუელი წავიდა და ძალიანაც მიხარია. დეე, მოჰკლას იქ ფიდელმა, მთებში.

— შენი ქმარი სიერა-მაესტრაში გაგზავნეს? ის მახინჯი, ჩემთან რომ მოვიდა?

— ჰო. და მიხარია, რომ თავიდან მოვიცილე. მხოლოდ ის მაბრაზებს, რომ ავეჯის ფული არ გადაუხდია. მიმიფურთხებია ბინისთვის, მაგრამ ავეჯი კი ძვირფასი რამ არის. აფსუსია ასეთი დაბრუნება. სენიორებმა, ავეჯის მაღაზიაში რომ არიან, მითხრეს, ხვალ დილას თუ არ შეიტან ფულს, სადილის შემდეგ მოვალთ და წავიღებთო.

— ამჯერად აღარ შემიძლია დახმარება, ნორმა, — უთხრა სებასტიანმა და თავი გაინთავისუფლა მისი ხელებისაგან. — ხვალ მივფრინავ ჩრდილოეთში და ერთი სენტავოც არა მაქვს ზედმეტი.

— რატომ მეც არ წამიყვან, მანუელს ჩემთვის არაფერი დაუტოვებია. ერთი გროშიც კი. ყველაფერს გავაკეთებ, რასაც მეტყვი. თუ გინდა ცოლადაც გამოგყვები. თუ უკვე გადაიფიქრე ჩემი ცოლად შერთვა?

— ნორმა, ნუ ცდილობ ჩემს მოტყუებას. შენ მხოლოდ იმიტომ მოხვედი ჩემთან რომ გასაჭირში ჩავარდი.

— აბა რა უნდა ვქნა? ორი-სამი კვირის შემდეგ ბინიდან გამომაგდებენ. მანუელი ორი კვირის წინ წავიდა და ამ ხნის

განმავლობაში ერთი სენტავოც არ გამოუგზავნია. შენ ხომ იცი, მე არ შემიძლია ლოგინში ჩავუწვე ყველა ვიგინდარას. გაფიცებ ყველა წმინდანს, წამიყვანე თან. მაიამში ამხანაგი შყავს. თავს არ მოგაბეზრებ. ამხანაგმა რამდენჯერმე მომწერა, პასუხიც არ მიმიწერია — შენ ხომ იცი, მე არ შემიძლია წერა, წერაც კი არ შემიძლია.

ნორმა უცხო შეიქმნა მისთვის. თითქოს ქირურგის შეუბრალებელ დანას გადაეჭრა ყველა ცოცხალი ძაფი, რომელიც კი ნორმასთან აკავშირებდა.

— შემპირდები, რომ დამანებებ თავს, თუ დაგეხმარე? — ჰკითხა სებასტიანმა, გახარებულმა იმით, რომ მის წინ ნორმა იდგა და არა პოლიციელი.

— დედას გეფიცები, აღარ ჩაგაცივდები, ოღონდაც წამიყვანე. იმ ამხანაგთან ვიცხოვრებ. იწერება, აქ ბევრი ფულის შოვნა შეიძლებაო. ამერიკელებს ბევრი ფული აქვთ, არ ძუნწობენ.

— რამდენი გჭირდება?

— ასი პესო.

— თუმცა მართალი ხარ. თუ მეძავი იქნები, იქა სჯობია, სადაც ამაში კარგად უხდიან. იქნებ აქ გვეშოვა შენთვის სამუშაო. მე შემიძლია სარეკომენდაციო წერილი მოგცე ერთ ნაცნობთან, რომელიც მაღაზია „ტენსენში“ მუშაობს.

— მილიონჯერ მითქვამს შენთვის, რომ არ შემიძლია მაღაზიაში მუშაობა. წერა არ ვიცი. არც მინდა ვიცოდე! მოსამსახურედ უკვე ვმუშაობდი და არ მომეწონა. თავი დამანებე, მინდა ისე ვ' ცხოვრო, როგორც აქამდე მიცხოვრია. შენ მხოლოდ იმას გთხოვ, წამიყვანო მაიამში.

— კარგი, დაგეხმარები... შენ ჯიუტი ხარ... მაიამში შეგიძ-

ლია ორმოცდაათი დოლარი იშოვო ღამეში, ვინმე მდიდარ არამზადასთან, ზამთრობით რომ ჩამოდიან იქ. ეს სულაც არ არის იმაზე უარესი, ვიდრე... — სებასტიანმა თავი შეიკავა. უნდოდა ეთქვა, ვიდრე მანუელთან ძილიო, რატომ უნდა აწყენინოს? ამით რა შეღავათი ექნება? — მაგრამ როგორც კი მაიმში ჩავალთ, აღარ შემეძლება შენთან შეხვედრა, შენ თვითონვე უნდა მოეწყო.

— ასეც ვფიქრობდი, რომ მიხსნიდი გაჭირვებიდან... ვიცოდი...

ნორმა სკამის კიდეზე იყო ჩამომჯდარი, იდაყვებით მუხლებზე დაყრდნობილი, თავი ხელისგულებში ჰქონდათ ჩარგული. სებასტიანმა რაზით გადაკეტა კარი.

— საზღვარგარეთის პასპორტი გაქვს? — ჰკითხა სებასტიანმა. თუმცა წინასწარვე იცოდა პასუხი.

— არა მაქვს, — ნორმა მოიღუშა.

— უპასპორტოდ არ შეიძლება წასვლა. აი რაშია საქმე. ვიზა შეიძლება მიიღო იმავე დღეს, პასპორტს კი ერთი კვირა უნდა უცადო. მე კი ხვალ მივდივარ. არაფერი არ გამოვა. — სებასტიანი მიხვდა, რომ მისი წაყვანა უგუნურება იქნებოდა.

— შენ შეგიძლია იქიდან გამომიძახო. ნუ მიმატოვებ, მე არ ვიცი, საით წავიდე.

— არა, ეს კიდევ უფრო ძნელი იქნება... აი, რა. ხვალ წავიდეთ კერძო ნოტარიუსთან. ის გაგვიფორმებს პასპორტს. — სებასტიანს ძალა არ ეყო მის მოსატყუებლად. — მგონი, მე უნდა მქონდეს შენი დაბადების მოწმობა, მაშინ რომ ავიღე.

— ჩემი ცოლად შერთვა რომ გინდოდა?... მაგრამ გახსოვდეს, მე წერა არ ვიცი.

— ნუ გეშინია.. მე გასწავლი ხელის მოწერას. შენგან მეტი არაფერი არ არის საჭირო.

ისინი კაბინეტში შევიდნენ და სებასტიანმა რამდენჯერმე გარკვევით დაუწერა ხაზიან ქაღალდზე „ნორმა ესკობარი“.

ნორმამ მაგრად მოუჭირა ხელი ფანქარს. კუნთები ერთიანად დაეჭიმა. სებასტიანმა ხაზზე გააყოლებინა ხელი. ყოველი მისი მოძრაობა თითქოს მოწმობდა მის ბრძოლას უხილავ, მაგრამ რეალურ საფრთხესთან. მალე რამდენიმე გვერდი დაფარა ბატისფეხურმა.

ნორმა გაწითლდა დაძაბულობისაგან. ყოველ წუთს იწმენდდა კაბაზე გაოფლიანებულ ხელისგულებს, ფანქარი თითებიდან უსხლტებოდა.

— ნუ გეშინია. ხელის მოწერა თითქმის ყოველთვის გაურკვეველია. ყველა ექიმი და ინჟინერი ასე აწერს ხელს, — უთხრა სებასტიანმა და გადახედა გვერდს, რომელზეც მხოლოდ ასო „ნ“ აჩნდა გარკვევით.

სებასტიანმა დაძინება შესთავაზა: დაიძინებს და დილით უფრო ადვილად დაწერს. ნორმას კარგად ეჭირა თავი.

სებასტიანმა სუფთა პიჟამა მისცა. არ უნდოდა საცვლების ამარა დაენახა.

* * *

ვერც კი მოასწრო სებასტიანმა ჩემოდნისათვის თავის დახურვა, რომ ნორმა უკანვე დაბრუნდა ნოტარიუსთან წასასვლელად. ნორმას ძველი, დაქარგული კაბა ჩაეცვა. უნდა იჩქარონ. სებასტიანს გაახსენდა, რომ დედას სადილად მისვლას შეპირდა.

სანოტარო კანტორა ერთ ვიწრო ქუჩაზე იყო, ძველ ჰავანაში, მაღალ, შუშისკარებიან სახლში.

ნორმა ჩავარდნილ, მოწნულ სავარძელში ჩაჯდა. გაფითრებული იყო. სებასტიანმა ხელი მოჰკიდა მის მოთენთილ, თითქმის უსიცოცხლო ხელს.

ძველი, შავი საბეჭდი მანქანა ხმამაღლა რეკავდა, როცა დგიმთამწე საზღვარს მიაღწევდა. მდივანმა ნორმას ხელის ანაბეჭდი აუღო და უთხრა, რომ შეუძლია ხელი დაიბანოს გარეთ პირსაბანზე. როცა ნორმა ხელებს იბანდა, უცებ მოუნდა, მიეტოვებინა ყველაფერი და გაქცეულიყო შინ.

შემდეგ მდივანმა უთხრა, ხელი მოეწერა იქ, სადაც ჯვარი დაუსვა. სახელის პირველი სამი ასო გარკვევით გამოვიდა. უცებ ნორმამ კალმისტარი მდივანს გაუწოდა, თავი ჩაღუნა და უთხრა, რომ თითები ეკრუნჩხება...

როცა ძველი შენობიდან კუბის ქუჩაზე გამოვიდნენ, სებასტიანმა ისევ მოკიდა ხელზე ხელი. ნორმას ხელი ახლა ცივი, დაძაბული იყო.

— ნუ ღელავ. სულაც არ არის სავალდებულო, ყველამ იცოდეს წერა. ულამაზო ქალებმა უნდა იცოდნენ, შენ კი ლამაზი ხარ, შენთვის ესეც სავსებით საკმარისია.

— შენ ძალიან კარგი ხარ. მე მეგონა, კუბას ვერასოდეს ვერ დავაღწევდი თავს. ისეთებისათვის, როგორიც მე ვარ, ცვლილებები არ არსებობს. ასე მეძავად დავრჩები სიცოცხლის დასასრულამდე. მე ეს ვიცოდი.

— ტყუილად გგონია ასე... აჰა, ფული ბილეთისათვის. მაიამიდან ორმოცდაათს კიდევ გამოგიგზავნი, ახლა მეტი არა მაქვს. სებასტიანი უყურებდა ნორმას შესიებულ სახეს, ჩაშა-

ვებულ თვალის უპეებს. კაბა დაჭმუჭნილი ეცვა. იღლიის ქვეშ გარღვეული კაბიდან სხეული მოუჩანდა.

— ძალიან ცუდი ვარ, არა?

— ეს შენი ბრალი არ არის. აი, ჩემი მისამართი მაიამში. მომწერე, თუ ცუდად წაგივიდეს საქმე. ვინმეს სთხოვე და დაგიწერს. როცა ჰავანაში დაბრუნდები, მოგძებნი, აუცილებლად მოგძებნი.

სებასტიანს უნდოდა, გადახვეოდა ნორმას, მაგრამ ზურგი შეაქცია და მანქანისაკენ წავიდა... იმ ადგილას, სადაც ოდესლაც პირველად შეხვდა ნორმას, თვითონაც არ იცოდა, რატომ, მოტორი გამორთო და გაჩერდა...

ნაწილი მესამე

... მხოლოდ სამშობლოს სეიბნი გიფარავენ მზისაგან. სხვის მიწა-წყალზე დაძრწიხარ, ვითარცა ღრუბელი გზააბნეული. ყოველი შემოხედვა შეურაცხყოფად გეჩვენება, თვით მზეც სასიამოვნო სითბოთი კი არ გატკბობს — მრისხანებით დაგჩერებია თავზე.

ხოსე მარტი

მიწაზე დაშვება

სებასტიანმა რომ თვალი გაახილა, ირგვლივ სრული სიწყნარე იყო. ყოველ შემთხვევაში, ასე ეჩვენებოდა. ფოსტალიონის მოტოროლერის ხმაც კი, რომელმაც რამდენიმე წუთის წინ გამოაღვიძა, მიწყდა შორეთში. სებასტიანმა დარაბა გამოაღო და ოთახში მოკაშკაშე ბურთივით შემოიჭრა მზის შუქი, თვალები მოიფშვნიტა. გარაჟისაკენ მიმავალ, ხრეშით მოფენილი გზის ორივე მხარეს მწვანედ ბიბინებდა ბალახი. ფერების სიწმინდემ და სასიამოვნო სიგრილემ ერთხანს თითქოს გააოცა, მერე შიგნითა ოთახებიდან კონდიცირებული ჰაერის აპარატის ზუზუნი შემოესმა.

ნენსის მის გვერდით ეძინა. ფრთხილად წამოდგა და ფეხ-შიშველამ გასწია სააბაზანოსკენ. კბილები შეათვალიერა სარკეში, პირი გამოირეცხა და შემდეგ, რათა საბოლოოდ გაეფრთხო ძილი, აბაზანის მიღება გადაწყვიტა. სანამ აბაზანა აივსებოდა, ფანჯარა გამოაღო: ჩიტების ჭიკჭიკი არღვევდა დილის სიმშვიდეს. მოშორებით მდგარი სახლის წინ, ქოქოსის პალმებს იქით, ვიღაც კაცი სხლავდა გაზონებს. ირგვლივ ყველაფერი კვირა დღეს აგონებდა, ორშაბათი კი იყო... სებასტიანის განკარგულებაში იყო ორი ელექტროსაპარსი— ევროპული და ამერიკული. ნენსიმ ხუმრობით ურჩია, სიჩქარისათვის შეგიძლია ორივეთი ერთდროულად გაიპარსოო. სებასტიანი აბაზანაში ჩაჯდა. გადაწყვიტა შიგვე გაეპარსა, სანამ აბაზანა წყლით აივსებოდა.

თავით აბაზანის კიდეს მიეყრდნო და ხან ლოყაზე მიიდებდა ელექტროსაპარსს, ხან ნიკაპზე.

ამ დღეებში ჟურნალიდან მიიღო ჩეკი და მიწვევა ნიუიორკში სამუშაოდ. ნორმას შეპირებული ფული გაუგზავნა და სულ გადაივიწყა კუბა. მაგრამ დიდხანს დარჩენა ნენსის მამის სახლში არ შეეძლო. სებასტიანი ერთსა და იმავე ადგილას ისვამდა საპარსს მანამდე, სანამ არ გახურდა. სასიამოვნოა გაპარსვა ასე, როცა წევხარ და არ დგეხარ სარკის წინ...

სებასტიანმა შავ მოკასინებში ტალკი ჩაყარა, ჩაიცვა, ბამბუკის ფარდა გაიარა და ნენსის პირდაპირ ჩამოჯდა. ნენსი ჟურნალს ფურცლავდა. სებასტიანმა მუხლზე აკოცა.

— ტუჩებში იმიტომ არ გკოცნი, რომ ჯერ კბილები არ გაგიწმენდია.

— ოჰ, რა საძაგელი ხარ! — ღიმილით უთხრა ნენსიმ.

— არ ვისაუზმოთ?—შესთავაზა სებასტიანმა და საწოლზე გაიჭიმა.

— I was waiting for you [1], მეტისმეტად მოსაწყენი საქმეა საუზმის მომზადება. სჯობია ისევ შინ მოამზადო...

— შაქარი ვერ ვიპოვე, — უთხრა სებასტიანმა და დაწნულ მაგიდაზე ორი ფინჯანი დადგა.

— ნუ სწუხარ, ახლავე მოვიტან. — ბოლოს ნენსიც წამოდგა და ჟურნალი მაგიდის ქვეშ შეაგდო. — შაქარი მაცივარში დავუმალე ჭიანჭველებს.

— ბარემ პურიც გამოაყოლე.

სებასტიანმა ოთახი შეათვალიერა. კედლები თეთრად იყო შეღებილი. არც წმინდა გული იესოსი, არც რაიმე ამის მსგავსი, რასაც შეეძლო მოეგონებინა ცხოვრება კუბელი ბურჟუისა. თითქმის მთელი კედელი ეჭირა დიუბიუფეს სურათს: წთელი და ნაცრისფერი ფერები და გაბრტყელებული ქალი პაწაწინა ხელებით. ეს სურათი სებასტიანს სახალხო საპირფარეშოების კედლებზე მოხატულ სურათებს აგონებდა. გასულ წელს ნენსის მამამ გადაწყვიტა, რომ თანამედროვე ხელოვნებაში ღირდა კაპიტალის დაბანდება. გარდა ამისა, ამგვარად იქცეოდა მაღალი საზოგადოება. ნილსს, „მეტროპოლიტენის“ მთავარ რედაქტორს, პოლაკის სურათი ეკიდა.

ფანჯრებიდან მოჩანდა წვრილი, გრძელი გაზონები, იმის იქით ქვიშიანი პლაჟი, ნავმისადგომი და ბოლოს ზღვა...

— შენ არ გეჩვენება, რომ იქ, ჰორიზონტთან, ზღვა სცილდება ნაპირებს? — ჰკითხა ნენსიმ, რომელიც საბანაო კოსტუმს იცვამდა.

---

[1] მე შენ გიცდიდი (ი ნ გ ლ.).

ძველები მართლები იყვნენ, როცა ამბობდნენ: იქ, სადაც ჰორიზონტი თავდება, ზღვა ცას ერწყმისო, — უპასუხა სებასტიანმა.

* * *

— რატომ არ გინდა წამოხვიდე ფილადელფიაში და გაიცნო ჩემი მშობლები? — ნენსიმ იდაყვებზე წამოიწია.

სებასტიანი თვალდახუჭული იწვა. თვალები ვერ უძლებდნენ მზის ელვარებას.

— არ ვიცი, ნუ მეკითხები. შეიძლება მერე, ოდესმე, ახლა კი არავითარი სურვილი არა მაქვს. იმედი მაქვს, არ შეგიტყობინებია, რომ აქა ვარ? — სებასტიანმა თვალები გაახილა.

— არა, არ შემიტყობინებია. ვუთხარი, რომ მარტო ყოფნა მინდა პლაჟზე და არავის ნახვა არ მსურს. ნუ გეშინია, არავინ შეგვიშლის ხელს.

— მაშ ყველაფერი წესრიგში ყოფილა, — სებასტიანმა ისევ დახუჭა თვალები. — ეს ხვეული თმები ძალიან გიხდება.

ნენსიმ თავი ნარინჯისფერ პირსახოცზე დადო, რომელიც ნავმისადგომის ფიცრებზე იყო გაფენილი.

— შენ არ მოგწონს აქ?

— რა თქმა უნდა, ძალიან მომწონს. აქ სიწყნარეა. შეიძლება დასვენება. — იგი ნენსისაკენ გადაბრუნდა და ხუმრობით უკბინა მზისაგან გახურებულ მხარზე.

— რატომ არ გინდა აქ დარჩენა? შენთვის ხომ აღარ შეიძლება დაბრუნება ჰავანაში ყოველივე იმის შემდეგ, რაც თავს გადაგხდა. შეგვიძლია აქ ვიქორწინოთ.

— წავიდეთ, ვიცურაოთ, — სებასტიანი წამოდგა და ზღვას გახედა.

— რატომ გაურბიხარ ამაზე ლაპარაკს? უკვე მოგაბეზრე თავი?

— არ ვიცი, რა იქნება და არც მინდა ამაზე ფიქრი. მე იმაშიც არა ვარ დარწმუნებული, რომ მომწონს ის სამუშაო. რომელიც ნიუ-იორკში შემომთავაზეს და რადგან ვიცი, რომ მამაშენი აქციონერია ამ ჟურნალისა, კიდევ უფრო ნაკლებად მომწონს. არ მომწონს როლი ქმრისა, რომელიც მილიონერის შვილის კმაყოფაზეა.

— შენ ისევ შენსას იმეორებ...

— არ მინდა . ფიქრი, მინდა დავისვენო, არაფერზე არ ვიფიქრო ერთი კვირის განმავლობაში.

— არც ჩემზე? — ჰკითხა ნენსიმ და ჩამოცურებული ბრეტელი გაისწორა.

— იმიტომ ჩამოვედი, რომ შენთან ვიყო. განა ასე არ არის? შენ იყავი ერთადერთი ადამიანი, რომლის ნახვაც მენატრებოდა განთავისუფლების შემდეგ.

— ძალიან მინდა, რომ დარჩე. შეიძლება მოვნახოთ სხვა სამუშაო, სადაც არ იქნები დაკავშირებული მამაჩემთან. ეს არ იქნება ძნელი. მე კერამიკას მოვკიდებდი ხელს, შენ დაწერდი. აქაც კი შეგვეძლო საცხოვრებლად დარჩენა. მამა არასოდეს არ ჩამოდის აქ, სულ მუშაობს და ტკბება თავისი საქმიანობით. ახლა ჩემს ქვეყანაში ხარ და აღარ გაგიშვებ! — და რათა უკანასკნელი სიტყვა მას დარჩენოდა, წყალში გადაეშვა.

ერთი ჩაყვინთა და მერე სებასტიანს შეასხა წყალი. სებას-

ტიანი ყოყმანობდა: ჩაყვინთოს თუ არა? რაღაცამ გაიელვა წყალში ანდა შეიძლება მოეჩვენა.

სებასტიანი ნავმისადგომიდან გადახტა. თითქოს გრძნობდა ეხილავ ღუზას, რომელიც ფეხზე ჰქონდა მიბმული. წყალში საგნები იფანტება, ხან შორეულად გეჩვენება, ხან სულ ახლოს გგონია. სებასტიანმა ამოიყურყუმელავა და აკოცა ნენსის. ნენსის წამწამებზე წყლის წვეთები უბრწყინავდა. სებასტიანმა ენით მოსწმინდა ეს წვეთები.

— მინდა შევჭამო შენი თვალები და მთლიანად შენ.

— ეს მართალია?

— ნახევრად მართალია, ნახევრად ფრაზა. — სებასტიანი წყალში ჩაიმალა. ახლა უკვე დარწმუნებული იყო, რომ ფეხებს არავითარი ტვირთი არ ამძიმებდა.

როცა წყლიდან ამოვიდნენ, ნენსიმ ჰკითხა:

— ჭამა არ გინდა?

— მინდა, — უპასუხა სებასტიანმა და ხელის ზურგით მოიწმინდა ცხვირი. — ყოველ შემთხვევაში, საქმე გაგვიჩნდება. გავერთობით მაინც. წყალმა უკვე დამღალა. თან წიგნიც ვიყიდოთ მამაჩემისათვის მუსიკის შესახებ. ახლა აეშალა საღერღელი მუსიკის შესწავლისა, როცა უკვე სამოცდაათი წლისაა და პენსიაზე გავიდა. გარდა ამისა, შორტები მინდა ვიყიდო და, რამდენიმე პერანგი. რაკი აქა ვარ, რატომ არ უნდა ვისარგებლო თქვენი კაპიტალიზმის დოვლათიანობით.

— ნება მომეცი, მე თვითონ ამოგირჩიო, — უთხრა ნენსიმ, რომელიც თმებს იმშრალებდა — შეგვიძლია ახალ მაღაზიაში წავიდეთ. იქ ზემო სართულში კაფეც არის. ერთ შენობაში მივიღებთ ყველაფერს, რაც გვჭირდება. ჭირივით მძულს მაიამში სიარული. აბა, ჩქარა ჩავიცვათ. წავიდეთ!

* * *

— იცი რა, — უთხრა სებასტიანმა, რომელიც ნენსის შემდეგ შევიდა მაღაზიაში. — ყველაზე სასიამოვნო კონდიცირებული ჰაერი მაშინ არის, როცა პირველად მოხვდები შიგ. მერე ისევ სიცხეში გინდა გასვლა.

— გეყოფა ლაპარაკი, — ნენსიმ ხელი გამოსწია. — მამაკაცთა ტანსაცმელის განყოფილებაში შევიდეთ.

— მოგწონს? — ნენსიმ დახლიდან აიღო ლურჯი პერანგი, რომელსაც წითელი თევზები ეხატა.

— ძალიან მყვირალაა, ერთფერი მირჩევნია, — უთხრა სებასტიანმა და ზღვისფერი პერანგი აიღო.

— თეთრიც იყიდე, თეთრი ძალიან გიხდება... საშინლად საინტერესოა რაღაც-რაღაცეების ყიდვა. ხომ მართალია? მერე კერამიკის განყოფილებაშიც შევიაროთ.

— მე კი ჯერ არაფერი მიყიდია და უკვე მომბეზრდა აქ ყოფნა.

— ჰო, დრო არის საჭირო იმისათვის, რომ მიეჩვიო. შეერთებულ შტატებს შეუძლია მთელ ქვეყანას ასწავლოს, როგორ ისიამოვნო ყოველდღიურად ახალი ნივთების შეძენით. ჩვენ შეგვიძლია მოვიგონოთ, თითქოს რაღაც გვაკლია და შემდეგ ამისგან სიამოვნება მივიღოთ.

კაფეში ფუთა თავისუფალ სკამზე დადეს და თვითონ მაგიდას მიუსხდნენ.

— შეუკვეთე ჩემთვის რაც გინდა. მენიუში იმდენი რაღაცეები წერია, რომ ყოველთვის მერევა და აღარ ვიცი, რა შევუკვეთო.

— მე მეჩვენება, რომ თქვენ ქვეყანაში უკვე დიდიხანია

ქველაფერი გაკეთებულია, — სებასტიანმა შაქარი ჩააგდო ყავაში. — როცა ჩამოდიხარ იმ ქვეყნიდან, სადაც ყველაფერი მომავალში უნდა გაკეთდეს, გულზე მოგეშვება. ამერიკელებს ისღა დაგრჩენიათ, უკან დაიხიოთ, რათა დატკბეთ დაკნინებით.

* * *

სებასტიანს მოუსვენრად ეძინა.

...უნდოდა გასულიყო ოთახიდან და განძრევის საშუალება არ ჰქონდა. საცაა დაიკეტებოდა ყველა კარი. უცებ ცირკის კლოუნივით გაეზარდა ფეხები. იგი ნიუ-იორკში იყო...

სებასტიანმა თვალები გაახილა და გაიზმორა. პირში საძაგელი გემო ჰქონდა. როგორც კი სადილის შემდეგ დაიძინებდა, მთელი დანარჩენი დღე უგემურად უნდა გაეტარებინა. სინათლის სწორკუთხედი, რომელიც ფანჯრიდან იატაკზე ეცემოდა, სულ რამდენიმე დუიმით გაზრდილიყო. „სამი დუიმი თუ იქნება, მეტი არა“, გაიფიქრა სებასტიანმა. მოულოდნელად გაახსენდა პოლიციელები, რომელთაც აწამეს იგი. შურისგება მოუნდა: ნაღვერდალზე ატარებდა შიშველი ფეხებით და ხმის ამოღების საშუალებას არ მისცემდა! თუ კიდევ შეხვდება მათ... სებასტიანმა არ იცოდა, რას იზამდა, მაგრამ დარწმუნებული იყო, გულხელდაკრეფილი არ დაჯდებოდა.

ფანჯრიდან ნენსი დაინახა. თავი დაებანა და მზეზე იჯდა ეზოში. სებასტიანი კუბაში დაბრუნდება! ახლავე დაბრუნდება!

* * *

სებასტიანი მაგიდას მიუჯდა, რომელზეც „ნიუ-იორკ ტაიმსი“ და „ლაიფი“ ელაგა. პირველ გვერდებზე არაფერი იყო კუბის შესახებ. სებასტიანმა ყავა შეუკვეთა ორმაგი ნაღებით. ლაიფს“ რომ ფურცლავდა, ფოტონარკვევს წააწყდა სიერა-მაესტრას მეამბოხეთა შესახებ. ყავის წვეთი დაეცა ფურცელს და სებასტიანმა ქაღალდის ხელსახოცით გადაწმინდა. წვეროსანთა ჯგუფში სებასტიანმა ვილაცის შუბლი და შავი თვალები დაინახა... ფიდელ კასტროს უკან წვერმოშვებული ფრანსისკო იდგა. სებასტიანი დარწმუნებული იყო, რომ იგი ნამდვილად ფრანსისკოა. იცნო, ფრანსისკოს შუბლი იცნო.

* * *

— სად დაიკარგე? — ჰკითხა ნენსიმ, რომელიც სააბაზანოდან გამოვიდა ჯაგრისით ხელში.

— გაზეთების საყიდლად გავედი, — უპასუხა სებასტიანმა და ტუჩის კუთხეები დაუკოცნა.

— მე მეგონა, აღარაფერი დაგაინტერესებდა. შენ თვითონ ასე თქვი გუშინ.

— ჰო, მართალია, მაგრამ უცებ მომინდა, რაიმე შემეტყო კუბაზე. რას იზამ!

— პოლიტიკა აღარ არის მოდაში. იდიოტი უნდა იყო, რომ პოლიტიკოსების ანკესზე წამოეგო. შეერთებულ შტატებში უკვე მეოცე წელია აღარავინ იწუხებს ამით თავს. აქ დარჩენას თუ გადაწყვეტ, შეგიძლია დემოკრატიულ პარტიაში

ჩაეწერო. ფიდელ კასტროს რომ შეერთებულ შტატებში ეცხოვრა, დემოკრატი იქნებოდა.

— შენ სხვა სამყაროში ცხოვრობ. შენთვის ფიდელი მხოლოდ საუბრის თემაა, მრავალთათვის კი საშუალებაა იმისა, რომ შესცვალოს ცხოვრება.

— მაგრამ ამისათვის ჩვენს დროში საჭირო არ არიან პოლიტიკოსები. გამომთვლელი მანქანები შესცვლიან სენატორებსა და პრეზიდენტებს.

— ახლა ზოგი რამ უკვე მესმის. მე თვითონ გამოვითიშე თავი, ვფიქრობდი, არაფერი არ შეიძლება შეიცვალოს-მეთქი. პირად თავისუფლებას ვიცავდი და მეგონა, ეს ყველაფერზე მაღლა იდგა. ეს თავისუფლება კი სხვა არაფერია თუ არა მარტოობა და ყველასაგან განცალკევება. აბა, რა თავისუფლება მაქვს აქ? რას წარმოადგენს ეს თავისუფლება? იმას, რომ იცხოვრო საკუთარ წინააღმდეგობებში ჩაფლულმა, იმას. რომ ილაპარაკო ყოველგვარი სისულელე, რომელიც არავის არ აღელვებს; იმას, რომ შენს ირგვლივ ასეთ სიბინძურეს ხედავდე და არა გქონდეს არავითარი შესაძლებლობა რაიმის შესაცვლელად.

— რატომ არის, რომ ყოველთვის პოლიტიკაზე ლაპარაკობ? კუბაში დაბრუნებას ფიქრობ? თუ ეს ასეა, ნამდვილად სულელი ყოფილხარ.

— არ წამოხვიდოდი ჩემთან ერთად? — სებასტიანმა გაიღიმა, რათა მღელვარება დაეფარა.

— I knew it, ასეც ვიცოდი. ჩემს გამოსაჯავრებლად გინდა კუბაში დაბრუნება. ხომ იცი, რომ მე აქ დავრჩები. შენ ეს სერიოზულად გადაწყვიტე, სებასტიან?

— ყველაფერი, რაც მე პოლიციაში გადავიტანე, დამამ-

ცირებელი იყო და ჯერ არ ვფიქრობ დაბრუნებას. მაგრამ აღარ მინდა, მოვიტყუო თავი. — სებასტიანმა თავზე დაადო ხელები ნენსის.

— რატომ მისვამ თავზე ხელს?

— არ ვიცი, ალბათ იმიტომ, რომ მამაშენივით არ შემიძლია მოგცე თავშესაფარი და მხოლოდ საკუთარი ხელებით შემიძლია დაგიფარო.

— თუ დარჩები, სიტყვას გაძლევ, რომ ჩვენს ქორწინებამდე არ იხილავ ჩემს მშობლებს. გპირდები ამას.

* * *

სებასტიანს .არ უნდოდა ელექტროსაპარსით გაპარსვა: მგრძნობიარობა დაჰკარგა კანმა. მენთოლის კრემი გაახსენდა. ეს-ეს არის დაამთავრა ოცდაათი გვერდი რომანისა. ბოლოს და ბოლოს, როგორც იქნა, გამოუვიდა. სებასტიანმა საპარსი ჩართო. კანს უოფლიანებდა მანქანის სითბო. „მეტისმეტად ძველებური ყაიდის კაცი ვარ“, გაიფიქრა მან და საპარსიდან თმის მტვერი გამოჰყარა. უკვე მოჰქანცა მეტისმეტმა კომფორტმა. ამას სჯობდა სამართებლით გაეჭრა კანი.

— მე მგონი, რამდენიმე კოღო მაინც უნდა შემოვუშვათ.— თქვა სებასტიანმა და სასტუმრო ოთახის შუაგულში გაჩერდა. — მეტისმეტი სიმშვიდე და სისუფთავეა.

— კოღოები მაგიჟებენ... ღამით უძილობამ გამტანჯა. — ნენსიმ ხელისგული მოისვა მკლავზე. — შენ, რა თქმა უნდა, არც გაგიგია. მთელი ღამე დავდევდი კოღოს. ვერ წარმომიდგენია, საიდან შემოძვრა.

ტელეფონმა დარეკა.

— შენ გკითხულობენ...

— მამა გარდაიცვალა, — თქვა სებასტიანმა, ყურმილი ჩამოჰკიდა და უძრავად მიაჩერდა აპარატს.

— მამა გარდაიცვალა? როდის?

— ერთი საათის წინ.

— რამდენი წლისა იყო? — ნენსიმ შიშით გაიფიქრა, რომ სიკვდილმა შეიძლება ხელი შეუშალოს მის ბედნიერებას.

— არ მახსოვს... სისხლის ჩაქცევით გარდაიცვალა, — დაბნეულად უპასუხა სებასტიანმა.

— მარტოდ ყოფნა გინდა?

— არა.

— სიკვდილი ჩვეულებრივი ამბავია, მაგრამ ყოველთვის საზარელია.

— არ ვიცი როგორ მოვიქცე... ჰავანაში დავბრუნდები.

— არ გირჩევ.

— უნდა დავბრუნდე.

— შენ ახლა გიმძიმს იმიტომ, რომ მამა გარდაიცვალა. მე ჯერ კიდევ ბავშვი ვიყავი და სწორედ ასე დამემართა, როცა მოკვდა ჩემი ძაღლი... მესმის, ეს ერთი და იგივე არ არის, მაგრამ მაინც... ძაღლი ხომ ბავშვისათვის...

— ძაღლი?..

— მე შენ გიამბე იმ ძაღლზე. კოლეჯში რომ გამაგზავნეს, სწორედ იმ წელს მოხდა... რამდენიმე დღეს მოიცადე. გონს მოიხვალ...

— არა, არ შემიძლია. ახლავე უნდა ვიღონო რაღაც. ახლავე, როცა ყველაფერი ნათელია ჩემთვის... მერე შეიძლება ისევ სისულელედ, უაზრობად მეჩვენოს ყველაფერი. აღარ

შემიძლია, ვიყო ერთი ადამიანი და მქონდეს ორი სახე. ან ერთი უნდა ვიყო ან მეორე.

— ნუ გეშინია, არ დაემგვანები ბიძია სემს, თუ აქ დარჩები.

— ჩემი მშობლიური ენა ესპანურია. ნუთუ შენ არ გესმის — გარდაიცვალა ჩემი ძამა. ისიც ესპანურ ენაზე ლაპარაკობდა, როგორც ყველა კუბელი. ბანკში მუშაობდა. მაგრამ ისე ლაპარაკობდა, როგორც უბრალო კუბელი.

— კარგი... მაგრამ ხომ არ შეგიძლია გააცოცხლო იგი... ახლავე დავბრუნდები, — ნენსიმ კარი გამოაღო და გავიდა, პასუხს აღარ დაუცადა.

სებასტიანი მარტო დარჩა. არაჩვეულებრივი სისუსტე იგრძნო. თვალწინ ედგა ბუნდოვანი სახება მამისა, რომელიც სისხლისგან იცლებოდა. „სისხლის ჩაქცევისგანო“, უთხრეს ტელეფონით.

თუ ჰავანაში დაბრუნდა, შეიძლება დააპატიმრონ. მამის სიკვდილმა გაჰფანტა ბავშვობის სასიამოვნო მოგონებები.

ნენსი წინ და უკან დადიოდა გარაჟში და არ იცოდა, რა უღონა. არ უნდოდა, რომ სებასტიანი წასულიყო, მაგრამ არ იცოდა, როგორ დაეტოვებინა... მამის სიკვდილი რკინის კედელივით აღიმართა მათ შორის. სწრაფად გამოაღო რკინის ბადით აკრული გარაჟის კარი და საჩქაროდ შეავიდა შინ.

— I'm teribly sorry[1], სებასტიან, მე მართლაც ძლიერ მებრალება, — ოთახში შესვლისთანავე უთხრა ნენსიმ.—I'm a bitch[2], დედა მართალია, არაფერში არ ვარგივარ. არასოდეს

---

[1] მე ძლიერ ვწუხვარ (ი ნ გ ლ.).

[2] მე საძაგელი ვარ (ი ნ გ ლ.).

არ მინახავს მამაშენი, მაგრამ მამაჩემიც რომ მომკვდარიყო, არ ვიცი, რას ვიქმოდი.

სებასტიანს თვალთ დაუბნელდა. იგი შეტრიალდა.

— მესმის, რამდენად მძიმეა ეს შენთვის, მაგრამ არ უნდა წახვიდე. ის უკვე მოკვდა. მოკვდა და... ვეღარაფერს უშველი.

— მე შენ არ გთხოვ ჩემთან ერთად წამოსვლას, ნენსი.

— რატომ გინდა დაბრუნება?

— არ ვიცი. ვიცი მხოლოდ, რომ უნდა დავბრუნდე. — სებასტიანმა თავს ძალა დაატანა, რათა ხმა არ ათრთოლებოდა. — ეს სახლი შენია. მამაშენის. მე არაფერი არ მინდა იქიდან, რაც შენს მშობლებს ეკუთვნის.

— მამაჩემი დიდად გავლენიანია, ფული იმაზე მატი აქვს, რაც საჭიროა. მას შეუძლია დაგვეხმაროს.

— ნურაფერს მეტყვი ამაზე.

— გემუდარები, ნუ წახვალ!—ნენსის გული აუთრთოლდა. გევედრები, ნუ წახვალ. შეიძლება მოგკლან იქ.

— არ მინდა გავექცე არც საფრთხეს, არც პასუხისმგებლობას... მეგონა რომ მაღლა ვდგევარ ყველა იმ მოვლენაზე. რაც ჩემს ქვეყანაში ხდება, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ეს მოვლენები ჩემზე ძლიერნი არიან.

— შენ არაფერზე არ აგებ პასუხს. ყველაფერი გააკეთე, რაც შეგეძლო. იქ მოგკლავენ.

— რაღაც უნდა მოვიმოქმედო. დეე, თუნდაც სისულელე იყოს ეს. არ შემიძლია უმოქმედობა. მეგონა, უკეთ ვიქნებოდი, მაგრამ არ ყოფილა ასე. მამაჩემიც ყოველთვის გულგრილი იყო ყველაფრისადმი. მას თითიც კი არ გაუნძრევია იმისათვის, რომ რაიმე შეცვლილიყო კუბაში... მე იქ ყველა-

ფერი ზიზღსა მგვრის, მაგრამ უნდა დავბრუნდე. მინდა კუბაში ვიცხოვრო.

— შენ უბრალოდ გმირად წარმოიდგინე თავი და გინდა სიერა-მაესტრაში წახვიდე. ეს უფრო მნიშვნელოვანია შენთვის, ვიდრე მე? სიმართლე მითხარი!

— მე მთებში წასვლას არ ვაპირებ. ჰავანაში ვბრუნდები, მორჩა და გათავდა. — სებასტიანი ჩემოდნის ჩალაგებას შეუდგა.

— ვითომ რატომ მიიტანე ასე ახლოს გულთან მამის სიკვდილი? შენ ხომ უგრძნობი ადამიანი ხარ! შენ რომ იოტისოდენა გრძნობა მაინც გქონდეს, იფიქრებდი ჩემზე და არ მიმატოვებდი მარტო. მამაშენი მკვდარია, მე კი ცოცხალი ვარ.

— მაშ, როგორ უნდა მოვიქცე შენის აზრით? მე სხვაგვარად არ შემიძლია.

— მამა შენთვის არაფერს არ ნიშნავს. ამას უბრალოდ ჩემს გასაბოროტებლად სჩადიხარ.

— მართალი ხარ, ჩემთვის არაფერს, არაფერს არა აქვს მნიშვნელობა. უბრალოდ იმიტომ ვბრუნდები კუბაში, რომ ასე მინდა.

— სცდები, თუ ფიქრობ, რომ უკან გამოგეკიდები. ქალი დარწმუნებული უნდა იყოს, რომ მამაკაცისთვის იგი ყველაზე მნიშვნელოვანია ამ ქვეყნად.

სებასტიანს უნდოდა, რომ ნენსი მასთან ერთად წასულიყო, მაგრამ ავადმყოფურ კმაყოფილებას გრძნობდა იმით, რომ არ პასუხობდა მის შემოტევას.

— მე არ მაქვს ესპანური სისხლი და არც შემიძლია ეშმაკობა. მე ამერიკელი ვარ და მინდა, ყველაფერი გარკვეული იყოს. პრაქტიკული უნდა იყო კაცი. არ მესმის, რად

გინდა ყოველივე ეს. მოგკლავენ. რა უნდა ვქნა, შენ რომ მოგკლან?

სებასტიანს უნდოდა დაეყვირა, ეგოისტი ხარო, მაგრამ გაახსენდა, რომ მამა მოკვდა. მოკვდა.

— განაგრძე, თქვი ყველაფერი, თუ ამით გულზე მოგეშვება.

— რატომ ეჭცევი ასე ადამიანებს? შენ რომ ასეთი არ ყოფილიყავი, ყველაფერი სხვაგვარად მოეწყობოდა.

წყვილი წინდა ნელ-ნელა ჩამოცურდა და სრიალით ჩაიკეცა ნენსის ფეხებთან. ნენსიმ ხელი დასტაცა და სახეში ესროლა სებასტიანს.

სებასტიანს უნებურად გაეღიმა. ნენსი მივარდა და ხელების კაწვრა დაუწყო. სებასტიანი არ განძრეულა და ნენსიც უძლურად შეჩერდა.

— რატომ არ იღებ ხმას? მკვდარი ხარ? მკვდარი ხარ და თვითონ არ გესმის ეს. რატომ არ მიყვირი? დამიყვირე! დამიყვირე!

— თუ შენ ჩემთან ერთად წამოხვალ, ჩვენ ბავშვი გვეყოლება, — უთხრა სებასტიანმა და წინდები ჩემოდანში ჩატენა.

— მე მინდა, რომ შენ დარჩე აქ. არ მინდა ბავშვი.

— ადრე გინდოდა.

— არაფერი არ მინდა შენგან. სიტყვას ბანზე ნუ მიგდებ! პირდაპირ მითხარი — წახვალ თუ დარჩები?

— არც მიფიქრია დარჩენა. ისე კი შეგვეძლო გვყოლოდა ბავშვი.

— საქმე ეს არ არის.

— არა, სწორედ ეს არის. ჩვენ უბრალოდ არ გვესმის ერთმანეთისა.

— უკანასკნელად გეკითხები: დარჩები?

— არა.

— მე არ წამოვალ შენთან. არაფრის გულისათვის არ დავბრუნდები ჰავანაში, თუ დარჩები, შეგიძლია არც იქორწინო, მაგრამ თუ წახვალ, ყველაფერი გათავდება ჩვენს შორის. — ნენსიმ იმედით შეხედა მას. — აბა, დაფიქრდი: მე ხომ მოვკვდები... — ნენსი აქვითინდა.

— Good by, Nancy[1], — უთხრა სებასტიანმა. უნდა გაეწყვიტა უკანასკნელი ძაფი, რომელიც კიდევ აკავშირებდა მათ. ერთბაშად უნდა მოეღო ბოლო.

— მიმიფურთხებია. დეე, მოგკლან კიდეც! გამეხარდება!— ყვიროდა ნენსი და ცრემლების შეკავებას ცდილობდა. — შენ არასოდეს არ გყვარებივარ! შენ შენი თავის დაღუპვა გინდა. მე კი ვერ წამოვალ შენთან ერთად სასიკვდილოდ. ძალით ვერ მოვიკლავ თავს!

ნენსი ოთახიდან გავარდა და სებასტიანმა კარის ხმაური გაიგონა. სებასტიანი სააპაზანოში გავიდა. პირს იბანდა და ტიროდა.

* * *

მათ სებასტიანის წინ მდგარი სავარძელი მოატრიალეს, კარტის სათამაშოდ მაგიდა მოაწყეს და მერე სტიუარდესას დაუძახეს, ლანგარის მოტანა სთხოვეს. სამთაგან ერთს წითელ თევზებიანი ლურჯი პერანგი ეცვა. ისინი ორი კვირით მიდიოდნენ ჰავანაში დასასვენებლად.

---

[1] მშვიდობით, ნენსი (ი ნ გ ლ.).

— We have a business together, the three of us, up in Jacksonville[1], — ნახმარი მანქანები უნდა ვიყიდოთ.

სებასტიანი მოკლედ პასუხობდა. არ უნდოდა ლაპარაკი. სტიუარდესამ თავაზიანი ღიმილით მოიტანა ლანგარი.

„რატომ ის არ კარგავს წონასწორობას“, გაიფიქრა სებასტიანმა და თვალი გააყოლა ქალიშვილს, სავარძლებს შუა რომ მიდიოდა.

კარტის დარიგება დაიწყეს.

სებასტიანმა ისარგებლა ამით და თვალები დახუჭა. პოკერს თამაშობდნენ: მოთამაშეთა ხმები გუგუნად ჩაესმოდა ყურში. თვითმფრინავი უკან აღარ მობრუნდება. სებასტიანმა თავი მოიმძინარა. მარჯვნივ მჯდომმა მეზობელმა რამდენჯერმე გაჰკრა მუჯლუგუნი გვერდში.

სებასტიანმა თვალები გაახილა და ლანგარზე დაწყობილი კარტი დაინახა. ილუმინატორში გაიხედა. რატომ ამბობენ, ცა მშვენიერიაო. მოწყენილია და მუდამ ცარიელი. სებასტიანი ცდილობდა მამაზე ეფიქრა, მაგრამ ფიქრები უნებურად უბრუნდებოდნენ ნორმას. ყველაზე სევდისმომგვრელი მის ცხოვრებაში კუბიდან წასვლამდე — ნორმა იყო. დეე, ისევ შეემთხვას რაღაც — ყველაფრისათვის მზად არის. ისევ მიეკრა შუშას. ელოდა, როდის გამოჩნდებოდა პალმების ჭალაში ჩაკარგული აეროდრომი. მისი ხელები მზით გამთბარ სავარძლის შალითას ეალერსებოდნენ.

სებასტიანს უნდოდა, მალე დაშვებულიყო თვითმფრინავი მიწაზე.

---

[1] ჩვენ სამივეს ბიზნესი გველოდება ჯეკსონვილში.

შინაარსი

პროლოგი	5
ნაწილი პირველი	12
ნაწილი მეორე	117
ნაწილი მესამე	221

Эдмундо Деснозс

Возвращение

(На грузинском языке)

Издательство «Сабчота Сакартвело»
Тбилиси, Марджанишвили, 5
1968

რედაქტორი ლ. იმერლიშვილი
მხატვარი ი. დივნოგორცევა-გრიგოლია
მხატვრული რედაქტორი დ. დუნდუა
ტექრედაქტორი ვ. ჭიჭინაძე
კორექტორი ც. ნიკურაძე

გადაეცა წარმოებას 28/XII-65 წ.
ხელმოწერილია დასაბეჭდად 7/II-68 წ.
ქაღალდის ზომა 70×108¹/₃₂.
ნაბეჭდი თაბახი 10,5.
სააღრ.-საგამომცემლო თაბახი 8,56.
ტირაჟი 20000. შეკვ. № 753.
ფასი 49 კაპ.

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო"
თბილისი, მარჯანიშვილის, 5.

სტამბა № 1, თბილისი, ორჯონიკიძის ქ. № 50.

Типография № 1. Тбилиси, ул. Орджоникидзе, № 50.

დაიბეჭდა და აიკინძა თბილისის № 4 სტამბაში.